Publikationen
zur rechtlichen Zusammenarbeit

8/2022

შედარებითი სამართლის ქართულ - გერმანული ჟურნალი

Deutsch-Georgische Zeitschrift für Rechtsvergleichung



Gefördert durch:
Bundesministerium der Justiz
aufgrund eines Beschlusses des Deutschen Bundestages

IRZ

94

Elektronische Publikation

8/2022

შედარებითი სამართლის

ქართულ-გერმანული ჟურნალი

Deutsch-Georgische

ZEITSCHRIFT FÜR RECHTSVERGLEICHUNG

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი

წინამდებარე პუბლიკაცია გამოიცემა გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდის (IRZ) ფინანსური მხარდაჭერით.

გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ფონდი (IRZ) შეიქმნა 1992 წელს და ამ დროიდან გერმანიის იუსტიციის ფედერალური სამინისტროს დაკვეთით დახმარებას უწევს პარტნიორ სახელმწიფოებს სამართლებრივი რეფორმების გატარებაში. ასეთი პროცესების მხარდაჭერა წარმოადგენს IRZ-ის ამოცანას, რომლის ფარგლებშიც ცენტრალური მნიშვნელობა ენიჭება პარტნიორი სახელმწიფოს ინტერესებს.

საქართველოსთან IRZ-ის თანამშრომლობა ეფუძნება საქართველოს და გერმანიის იუსტიციის სამინისტროთა 2005 წლის შეთანხმებას, რომლის განხორციელებაც 2006 წლიდან მიმდინარეობს. თანამშრომლობის მთავარი სფეროებია: საერთაშორისო შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების იმპლემენტაცია ქართულ კანონმდებლობასა და სამართალში, საკონსულტაციო საქმიანობა სისხლის სამართალში და სასჯელაღსრულების სფეროში და პრაქტიკოსი იურისტების განგრძობითი იურიდიული განათლება.

Die vorliegende Publikation wird durch finanzielle Unterstützung der Deutschen Stiftung für internationale rechtliche Zusammenarbeit e.V (IRZ) herausgegeben.

Seit ihrer Gründung im Jahr 1992 berät die Deutsche Stiftung für internationale Rechtliche Zusammenarbeit e.V. (IRZ) ihre Partnerstaaten im Auftrag des Bundesministeriums der Justiz und für Verbraucherschutz bei der Reformierung ihrer Rechtssysteme und der Justizwesen. Rechtsstaatlichkeit und Demokratisierung sind Voraussetzung, um grundrechtliche Freiheiten zu wahren, stabile staatliche und gesellschaftliche Strukturen zu stärken sowie wirtschaftliches Wachstum anzuregen. Diesen Entwicklungsprozess zu unterstützen ist Aufgabe der IRZ, wobei die Bedürfnisse des jeweiligen Partnerstaats immer im Mittelpunkt stehen.

Die Zusammenarbeit mit Georgien basiert auf einer gemeinsamen Erklärung zwischen dem georgischen Justizministerium und dem Bundesministerium der Justiz von 2005 und wurde im Jahr 2006 aufgenommen. Die Schwerpunkte der Tätigkeit liegen in der Umsetzung internationaler Abkommen in georgisches Recht, in der Beratung im Straf- und Strafvollzugsrecht sowie der Aus- und Fortbildung von Rechtsanwenderinnen und Rechtsanwendern.

DEUTSCHE STIFTUNG FÜR INTERNATIONALE RECHTLICHE ZUSAMMENARBEIT E.V.

IRZ

Gefördert durch:

Bundesministerium der Justiz und für Verbraucherschutz

aufgrund eines Beschlusses des Deutschen Bundestages

UNIVERSITAS TPHILISENSIS 1918

BIGVAVA BATIASHVILI

BSH Think Legally.

MG LAW in collaboration with Andersen Global in Georgia

ISSN 2587-5191 (ბეჭდვითი)
ISSN 2667-9817 (ელექტრონული)
© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 2022
© საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდი (IRZ) 2022
© ავტორები, 2022

www.lawjournal.ge

მთავარი რედაქტორები
ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი
ასოც. პროფ. ლადო სირდაძე
ასოც. პროფ. დოქ. თამარ ზარანდია

გამომცემლები
პროფ. დოქ. საპატიო დოქ. ტიციანა ქიუზი
პროფ. დოქ. ოლაფ მუთჰორსტი
ნოტარიუსი რიხარდ ბოკი
მოსამართლე ვოლფრამ ებერჰარდი
პროფ. დოქ. არკადიუშ ვუდარსკი
მოსამართლე დოქ. ტიმო უტერმარკი
ადვოკატი დოქ. მაქს გუთბროდი
პროფ. დოქ. გიორგი ხუბუა
პროფ. დოქ. ლაშა ბრეგვაძე
პროფ. დოქ. ირაკლი ბურდული
პროფ. დოქ. ნუნუ კვანტალიანი
პროფ. დოქ. ზვიად გაბისონია
ფრანკ ჰუპფელდი
ხათუნა დიასამიძე
ასოც. პროფ. დოქ. სულხან გამყრელიძე
ასოც. პროფ. დოქ. თამარ ზარანდია
ასოც. პროფ. დოქ. გიორგი რუსიაშვილი
ასოც. პროფ. დოქ. შალვა პაპუაშვილი
ასოც. პროფ. ლადო სირდაძე
დავით მაისურაძე
ადვოკატი გიორგი ჟორჟოლიანი
ადვოკატი თემურ ბიგვავა
ადვოკატი ზვიად ბატიაშვილი
ხატია პაპიძე
პროფ. დოქ. გიორგი სვანაძე
ადვოკატი გოჩა ოყრეშიძე
დემეტრე ეგნატაშვილი
ადვოკატი ქეთევან ბუაძე
ადვოკატი ნიკოლოზ შეყილაძე
თორნიკე დარჯანია
ასისტ. პროფ. დოქ. თემურ ცქიტიშვილი
რაჟდენ კუპრაშვილი
სულხან გველესიანი
ნატალი გოგიაშვილი
გიორგი კვანტალიანი

ტექნიკური რედაქტორი
დავით მაისურაძე

სამუშაო ჯგუფი
ნინო ქავშბაია
თათია ჯორბენაძე
ანა ბაიაძე
ტილმან სუტორი

სარჩევი

სტატიები

გაცვლის ხელშეკრულება ქართულ სამართალში 1
ზურაბ ძლიერიშვილი

გრეის-პროცენტი საბანკო კრედიტის ხელშეკრულებებში 12
გიორგი რუსიაშვილი

ორი საკანონმდებლო ხარვეზი იჯარის მომწესრიგებელ ნორმებში 27
დავით მაისურაძე

5G ტექნოლოგიების სამართლებრივი რეგულირების ზოგიერთი ასპექტი 32
ზვიად გაბისონია

სამართალი ნეირომეცნიერებათა სამსჯავროზე: მოხდება თუ არა რევოლუცია იურისპრუდენციაში ადამიანის ნების თავისუფლების (free will) გაქრობით? 41
ლაშა ზურაბიანი

საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკა

შპს „ტურექსი“ საქართველოს წინააღმდეგ 77
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (ია უჯმაჯურიძის თარგმანი)

აკაკი ფეიქრიშვილი და გივი ბასილაძე საქართველოს წინააღმდეგ 87
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (ია უჯმაჯურიძის თარგმანი)

გაცვლის ხელშეკრულება ქართულ სამართალში

პროფ. დოქ. ზურაბ ძლიერიშვილი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

I. შესავალი

გაცვლი საფუძველზე ხდება საკუთრების უფლების განკარგვა და მისი გადაცემა შემძენისთვის.[1] გაცვლის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების ანალიზის აუცილებლობა განპირობებულია მისი თავისებურებებით.[2]

გაცვლის ხელშეკრულება არის სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი უძველესი ინსტიტუტი. ნივთების სამართლებრივ ბრუნვას ადგილი ჰქონდა ფულის, როგორც გაცვლის საყოველთაო საშუალების წარმოშობამდეც და წარმოადგენდა ნივთის ნივთზე უშუალოდ გადაცვლას. (ე.წ. გაცვლა). ეს შეესაბამებოდა იმ საზოგადოების ეკონომიკურ პირობებს, რომელიც ეს-ესაა გადავიდა ნატურალური მეურნეობიდან გაცვლით მეურნეობაზე.[3]

II.გაცვლის ხელშეკრულების ძირითადი ნიშნები

სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებებს შორის გაცვლის ხელშეკრულების დამოუკიდებელი ხასიათი[4] შესაძლებლობას გვაძლევს გამოვყოთ ამ ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები, რომლითაც იგი განსხვავდება სხვა სახელშეკრულებო ვალდებულებებისაგან, მათ შორის გაცვლასთან ყველაზე ახლოს მდგომი ნასყიდობის ხელშეკრულებისგან:

1) გაცვლის ხელშეკრულება მიეკუთვნება ქონების გადაცემის ტიპის ხელშეკრულებებს და ამით განსხვავდება სამუშაოს შესრულების (ნარდობა), მომსახურების გაწევის (დავალება, შუამავლობა და სხვ.) და სადამფუძნებლო ხელშეკრულებებისაგან (ერთობლივი საქმიანობისამხანაგობის ხელშეკრულება).

2) გაცვლის ხელშეკრულების საფუძველზე ხდება განსაზღვრული ქონების გადაცემა მხარეთა საკუთრებაში. ამით გაცვლის ხელშეკრულება განსხვავდება ქონების დროებით სარგებლობაში გადაცემის ტიპის ხელშეკრულებებისაგან (იჯარა, ქირავნობა და სხვ.).

3) გაცვლის ხელშეკრულება არის სასყიდლიანი ხელშეკრულება, რამეთუ ადგილი აქვს თითოეული მხარის მიერ მეორისათვის შემხვედრი შესრულების გადაცემას.[5] ამით გაცვლა განსხვავდება ქონების საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის ხელშეკრულებისაგან (ჩუქება). „გაცვლის ხელშეკრულების ერთ-ერთი უმ-

---

1 სუსგ №ას- 221-213-2012, 24 ივლისი, 2021.

2 MüKoBGB/*Westermann*, 7.Aufl. 2016, § 480, Rn. 2. *Tonner,* Schuldrecht, 3.Aufl. 2013, § 10 (IV) Tausch, S. 99; *Grunewald,* in Erman Bürgerliches Gesetzbuch, Handkommentar, 12., neu. Aufl. 2008, § 480, Rn. 2.

3 *Tomas/Mcgin,* Obligation in Roman Law Past. Present and Future, 2012, p. 229. Gaius, Institutiones, 2, 4.2; *Mariano San Nicolo,* Die Schlussklauseln der altbabylonischen Kauf- und Tauschverträge, 1974, S. 109.

4 *ძლიერიშვილი,* ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, 2010, გვ. 186.

5 MüKoBGB/*Westermann*, 7. Aufl. 2016, § 480, Rn. 2.; Palandt/*Weidenkaff*, 74. Aufl. 2015, § 480, Rn. 8; *Halbach/Osterkamp*, Die Rolle des Tauschhandlels für die Entwicklungsländer, 1988, S. 117.

თავრესი თავისებურება მისი სასყიდლიანი ხასიათია."[6]

4) გაცვლის ხელშეკრულება, მართალია, არის სასყიდლიანი ხელშეკრულება, მაგრამ განსხვავდება ქონების საკუთრებაში სასყიდლით გადაცემის ტიპის ისეთი ხელშეკრულებებისაგან, როგორიცაა ნასყიდობა და სესხი. 477-ე მუხლის თანახმად, ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი. მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება. მაშასადამე, ნასყიდობის ხელშეკრულებით შემხვედრი შესრულება ხდება ფულის გადახდის გზით.[7] „გაცვლისას გასაყიდი ფასის ადგილს იკავებს ნივთი".[8] 623-ე მუხლის თანახმად, სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს ვალდებულებას, დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი. მაშასადამე, სესხის ხელშეკრულებით შემხვედრი დაკმაყოფილება ხდება იმავე რაოდენობის ფულადი თანხის ან სხვა გვაროვნული ნივთის დაბრუნებით.[9] რაც შეეხება გაცვლის ხელშეკრულებას, ამ დროს ხდება ქონებაზე საკუთრების ურთიერთგადაცემა.[10] გაცვლის ხელშეკრულებით პრინციპში გამორიცხულია როგორც უკან იმავე ნივთის დაბრუნება, რომელიც გადაცემული იყო, ასევე, როგორც წესი, არ ხდება ნივთის ღირებულების ანაზღაურება, როგორც ამას ადგილი აქვს ნასყიდობის დროს.

ქონებაზე საკუთრების ურთიერთგადაცემა, წარმოადგენს გაცვლის ხელშეკრულების თავისებურებას და არის უპირობო კრიტერიუმი იმისა, რომ მოხდეს გაცვლის ხელშეკრულების დამოუკიდებელი ბუნების გამოყოფა სახელშეკრულებო ვალდებულებებს შორის.[11]

1. ორმხრივად მავალდებულებელი ბუნება

გაცვლის ხელშეკრულება არის სინალაგმატური ანუ ორმხრივად მავალდებულებელი ხელშეკრულება, რამეთუ თითოეულ მხარეს გააჩნია ერთდროულად უფლებებიც და ეკისრება მოვალეობებიც.[12] გაცვლის ხელშეკრულების თითოეული მხარე ერთდროულად არის კრედიტორიც და მოვალეც[13]. უფრო მეტიც, გაცვლის ხელშეკრულებაში გვხვდება ორი მკვეთრად გამოხატული შემხვედრი ვალდებულება: თითოეული მხარე მოვალეა გადასცეს კონტრაჰენტს შესაბამისი გასაცვლელი ქონება, რომლებიც პრინციპში თანაბარეკვივალენტურები არიან.[14]

ამასთან გაცვლის ხელშეკრულების სინალგმატური ხასიათი გაცვლის მომწესრიგებელ ნორმებს შორის უფრო მაღალი ხარისხით ვლინდება, ვიდრე სხვა ორმხრივ ხელშეკრულებათა მომწესრიგებელ სამართლებრივ ნორმებში. აღნიშნული გარემოება გამოიხატება: ა) გასაცვლელ ქონებათა თანაბარეკვივალენტურობის პრეზუმპციის დადგენაში (522-ე მუხლი), ბ) გასაცვლელ ქონებაზე საკუთრების უფლების გადასვლის მომენტის განსაზღვრაში, რომელიც მიბმულია მხარეთა მიერ გასაცვლელ ქონებაზე საკუთრების უფლების ურთიერთგადაცემის თაობაზე ვალდებულებების შესრულებასთან, გ) გაცვლის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობების მიმართ შემხვედრი ვალდებულებების მომწესრიგებელი ნორმების გამოყენებაში (369-ე მუხლი), დ) კეთილსინდისიერი

[6] სუსგ №ა-661-1-26-03, 9 ოქტომბერი, 2003.

[7] *ძლიერიშვილი,* ნასყიდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2006, გვ. 36.

[8] სუსგ №ას-1327-1169-2010, 10 მარტი, 2011.

[9] *ძლიერიშვილი,* ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, 2010, გვ. 345.

[10] სუსგ №ას-557-265-2011, 7 ივნისი, 2011.

[11] MüKoBGB/*Westermann* 7.Aufl. 2016, § 480, Rn. 1.; Palandt/*Weidenkaff*, 74. Aufl. 2015, § 480, Rn. 1; *Tonner,* Schuldrecht, 3.Aufl., 2013, § 10 (IV) Tausch, S. 99; *Grunewald,* in Erman Bürgerliches Gesetzbuch, Handkommentar, 12., neu.Aufl.2008, § 480, Rn. 3.; VGH München NJW 1996, 2321; BGH, Urteil vom 07.12.2005 – VIII ZR 126/05; NJW 2006, 988.

[12] სუსგ №ას- 1245-1265-2011, 31 იანვარი, 2012.

[13] MüKoBGB/*Westermann* 7.Aufl. 2016, § 480, Rn. 1.; *Tonner,* Schuldrecht, 3.Aufl. 2013, § 10 (IV) Tausch, S. 99.

[14] *ძლიერიშვილი,* ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, 2010, გვ. 190.

მხარის მეორე მხარისათვის გადაცემული ქონების უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლების აღჭურვით, როდესაც კონტრაჰენტი არაჯეროვნად ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას.

2. კონსენსუალური ბუნება

გაცვლის ხელშეკრულება კონსენსუალურია, რამეთუ იგი დადებულად ითვლება მას შემდეგ, რაც მხარეები ყველა მის არსებით პირობაზე შეთანხმდებიან საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. „ხელშეკრულების ძალაში შესვლა არ არის დაკავშირებული მხარეების მიერ ქონების ფაქტობრივ გაცვლასთან. მაშინაც კი, როცა ხელშეკრულების ძალაში შესვლა ემთხვევა მხარეების მიერ ერთმანეთისათვის ქონების ფაქტობრივ გადაცემას, ამ შემთხვევაშიც არ შეიძლება საუბარი გაცვლის ხელშეკრულების რეალურ ხასიათზე“.[15] ის მოსაზრება, რომ გაცვლის ხელშეკრულება ყოველთვის არის კონსენსუალური ხელშეკრულება, „დასტურდება 521-ე მუხლის 1-ელი ნაწილით დადგენილი წესის შესაბამისად: გაცვლის ხელშეკრულებით მხარეებს ეკისრებათ ქონებაზე საკუთრების უფლების ურთიერთგადაცემა“.[16]

III. გაცვლის ხელშეკრულების ნამდვილობის წინაპირობები

1. ზოგადი დებულებები

ხელშეკრულების დადება და შესაბამისი სამართლებრივი შედეგების წარმოშობა მხარეთა შორის შეთანხმების მიღწევით ხორციელდება.[17] გაცვლა, როგორც ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულება, უნდა აკმაყოფილებდეს ხელშეკრულების ნამდვილობისათვის წაყენებულ მოთხოვნებს. „მხარეთა შორის დადებულ იქნა სამოქალაქო კოდექსის 521-ე მუხლით გათვალისწინებული გაცვლის ხელშეკრულება და არ არსებობს სადავო გარიგების ბათილად ცნობის საფუძველი.“[18]

ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ მიუთითა, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან არ დგინდება, მოსარჩელეებმა იცოდნენ თუ არა, რომ მათ მიერ გაფორმებული უძრავი ნივთის გაცვლის ხელშეკრულება ეწინააღმდეგებოდა კანონის მოთხოვნებს და არ წარმოშობდა საკუთრების უფლებას.[19]

გაცვლის ხელშეკრულების ნამდვილობა შეიძლება დამოკიდებული იყოს რაიმე პირობის დადგომაზე. ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ აღნიშნა, რომ „მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება, გარდა საცხოვრებელი სადგომის სარგებლობის უფლებით დათმობის შესახებ გარიგებისა, მოიცავდა სხვა, პირობით გარიგებასაც, კერძოდ, ხელშეკრულებით მხარეები ასევე შეთანხმდნენ, რომ გარკვეული პირობის დადგომის შემთხვევაში, ისინი დადებდნენ გაცვლის ხელშეკრულებას, ხოლო, თუ ეს პირობა 15 წლის განმავლობაში არ დადგებოდა, გაცვლის ხელშეკრულება არ დაიდებოდა.“[20]

„დაუსაბუთებლობის გამო არ იქნა გაზიარებული კასატორის მითითება, განსახილველი შემთხვევის მიმართ სამოქალაქო კოდექსის 521-ე მუხლით განსაზღვრული (გაცვლა) მოწესრიგების გამოყენებასთან დაკავშირებით.“[21]

2. გაცვლის ხელშეკრულების მხარეთა სამართალსუბიექტურობა

სკ-ის მე-8 მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, კერძო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი. ეს წესი გამოიყენება საქართველოსა თუ სხვა ქვეყნის როგორც სამეწარმეო, ისე არასამეწარმეო პირების მიმართ. 521-ე-523-ე მუხლები არ ადგენს რაიმე სპეციალურ მოთხოვნებს გაცვლის ხელშეკრულების სუბიექტების მიმართ. შესაბამისად, გაცვლის ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეები

[15] *ძლიერიშვილი,* ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, 2010, გვ. 188.

[16] სუსგ №ას-1245-1265-2011, 31 იანვარი, 2012.

[17] *Alessi,* The Distinction between Obligations de Resultat and Obligationis de Moyens and the Enforceability of promises, ERPL 5/2005, p. 657-692.

[18] სუსგ №ას-192-185-2013, 3 ივნისი, 2013.

[19] სუსგ №ას-1245-1265-2011, 31 იანვარი, 2012.

[20] სუსგ №ას-1302-1147-2010, 14 თებერვალი, 2011.

[21] სუსგ №ას-1079-1036-2016, 2 ივნისი, 2017, პ.1.6.

შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები. გაცვლის ხელშეკრულების მხარეები აღჭურვილი უნდა იყვნენ სამოქალაქო-სამართლებრივი უფლებაუნარიანობითა და ქმედუნარიანობით. მაგალითად, არასრულწლოვანს ან შეზღუდულ ქმედუნარიან პირს არ შეუძლია გაცვალოს ქონება კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე, რადგან შესაძლებელია გაცვლა მისი ინტერესების საწინააღმდეგო შინაარსს შეიცავდეს. შესაბამისად, დაცული უნდა იქნეს მე-15, 63-ე და 65-ე მუხლების მოთხოვნები სარგებლისა და არასრულწლოვანის ემანსიპაციასთან მიმართებით.

ამასთან ერთად მხედველობაშია მისაღები, რომ ერთი პირის მიერ მეორისათვის ქონების საკუთრებაში გადაცემა წარმოადგენს ქონების განკარგვის უფლებამოსილების განხორციელებას. ამიტომაც, გაცვლის ხელშეკრულების საფუძველზე საკუთრების გადაცემისას ყოველი მხარე უნდა იყოს გასაცვლელი ქონების მესაკუთრე ანდა მოქმედებდეს მესაკუთრისაგან მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში[22] (საკუთრების მინდობა, დავალება).[23]

„საკასაციო პალატამ აღნიშნა, შეფასება უნდა მიეცეს მოსარჩელის განმარტებას იმასთან დაკავშირებით, რომ მას ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით მართლაც სურდა ქონების გაცვლა, რაზეც თანხმობა მისცა პირველ მოპასუხეს, შესაბამისად, უნდა შეფასდეს, სახეზე ხომ არ არის მოსარჩელესა და პირველ მოპასუხეს შორის სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლით განსაზღვრული ზეპირი დავალების ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც სამოქალაქო კოდექსის 521-ე მუხლით განსაზღვრული შედეგები მარწმუნებლის სახელითა და ხარჯით განხორციელდა.“[24]

„გარიგება შეიძლება დაიდოს წარმომადგენლის მეშვეობით და წარმომადგენლის უფლებამოსილება ან კანონიდან გამომდინარეობს, ან წარმოიშობა დავალების საფუძველზე. შესაბამისად, არ არსებობს გაცვლის ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველი“.[25]

3. გაცვლის ხელშეკრულების საგანი

გაცვლის ხელშეკრულების საგანი, უპირველეს ყოვლისა, შეიძლება იყოს ნებისმიერი თავისუფალ ბრუნვაუნარიანი ქონება. ის ნივთები, რომლებიც შეზღუდული ბრუნვაუნარიანობით გამოირჩევა, შეიძლება გადაცემულ იქნეს ასეთი ნივთის სამართლებრივი რეჟიმისათვის დამახასიათებელ თავისებურებათა გათვალისწინებით.

მე-7 მუხლის თანახმად, „კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი შეიძლება იყოს ქონებრივი ან არაქონებრივი ღირებულების მატერიალური და არამატერიალური სიკეთე, რომელიც კანონით დადგენილი წესით ბრუნვიდან არ არის ამოღებული“.[26] ინდივიდის მოქმედების თავისუფლებიდან გამომდინარე, მისი მოქმედებისა თუ კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი არის ყველაფერი, რაზეც მიმართულია ინდივიდის უფლება.[27] ქონება არის ნივთი, მატერიალური (სხეულებრივი) და ამავე დროს, ადამიანის ნებას დამორჩილებადი საგანი.[28] ნივთები პიროვნებულობას მოკლებული, პირთა ბატონობას დაქვემდებარებული და ნატურით გამიჯნული საგნებია.[29]

„სასამართლომ განმარტა, რომ კრიპტოვალუტა, შეიძლება განხილული იქნეს, როგორც ნასყიდობის ან გაცვლის ხელშეკრულების სხვა საგანი.“[30]

---

22 *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, 421-ე და მომდევნო გვერდები.

23 *ძლიერიშვილი,* ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, 2010, გვ. 189.

24 სუსგ №ას-859-859-2018, 14 ნოემბერი, 2019, პ. 1.5.

25 სუსგ №ას- 545-928-2006, 20 აპრილი, 2007.

26 *კერესელიძე,* კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 185.

27 *ჯორბენაძე,* საქართველოს რესპუბლიკის მომავალი სამოქალაქო კოდექსის ძირითადი პრობლემები, 1994, გვ. 149.

28 *Larenz,* Allgemeiner Teil des Bürgelichen Rechts, 2004, § 20, Rn. 10.; Staudinger/*Omlor*, BGB, 2016, § 480 BGB vor § 244, Rn. a182.

29 *ზოიძე,* ქართული სანივთო სამართალი, 2003, გვ. 27.

30 FG Köln, Urteil vom 25.11.2021 -14 K 1178/20; Lord/Rennig Jus 19, 313; Ammann, Computer und Recht – CR-2018, S. 379; Grunevald, in: Erman, BGB, 16. Aufl. 2020, § 453, Rn. 27; Leible/ Müller, in: Herberger/Martinek/Rüßmann/Weth/Würdinger, JurisPK – BGB, 9.Aufl. Stand: 01.02.2020, § 453, Rn. 20.

გაცვლის ხელშეკრულების მხარეთა შეთანხმება ხელშეკრულების საგანზე, წარმოადგენს გაცვლის ხელშეკრულების ერთ-ერთ არსებით პირობას.[31]

4. გაცვლის ხელშეკრულების ფორმა

გაცვლის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც ზეპირად, ისე წერილობით. ჩვეულებრივ, მოძრავი ნივთების გაცვლა ხდება ზეპირი ფორმით, ხოლო უძრავი ქონებისა - წერილობით. კანონის მიერ გაცვლის ხელშეკრულების ფორმის განსაზღვრის ზოგად საფუძვლად აღიარებულია კონკრეტულ ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობის წესი.[32] შესაბამისად დაცული უნდა იქნეს 521-ე, 68-ე, 328-ე, 323-ე, მუხლების მოთხოვნები ხელშეკრულების ფორმასთან მიმართებით.

თუ გაცვლის საგანს ისეთი ქონება წარმოადგენს, რომელზეც საკუთრების უფლება წარმოიშობა მხოლოდ კანონით დადგენილი ფორმის დაცვით, მაშინ ასეთი ქონების გაცვლის ხელშეკრულებაც იმავე ფორმის დაცვით უნდა დაიდოს.[33]

„საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ გაცვლა განკარგვითი ხასიათისაა და შედეგად მხარისათვის (შემძენისათვის) საკუთრების უფლების გადაცემას იწვევს. უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემისათვის კი, კანონი სპეციალურ წესს ადგენს.“[34]

„საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეებს შორის დაიდო ბინების გაცვლის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, პირველი უძრავი ქონება მოპასუხემ გადაცვალა მეორე უძრავ ქონებაში.“[35]

„მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მხარეთა მიერ ორი ურთიერთმფარავი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართული იყო საცხოვრებელი სახლის გაცვლის ხელშეკრულების დასადებად და მათ მიერ გამოხატული ნება სადავო არ გამხდარა, გაცვლის ხელშეკრულებას შესაბამისი სამართლებრივი შედეგები არ მოჰყოლია - მხარეები მიღებული ფართების მესაკუთრეები არ გამხდარან, რადგან არ ყოფილა დაცული არსებული გარიგების ნამდვილობისათვის კანონით დადგენილი სავალდებულო ფორმა. გარიგების ნამდვილობა, მოცემულ შემთხვევაში, კანონის იმპერატიულ ნებას ეფუძნება და არა მხარეთა შეთანხმებას.“[36]

5. მოჩვენებითი და თვალთმაქცური გაცვლა

გაცვლის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება კანონის დანაწესებს მოჩვენებით და თვალთმაქცურ გარიგებებთან მიმართებით.

მოჩვენებითი გარიგების დროს მხარეთა შეთანხმება მოკლებულია ნამდვილობას,[37] კერძოდ, გამოვლენილი ნება არ ემთხვევა მისი გამომვლენის ნამდვილ შინაგან ნებას და გარიგება ნების გარეგნული გამოვლენის შედეგად დაიდო. მოჩვენებითი გარიგების მხარეები ერთობლივად მოქმედებენ და ნების გამოვლენის შინაარსის ძირითად ელემენტად ამ გამოვლენილი ნების არარსებობას აქცევენ.[38]

„საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დასტურდება, რომ ადგილი აქვს მოჩვენებით გარიგებას. ამიტომაც გაცვლის ხელშეკრულება კანონიერია და მოსარჩელის პრეტენზია უსაფუძვლოა.“[39] „პალატამ განმარტა, რომ გარიგების ბათილობის საფუძვლები მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 51-ე-88-ე მუხლებით. მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება, რომ გაცვლის ხელშეკრულება დაიდო კანონის მოთხოვნათა დარღვევით“.[40] „სასამართლომ არ გაიზიარა მხარის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ გაცვლის ხელშეკრულება ატარებდა მოჩვენებით ხასიათს.“[41]

---

31 *ძლიერიშვილი,* ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, 2010, გვ. 191.

32 სუსგ №ას- 139-132-2010, 10 ივნისი, 2010.

33 სუსგ №ას-1245-1265-2011, 31 იანვარი, 2012.

34 სუსგ №ას-221-213-2012, 24 ივლისი, 2012.

35 სუსგ №ას- 733-733-2018, 11 ივლისი, 2018, პ. 45.

36 სუსგ №ას-1245-1265-2011, 31 იანვარი, 2012.

37 *კერესელიძე,* კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 306.

38 *Medicus,* AT des BGB, 2006, § 40, Rn. 594.

39 სუსგ №ას-192-185-2013, 3 ივნისი, 2013.

40 სუსგ №ას-1305-1325-2011, 14 ნოემბერი, 2011.

41 სუსგ №ას-557-877-2005, 21 დეკემბერი, 2005.

თვალთმაქცური გარიგებისას მხარეებს სურთ სხვა გარიგების დაფარვა. „სასამართლომ დადგენილად ცნო, რომ მხარეთა შორის დადებული გაცვლის ხელშეკრულება არ წარმოადგენდა თვალთმაქცურ გარიგებას“.[42]

„ნასყიდობის ხელშეკრულებით დაიფარა მხარეებს შორის ფაქტობრივად არსებული გაცვლის ხელშეკრულება. შესაბამისად, სახეზეა გაცვლის ხელშეკრულების თვალთმაქცურ გარიგებად ცნობის საფუძველი“.[43] „დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ მხარეთა შორის დადებული იქნა საცხოვრებელი სახლის არა ნასყიდობის, არამედ გაცვლის ხელშეკრულება.“[44]

IV. „ბარტერული“ გაცვლა.

საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში გავრცელება პოვა ე.წ. „ბარტერულმა გაცვლამ“ (Barter). [45] ბარტერული გაცვლა ცნობილი იყო რომის სამართალშიც (permutation mercium).[46] ამ ტიპის გარიგებებს აერთიანებს ის, რომ მხარეთა შორის ხდება არა ფულადი ანაზღაურება, არამედ თავისებური გაცვლა ქონებით, მომსახურებით, სამუშაოთი. ამასთან ერთად, ბარტერის ცნების გამოყენებისას, ხშირად ხდება მისი გაიგივება გაცვლასთან. თუკი ეს ხდება სასაქონლო ურთიერთობებში, ეს გარემოება არ წარმოშობს არანაირ პრობლემებს, რამეთუ „ბარტერული გარიგებები” წარმოადგენენ გაცვლის ხელშეკრულების ნაირსახეობას.[47] გაცვლის ხელშეკრულებად შეიძლება დაკვალიფიცირებული იქნეს ისეთი ბარტერული გარიგებები, რომლებიც ითვალისწინებენ ერთი სახის საქონლის მეორეზე გაცვლას. სხვა შემთხვევებში კი, როცა ქონების, სამუშაოს თუ მომსახურების სანაცვლოდ გათვალისწინებულია რაიმე სამუშაოს შესრულება, მომსახურების გაწევა, განსაკუთრებული უფლებების გადაცემა და ა.შ, მაშინ ასეთი გარიგებები დაკვალიფიცირებული უნდა იქნეს, როგორც შერეული ხელშეკრულებები.“[48] ასეთი სამართალურთიერთობების მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს 340-ე მუხლის დებულება იმის შესახებ, რომ შერეული ხელშეკრულების განმარტებისას მხედველობაში მიიღება ნორმები იმ ხელშეკრულებათა შესახებ, რომლებიც შესრულების არსთან ყველაზე ახლოს დგას და მას შეესაბამება.

V. გასაცვლელი ქონების არატოლფასოვნება

1. პრეზუმფციის მნიშვნელობა

იმ შემთხვევაში, როდესაც გაცვლის ხელშეკრულებაში არაფერია ნათქვამი გასაცვლელი ქონების არატოლფასოვნობაზე, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ გასაცვლელი ქონება ტოლფასოვანია.

პრეზუმფციებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ როგორც მატერიალურ, ისე საპროცესო სამოქალაქო სამართალში. დაუდასტურებელი მოვლენა ან ფაქტი მიიჩნევა, ივარაუდება არსებულად, დადასტურებულად და მას სამართლებრივი შედეგები უკავშირდება.[49] ამგვარი პრეზუმფციების არსებობა იმისთვისაცაა საჭირო, რომ ურთიერთობის მონაწილენი გაურკვეველ, ბუნდოვან მდგომარეობაში არ აღმოჩნდნენ და მათი სამართლებრივი სტატუსი ჰაერში არ იყოს გამოკიდებული.[50] პრეზუმფციების მე-

[42] სუსგ №ას-545-928-2006, 20 აპრილი, 2007.

[43] სუსგ №ას-661-ა-26-03, 9 ოქტომბერი, 2003.

[44] სუსგ №ას-1327-1169-2010, 10 მარტი, 2011.

[45] BGHZ 49, 7 ff; Hermann JZ 99, 183 ff; Prütting/Wegen/Weinreich, (Hrsg.), BGB, 16. Aufl. 2021, § 480, Rn. 3.; LG Köln BeckRS 14, 09469; BayVGH NJW 96, 2321 (VGH Bayern 26.05.1995 – 9 B 93.2828).

[46] *Thormann,* Der dopplete Ursprung der Mancipatio, 1969, S. 125; Grant, das Mittelalter, 2006, S. 27; Kobler, Werden, Wandel und Wesen des deutschen Privatrechtswortschatzes, 2010, S. 245.

[47] *Sonnenberg,* Grundfragen des Bartering, 1997, S. 9; BGH NJW 99, 635; BGHZ 46, 338; BGH NJW 03, 505; BGH 49, 338; AG Eilenburg V 19.11.15 -11 C 790/14 juris; Berger, Der Aufrechnungsvertrag, 1996, S. 40 ff.

[48] *ძლიერიშვილი,* ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, 2010, გვ. 189.

[49] *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 189.

[50] *ძლიერიშვილი,* სამოქალაქო საპროცესო სამართალი, 2007, გვ. 44.

შვეობით კანონმდებელი ანაწილებს მტკიცების ტვირთს მხარეთა შორის.[51]

სამართალწარმოებაში პრეზუმციების არსებობა იმითაა განპირობებული, რომ ფაქტების გარკვეული ნაწილი მტკიცებას არ საჭიროებს. სამოქალაქო პროცესში მონაწილეობს ორი ერთმანეთისადმი დაპირისპირებული მხარე - მოსარჩელე და მოპასუხე. შესაბამისად, მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების ერთი ნაწილი ივარაუდება მოსარჩელის სასარგებლოდ, ხოლო დანარჩენი ნაწილი - მოპასუხის სასარგებლოდ. ის, რაც მოსარჩელის სასარგებლოდ ივარაუდება უნდა გააქარწყლოს მოპასუხემ, ხოლო ის, რაც მოპასუხის სასარგებლოდ ივარაუდება პირიქით, უნდა გააქარწყლოს მოსარჩელემ. ეს იმას ნიშნავს, რომ პრეზუმფციები სასამართლოში მტკიცების მოვალეობისაგან კი არ ათავისუფლებს მხარეს, არამედ წარმოადგენს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების წესს. მოსარჩელე ვალდებულია დაამტკიცოს მტკიცების საგანში შემავალი გარკვეული ფაქტების ნაწილი, ხოლო ამ ფაქტების მეორე ნაწილი, ვალდებულია, დაამტკიცოს მოპასუხემ. ნორმები, რომლებიც შეიცავს პრეზუმფციებს, წარმოადგენენ კანონის პირდაპირ მითითებას იმის შესახებ, რომელმა მხარემ კონკრეტულად რა ფაქტები უნდა დაამტკიცოს სამოქალაქო პროცესში.

„მხარეთა შორის ზეპირი ფორმით დადებული ავტომანქანების გაცვლის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, სადავო საკითხს წარმოადგენდა, იყო თუ არა გათვალისწინებული დამატებითი თანხის გადახდა. სასამართლომ მოსარჩელის განმარტება, რომ მოპასუხემ თანხის დამატების თაობაზე მოლაპარაკების დასაწყისშივე იცოდა, არ გაიზიარა, ვინაიდან აღნიშნული გარემოება საქმის მასალებით არ დასტურდებოდა. ასევე არ იქნა გაზიარებული მოსარჩელის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ თანხის დამატების თაობაზე იცოდა მოწმემაც, ვინაიდან მოწმის განმარტებით ირკვეოდა ის გარემოება, რომ მისთვის ცნობილი იყო მხოლოდ ავტომანქანების გაცვლის თაობაზე“.[52]

2. სამართლებრივი შედეგები

„საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმას სამოქალაქო კოდექსის 522-ე მუხლი წარმოადგენდა.“[53]

„სასამართლომ მიუთითა, რომ არ დასტურდებოდა ის გარემოება, რომ გაცვლის ხელშეკრულების დადებისას მხარეები შეთანხმდნენ დამატებით თანხის გადახდის თაობაზე, ვინაიდან მოსარჩელემ ვერ შეძლო აღნიშნულის დასადასტურებლად წარმოედგინა რაიმე მტკიცებულება.“[54]

„სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეებს შორის უძრავი ქონების გაცვლის ხელშეკრულების დადების შემდეგ მეორე მხარეს დამატებით გადაუხადა 50 000 აშშ დოლარი, რითაც აუნაზღაურა სხვაობა გასაცვლელი ქონების ღირებულებას შორის.“[55]

სხვაობის ანაზღაურება შეიძლება მოხდეს ქონების გადაცემამდე ან გადაცემის შემდეგ. სკ-ის 319-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, გაცვლის ხელშეკრულებით შეიძლება გათვალისწინებული იქნეს გასაცვლელი ქონების ფასებს შორის სხვაობის ანაზღაურების სხვაგვარი წესი.[56]

VI. გაცვლის მიმართ გამოყენებული წესები

1. ზოგადი დებულებები

5 I მუხლის შესაბამისად, „კანონში პირდაპირ გაუთვალისწინებელი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოიყენება ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელი სა-

[51] *გაგუა,* მტკიცებით ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, 2013, გვ. 35; ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი (მეორე გამოცემა), 2005, გვ. 229.; ბოელინგი/ ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, 2003, გვ. 64.

[52] სუსგ №ას 847-796-2010, 2 დეკემბერი, 2010.

[53] სუსგ №ას-859-859-2018, 14 ნოემბერი, 2019, პ. 1.5

[54] სუსგ №ას-847-796-2010, 2 დეკემბერი, 2010.

[55] სუსგ №ას-503-472-2010, 15 ივლისი, 2010.

[56] *ძლიერიშვილი,* ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, 2010, გვ. 191.

მართლის ნორმა (კანონის ანალოგია).“[57] „ანალოგიის გამოყენების წინაპირობა არის კანონის დაუგეგმავი, ე.ი. წინასწარ გაუთვალისწინებელი არასრულყოფილება.“[58] „თუ სამართლის შემფარდებელი, სამართლის განმარტების ხერხების გამოყენების მიუხედავად, ვერ „პოულობს“ კონკრეტული შემთხვევის მომწესრიგებელ ნორმას, მან უნდა გამოიყენოს ყველაზე უფრო მსგავსი შემთხვევის მარეგულირებელი ნორმა (analogia legis).“[59] „აღნიშნული ნორმის მიზანია მოსამართლისათვის მე-4 მუხლით დაკისრებული მართლმსაჯულების განხორციელების ვალდებულების შესრულებისათვის აუცილებელი სამართლებრივი მექანიზმის შემუშავება, ანუ მოსამართლეს არა აქვს უფლება უარი თქვას სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებაზე იმ შემთხვევაშიც, თუ სამართლის ნორმა არ არსებობს ან იგი ბუნდოვანია. კანონის ხარვეზი კანონის საკანონმდებლო პროცესის ბუნებრივ თანამდევ მოვლენად ანდა სამართლის განვითარებისათვის აუცილებელ წინაპირობად ითვლება.“[60]

ის გარემოება, რომ გაცვლის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ნასყიდობის ხელშეკრულების შესაბამისი წესები, ცნობილია სხვა ქვეყნების კანონმდებლობაშიც.[61]

2. ნორმის მოქმედების ფარგლები

„საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ 523-ე მუხლის მიხედვით, გაცვლის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ნასყიდობის შესაბამისი წესები. შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება სადავო გარიგების მიმართ წილის ნასყიდობის წესების გამოყენების ნაწილში, მართებულად იქნა მიჩნეული“.[62]

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ „მოცემულ შემთხვევაში ბინის ნასყიდობასთან დაკავშირებით ადგილი ჰქონდა თვალთმაქცურ გარიგებას, კერძოდ, ნასყიდობის ხელშეკრულებით დაიფარა მხარეებს შორის ფაქტობრივად არსებული გაცვლის ხელშეკრულება.“[63]

გაცვლის ხელშეკრულების მხარეთა უფლება-მოვალეობები განისაზღვრება ნასყიდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმების შესაბამისად (რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან გაცვლის მომწესრიგებელ სპეციალურ ნორმებს),[64] იმის გათვალისწინებით, რომ „გაცვლის ხელშეკრულების ყოველი მხარე ითვლება იმ ქონების გამყიდველად, რასაც ცვლის და იმის მყიდველად, რასაც სანაცვლოდ იღებს.“[65]

გაცვლის ხელშეკრულების თითოეული მხარე მოვალეა ერთმანეთს გადასცეს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ნივთი. ნივთის გადაცემა უნდა მოხდეს შეთანხმებულ ვადაში. თუკი გაცვლის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ნივთთან ერთად უნდა მოხდეს საკუთვნებლის, ასევე ნივთთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გადაცემა, რომელიც საჭიროა გადაცემული ნივთის დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის. „გაცვლის ხელშეკრულების შესაბამისად, მხარეებმა დაადასტურეს, რომ მათთვის ცნობილი იყო იმ უძრავი ქონების მდგომარეობა, რომელსაც გაცვლის შედეგად იღებდნენ საკუთრებაში. მხარეებმა მოიწონეს, თანხმობა განაცხადეს, მიეღოთ უძრავი ქონება ისეთი სახით, რა სახითაც არსებობდა ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებამდე.“[66]

---

[57] *ჯორბენაძე,* ჭანტურია / ზოიძე / ნინიძე / შენგელია / ხეცურიანი (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, 1999, მუხლი 5, გვ. 35.

[58] *ჭანტურია,* სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხლი 5, ველი 31.

[59] *ხუბუა*, სამართლის თეორია, თბ., 2004, 168.

[60] *ჭანტურია,* სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017, მუხლი 5, ველი 2; კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 61;

[61] *Wirth,* VWL HWS, 2021/22, S. 4; MüKoBGB/*Westermann*, 7. Aufl., 2016, § 480, Rn. 1. *Tonner,* Schuldrecht, 3.Aufl., 2013, § 10 (IV) Tausch, S. 99.; *Grunewald,* in Erman Bürgerliches Gesetzbuch, Handkommentar, 12., neu. Aufl. 2008, § 480, Rn. 1.

[62] სუსგ №ას- 272-259-2016, 21 ოქტომბერი, 2016, პ. 19.2.

[63] სუსგ №ა-661-ა-26-03, 9 ოქტომბერი, 2003.

[64] სუსგ №ას-557-877-2005, 21 დეკემბერი, 2005.

[65] *ძლიერიშვილი,* ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, 2010, გვ. 190.

[66] სუსგ №ას-1305-1325-2011, 14 ნოემბერი, 2011.

„ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ მიუთითა, რომ მხარეთა შორის დადებული სადავო ხელშეკრულება არ წარმოადგენდა გაცვლის ხელშეკრულებას, როგორც ამას მოპასუხე თვლიდა, არამედ ადგილი ჰქონდა ნასყიდობის ხელშეკრულების დადებას.“[67]

„მოსარჩელემ მოპასუხისაგან შეიძინა ცხენი. ნასყიდობის საგნის მყიდველისათვის საკუთრებაში გადაცემიდან რამდენიმე დღეში მოსარჩელემ აღმოაჩინა, რომ ცხენს ჰქონდა თვალის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, რის შესახებაც დაუყონებლივ აცნობა მოპასუხეს. მოპასუხემ შესთავაზა მოსარჩელეს სხვა ცხენის გადაცემა, რაზეც მოსარჩელემ თანხმობა განაცხადა. შეცვლის შემდეგ, მოსარჩელემ აღმოაჩინა, რომ მისთვის გადაცემული ახალი ცხენი პერიოდულად კოჭლობდა. მოსარჩელემ მოპასუხეს აცნობა, რომ გადიოდა ხელშეკრულებიდან და მოითხოვა როგორც გადახდილი თანხის, ასევე გაწეული ხარჯების ანაზღაურება. პირველი ინსტანციის სასამართლომ მხარეთა შორის მიღწეული ახალი შეთანხმება დააკვალიფიცირა, როგორც გაცვლის ხელშეკრულება (გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 480-ე პარაგრაფი) და იმ საფუძვლით, რომ მოსარჩელის მიერ არ იქნა წარდგენილი ცხენის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საექსპერტო დასკვნა, არ დააკმაყოფილა სარჩელი. უმაღლესმა სამხარეო სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში ცხენების შეცვლა არ შეიძლება განხილულიყო, როგორც გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 480-ე პარაგრაფით გათვალისწინებული გაცვლა, არამედ უნდა მიჩნეული ყოფილიყო, როგორც მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული შემდგომი შესრულება. გერმანიის ფედერალურმა უზენაესმა სასამართლომ მართალია გაიზიარა უმაღლესი სამხარეო სასამართლოს დასკვნა, რომ განსახილველ შემთხვევაში ცხენების შეცვლა არ შეიძლება განხილულიყო, როგორც გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 480-ე პარაგრაფით გათვალისწინებული გაცვლა, თუმცა საპროცესო დარღვევების გამო, გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად უკან დაუბრუნა უმაღლეს სამხარეო სასამართლოს.“[68]

3. ქონების გადაცემის ვალდებულების შესრულების მომენტის განსაზღვრა

გაცვლის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ქონების გადაცემის ვალდებულების შესრულების მომენტი განისაზღვრება: 1) თუ გაცვლის ხელშეკრულებით გათვალისწინებულია შესაბამისი მხარის ვალდებულება მიაწოდოს საქონელი - კონტრაჰენტისათვის საქონლის მიწოდების (გადაცემის) მომენტით; 2) თუ გაცვლის ხელშეკრულების შესაბამისად, კონტრაჰენტს საქონელი უნდა გადაეცეს საქონლის ადგილსამყოფელის მიხედვით, კონტრაჰენტისათვის შეთანხმებულ ადგილას საქონლის გადაცემის მომენტით; 3) ყველა სხვა შემთხვევაში გაცვლის ხელშეკრულების საგნის გადამზიდველისათვის გადაცემის მომენტით: ამ შემთხვევაში ვალდებულების შესრულების დროდ განისაზღვრება შესაბამისი დოკუმენტის შედგენის დრო, რომელიც ადასტურებს გადამზიდველის მიერ გაცვლის ხელშეკრულების საგნის გადასაზიდად ჩაბარებას.[69]

გაცვლის ხელშეკრულების საგნის გადაცემის მომენტიდან თითოეულ მხარეზე გადადის ნივთის შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკი, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან.[70] გაცვლისას საკუთრების უფლების გადასვლის მომენტი არაფრით არ არის დაკავშირებული კონტრაგენტის მხრიდან, რომელმაც ნივთი მიიღო საკუთრებაში, ნივთის საფასურის გადახდის ვალდებულების შესრულებასთან.[71]

თუ გაცვლის ხელშეკრულების საგანი გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთია, გაცვლის ხელშეკრულების ერთ-ერთ არსებით პირობად ჩაითვლება მხარეთა შეთანხმების მიღ-

[67] სუსგ №ას-1327-1169-2010, 10 მარტი, 2011.

[68] BGH, Urteil vom 31.05.2017 – VIII ZR 69/16; NJW 2017, 2888.

[69] *ძლიერიშვილი,* ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, 2010, გვ. 191.

[70] *Grunewald,* in Erman Bürgerliches Gesetzbuch, Handkommentar, 12., neu. Aufl. 2008, § 480, Rn. 4.

[71] სუსგ №ას-1305-1325-2011, 14 ნოემბერი, 2011.

წევა გასაცვლელი საქონლის რაოდენობის შესახებ.

გაცვლის ხელშეკრულებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს გასაცვლელი ქონების ხარისხი. თუ ხარისხი განსაზღვრული არ არის, მაშინ მოქმედებს საშუალო ხარისხის პრინციპი,[72] ანუ გასაცვლელი ქონება ვარგისი უნდა იყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი სარგებლობისათვის."[73]

გაცვლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევა გამოიწვევს სამოქალაქო-სამართლებრივ პასუხისმგებლობას, მათ შორის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას 394-ე, 494-ე, 408-ე-415-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად.

VII. საპროცესო-სამართლებრივი ასპექტები

სასამართლოს მიერ გაცვლის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყოველი კონკრეტული საქმის გადაწყვეტა მოითხოვს გარკვეული ფაქტების დადგენას, რაც უმთავრესად ხორციელდება დამტკიცების გზით შესაბამისი მტკიცებულებების გამოყენებით.[74] „საჩივრის ავტორმა ვერ წარმოადგინა მტკიცებულებები, რომლებიც საფუძვლად დაედებოდა გაცვლის ხელშეკრულების ბათილად ცნობას."[75]

„ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში, არც საქმის მასალებით და არც მოწმეთა ჩვენებებით არ დასტურდებოდა ის ფაქტი, რომ ავტომანქანების გაცვლისას განხორციელდა საკუთრების უფლების ურთიერთგადაცემის ფაქტი, რაც აუცილებელი პირობა იყო გაცვლის ხელშეკრულების დასადებად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, ვინაიდან გაცვლის ხელშეკრულების არსებობის მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს ეკისრებოდა, რომელმაც ვერ შეძლო აღნიშნულის დასადასტურებლად წარმოედგინა რაიმე მტკიცებულება."[76]

VIII. დასკვნა

სამოქალაქო კოდექსის 521-ე-523-ე მუხლების დანაწესები გამოხატავენ გაცვლის ხელშეკრულების თავისებურებებს და ადასტურებენ გაცვლის ხელშეკრულების დამოუკიდებელ ხასიათს, კერძოდ:

1) ნასყიდობისგან განსხვავებით, სადაც ერთი მხარე გამყიდველია, ხოლო მეორე კი მყიდველი, გაცვლის ხელშეკრულებაში თითოეული მხარე ერთდროულად არის გამყიდველიცა და მყიდველიც. გამყიდველია იმ ქონებისა, რასაც კონტრაჰენტს გადასცემს, ხოლო მყიდველია იმ ქონების, რასაც სანაცვლოდ იღებს.

2) ნასყიდობის ხელშეკრულებისგან განსხვავებით, სადაც მყიდველი ნაყიდი ნივთისათვის შემხვედრ ანაზღაურებას იხდის ფულადი სახით, გაცვლის ხელშეკრულებაში გადაცემული ქონებისათვის შემხვედრი ანაზღაურება ხდება არა ფულადი სახით, არამედ გასაცვლელი ქონებით.

3) იმ შემთხვევაში, როდესაც გაცვლის ხელშეკრულებაში არაფერია ნათქვამი გასაცვლელი ქონების არატოლფასოვნობაზე, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ გასაცვლელი ქონება ტოლფასოვანია.

4) ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ურთიერთგაცვლის მომენტი შეიძლება არ დაემთხვეს ერთმანეთს. არ არის გამორიცხული შემთხვევები, როცა გაცვლის ხელშეკრულებით ქონების გადაცემის ვალდებულება ჯერ უნდა შეასრულოს ერთმა მხარემ, ხოლო მეორემ კი - გარკვეული დროის გასვლის შემდეგ. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება 369-ე მუხლით დადგენილი დანაწესები.[77]

5) თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი, საკუთრების უფლება გაცვლის ხე-

[72] *მესხიშვილი,* სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია (რედ.), 2019, მუხლი 380, ველი 1.

[73] *ძლიერიშვილი,* ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, 2010, გვ. 191.

[74] *ძლიერიშვილი,* სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები, 2007, გვ. 11.

[75] სუსგ №ას-545-928-2006, 20 აპრილი, 2007.

[76] სუსგ №ას-847-796-2010, 2 დეკემბერი, 2010.

[77] *ძლიერიშვილი,* ძლიერიშვილი / ცერცვაძე / რობაქიძე / სვანაძე / ცერცვაძე / ჯანაშია, ჯუღელი (რედ.), სახელშეკრულებო სამართალი, 2014, გვ. 425.

ლშეკრულების მხარეებს წარმოეშობათ ერთდროულად[78] გასაცვლელი ქონების გადაცემის ვალდებულებების შესრულების მომენტიდან.[79]

6) გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება გაცვლის ხელშეკრულებასთან მიმართებით უფლებრივად დატვირთული ქონების გადაცემა, რასაც შეიძლება მოჰყვეს ქონების ამოღება (ევიქცია).[80] 487-ე მუხლის თანახმად, გამყიდველმა უნდა გადასცეს მყიდველს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთი.[81] ეს მოთხოვნა სრული მოცულობით გამოიყენება გაცვლის ხელშეკრულების მიმართაც.[82] ამასთან ერთად, თუ გაცვლის ხელშეკრულების მხარე დაარღვევს კონტრაჰენტისათვის უფლებრივად უნაკლო ნივთის გადაცემის ვალდებულებას, მან კონტრაჰენტს უნდა აუნაზღაუროს არა მხოლოდ ამით მიყენებული ზიანი, როგორც ამას ადგილი აქვს ნასყიდობის შემთხვევაში (494 I-ე მუხლი), არამედ ასევე უნდა დაუბრუნოს საანაცვლოდ მიღებული ქონებაც.

[78] სუსგ №ას-1302-1147-2010, 14 თებერვალი, 2011.

[79] სუსგ №ას-192-185-2013, 3 ივნისი, 2013.

[80] *ძლიერიშვილი,* ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, 2010, გვ. 191.

[81] ჩაჩავა, სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, (ბოლო დამუშავება: 28 მარტი, 2016) მუხლი 487, ველი 1.

[82] *ძლიერიშვილი,* ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, 2010, გვ. 195.

გრეის-პროცენტი საბანკო კრედიტის ხელშეკრულებებში

ასოც. პროფ. გიორგი რუსიაშვილი

I. შესავალი

მოცემული სტატია შეეხება თბილისის საქალაქო სასამართლოს ერთ-ერთ უახლეს გადაწყვეტილებას, რომლის მთავარ პრობლემასაც საბანკო კრედიტის წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში ე. წ. „გრეის-პროცენტის“ გადახდევინება წარმოადგენდა. საქმის ფაქტობრივი გარემოებები შეჯამებული ფორმით შემდეგნაირად შეიძლება გადმოიცეს:

2017 წელს მსესხებელსა და მოსარჩელე ბანკს შორის გაფორმდა გენერალური საკრედიტო ხაზისა და მის თანადროულად კონკრეტული საკრედიტო ხელშეკრულება 61 000 ლარზე. სესხის საპროცენტო განაკვეთად შეთანხმებული იყო წლიური 16%. ამასთან, მსესხებელმა ისარგებლა ე. წ. „გრეის-პერიოდით“ (საშეღავათო პერიოდით), რომლის საფუძველზეც ის პირველი 2 წელი არ იხდიდა სესხზე ყოველთვიურ გადასახადს, მათ შორის პროცენტს, რის საპირწონედაც შემდეგი 13 წლის (156 თვის) განმავლობაში მსესხებელი, ჩვეულებრივ თვიურ პროცენტთან ერთად, ასევე „გრეის-პროცენტსაც“ იხდიდა 126 ლარის ოდენობით. 2020 წელს საშეღავათო პერიოდის ამოწურვასთან ერთად მსესხებელმა განაცხადა სესხის წინსწრებით დაფარვასთან დაკავშირებით, რასაც დაეთანხმა ბანკი, თუმცა მხარეები ვერ შეთანხმდნენ იმ თანხის ოდენობაზე, რომელიც მსესხებელს წინსწრებით უნდა გადაეხადა, რათა გათავისუფლებულიყო საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებისაგან. მსესხებელი მიიჩნევდა, რომ წინსწრებით დაფარვის დროს მას არ უნდა გადაეხდა გრეის-პროცენტი და ის ამ პროცენტის დაფარვის ვალდებულებისაგან გათავისუფლდა, ისევე, როგორც ყველა იმ პროცენტისაგან, რომლის დარიცხვაც იწყებოდა 2020 წლიდან – წინსწრებით გადახდის დროს აღარ ხდება შემდგომი პროცენტების დარიცხვა და მსესხებელი მათი გადახდის ვალდებულებისაგან თავისუფლდება. ამიტომაც, მან მოახდინა მხოლოდ ძირი თანხისა და საკომისიოების დეპონირება, გრეის-პროცენტის გარეშე.

ამის საპირისპიროდ, ბანკის პოზიცია იყო შემდეგი: გრეის-პროცენტი წარმოადგენდა სწორედ პირველი ორი წლის განმავლობაში კრედიტით სარგებლობის საზღაურს, ანუ, საზღაურს უკვე განვლილი პერიოდისათვის და, შესაბამისად, განეკუთვნებოდა წინსწრებად დასაფარ თანხას.

ბანკი უთითებდა ასევე 2018 წელს მსესხებლისათვის სმს-ით გაგზავნილ მითითებაზე, დანართ № 13-ზე, რომელიც განთავსებული იყო შემდეგ ბმულზე http://goli.ge/ge/aboutsolo/news/solonews?n=518&c=4''. მისი ერთ-ერთი პირობის თანახმად, წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში ერთიანად იყო გადასახდელი ასევე გრეის-პროცენტიც. თუმცა მსესხებელი ამ პირობას და მთლიანად დანართს აპროტესტებდა და არ მიიჩნევდა ხელშეკრულების ნაწილად, რადგან ის საერთოდ არ არსებობდა ხელშეკრულების დადების მომენტში და მისი შემუშავება მოხდა მოგვიანებით.

პირველი ინსტანციის სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით უკუაგდო მოსარჩელე ბანკის სარჩელი და სრულად გაიზიარა მოპასუხე მსესხებლის ზემოთ მოყვანილი არგუმენტაცია. თუმცა გადაწყვეტილების ტექსტში მთელი რიგი წინააღმდეგობრივი მსჯელობა იყო დაფიქსირებული: მაგალითად: გადაწყვეტილების უდა-

ვოდ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებში, 3.1.5. პუნქტში, სასამართლომ დაადგინა, რომ პერიოდის დარიცხული პროცენტი გადანაწილდა დარჩენილ 156 თვეზე, მაგრამ, ამის საპირისპიროდ, ამავე გადაწყვეტილების სადავო გარემოებებში, 3.2.3 პუნქტში, მიიჩნია, რომ მოპასუხეს, კრედიტის წინსწრებით დაფარვისას, არ ჰქონდა საშეღავათო პერიოდით სარგებლობისათვის საპროცენტო სარგებლის გადახდის ვალდებულება და ფაქტობრივად მიუთითა, რომ საშეღავათო პერიოდის პროცენტი ჯერ კიდევ არ იყო დარიცხული და საბოლოო გადაწყვეტილებასაც ეს მსჯელობა დაუდო საფუძვლად.

ქვემოთ მოყვანილია ის პირობები, რომლებიც გადამწყვეტია მოცემული საქმისათვის:

საკრედიტო ხელშეკრულება № ---	*4.8. ათვისებულ კრედიტის თანხაზე დასარიცხი საპროცენტო სარგებელი: 16%.* *4.15. ათვისებულ კრედიტის თანხაზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის გადახდის პერიოდულობა: ყოველი თვის 25 რიცხვი.*
გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ ხელშეკრულების სტანდარტული პირობები	*3.1.4.2. კლიენტის მიერ ბანკის მიმართ წარდგენილი ზეპირი ან წერილობითი განცხადების საფუძველზე მხარეთა შეთანხმებით კრედიტის თანხა და საპროცენტო სარგებელი შეიძლება წინსწრებით დაიფაროს გრაფიკით გათვალისწინებულ ვადებზე ადრეც.* *9. ხელშეკრულების მოქმედება და შეწყვეტა* *9.5.2.2. ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის შეუწყვეტლად, ან ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე მოსთხოვოს კლიენტს ფინანსური ვალდებულებების ვადამდე შესრულება....* *9.6. ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა არ ათავისუფლებს კლიენტს ხელშეკრულებით ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით ნაკისრი ან/და კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისაგან ....* *10. ცვლილებები და დამატებები*

	10.2. მიუხედავად გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N1-ის 10.1. პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვისა, ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს საკუთარი შეხედულებისამებრ, კლიენტის დამატებითი თანხმობისა თუ აქცეპტის გარეშე, ცალმხრივად: 10.3.1. თუ ასეთი გადაწყვეტილება აუარესებს კლიენტის მდგომარეობას, მაშინ ასეთი გადაწყვეტილების მიღების შესახებ ბანკი ცვლილების ძალაში შესვლის თარიღამდე არანაკლებ 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღით ადრე ატყობინებს კლიენტს გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების დანართი N1-ის მე-6 მუხლით დადგენილი წესით. კლიენტი უფლებამოსილია შეტყობინების მიღებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში წერილობითი სახით უარი განაცხადოს ამგვარ ცვლილებაზე, ...
ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები	– საპროცენტო ხარჯები/შენატანები, ყოველთვიური (ძირითადი თანხა + პროცენტები) = 1075.38 ლარი

დანართი №1 - კრედიტის დაფარვის გრაფიკი

№	თარიღი	ტრანში	საწყისი ნაშთი	გადახდა	პროცენტი	გრეის პროცენტი	ძირი	სიცოცხლის დაზღვევის მართვის საკომისიო
0	18/12/2017	61,000.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00
1	27/01/2020	0.00	61,000.00	1,444.60	828.93	126.67	0.00	489.00
2	25/02/2020	0.00	61,000.00	1,075.38	775.45	126.67	154.84	18.42
3	25/03/2020	0.00	60,845.16	1,075.38	773.48	126.67	156.86	18.37
4	27/04/2020	0.00	60,688.30	1,075.38	877.90	126.67	49.96	20.85
....								

დანართი №13	2.12. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი სარგებლობს საშეღავათო პერიოდით საპროცენტო სარგებლის გადახდისთვის, აღნიშნული საშეღავათო პერიოდის განმავლობაში კრედიტის თანხაზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი გადანაწილდება კრედიტის დარჩენილ ვადაზე და კლიენტის მიერ გადაიხდება გრაფიკის შესაბა-

	მისად, სხვა გადასახდელებთან ერთად. ამასთან, კლიენტის მიერ კრედიტის ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ დაფარვის შემთხვევაში/დროს, იგი ვალდებულია სრულად დაფაროს, მათ შორის საშელავათო პერიოდის განმავლობაში კრედიტის თანხაზე დარიცხული გადაუხდელი საპროცენტო სარგებელიც.

II. დარიცხვის და გადახდევინების პერიოდებს შორის მიჯნის გავლება

მოცემული საქმის მთვარ პრობლემას წარმოადგენდა ხელშეკრულების განმარტება, რა დროსაც სასამართლომ დაუშვა უხეში შეცდომები და უგულებელყო განმარტების ელემენტარული წესები და პრინციპები, რის გამოც მივიდა სრულებით გაუმართლებელ შედეგამდე. საბანკო კრედიტი, როგორც სესხის ხელშეკრულების ნაირსახეობა, ორმხრივი გარიგება, ანუ, ხელშეკრულებაა და მისი მდგენელია მხარეთა მიღებასავალდებულო ნება – ოფერტი და აქცეპტი –, რომლებიც განიმარტება ობიექტური მიმღების თვალსაწიერიდან[1]. ეს ნიშნავს იმას, რომ უმნიშვნელოა, მხარეთა მიერ ნაგულისხმევი ცალმხრივი შინაარსი, გადამწყვეტია, თუ როგორ აღიქმებოდა ის მიმღების ობიექტივიზირებული ჰორიზონტიდან.

ამ ჭრილში მთავარი შეცდომა, რომელიც სასამართლომ მოცემული ხელშეკრულების განმარტებისას და, ზოგადად, საქმის გადაწყვეტისას დაუშვა, არის ის, რომ მან ერთმანეთისაგან არ განასხვავა სესხის პროცენტების დარიცხვისა და გადახდის პერიოდები. მან გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი თითქმის მთლიანად დაუთმო დანართ № 13-ზე მსჯელობას, რომელიც იყო სრულებით მეორეხარისხოვანი და არ ახდენდა საქმის გადაწყვეტაზე არსებით გავლენას.

რა თქმა უნდა, პირველი ორი წელი მსესხებელი არ იხდიდა პროცენტებს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ სესხზე პროცენტები უკვე დარიცხული არ იყო – ეს პროცენტები დარიცხული იყო, უბრალოდ მათი გადახდის დაწყება იყო გადადებული 2020 წლისათვის. ამ განსხვავების გაკეთების გარეშე, სასამართლო მივიდა სრულებით აბსურდულ შედეგამდე: თუ ხელშეკრულებაში გაწერილი 16% სესხზე პირველი ორი წელი არ ირიცხებოდა, მაშინ გაუგებარია, თუ რა უნდა გადაეხადა მსესხებელს 2020 წლიდან მოყოლებული 156 თვის განმავლობაში თვიური 126 ლარის სახით, ანუ, რა იყო ამ გადახდის საფუძველი (იხ. დეტალური მსჯელობა ქვემოთ).

სესხის თანხაზე პროცენტების დარიცხვის პერიოდი გულისხმობს იმ დროს, რომლის განმავლობაშიც იხდის მსესხებელი გადაცემული თანხისათვის სასყიდელს, ხოლო გადახდის პერიოდი – მონაკვეთს, როდესაც უკვე უშუალოდ უნდა მოხდეს ამ სასყიდლის დაფარვა. გამომდინარე იქიდან, რომ საბანკო კრედიტი ყოველთვის სასყიდლიანია, მასზე პროცენტის დარიცხვა ხდება მუდმივად, თუმცა საპროცენტო განაკვეთი შეიძლება ვარირებდეს. ჩვეულებრივ, დარიცხვის პერიოდი თანხმდება წლიურად, ხოლო გადახდის პერიოდი განაწილებულია თითოეულ თვეზე ან დღეზე.

მარტივად რომ აღვწეროთ, პროცენტიანი სესხის კონსტრუქცია შემდეგია: სესხის თანხა წარმოადგენს სარგებლობაში გადაცემულ საგანს, ხოლო პროცენტი მისით სარგებლობის სასყიდელს. გამომდინარე იქიდან, რომ ფულით (ან სესხად გადაცემული სხვა გვაროვნული ნივთით) სარგებლობა აუცილებლობის ძალით გულისხმობს და წინაპირობად მიითვლის მასზე მსესხებლის საკუთრების მოპოვებას, განათხო-

[1] BGH NJW 2006, 286; BGH NJW 2005, 3636 f.; BGHZ 36, 33; BeckOK BGB/*Wendtland*, 62. Ed. 1.5.2022, BGB § 133 Rn. 27-30.

ვრებული ნივთისაგან განსხვავებით, ეს ფული/გვაროვნული ნივთი გადადის მსესხებლის საკუთრებაში და მან უნდა დააბრუნოს იმავე გვარისა და რაოდენობის ნივთები და უნდა გადაიხადოს ამაში პროცენტი, როგორც სარგებლობის საზღაური. პროცენტის დარიცხვის პერიოდი არის ის პერიოდი, რომლისთვისაც მსესხებელი იხდის საზღაურს. თუ რომელიმე პერიოდისათვის ამ საზღაურს არ იხდის – პროცენტი არ ერიცხება, ეს ნიშნავს, რომ დროის ამ მონაკვეთში სესხი ყოფილა უსასყიდლო, რომელიც ვეღარ იქნება საბანკო კრედიტი და რისი გაცემის უფლებაც კომერციულ ბანკს არ აქვს (იხ. ქვემოთ).

სესხის ხელშეკრულებაში ცალსახად არის მითითებული, რომ მთლიანი პერიოდი იყო სასყიდლიანი – საბანკო კრედიტის შემთხვევაში ვერც იქნებოდა სხვაგვარად – და სასყიდელი შეადგენდა წლიურ 16 %-ს. ხელშეკრულებაში არ არის საუბარი, რომ სესხი ორი წელი უსასყიდლო იყო და მხოლოდ შემდეგ გადაიზრდებოდა პროცენტიან სესხში, არამედ ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად არის მითითებული, რომ საზღაური შეადგენდა თითოეულ წელზე 16 %-ს. ანუ პროცენტის დარიცხვა ხდებოდა თავიდანვე და უგამონაკლისოდ, თითოეულ წელზე თანაბრად, ისე, როგორც ეს სავალდებულოა ნებისმიერი სხვა საბანკო კრედიტის შემთხვევაში.

ის, რომ, გრაფიკის მიხედვით, მსესხებელი პირველი 2 წლის პროცენტებს იხდიდა არა დაუყოვნებლივ, არამედ მოგვიანებით და განწილვადებულად მყარი საპროცენტო თანხის სახით (თვიური 126 ლარი), ეს დარიცხვის პერიოდთან არანაირ კავშირში არ არის. ეს არის გადახდის პერიოდი. მხარეებმა, მაგალითად, შეიძლება შეათანხმონ, რომ პროცენტების გადახდა მოხდება ერთიანად, სესხის ხელშეკრულების დასასრულს, თუმცა ეს არის მხოლოდ გადახდის მოდალიტეტი და არანაირი კავშირი არ აქვს დარიცხვასთან, რადგან დარიცხვა ხდება სესხის აღების მომენტიდან (წლიურად/კვარტლურად/თვიურად და ა. შ.). მაგალითად, თუ სესხი არის ათწლიანი, გადახდა უნდა მოხდეს ათი წლის ბოლოს და ურთიერთობა შეწყდება ხუთი წლის შემდეგ, რა თქმა უნდა, მსესხებელმა უნდა გადაიხადოს ხუთი წლის განმავლობაში სესხით სარგებლობის პროცენტები და ვერ მიუთითებს იმაზე, რომ მისი გადახდის ვალდებულება მხოლოდ ათი წლის შემდეგ უნდა წარმოშობილიყო და რადგან ხელშეკრულება დროზე ადრე შეწყდა, ამიტომ მას საერთოდ არაფერი არ აქვს გადასახდელი. ეს მაგალითი შეგვიძლია უფრო გავამარტივოთ და ქირავნობის სიტუაციას მოვარგოთ, რომელიც ამ ნაწილში იმეორებს სესხის სტრუქტურას.[2] თუ ქირავნობის მხარეები შეათანხმებენ თვიურ, კვარტლურ ან წლიურ ქირას, იმ პირობით, რომ გადახდა უნდა მოხდეს ქირავნობის ხუთწლიანი ვადის დასრულების შემდეგ ერთიანად და ქირავნობა შეწყდება ოთხი წლის თავზე, დამქირავებელმა, რა თქმა უნდა, უნდა გადაიხადოს ამ ოთხი წლის ქირა და ეს ვალდებულება ვადამოსულია დაუყოვნებლივ, ხელშეკრულების შეწყვეტასთან ერთად. ქირავნობის ურთიერთობის ნაადრევად დასრულებასთან ერთად სარგებლობის განვლილი პერიოდის ქირის დაუყოვნებლივი ვადამოსულობა, ექსპლიციტური შეთანხმების გარეშეც, ითვლება კონკლუდენტურად შეთანხმებულად და გამომდინარეობს ხელშეკრულების სასყიდლიანი ბუნებიდან.

ამგვარად, მოცემული სესხის შემთხვევაში გრეის-პროცენტი ზუსტად ამ დარიცხული პროცენტის გადადების პირობას აღნიშნავს და მისი ნებისმიერი სხვაგვარი განმარტება წინააღმდეგობაში მოდის იმასთან, რაც პირდაპირ არის გაწერილი ხელშეკრულებაში[3] და რაც აქ სასამართლომ, სამწუხაროდ, სრულებით არასწორად განმარტა.

III. გრეის-პროცენტი – პირველი ორი წლის პროცენტის გადახდის გადადება

ის ფაქტი, რომ მოცემულ ხელშეკრულებაში გრეის-პროცენტი – ის პირობა, რომელიც მის

[2] *Derleder,* in: Derleder/Knops/Bamberger, Handbuch zum deutschen und europäischen Bankrecht, 2. Aufl., Heidelberg 2009, § 10 Rn. 1 (331).

[3] რაც, რა თქმა უნდა, დაუშვებელია, იხ. BGH NJW 2009, 1482; MüKoBGB/*Busche*, 9. Aufl. 2021, BGB § 157 Rn. 55 და იქ მითითებული ლიტერატურა.

ქვეშ მოიაზრებოდა – იყო მხოლოდ პირველი ორი წლისათვის დარიცხული პროცენტების გადახდის დაწყების გადადება 2020 წლისათვის, პირველ რიგში, თავად ხელშეკრულებაშია ექსპლიციტურად დაფიქსირებული:

საკრედიტო ხელშეკრულება გაყოფილია ორ ნაწილად. პირველ ნაწილში ჩამოყალიბებულია მხარეთა შესრულებების შინაარსი, ხოლო მეორე ნაწილში (დანართი № 1) – „დაფარვის გრაფიკი". ამ პირველი ნაწილიდან მოცემულ კონტექსტში მნიშვნელოვანია შემდეგი ორი პირობა: 1. 4.8 პუნქტში ათვისებული კრედიტის (61 000 ლარი) თანხაზე დასარიცხ საპროცენტო სარგებელში მითითებულია ყოველწლიური 16 % ერთიანად, 15-ვე წლისათვის გამონაკლისის გარეშე. 2. 4.15 პუნქტში კი ამ დარიცხული 16%-იანი სარგებლის გადახდის პერიოდულობად დაწესებულია ყოველი თვის 25 რიცხვი, ხოლო 2020 წლიდან გადასახდელ თვიურ თანხად განსაზღვრულია 1075 ლარი. ამ რიცხვებისა და სახელშეკრულებო პირობების ერთმანეთთან „მორიგება" შეიძლება მხოლოდ იმგვარად, რომ 2020 წლიდან 2032 წლამდე (156 თვე) გადასახდელი ეს თანხა (1075 ლარი), იყო უშუალოდ ამ 156 თვეში დარიცხულ და გადასახდელ 16%-ს დამატებული პირველ ორ წელს დარიცხული 16%. ამგვარი გაგების გარეშე, ხელშეკრულების ეს პირობები ურთიერთწინააღმდეგობრივი და საერთოდ აზრს მოკლებულია, რადგან 1075 ლარი, გაწერილი 156 თვეზე, არის ძირი თანხის (61 000 ლარის) არა 16%, არამედ 23% – ანუ თუ მსესხებელს პირველ ორ წელზე საერთოდ არ ერიცხებოდა პროცენტები, მაშინ დანარჩენ 13 წელზე უნდა დარიცხვოდა 23%, რათა ამ პროცენტის თანხას შეედგინა 1075 ლარი. ეს განმარტება არ გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან, რადგან იქ სრულებით საპირისპირო რამ წერია და მსესხებელს ვერ ექნებოდა რაიმე განსხვავებულის მოლოდინი. შედეგად, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განვითარებული მსჯელობა მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს, რაც ქვემოთ დეტალურად იქნება დასაბუთებული.

IV. სასამართლოს მიერ შემოთავაზებული განმარტება – ურთიერთგამომრიცხავი სახელშეკრულებო პირობები, ენობრივი წინააღმდეგობა, კანონსაწინააღმდეგოობა

ხელშეკრულების პირობების განმარტების აპრიორული წესია, რომ განმარტების ორი შესაძლებლობიდან ყოველთვის პრიორიტეტულია და არჩეულ უნდა იქნეს ის, რომელიც იძლევა ხელშეკრულების ყველა პირობის „მორიგების" საშუალებას[4] – ანუ, თუ განმარტების ერთი ხერხი ძალაში ტოვებს და ლოგიკურად აკავშირებს ხელშეკრულების ყველა პირობას, ის უფრო ლეგიტიმურია, ვიდრე ხერხი, რომელიც ერთი პირობის ელიმინაციის (არგათვალისწინების) ხარჯზე ტოვებს ძალაში მეორე პირობას და მხოლოდ ამით ახერხებს მისთვის რაიმე ლოგიკური, მხარეთა ჰიპოთეტური ნების შესატყვისი შინაარსის მონახვას.

ამის გათვალისწინებით, ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ორი პირობა – 1. წლიური 16% და 2. 2020 წლიდან, ყოველთვიურ პროცენტთან ერთად, გრეის-პროცენტის სახით, მყარი თანხის, 126,67 ლარის გადახდა 156 თვის განმავლობაში – შეიძლება გაგებულ იქნეს მხოლოდ იმგვარად, რომ ეს გრეისი არის პირველი ორი წლის ყოველთვიური პროცენტები და მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება დარჩეს ის ძალაში, ჰქონდეს რაიმე ლოგიკური შინაარსი, ისევე, როგორც ამ მეორე პირობას. კერძოდ, ამ გრეის-პროცენტის ოდენობა – 126 ლარი – ტოლფასია სესხად აღებული თანხის (61 000) ორი წლის 16%-ის განაყოფისა ორი წლის შემდეგ დაწყებულ გადახდის პერიოდზე (156 თვე). მხოლოდ ამ სუფთა კალკულაციიდანაც ცალსახაა, რომ ეს გრეის-პროცენტი არის პირველი ორი წლის განმავლობაში დარიცხული პროცენტების გადანაწილება, მყარი საპროცენტო დანარიცხის სახით, გადახდის დარჩენილ პერიოდზე (ორი წლის გამოკლებით გადახდის პერიოდად რჩება 156 თვე) – 61 000 : 100 x 16 x 2 : 156 = 126. ამ განმარტებით ზემოთ მოყვანილი ორივე სახელშეკრულებო პირობა ლოგიკურად და აბსოლუ-

[4] MüKoBGB/*Busche*, 9. Aufl. 2021, BGB § 157 Rn. 6; BGH LM (D) Nr. 27; BGH DB 1990, 1159.

ტურად თანმიმდევრულად ავსებს ერთმანეთს. მის გარეშე კი გვრჩება მოცემულობა, რომ მხარეებს სრული აბსურდი შეუთანხმებიათ: კერძოდ, ამ განმარტების გარეშე, მსესხებლის მიერ გადასახდელი თანხა ვერ იქნება წლიური 16%, არამედ უნდა იყოს 23%, ეს კი ხელშეკრულებაში საერთოდ არ არის ნახსენები.

სასამართლოს მიერ შემოთავაზებული განმარტება არასწორია, რადგან ის ერთმანეთთან ვერ ათანხმებს ხელშეკრულების სხვადასხვა პირობას, სრულებით სცდება მხარეთა მიერ გამოყენებული ცნებების სემანტიკურ მნიშვნელობას და აბოლოებს მას კანონსაწინააღმდეგო სამართლებრივ შინაარსში, რისი გაკეთების უფლებაც სასამართლოს ასევე არ აქვს.

1. შინაარსობრივი წინააღმდეგობა სასამართლოს შემოთავაზებულ განმარტებაში

მოსამართლეს არ აქვს უფლება გვერდზე გადადოს ლოგიკური, მწყობრი და თვითკმარი ვარიანტი მხარეთა მიერ შეთანხმებულის განმარტებისა და მათ აბსურდის შეთანხმება „დააბრალოს". თუმცა, როგორც უკვე ნაწილობრივ აღინიშნა, პირველი ინსტანციის სასამართლო სწორედ ამ მიმართულებით წავიდა, მაგრამ, ამავდროულად, წინააღმდეგობაში მოვიდა საკუთარ თავთანაც, როდესაც დაუშვა „გრეის-პერიოდისა" და 16%-იანი ნიხრის არსებობა და, ამასთან, მიიჩნია, რომ 2020 წლამდე მსესხებელს არაფერი არ ჰქონდა გადასახდელი (პროცენტი არ ერიცხებოდა).[5]

ამ შემთხვევაში გაუგებარი რჩება, რატომ არის გადახდის გრაფიკში ერთმანეთისაგან გამიჯნული ჩვეულებრივი პროცენტი და გრეის-პროცენტი და სრულებით აბსურდული ჩანს, როგორც პირველი, ისე მეორე პირობა. ეს პირობები, ამ განმარტების გარეშე, არა მხოლოდ გამორიცხავენ ერთმანეთს, არამედ ცალ-ცალკეც ყოველგვარ აზრს მოკლებულია – არ ხდება 16%-ის გადახდა და გაუგებარია რა საფუძველს ემყარება 126 ლარის გადახდა ე. წ. გრეის-პროცენტის სახით – იქმნება სურათი, რომ მხარეებმა რაღაც აბსურდი შეათანხმეს, რომლის არც ერთი ნაწილი მეორეს არ ემთხვევა. თუ გრეისი არ არის უკვე პირველ ორ წელს, ანუ 2018 წლიდან, დარიცხული პროცენტების გადანაწილება 2020-2032 წლებზე (გრაფიკში მითითებული 156 თვე), მაშინ უბრალოდ არითმეტიკულად არ ემთხვევა ერთმანეთს არაფერი, რადგან, როგორც ვახსენეთ, ამ 13 წელიწადზე გადანაწილებული თვიური 1075 ლარი არის სესხად აღებული თანხის არა 16% არამედ 23%. ამიტომაც, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო თავად ადგენს „გრეის" ანუ „საშეღავათო" (რაც ტერმინოლოგიურად სწორია) პერიოდის არსებობას, სრულებით უგულვებელყოფს იმ შინაარსს, რასაც ეს საშეღავათო პერიოდი მოიაზრებს – 16%-იანი ნიხრის თავიდანვე უწყვეტად დარიცხვას და პირველი ორი წლის გადახდის გადანაწილებას შემდგომ პერიოდზე.

სასამართლოს მიერ შემოთავაზებული განმარტება, სულ მცირე, მის მიერ დადგენილ წინამძღვრებთან რომ ყოფილიყო თანხმობაში, მას უნდა ეთქვა, რომ სესხი პირველი ორი წლის განმავლობაში იყო საერთოდ უპროცენტო, ხოლო შემდეგი 156 თვის განმალობაში ხდებოდა 23%-იანი, რაც მას არ გაუკეთებია და მივიდა წინააღმდეგობრივ დასკვნამდე, რომლის გაზიარება მხოლოდ ამ ერთი მიზეზის გამოც კი სრულებით შეუძლებელია.

სასამართლომ ასევე ვერ ახსნა, რა ლოგიკა იდგა გრეის-პროცენტის ცალკე გამოყოფის უკან, რადგან, თუ ის ისეთივე ჩვეულებრივი, 2020 წლის შემდეგ დარიცხული პროცენტია (და არა უკვე დარიცხული და მხოლოდ გადადებული პროცენტი), ზუსტად ისეთივე, როგორც სხვა დანარჩენი პროცენტები, რატომ არ მიუერთა ბანკმა ისინი ერთმანეთს და რატომ გამოყო ის ცალკე?

ამგვარად, ამ ორი პირობის ზემოხსენებული მწყობრი და ურთიერთშემავსებელი განმარტების გარეშე, საერთოდ არანაირი გრეის-პერიოდი არ არსებობს, იმიტომ, რომ ეს გრეის-პერიოდი გამომდინარეობს სწორედ იმ განმარტებიდან, რომ დარიცხული 16%-ის გადახდევინება

[5] გადაწყვეტილების ეს წინააღმდეგობრივი ხასიათი განსაკუთრებით ნათლად ჩანს მისი 3.1.5 და 3.2.3 პუნქტების ურთიერთშეუსაბამობიდან (იხ. შესავალი ნაწილი).

არ ხდებოდა პირველი 2 წლის განმავლობაში და განაწილებული იყო შემდეგ 156 თვეზე. სწორედ ეს პირველი 2 წელი იყო საშეღავათო, ანუ გრეის-პერიოდი. თუ ამ 16%-ის დარიცხვა საერთოდ არ მომხდარა პირველი ორი წლის განმავლობაში, მაშინ არაფერი არ არის გადასადები და საშეღავათო, არამედ თავად სესხია ასეთი: პირველი 2 წელი უფასო და შემდეგ კი 23%-იანი. გარდა იმისა, რომ ამგვარ გაგებას მხარეთა შეთანხმებასთან უკვე აღარაფერი აქვს საერთო და ეს უბრალოდ კანონსაწინააღმდეგოა (იხ. ქვევით), ამასთან, არაფერი აქვს საერთო ასევე გრეისის, როგორც შეღავათის, ცნების ენობრივ გაგებასთან.

თუმცა სასამართლოს მიერ შემოთავაზებული განმარტების ფარგლებში კანონსაწინააღმდეგოა თავად ამ 126 ლარის გადახდევინებაც 2020 წლიდან მოყოლებული, შესაბამისი ექსპლიციტური საფუძვლის გარეშე. თითოეულ ამ მომენტზე ქვემოთ დეტალურად გვექნება საუბარი.

2. „გრეისის“ ენობრივი მნიშვნელობა და პირობის სიტყვასიტყვითი განმარტება

გრეისის/შეღავათის ზოგად სემანტიკური თუ ტექნიკურ-სამართლებრივი მნიშვნელობა აუცილებლად გულისხმობს ვალდებულების არსებობას, რომლისაგან გათავისუფლებაც ან რომლის შემსუბუქებაც ხდება, მაგრამ, თუ მსესხებელს საერთოდ არ ეკისრებოდა პირველი ორი წლის განმავლობაში გადახდა, მაშინ ეს ვალდებულება საერთოდ არ წარმოშობილა და ბანკს მისთვის შეღავათი კი არ გაუწევია, არამედ უბრალოდ „უჩუქებია“ ეს პერიოდი და ეს სხვა ტერმინით უნდა ყოფილიყო არტიკულირებული.

ამიტომაც, ამ შეთანხმების სიტყვასიტყვითი გაგებიდან ერთადერთი რამ გამომდინარეობს – პროცენტების გადახდა გადადებულია და არა „ნაპატიები“. ანუ, „აიღე ეხლა და გადაიხადე შემდეგ“ ნიშნავს, რომ მსესხებელმა შემდეგ რეალურად მაინც უნდა გადაიხადოს, ანუ, მისი ვალდებულების მხოლოდ შემსუბუქებაა სახეზე და არა „ჩუქება“. წინააღმდეგ შემთხვევაში პირობას ერქმეოდა: „... გადაიხადე ნახევარი“, „უფასო ორი წელი“ და ა. შ. ანუ, პირობის სიტყვასიტყვითი განმარტებიდან არ გამომდინარეობს, რომ მსესხებელი არ იხდის საერთოდ. პირიქით, ეს Grace Period, რომელსაც გერმანულ იურიდიულ ლექსიკონში Schonfrist შეესატყვისება, ზუსტად საშეღავათო პერიოდს ნიშნავს და ამას („საშეღავათო პერიოდს“) თავად სასამართლოც ახსენებს. შეღავათი კი ვერც ერთი დასაშვები თუ დაუშვებელი ენობრივი ხერხით ვერ იქნება გაგებული, როგორც პროცენტების საერთოდ არგადახდა, არამედ მხოლოდ გადადება.

3. კანონსაწინააღმდეგობა სასამართლოს განმარტებაში

თუმცა სასამართლოს მიერ შემოთავაზებული განმარტება არა მხოლოდ მხარეთა მიერ გამოყენებული ცნებების სემანტიკური ველიდან გადის, არამედ მხოლოდ იმიტომ არის დაუშვებელი და არალეგიტიმური, რომ მის შედეგად მიღებული სახელშეკრულებო კონსტრუქცია უბრალოდ კანონსაწინააღმდეგოა. განმარტების ორი ალტერნატივიდან, როდესაც პირველი მხარეთა ნებას კანონის მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაში წარმოაჩენს, ხოლო მეორეს კი ეს ნება პირდაპირ წინააღმდეგობაში მოჰყავს სამართლის მოთხოვნებთან, მოსამართლე ვალდებულია აირჩიოს პირველი და არ აქვს უფლება ხელყოს მხარეთა ნების თავისუფლება იმგვარად, რომ მათ კანონსაწინააღმდეგო გარიგების დადება დასდოს ბრალად.[6] კერძოდ, თუ მხარეთა მიერ რეალურად ნასურვებ შედეგს თანაბრად შეესატყვისება ორი სამართლებრივი კონსტრუქცია, რომელთაგან ერთ-ერთი მართლზომიერია, ხოლო მეორე – არა, სასამართლომ განმარტებისას, რა თქმა უნდა, ფაქტობრივი ნება უნდა „ჩასვას“ ამ მართლზომიერ კონსტრუქციაში, რათა შეუნარჩუნოს მას ნამდვილობა.[7] ეს არის განმარტების ამოსავალი პრინციპი და მისი უკიდურესი გამოხატულებაა კონვერსია სკ-ის 60-ე მუხლის მიხედვით, რომელიც უკვე არის

[6] MüKoBGB/*Busche*, 9. Aufl. 2021, BGB § 157 Rn. 1; *Busche*, Privatautonomie und Kontrahierungszwang, 1999, 46 ff.; BGHZ 71, 77; BGHZ 20, 110.

[7] MüKoBGB/*Busche*, 9. Aufl. 2021, BGB § 157 Rn. 1.

არა განმარტება, არამედ სამოსამართლეო კორექცია მხარეთა ნებისა – როდესაც ხდება მხარეთა მიერ შერჩეული სამართლებრივი კონსტრუქციის ტრანსფორმაცია სხვა კონსტრუქციად, რომელიც ასევე შეესატყვისება მათ ნებას და, მათ მიერ შერჩეულისაგან განსხვავებით, სამართლებრივად ნამდვილია. ამგვარად, სასამართლომ ნებისმიერ შემთხვევაში უნდა აირჩიოს კანონის მოთხოვნებთან შესაბამისი განმარტება (სამართლებრივი კონსტრუქცია) – თუ ის, რა თქმა უნდა, პირდაპირ არ ეწინააღმდეგება მხარეთა ფაქტობრივ ნებას – რათა ამით მხარეთა ამ ნებას განხორციელების (სამართლებრივი ნამდვილობის) შესაძლებლობა მიანიჭოს.[8] ეს გამომდინარეობს მხარეთა ნების ავტონომიის პრიმატიდან, რომელიც, პირველ რიგში, ეხება ფაქტობრივი შედეგის გამოწვევის შესაძლებლობას, რომლის მხოლოდ გაფორმებაა სამართლებრივი კონსტრუქციები.[9]

ამიტომაც, ყველა ზემოთ ხსენებული არგუმენტი გვერდზე რომ გადავდოთ, რომელთა მიხედვითაც, აქ მხოლოდ უკვე დარიცხული პროცენტის გადახდის გადადება იყო შეთანხმებული და არა უფასო სესხი პირველი ორი წლის განმავლობაში, ეს უკანასკნელი დაშვება და ამგვარი განმარტება მხოლოდ იმიტომ ვერ იქნება ლეგიტიმური, რომ ის ყოველგვარი აუცილებლობის გარეშე მხარეებს კანონსაწინააღმდეგო გარიგების დადებას სდებს ბრალად და ხელყოფს ამით მათი ნების თავისუფლებას.

კერძოდ, სასამართლოს მიერ დაშვებული ორწლიანი უფასო სესხი და ამის შემდეგ გაურკვეველი საფუძვლით პროცენტად დარიცხული 126 ლარი, კანონსაწინააღმდეგოა შემდეგი გარემოებების გამო:

ა) კანონსაწინააღმდეგოობა კრედიტის უსასყიდლობიდან გამომდინარე

მოპასუხის პოზიცია, რომელიც მერე სასამართლომაც გაიზიარა და თავისი კვაზი-განმარტება მონახა, ეწინააღმდეგება საბანკო კრედიტის სასყიდლიანობის პრინციპს. საბანკო კრედიტი უნდა იყოს სასყიდლიანი[10]. ეს არის აუცილებელი საკანონმდებლო მოთხოვნა სკ-ის 867-ე მუხლის მიხედვით, ხოლო სხვა ტიპის სესხს (არასაბანკო კრედიტს) ბანკი მომხმარებელზე საერთოდ ვერ გასცემს, რადგან ამას პირდაპირ გამორიცხავს კანონი[11] და ბანკის წესდება.

ის ფაქტი, რომ ბანკი ვერ გასცემს „უფასო“ სესხს, არის არა მხოლოდ საკანონმდებლო მოთხოვნა, მასთან დაკავშირებული კერძო- და საჯაროსამართლებრივი სანქციებით, არამედ ასევე ხელშეკრულების განმარტების წესი – მსესხებელს, რომელიც ბანკიდან იღებს კრედიტს ვერ ექნება მოლოდინი, რომ ბანკი მისცემს მას უსასყიდლო კრედიტს და ამგვარად შეიძლება განიმარტოს ხელშეკრულება მის სასარგებლოდ (ეს არ შეესატყვისება ობიექტური მიმღების თვალსაწიერს). თუმცა სასამართლომ აქ

---

8 MüKoBGB/*Busche*, 9. Aufl. 2021, BGB § 157 Rn. 1; *Busche*, Privatautonomie und Kontrahierungszwang, 1999, 46 ff.

9 BGHZ 71, 77; BGHZ 20, 110.

10 სკ-ის 867-ე მუხლის გარდა, ეს გაწერილია ასევე კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ კანონის 1 თ) მუხლში; იხ. ასევე 2008 წლის სამომხმარებლო კრედიტთან დაკავშირებული ევროკავშირის დირექტივის 3 გ) მუხლი; *ზამბახიძე,* სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (რედ. ჭანტურია), მუხ. 867 ველი 16, gccc.tsu.ge (28.07.2022); უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება № ას-914-864-2015; უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება №2/12964-20; *Bülow, Kreditvertrag und Verbraucherkreditrecht im BGB,* in: Schulze/Schulte-Nölke*, Die Schuldrechtsreform vor dem Hintergrund des Gemeinschaftsrechts,* Tübingen 2001, 157; *Bülow*, in: Bülow/Artz, Verbraucherkreditrecht, 10. Aufl., 2019, BGB § 491 Rn. 97, 97a; *Roth*, in: Langenbucher/Bliesener/Spindler, Bankrechts-Kommentar, 3. Aufl., 2020, BGB § 491 Rn. 9-12; BeckOK BGB/*Möller*, 62. Ed. 1.5.2022, BGB § 491 Rn. 72-76; MüKoBGB/*Schürnbrand/Weber*, 8. Aufl., 2019, § 491 BGB, Rn. 37-40.

11 კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ კანონის 20 1 ე[1] და 20 III მუხლები. მართალია, ეროვნული ბანკის თანხმობით კომერციულ ბანკმა გამონაკლისის სახით შეიძლება გასცეს უპროცენტო სესხი, თუმცა ზემოთ ხსენებული დირექტივის ჭრილში საერთოდ პრობლემურია, შეიძლება თუ არა ეს გამონაკლისი შეეხოს სამომხმარებლო სესხს. ნებისმიერ შემთხვევაში აქ ეს თანხმობა არ არსებობდა და სასამართლოს მიერ მიცემული განმარტებით სესხი კანონსაწინააღმდეგო იქნებოდა.

ზუსტად ეს არასწორი გზა აირჩია; მისი განმარტებით:

მსესხებელს პირველი ორი წელი საერთოდ არ ეკისრებოდა პროცენტი, თუმცა მოგვიანებით ეკისრებოდა 16% და ეს ერთობლიობაში, მთლიან პერიოდზე რომ გაიყოს, დაახლოებით წლიურ 14%-ს აღწევს და ეს საკმარისია სასყიდლიანობისათვის. ანუ, რეალურად დაბალი სასყიდელი იყო შეთანხმებული, მაგრამ გარკვეული სასყიდელი მაინც არსებობდა.

ეს განმარტება არასწორია, იმიტომ, რომ პროცენტიანი სესხი არ არის ნასყიდობა ან რაიმე სხვა ხელშეკრულება, ერთჯერადი შესრულების ვალდებულებით – ის იყოფა ერთმანეთისაგან გამიჯვნად მონაკვეთებად და ამ მონაკვეთებში შესასრულებელ ასევე გამიჯვნად ვალდებულებებად. კერძოდ, მაგალითად, თუ ნასყიდობისას, საგნის რეალური ღირებულების ნახევარია შეთანხმებული სასყიდლის სახით, ეს მაინც სასყიდელია – დაბალი სასყიდელი, მაგრამ მაინც სასყიდელი და ჯერ კიდევ ნასყიდობა გვაქვს სახეზე და არა ჩუქება. სესხის შემთხვევაში ეს ასე არ არის. პროცენტიანი სესხი, ნასყიდობისაგან განსხვავებით, არის გრძელვადიანი ურთიერთობა, თავიდან და თავიდან წარმოშობადი ვალდებულებებით (regelmäßig wiederkehrende Leistungen[12]). ანუ, პროცენტის გადახდის ვალდებულება არის არა ერთიანი პროცენტის გადახდის ვალდებულების დანაწევრება, არამედ ის ყოველი შესაბამისი პერიოდის (თვის ან დღის) დასაწყისში თავიდან წარმოიშობა და თუ არ წარმოიშობა ე. ი. საერთოდ არც არსებობს და ამ დროის განმავლობაში სახეზე გვქონია უპროცენტო ანუ უსასყიდლო სესხი, რისი გაცემის უფლება ბანკს არ აქვს. ანუ, ის ფაქტი, რომ შემდეგ პერიოდში სასყიდლიანი ხდებოდა სესხი, ვერ აქცევს წინა პერიოდსაც სასყიდლიანად, იმიტომ, რომ ყოველთვიური პროცენტის გადახდა თავიდან წარმოშობადი დამოუკიდებელი ვალდებულებებია და არა ერთიანი ვალდებულების დროში „გაწელვა". შეუძლებელია ამ სასყიდლიანი და უსასყიდლო პერიოდების ერთმანეთთან მიერთება და, ამგვარად, საბოლოოდ მაინც (დაბალ)სასყიდლიანი სესხის მიღება, რაც შესაძლებელი იქნებოდა, მაგალითად, ნასყიდობის შემთხვევაში. ამგვარად, სასამართლოს განმარტებით, სესხი პირველი ორი წელი იყო „უფასო", რაც დაუშვებელია საბანკო კრედიტის შემთხვევაში და სხვაგვარი კრედიტის გაცემის უფლება კი ბანკს არ აქვს (სკ-ის 867-ე მუხლი).

გარდა ზემოთ ხსენებული დანაწესებისა, ეს დაუშვებელია საკონკურენციოსამართლებრივი ამკრძალავი რეგულაციებითაც[13] – დაუშვებელია, რომ კომერციულმა ბანკმა დაიწყოს უფასო სესხების „დარიგება". თუ, მაგალითად, ერთ-ერთი მსხვილი ქართული ბანკი გადაწყვეტს, თუნდაც მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში გასცეს უფასო სესხები, წლის ბოლოს არც ერთი მომცრო ქართული ბანკი აღარ იარსებებს.

ბ) კანონსაწინააღმდეგოობა პროცენტის გადახდევინების ექსპლიციტური საფუძვლის არარსებობის გამო

გარდა ზემოთქმულისა, სასამართლოს მიერ შემოთავაზებული განმარტება, თუნდაც იმიტომ არის არალეგიტიმური, რომ მის ფარგლებში კანონსაწინააღმდეგოა ასევე 2020 წლიდან მოყოლებული თვიური 126 ლარის დარიცხვა, რადგან მას აკლია ექსპლიციტური სახელშეკრულებო საფუძველი.

სკ-ის 868-ე მუხლის მიხედვით, ბანკს არ აქვს უფლება საფუძვლის ექსპლიციტური მითითების გარეშე დააკისროს მსესხებელს რაიმე პროცენტი. სახელშეკრულებო პროცენტად კი მოცემულ შემთხვევაში შეთანხმებული 16% ვეღარ იქნება ამ თვიური 126 ლარის დარიცხვის საფუძველი, თუ მისი დარიცხვა 2020 წლიდან იწყება – როგორც აღინიშნა, თუ დარიცხვის პერიოდი არის 156 თვე, ანუ 13 წელი 2020 წლიდან მოყოლებული და არა 15 წელი 2018 წლიდან, მაშინ წლიური საპროცენტო განაკვეთი ყოფილა 23%, ეს პროცენტი კი ხელშეკრულებაში არსად არის

[12] BeckOK BGB/*Martens*, 62. Ed. 1.5.2022, EGBGB Art. 240 § 1 Rn. 16-18.

[13] კონკურენციის შესახებ კანონის 6 II გ) და სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის 10bis (3) 1 მუხლები; *Späth,* in: Götting/Nordemann, UWG-Kommentar, 3. Aufl., 2016, § 4 UWG Rn. 4.43, 4.44.

ნახსენები და, შესაბამისად, თვიურად გადასახდელ 126 ლარს აკლია დარიცხვის საფუძველი, რისი დაშვებითაც სასამართლომ კიდევ ერთი კანონსაწინააღმდეგო გარემოება „მოუნახა“ ამ შეთანხმებას.

გ) გარიგებისათვის კანონსაწინააღმდეგო შინაარსის „მონახვის“ დაუშვებლობა

ამგვარად, ბანკს არ აქვს უფლება გასცეს უპროცენტო სესხი და შესაბამისი, ერთმნიშვნელოვნად ჩამოყალიბებული საფუძვლის გარეშე დააკისროს მსესხებელს პროცენტები, თუმცა მოცემულ შემთხვევაში ბანკს ეს არც გაუკეთებია, რადგან, როგორც არაერთხელ აღინიშნა, პროცენტების დარიცხვა ხდებოდა უწყვეტად, ხოლო მისი გადახდევინება უნდა დაწყებულიყო 2020 წლიდან და ეს უფრო ცხადად და მარტივად ვერც იქნებოდა ხელშეკრულებაში დაფიქსირებული. თუმცა, სასამართლომ იმის მაგივრად, რომ აერჩია ლოგიკური და მარტივი განმარტება, სადაც ყოველ სახელშეკრულებო პირობას ექნებოდა თავისი ადგილი მთლიანი კონსტრუქციის ფარგლებში და ჰარმონიულად შეავსებდნენ ერთმანეთს, აირჩია „განმარტება“, რომლის მიხედვითაც, მხარეებს კანონსაწინააღმდეგო სესხის შეთანხმება დააბრალა. მხოლოდ ეს ფაქტი ცალკე აღებული არის მხარეთა ნების თავისუფლების ხელყოფა – მხარეთა მიერ შეთანხმებულ დასაშვებ და მართლზომიერ გარიგებას ერთმევა ის ავთენტური მნიშვნელობა, რომელიც მასში მხარეებმა ჩადეს და ენიჭება ის სამართლებრივი შინაარსი, რომელსაც ამ ნებასთან უკვე არაფერი აქვს საერთო. ეს წარმოადგენს მხარეთა ნების დაუშვებელ სამოსამართლეო კორექციას, რაც რეალურად სრულებით სცდება განმარტების ფარგლებს, მოკლებულია შესაბამის ნორმატიულ საფუძველს და, ამგვარად, სრულებით დაუშვებელია.

მოცემულ შემთხვევაში ბანკსა და მსესხებელს სურდათ 61 000 ლარის სესხის შეთანხმება, რომლის პროცენტებსაც მსესხებელი არ გადაიხდიდა 2 წლის განმავლობაში და შემდეგ დაფარავდა 13 წლის მანძილზე თვიური 1075 ლარის შენატანით. ამ მიზნის მისაღწევად მონახეს აბსოლუტურად მართლზომიერი და მარტივი სამართლებრივი ფორმა, კერძოდ, 15 წელზე გაწერილი 16%-იანი სესხი, იმ დათქმით, რომ პირველ ორ წელზე დარიცხული პროცენტების გადახდევინება მოხდებოდა მოგვიანებით და გადანაწილდებოდა შემდგომ 13 წელიწადზე. სასამართლომ ეს სამართლებრივი ფორმა ჩაანაცვლა პირველ ორ წელს საერთოდ უფასო, ხოლო მოგვიანებით 23%-იანი სესხით, რაც სრულებით სცდება მხარეთა ნების განმარტების ფარგლებს და პირდაპირ კანონსაწინააღმდეგოა, ზემოხსენებულის გარდა, ასევე იმიტომაც, რომ ეს 23% სესხის ხელშეკრულებაში არსადაა ნახსენები და ამით ეწინააღმდეგება სკ-ის 868-ე მუხლის მოთხოვნებს. სასამართლოს არ აქვს უფლება, მხარეთა მიერ რეალურად ნასურვები და დაფიქსირებული ფაქტობრივი ნება გახვიოს კანონსაწინააღმდეგო სამართლებრივ გარსაცმელში. ეს არის მხარეთ კერძო ავტონომიის ხელყოფა.

ამგვარად, ზემოთ მოყვანილი პუნქტები რომ შევაჯამოთ, სასამართლოს ჰქონდა არჩევანი, აერჩია, ენობრივი და შინაარსობრივი თვალსაზრისით, ხელშეკრულების სტრუქტურიდან გამომდინარე, ლოგიკურად მწყობრი და თვითკმარი განმარტება, რომლის მიხედვითაც, ხელშეკრულება შეესაბამებოდა კანონის მოთხოვნებს ან „განმარტება“, რომელიც პირდაპირ უგულვებელყოფს ხელშეკრულებებში გამოყენებული ცნებების მნიშვნელობას, რომლის მიხედვითაც, სახელშეკრულებო პირობები ერთმანეთს ეწინააღმდეგება და თავად ხელშეკრულება კი კანონსაწინააღმდეგო ხასიათს იძენს. სასამართლომ გაუგებარი მიზეზების გამო სწორედ ეს მეორე განმარტება აირჩია, რომელიც უკვე განმარტებადაც ვეღარ ჩაითვლება და უფრო სასამართლოს მიერ შეთხზული ხელშეკრულების მხარეთათვის თავს მოხვევის მცდელობაა, რისი უფლებაც, მოსამართლეს, რა თქმა უნდა, არ აქვს.

V. გრეის-პროცენტის ერთიანად გადახდის ვალდებულება ხელშეკრულების ნაადრევად შეწყვეტისას

გრძელვადიანი სასყიდლიანი ურთიერთობების დროს, თუ ეს სასყიდელი გათვალისწინებულია კონკრეტული პერიოდისათვის (მაგ., დარი-

ცხული პროცენტი სესხის შემთხვევაში), ამ ურთიერთობის ნაადრევად დასრულების შემთხვევაშიც ეს სარგებელი განვლილი პერიოდისათვის, რა თქმა უნდა, გადასახდელია. მაგალითად, თუ ქირავნობის მხარეები შეათანხმებენ თვიურ ქირას 1000 ლარის ოდენობით, იმ დათქმით, რომ პირველი 1 წლის ქირის გადახდა მოხდებოდა ქირავნობის 10 წლიანი ვადის დასრულების შემდეგ, მაგრამ ქირავნობა, მოშლის შედეგად, დასრულდა 3 წელიწადში, რა თქმა უნდა, ეს პირველი წლის ქირა დამქირავებელმა ჩვეულებრივად უნდა გადაიხადოს. ეს პირდაპირ გამომდინარეობს ამ ხელშეკრულების სასყიდლიანობის პრინციპიდან. ზუსტად ეს შემთხვევაა სახეზე მოცემულ საქმეში – მსესხებელი, სესხის ურთიერთობის 2020 წელს ნაადრევად დამთავრების გამო, ვერ გათავისუფლდება უკვე 2018-2019 წლებში დარიცხული გრეის-პროცენტის გადახდის ვალდებულებისაგან.

1. წინსწრებით დაფარვის პირობა მოიცავს ასევე გრეის-პროცენტის დაუყოვნებლივ გადახდასაც

ის ფაქტი, რომ, პროცენტიანი სესხის ხელშეკრულების წინსწრებით გადახდის მეშვეობით ნაადრევად შეწყვეტისას, დარიცხული პროცენტის გადახდის ვალდებულება დაუყოვნებლივ ხდება ვადამოსული, პირდაპირ გამომდინარეობს შეწყვეტის ამ ფორმის არსიდან, თუმცა მოცემულ შემთხვევაში ის, ამის გარდა, თავად ხელშეკრულებაში იყო ცალსახად დაფიქსირებული.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სესხზე გრეის-პროცენტის დარიცხვა ხდებოდა თავიდანვე. აქედან გამომდინარეობს, რომ 2020 წელს წინსწრებით გადახდის მეშვეობით ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი იყო, ძირ თანხასა და სხვა საკომისიოებთან ერთად, ასევე ეს პროცენტიც. 10.07.2020-ში მსესხებელმა განუცხადა ბანკს სესხის თანხის წინსწრებით დაფარვის შესახებ, თუმცა, არ აპირებდა რა გრეისის გადახდას, ბანკმა მისი გადახდა არ მიიღო. ამის შემდეგ მსესხებელმა მოახდინა, გრეის-პროცნეტების გარეშე, დარჩენილი ნაწილის დეპონირება.

სესხის წინსწრებით დაფარვის უფლება სამართლებრივად შეიძლება კონციპირებული იყოს, როგორც სესხის ცალმხრივად მოშლის უფლება,[14] ან ეს მოშლის უფლება შეიძლება გამორიცხული იყოს და ხელშეკრულების ნაადრევად დამთავრება მხოლოდ მსესხებელსა და ბანკს შორის გაუქმების ხელშეკრულების დადებით იყოს შესაძლებელი[15]. ცალმხრივი მოშლის გამორიცხვის პირობა ნამდვილია, თუ ბანკსა და მსესხებელს შორის მყარი საპროცენტო განაკვეთია შეთანხმებული და წარმოადგენს „სასყიდელს“ ამ მყარი პროცენტისათვის[16].[17] მოცემულ შემთხვევაში სწორედ ეს მყარი პროცენტი იყო შეთანხმებული და ცალმხრივი მოშლის უფლებაც გამორიცხული იყო, ბანკსა და მსესხებელს შორის გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ ხელშეკრულების სტანდარტული პირობების 3.1.4.2 პუნქტით, სადაც აღნიშნული იყო, რომ წინსწრებით დაფარვა ბანკის მხრიდან თანხმობას საჭიროებდა[18].[19] ანუ, ამგვარად, მოცემული სესხის ურთიერთობის შეწყვეტა წინსწრებით გადახდის პირობის გააქტიურებით, შესაძლებელი იყო მხოლოდ მსესხებელსა და ბანკს შორის შეთანხმებით (გაუქმების ხელშეკრულება), თუმცა ეს შეთახმება აქ სახეზეა, რადგან 10.07.2020-ში მსესხებლის მიერ გაკეთებულ შეთავაზებას ბანკმა თანხმობით უპასუხა. ის ფაქტი, რომ მსესხებელსა და ბანკს განსხვავებული წარმოდგენა ჰქონდათ იმ თანხასთან დაკავშირებით, რომელიც იქნებოდა ამ შემთხვევაში ბა-

[14] *Knops*, in: Derleder/Knops/Bamberger (ზემოთ სქ. 2), § 14 Rn. 1 ff. (419).

[15] *Weber*, Das Vorfälligkeitsentgelt bei vorzeitiger Rückzahlung eines Hypothekendarlehens, NJW 1995, 2952.

[16] *Weber*, NJW 1995 (ზემოთ სქ. 16), 2951.

[17] argumentum ex სკ-ის 871 I მუხლი.

[18] „კლიენტის მიერ ბანკის მიმართ წარდგენილი ზეპირი ან წერილობითი განცხადების საფუძველზე მხარეთა შეთანხმებით კრედიტის თანხა და საპროცენტო სარგებელი შეიძლება წინსწრებით დაიფაროს გრაფიკით გათვალისწინებულ ვადებზე ადრეც“.

[19] ამ გენერალური საკრედიტო ხაზის სტანდარტულ პირობებში (მე-9 პუნქტი), კრედიტის აღების შემდეგ კლიენტის მხრიდან ხელშეკრულების ცალმხრივი მოშლის უფლება დაფიქსირებული არ არის. დაფიქსირებულია, მხოლოდ ბანკთან შეთანხმებით შეწყვეტის უფლება.

ნკისათვის გადასახდელი, შეთანხმების ნამდვილობას ხელს არ უშლის, რადგან მხარეთა ნების გამოხატვიდან არ იკითხება, რომ ერთმა ან მეორემ ეს (გადასახდელი თანხის ოდენობის მათ წარმოდგენებთან შესაბამისობა) პირობად დაადო ამ გაუქმების ხელშეკრულებას და მხოლოდ ამ შემთხვევაში სურდათ მისი ნამდვილობა. ამგვარად, მსესხებლის შეთავაზებაზე ბანკის თანხმობით, მხარეთა შორის დაიდო გაუქმების ხელშეკრულება, რომელმაც დაამთავრა არსებული სესხი და გადაიყვანა ის წინსწრებით დაფარვის რეჟიმში. ამ შეთანხმების ძალით, მსესხებელს დაეკისრა ვალდებულება, შესაბამის საკომისიოებთან და მონარჩენ ძირ თანხასთან ერთად, გადაეხდა ამ მომენტისათვის უკვე დარიცხული და დაუფარავი პროცენტები. ეს პირობა გენერალური საკრედიტო ხაზის სტანდარტული პირობების იმავე 3.1.4.2 პუნქტშია ცალსახად გაწერილი – „ ... მხარეთა შეთანხმებით კრედიტის თანხა და საპროცენტო სარგებელი შეიძლება წინსწრებით დაიფაროს ...“. ამასვე ადასტურებს ამ გენერალური საკრედიტო ხაზის 9.6 პუნქტი[20].

ანუ, მართალია, სესხის წინსწრებით გადახდისას მსესხებელი თავისუფლდება შემდგომ პერიოდში დასარიცხი პროცენტების გადახდის ვალდებულებისაგან, თუმცა ეს არ ეხება უკვე დარიცხულ პროცენტებს. უკვე დარიცხული პროცენტების გადახდა უნდა მოხდეს ნებისმიერ შემთხვევაში, დამოუკიდებლად იმისა, ხელშეკრულება გეგმაზომიერად წყდება თუ ნაადრევად. ეს თავისთავად ცხადი პირობა მხარეთა მიერ დადებულ ხელშეკრულებაში დამატებით კიდევ ექსპლიციტურად იყო დაფიქსირებული, რაც ნიშნავს იმას, რომ 2018-2020 წლისათვის დარიცხული 16% პროცენტი, რომლის გადახდის გადაწევის შეთანხმებაც გაუქმდა სესხის გაუქმებასთან ერთად, ავტომატურად გახდა ამ გაუქმების მომენტისათვის ვადამოსული (სკ-ის 626 I მუხლი).

2. დანართი № 13 – ერთიანად გადახდის პირობის განსაზღვრა სკ-ის 325-ე მუხლის მიხედვით

რაც შეეხება დანართ № 13-ს: მოპასუხის მტკიცებით, ეს დანართი არ გამხდარა ხელშეკრულების ნაწილი, სტანდარტული პირობების ფორმით, და შესაბამისად პირობა (2.12)[21], რომლის მიხედვითაც, ბანკს ჰქონდა წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში სესხზე საშეღავათო პერიოდის განმავლობაში დარიცხული პროცენტების ერთიანად მოთხოვნის უფლება, ასევე არ იყო სამართლებრივი ძალის მქონე. მოპასუხის ამ მტკიცების პირველი ნაწილი სწორია, ხოლო მეორე არასწორი. დანართ № 13-ში დაფიქსირებული პირობები, სავარაუდოდ, მართლაც არ გახდა ხელშეკრულების თავდაპირველი შინაარსის ნაწილი სტანდარტული პირობების ფორმით, თუმცა ეს არ ცვლის იმას, რომ ის გახდა ხელშეკრულების ნაწილი ბანკის მიერ მისთვის ხელშეკრულებით მინიჭებული უფლების გამოყენების შედეგად, რომელიც, სკ-ის 325-ე მუხლის შესაბამისად, ითვალისწინებდა მეორე მხარის მიერ განსახორციელებელი შესრულების

[20] „ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტა არ ათავისუფლებს კლიენტს ხელშეკრულებით ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით ნაკისრი ან/და კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისაგან (მათ შორის, კრედიტის, საკრედიტო ხაზის, ოვერდრაფტის ან/და სხვა მსგავსი დავალიანების, დარიცხული საპროცენტო სარგებლის (მათ შორის, როგორც მიუღებელი სარგებლის), საკომისიოს, პირგასამტეხლოს, აგრეთვე ნებისმიერი სახის სხვა დავალიანების გადახდისაგან) ამგვარი ვალდებულების იძულებითი ან ნებაყოფლობითი შესრულების მომენტამდე.“

[21] „იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი სარგებლობს საშეღავათო პერიოდით საპროცენტო სარგებლის გადახდისთვის, აღნიშნული საშეღავათო პერიოდის განმავლობაში კრედიტის თანხაზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი გადანაწილდება კრედიტის დარჩენილ ვადაზე და კლიენტის მიერ გადაიხდება გრაფიკის შესაბამისად, სხვა გადასახდელებთან ერთად. ამასთან, კლიენტის მიერ კრედიტის ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ დაფარვის შემთხვევაში/დროს, იგი ვალდებულია სრულად დაფაროს, მათ შორის საშეღავათო პერიოდის განმავლობაში კრედიტის თანხაზე დარიცხული გადაუხდელი საპროცენტო სარგებელიც.''

დაკონკრეტების/განსაზღვრის შესაძლებლობას.

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ დანართი № 13-ის სკ-ის 325-ე მუხლის გაგებით განმარტება მხოლოდ სარეზერვო არგუმენტაციად შეიძლება გამოადგეს ბანკს, რადგან დარიცხული გრეის-პროცენტის ერთიანად გადახდის ვალდებულება წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში, როგორც წინა თავში იქნა ნახსენები, უკვე ისედაც ცალსახად არის დაფიქსირებული გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებაში და, გარდა ამისა, ეს თავისთავად გამომდინარეობს, წინსწრებით გადახდის ფორმით სესხის შეწყვეტის შეთანხმებიდან.

რაც შეეხება დანართ № 13-ს, ეს დანართი უნდა იქნეს გაგებული, როგორც ვალდებულების შესრულების მოდალიტეტის დაკონკრეტება სკ-ის 325-ე მუხლის მიხედვით – ვალდებულების პირობების განსაზღვრა. სწორედ ასეთ გრძელვადიან ურთიერთობებში, როგორიც არის, სესხი ან შრომითი ურთიერთობა, ყველაფერი წინასწარ გათვლილი ვერ იქნება. როგორც დამსაქმებელს აქვს უფლება მიუთითოს დასაქმებულს, თუ კონკრეტულად რა უნდა გააკეთოს მოცემულ მომენტში, ამ შემთხვევაშიც იგივე წესი მოქმედებს: ამ სესხის ყოველგვარი განმარტებიდან გამომდინარეობდა, რომ ეს პროცენტი უკვე 2018-2020 წლებში იყო დარიცხული და მისი გადახდის მოდუსის დაკონკრეტება მოხდა ბანკის მიერ ცალმხრივად, 325-ე მუხლის მიხედვით ნების გამოხატვის საფუძველზე. ამ დაკონკრეტების საფუძველს წარმოადგენდა გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების 9.5.2.2 პუნქტი, რომლის მიხედვითაც, ბანკს უფლება აქვს: „ ... ხელშეკრულების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე მოსთხოვოს კლიენტს ფინანსური ვალდებულებების ვადამდე შესრულება (მათ შორის, კრედიტის, საკრედიტო ხაზის, ოვერდრაფტის ან/და სხვა მსგავსი დავალიანების თანხის, მათზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის (მათ შორის, როგორც მიუღებელი სარგებლის), საკომისიოსა და პირგასამტეხლოს, აგრეთვე ნებისმიერი სხვა სახის დავალიანების ჩათვლით), რა შემთხვევაშიც ვალდებულების წინსწრებით შესრულების ან/და სხვა საფინანსო ორგანიზაციებიდან რეფინანსირებისათვის კლიენტს არ ეკისრება რაიმე დამატებითი გადასახდელის გადახდა.“ სწორედ ეს პირობა, რომელიც მოთავსებულია „ხელშეკრულების შეწყვეტის“ თავის ქვეშ და არა 10.2 პუნქტი და მისი ქვეპუნქტები (რომლებიც ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანას ეხება) არის დამატებითი სამართლებრივი საფუძველი ბანკის მიერ ამ თანხის მოთხოვნისათვის. სკ-ის 325-ე მუხლით გათვალისწინებული უფლების გამოყენება არ წარმოადგენს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანას, მის მოდიფიცირებას, არამედ მხოლოდ უკვე ზოგადად დადგენილი ვალდებულების დაკონკრეტებაა. ამიტომაც, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ფართოდ გაშლილი მსჯელობა, იყო თუ არა აქ სახეზე ბანკის მიერ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის წინაპირობები, სრულებით უსაგნოა – დანართი № 13 წარმოადგენდა მსესხებლის ვალდებულების დაკონკრეტებას და არა თავიდან დაწესებას და მისი საფუძველი იყო გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების 9.5.2.2 პუნქტი, რომლის წინაპირობებიც აქ ერთმნიშვნელოვნად სახეზეა.

VI. პირგასამტეხლოს გადახდა და პროცესუალური საკითხი

გამომდინარე იქიდან, რომ, როგორც ზემოთ აღინიშნა, წინსწრებით გადახდის გამო სესხის დასრულების შემთხვევაში, ძირი თანხისა და საკომისიოების გარდა, დაუყოვნებლივ ვადამოსული და გადასახდელი იყო ასევე გრეის-პროცენტები სრული ოდენობით და მსესხებელმა ისინი არ დაფარა, ეს წარმოადგენს ვალდებულების დარღვევას და მან უნდა გადაიხადოს ამისათვის შესაბამისი, ხელშეკრულებით გათვალისწინებული, პირგასამტეხლო.

რაც შეეხება პროცესუალურ მხარეს, ხელშეკრულების განმარტება არის არა ფაქტის, არამედ სამართლებრივი კვალიფიკაციის საკითხი. ყველა ის მითითება და მტკიცებულება, რომელიც საჭიროა ამ განმარტებისათვის საქმეში მოიპოვება და მხარეებს განხორციელებული აქვთ. პირველი ინსტანციის სასამართლომ თა-

ვად დაადგინა, რომ არსებობდა „გრეის-პერიოდი“, თუმცა არასწორი სამართლებრივი შინაარსი ჩადო მასში. პირველი ინსტანციის მიერ გაკეთებული მცდარი განმარტების შეცვლა თავისუფლად შეუძლია სააპელაციო სასამართლოს და ამისთვის არ საჭიროებს დამატებით ფაქტებზე მითითებას ან მტკიცებულების წარდგენას მხარეებისაგან.

ორი საკანონმდებლო ხარვეზი იჯარის მომწესრიგებელ ნორმებში

დავით მაისურაძე
თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მთავარი სპეციალისტი

I. შესავალი

წინამდებარე სტატია ეხება ორ საკანონმდებლო ხარვეზს, რომელიც სამოქალაქო კოდექსის სახელშეკრულებო სამართლის კერძო ნაწილის V თავშია მოცემული. ამ ორ ხარვეზს შორის რაიმე სხვა შინაარსობრივი კავშირი არ არსებობს, გარდა იმისა, რომ ორივე მათგანი იჯარის ხელშეკრულებას ეხება.

პირველი ხარვეზი სკ-ის 582-ე მუხლში 2011 წელს შეტანილ ცვლილებას უკავშირდება. მეორე ხარვეზი კი სკ-ის 583 III მუხლის არასწორმა სისტემურმა მდებარეობამ გამოიწვია და კოდექსის პირვანდელი რედაქციიდანვე არსებობს. სტატიაში შემოთავაზებულია საკანონმდებლო ცვლილებები ხარვეზების აღმოსაფხვრელად; ასევე ტელეოლოგიური განმარტებები, რომლებმაც, მათი სამოსამართლო პრაქტიკაში გაზიარების შემთხვევაში, შესაძლოა, ნაწილობრივ მაინც აირიდონ თავიდან საკანონმდებლო ხარვეზის უარყოფითი შედეგები.

II. სკ-ის 582-ე მუხლი: კანონი გაუთვალისწინებელი რისკისგან მხოლოდ მაშინ გიცავს, როცა რისკს წინასწარ გათვლი

სკ-ის 582-ე მუხლი იჯარის ხელშეკრულებისათვის აწესებს ათ წელზე მეტი ვადით დადებული ხელშეკრულების მოშლის შესაძლებლობას ათი წლის გასვლის შემდეგ სკ-ის 561-ე მუხლით დადგენილი წესით. შესაბამისად, ათი წლის გასვლის შემდეგ ორივე მხარეს აქვს უფლება, ყოველგვარი დამატებითი წინაპირობის გარეშე, სამთვიანი ვადის დაცვით მოშალოს საიჯარო ურთიერთობა. 2011 წელს სკ-ის 582-ე მუხლის ტექსტი საკანონმდებლო ცვლილების შედეგად შეიცვალა:

თავდაპირველი რედაქცია	2011 წლის ცვლილებების შემდეგ
მუხლი 582. ათ წელზე მეტი ვადით დადებული იჯარის ხელშეკრულების მოშლა *თუ იჯარის ხელშეკრულება იდება ათ წელზე მეტი ვადით, მაშინ ამ ვადის გასვლის შემდეგ თითოეულ მხარეს შეუძლია საიჯარო ურთიერთობა მოშალოს 561-ე მუხლით დადგენილ ვადაში.*	*მუხლი 582. ათ წელზე მეტი ვადით დადებული იჯარის ხელშეკრულების მოშლა* *თუ იჯარის ხელშეკრულება იდება ათ წელზე მეტი ვადით, მაშინ ათი წლის გასვლის შემდეგ თითოეულ მხარეს შეუძლია მოშალოს საიჯარო ურთიერთობა ამ კოდექსის 561-ე მუხლით დადგენილ ვადაში, თუ აღნიშნული პირობა გათვალისწინებულია იჯარის ხელშეკრულებით.*

მუხლის თავდაპირველი რედაქცია, რომელსაც აკლდა სიტყვები „თუ აღნიშნული პირობა გათვალისწინებულია იჯარის ხელშეკრულებით“, მზნად ისახავდა მხარეთა დაცვას შეუსაბამოდ ხანგრძლივი სახელშეკრულებო ბოჭვისაგან. თუმცა ეს მუხლი საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით ზედმეტი იყო, რადგან ქირავნობის ხელშეკრულებისთვის ანალოგიური შინაარსისა და სიტყვათწყობის ნორმას ადგენს სკ-ის 570-ე მუხლიც, რომელიც სკ-ის 581 II მუხლის ძალით იჯარაზეც გავრცელდებოდა. ამდენად, იდენტური ტექსტების განმეორებით კანონმდებელი ერთგვარად ხაზს უსვამდა ამ ნორმის და მისი მიზნის – შეუსაბამოდ ხანგრძლივი ბოჭვისაგან დაცვის – დიდ მნიშვნელობას საიჯარო ურთიერთობაში.

2011 წელს საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად მუხლის ტექსტს ბოლოში დაემატა პირობა: „თუ აღნიშნული პირობა გათვალისწინებულია იჯარის ხელშეკრულებით“. ამ ცვლილებამ გადაატრიალა ნორმის შინაარსი და კანონმდებლის მიზანი სრულიად გაუგებარი გახადა. თუ ნორმის სიტყვათწყობას გრამატიკულად შევხედავთ, იგი პრაქტიკულ აბსურდს გადმოგვცემს: თუ მხარეებმა ვერ გათვალეს, რომ ათი წლის შემდეგ მათი ინტერესები შეიძლება შეიცვალოს, მაშინ მათ კანონი მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიცავს, თუ მხარეებმა ეს რისკი წინასწარ გათვალეს.

თუ ნორმას სისტემურად შევხედავთ, აღმოჩნდება, რომ კანონმდებელმა ნორმის თავდაპირველი მიზანი სრულიად გაუმართლებლად 180°-ით შემოაბრუნა: სკ-ის 582-ე მუხლის ამჟამინდელი რედაქცია ადგენს ხანგრძლივი ბოჭვისაგან მხარეთა დამცავ ნორმას მხოლოდ მაშინ, როცა ეს ნორმა თავად მხარეებმა გაითვალისწინეს ხელშეკრულებით. მუხლი არ ამბობს, რა ხდება მაშინ, როცა ეს პირობა ხელშეკრულებით არაა გათვალისწინებული. ასეთ შემთხვევაში სკ-ის 570-ე მუხლის დანაწესი იჯარის ხელშეკრულებაზე ვერ გავრცელდება, რადგან სკ-ის 581 II მუხლი ქირავნობის წესების გამოყენებას მხოლოდ მაშინ უშვებს, როცა იჯარის წესებით სხვა რამ არაა გათვალისწინებული. ამდენად, მუხლის ამჟამინდელი რედაქცია სკ-ის 581 II და 570-ე მუხლებთან კომბინაციაში ისე იკითხება, რომ კანონმდებელი ცდილობს იჯარის ხელშეკრულების მხარეებს ქირავნობის ხელშეკრულებისაგან განსხვავებული პირობები დაუწესოს და არ დაიცვას შეუსაბამოდ ხანგრძლივი ბოჭვისაგან.

კანონმდებელს ასეთი მიზანი არ შეიძლება ჰქონდეს, რადგან შეუსაბამოდ ხანგრძლივი ბოჭვა, ზოგადად, ამორალურ დათქმად ითვლება და ბათილია სკ-ის 54-ე მუხლის საფუძველზე. ამის გამო, იჯარის ხელშეკრულების მხარეებს ხელშეკრულების მოშლის შესაძლებლობა მაინც ექნებათ. ეს ყველაფერი კი აზრს უკარგავს სკ-ის 582-ე მუხლის ამჟამინდელ რედაქციას. უმჯობესია, ეს მუხლი დაუბრუნდეს თავის თავდაპირველ რედაქცას ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, მთლიანად ამოღებულ იქნას სამოქალაქო კოდექსიდან.

III. სკ-ის 583-ე მუხლის III ნაწილი: ნორმის არასწორი სისტემური ადგილი

1. სიტყვასიტყვითი და ტელეოლოგიური შეუსაბამობა

სკ-ის 583-ე მუხლი აწესრიგებს იჯარის კერძო შემთხვევას, როდესაც მიწის ნაკვეთთან ერთად იჯარით გაიცემა ინვენტარიც. პირველი ნაწილი მოიჯარეს ავალდებულებს, მოუაროს და უპატრონოს ინვენტარს, ხოლო მეორე ნაწილი ინვენტარის შემთხვევით განადგურების რისკს მეიჯარეს უწესებს და ავალდებულებს მას, შეცვალოს ინვენტარის ის ნაწილი, რომელიც მოიჯარის ბრალის გარეშე გახდება გამოუსადეგარი. ამასთანავე, მეორე ნაწილი შეიცავს დათქმას, რომ პირუტყვის შემთხვევაში შეცვლის ეს ვალდებულება მოიჯარესა და მეიჯარეს შორის შებრუნებულია.

სკ-ის 583 III 1 აწესებს ამავე მუხლის II ნაწილის 1-ლი წინადადებით დადგენილი ვალდებულების შებრუნებულ ვალდებულებას. კერძოდ, თუ მე-2 ნაწილით ინვენტარის შემთხვევით დაღუპვის რისკი და მისი შეცვლის ვალდებულება მეიჯარეს ეკისრება, მე-3 ნაწილი ამავე ვალდებულებას მოიჯარეს აკისრებს, თანაც ისე, რომ ამ შებრუნებული სამართლებრივი შედეგისათ-

ვის რაიმე განსხვავებულ წინაპირობებს არ ასახელებს. ასეთი წინააღმდეგობრივი ჩანაწერი სრულიად უკარგავს აზრს მუხლის წინმდგომ ნაწილებს და კანონმდებლის ჩანაფიქრს გაუგებარს ხდის. სკ-ის 583-ე მუხლის II და III ნაწილების ჰარმონიული განმარტება შეუძლებელია როგორც ტელეოლოგიური, ისე სისტემური და გრამატიკული მეთოდებით.

სკ-ის 583-ე მუხლის III ნაწილის არსებობა კანონმდებლის შეცდომად უნდა ჩაითვალოს. ამ საკანონმდებლო ხარვეზის გამოსწორება კანონის ცვლილებამდე მხოლოდ სამოსამართლო სამართალშემოქმედების გზით არის შესაძლებელი. კანონმდებლის შეცდომა ცხადი ხდება, თუკი თვალს გადავავლებთ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის (გსკ) 582-ე და 582ა პარაგრაფებს.

მუხლი 583. მიწის იჯარა ინვენტართან ერთად *1. თუ მიწის ნაკვეთი იჯარით გაიცემა ინვენტართან ერთად, მაშინ მოიჯარე პასუხს აგებს ინვენტარის ყოველი ნაწილის მოვლა-პატრონობისათვის.* *2. მეიჯარე ვალდებულია გამოცვალოს ინვენტარის ის ნაწილები, რომლებიც გამოუსადეგარი გახდა მოიჯარისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. მოიჯარე მოვალეა შეავსოს ინვენტარს მიკუთვნებული პირუტყვის დანაკარგი, მიუხედავად მეურნეობის სწორი გაძღოლისა.* *3. <u>მოიჯარემ ინვენტარი ისეთ მდგომარეობაში უნდა იქონიოს და იჯარის დროის განმავლობაში იმ მოცულობით შეავსოს, რომელიც შეესაბამება მოწესრიგებულ მეურნეობას. მის მიერ შეძენილი ცალკეული ინვენტარი საერთო ინვენტართან შეერთებით მეიჯარის საკუთრებად იქცევა.</u>*	*პარაგრაფი 582. ტიპიური სახელშეკრულებო ვალდებულებები იჯარის ხელშეკრულების შემთხვევაში* *1. თუ მიწის ნაკვეთი იჯარით გადაეცემა ინვენტართან ერთად, მაშინ მოიჯარე პასუხს აგებს ინვენტარის ცალკეული ნაწილების მოვლა-პატრონობისათვის.* *2. მეიჯარე ვალდებულია, შეცვალოს ინვენტარის ის ნაწილები, რომლებიც დაიკარგა იმ გარემოებების შედეგად, რომელთა დადგომისათვისაც მოიჯარე პასუხს არ აგებს. თუმცა, მოიჯარე ვალდებულია, შეავსოს ინვენტარს მიკუთვნებული ცხოველების დანაკარგი იმდენად, რამდენადაც ეს შეესაბამება მეურნეობის სათანადო გაძღოლას.*
მუხლი 584. ინვენტარის შემთხვევით დაღუპვის რისკი *1. თუ მიწის ნაკვეთის მოიჯარე ინვენტარს მიიღებს შეფასებით და იკისრებს ვალდებულებას, იჯარის ხელშეკრულების დამთავრებისას შეფასებითვე დააბრუნოს უკან, მაშინ მას ეკისრება შემთხვევით დაღუპვისა და გაფუჭების რისკი. მეურნეობის სწორი გაძღოლის ფარგლებში მას შეუძლია ინვენტარის ცალკეული ნაწილების განკარგვა.* *2. იჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლისას მოიჯარემ უნდა დაუბრუნოს მეიჯარეს ინვენტარი. მეიჯარეს შეუძლია უარი თქვას მოიჯარის მიერ შეძენილი ინვენტარის მიღებაზე,*	*§ 582ა. ინვენტარის მიღება შეფასებითი ღირებულებით* *1. თუ მიწის ნაკვეთის მოიჯარე ინვენტარს მიიღებს შეფასებითი ღირებულებით იმ ვალდებულების კისრებით, რომ საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტისას შეფასებითვე უკან დააბრუნებს მას, მაშინ შემთხვევით დაღუპვისა და შემთხვევით გაუარესების რისკი ეკისრება მას. მეურნეობის სათანადო გაძღოლის ფარგლებში მოიჯარეს შეუძლია ინვენტარის ცალკეული ნაწილების განკარგვა.* *2. <u>მოიჯარემ ინვენტარი უნდა შეინახოს ისეთ მდგომარეობაში და იჯარის დროის განმავლობაში იმ მოცულობით შეცვალოს, რომე-</u>*

თუ იგი მიწის ნაკვეთზე სწორი მეურნეობის გაძღოლისათვის ზედმეტია ან მეტად ძვირია; უარის თქმასთან ერთად მიუღებელ ინვენტარზე საკუთრების უფლება გადადის მოიჯარეზე. თუკი არსებობს სხვაობა მიღებული და დაბრუნებული ინვენტარის შეფასებებს შორის, ეს სხვაობა ფულით უნდა ანაზღაურდეს. შეფასებას საფუძვლად უნდა დაედოს ის ფასები, რომლებიც მოქმედებდა იჯარის ხელშეკრულების დასრულების მომენტისათვის.	*<u>ლიც შეესაბამება მეურნეობის სათნადო გაძღოლის წესებს. მის მიერ შეძენილი ცალკეული ნაწილები ინვენტარის შემადგენლობაში შეტანით ხდება მეიჯარის საკუთრება.</u>* *3. საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტისას მოიჯარემ მეიჯარეს უნდა დაუბრუნოს სახეზე არსებული ინვენტარი. მეიჯარეს შეუძლია უარი თქვას მოიჯარის მიერ შეძენილი ინვენტარის ნაწილების მიღებაზე, თუ იგი მიწის ნაკვეთზე მეურნეობის სათანადო გაძღოლისათვის ზედმეტია ან მეტად ძვირადღირებულია; უარის თქმასთან ერთად მიუღებელი ინვენტარის ნაწილებზე საკუთრების უფლება გადადის მოიჯარეზე. თუ არსებობს სხვაობა მიღებული და დაბრუნებული ინვენტარის საერთო შეფასებით ღირებულებებს შორის, მაშინ იგი უნდა ანაზღაურდეს ფულით. შეფასებით ღირებულებებს საფუძვლად უნდა დაედოს ის ფასები, რომლებიც მოქმედებს საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტის მომენტში.*

კერძოდ, გსკ-ის 582-ე პარაგრაფის ტექსტი ზუსტად ემთხვევა სკ-ის 583-ე მუხლის ტექსტს იმ ერთადერთი სხვაობით, რომ შესაბამის გერმანულ პარაგრაფს III ნაწილი საერთოდ არ აქვს. სამაგიეროდ, სკ-ის 583-ე მუხლის III ნაწილის ტექსტი ზუსტად ემთხვევა II ნაწილს გსკ-ის 585ა პარაგრაფისა, რომელიც შეფასებითი ღირებულებით ინვენტარის მიღებას აწესრიგებს და სკ-ის 584-ე მუხლს შეესაბამება. ამდენად, ქართველმა კანონმდებელმა ის ნორმა, რომელიც შინაარსობრივადაც და სისტემურადაც სკ-ის 584-ე მუხლის ნაწილი უნდა ყოფილიყო, გაუგებარი მიზეზების გამო სკ-ის 583-ე მუხლს მიაწერა. სავარაუდოდ, ამის მიზეზი იყო ის, რომ ქართველმა კანონმდებელმა სწორად ვერ გაიაზრა სკ-ის 584-ე მუხლით მოწესრიგებული შემთხვევის კერძო ხასიათი და იგი იჯარის ხელშეკრულების ზოგად დანაწესად აღიქვა, რაც ამ მუხლის სათაურშიც გამოიხატა. კერძოდ, სკ-ის 584-ე მუხლის სათაური ქმნის არასწორ შთაბეჭდილებას, რომ იგი ეხება იჯარის ხელშეკრულებისათვის ზოგად წესს მხარეთა შორის ინვენტარის შემთხვევით დაღუპვის რისკის განაწილების თაობაზე. სინამდვილეში, მუხლის მხოლოდ პირველი ნაწილი ეხება ამ რისკის განაწილებას და თანაც იძლევა არა ზოგად წესს იჯარის ხელშეკრულებისათვის, არამედ ეხება მხოლოდ იჯარის იმ კერძო შემთხვევას, როდესაც ინვენტარი შეფასებითი ღირებულებით გაიცემა. სწორედ ინვენტარის შეფასებით გაცემის შემთხვევების მოწესრიგება არის ამ მუხლის მთავარი მიზანიც, ამიტომ უმჯობესი იქნებოდა, ეს სათაურშიც ასახულიყო (შდრ. შესაბამისი გერმანული პარაგრაფის სათაური).

2. სკ-ის 583-ე მუხლის III ნაწილის ინტეგრირება სკ-ის 584-ე მუხლში

ამრიგად, სკ-ის 583 III მუხლის ერთადერთი სწორი განმარტება შესაძლებელია მისი ამჟამინდელი სისტემური ადგილის უგულებელყოფით და მისი დანაწესის გავრცელებით სკ-ის 584-ე მუხლით მოწესრიგებულ სფეროზე.

სკ-ის 584-ე მუხლი აწესრიგებს იჯარის კერძო შემთხვევას, როდესაც მიწის ნაკვეთის მოიჯარე ინვენტარს იღებს შეფასებით და კისრულობს ვალდებუებას, იჯარის ხელშეკრულების დამთავრებისას შეფასებითვე დაუბრუნოს ინვენტარი მეიჯარეს. პირველი ნაწილი ასეთი ხელშეკრულების ფარგლებში ინვენტარის შემთხ-

ვევით დაღუპვის ან გაფუჭების რისკს აკისრებს მოიჯარეს. მეორე ნაწილი კი ეხება იჯარის ხელშეკრულების დამთავრებისას ინვენტარის უკან დაბრუნების წესებს. მოქმედი რედაქციით სკ-ის 584-ე მუხლი ხარვეზაიანია, მას აკლია ნორმა, რომელიც მოაწესრიგებდა ამ ტიპის იჯარის ხელშეკრულების განმავლობაში ინვენტარის მოვლა-პატრონობისა და დანაკარგის შევსების წესებს. სწორედ ამ საკითხს ეხება სკ-ის 583 III მუხლი, რომელიც უნდა გადმონაცვლდეს და სისტემურად ინტეგრირდეს სკ-ის 584-ე მუხლში. ამ ხარვეზის გასწორების შემდეგ შეიკვრება ლოგიკური კავშირი სკ-ის 584 I და 583 III მუხლების ჩანაწერებს შორის: ინვენტარის შემთხვევით დაღუპვის რისკის მოიჯარეზე დაკისრება ლოგიკურად ნიშნავს იმას, რომ მოიჯარეა ვალდებული, მოუაროს ინვენტარს და მისი შემთხვევით დაღუპული ან გაფუჭებული ნაწილები შეცვალოს.

სკ-ის 583 III 1 მუხლით გათვალისწინებული შენახვისა და შევსების ვალდებულება უფრო ფართოა, ვიდრე სკ-ის 583 I და II მუხლების მოვლა-პატრონობისა და შევსების ვალდებულებები. იგი მოიცავს არა მხოლოდ მეურნეობის სწორი გაძღოლის შედეგად დაზიანებული ან გაფუჭებული ინვენტარის შეკეთებასა და შეცვლას, არამედ მოიჯარისგან იგი ითხოვს ინვენტარის მოწესრიგებული მეურნეობისათვის სათანადო მდგომარეობაში ყოფნის უზრუნველყოფას მთელი იჯარის დროის განმავლობაში. ეს ნიშნავს იმას, რომ მოიჯარემ უნდა შეაკეთოს ის ინვენტარიც, რომელიც მას უკვე დაზიანებულ მდგომარეობაში გადაეცა. ასეთ შემთხვევაში, მეიჯარე პასუხს არ აგებს საწყისი ნაკლისათვის, არამედ იჯარის ვადის გასვლის შემდეგ მოხდება გათანაბრება სკ-ის 584 II მუხლის წესებით.[1]

IV. დასკვნები

[1] 2011 წელს სკ-ის 582-ე მუხლის ტექსტში შეტანილი ცვლილება, რომელმაც დაცულ ინტერესთა მდგომარეობა ნორმის მიზნის გაუაზრებლად სრულიად შემოატრიალა, იყო არამიზანშეწონილი. ამ ხარვეზის უარყოფითი შედეგების აცილება მოქმედი რედაქციის განმარტების გზით შეუძლებელია.

[2] სკ-ის 582-ე მუხლი, უმჯობესია, დაუბრუნდეს თავდაპირველ რედაქციას; ე.ი. ამოშლილ უნდა იქნას მისი ბოლო სიტყვები: „თუ აღნიშნული პირობა გათვალისწინებულია იჯარის ხელშეკრულებით.“ ალტერნატიული გამოსავალი: სკ-ის 582-ე მუხლი ამოღებულ იქნას კოდექსიდან, რაც იჯარის ხელშეკრულებაზე სკ-ის 570-ე მუხლის (სკ-ის 581 II მუხლის გავლით) გავრცელების საშუალებას იძლევა.

[3] სკ-ის 583-ე მუხლის III ნაწილი არასწორ სისტემურ ადგილასაა განთავსებული. მისი შინაარსიდან გამომდინარე, იგი სკ-ის 584-ე მუხლის ნაწილი უნდა იყოს. არასწორ ადგილას ამ ნორმის განთავსება იწვევს წინააღმდეგობრიობებს კანონის ტექსტში.

[4] ამ ხარვეზის აღმოფხვრა შესაძლებელია მხოლოდ ტელეოლოგიური განმარტებით და ნორმის სისტემური ადგილის სრული უგულებელყოფით. ალტერნატიული და უფრო გამართლებული გზა არის საკანონმდებლო ცვლილება, რომლითაც სკ-ის 583-ე მუხლის III ნაწილი ამოიშლება და მისი ტექსტი დაემატება სკ-ის 584-ე მუხლს III ნაწილში.

[1] *Harke,* in MüKo BGB Kommentar, 8. Aufl. 2020, BGB § 582a, Rn. 3

5G ტექნოლოგიების სამართლებრივი რეგულირების ზოგიერთი ასპექტი

პროფ. დოქ. ზვიად გაბისონია
ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის პროფესორი

1. მობილური ინტერნეტი და მობილური აპლიკაციები

მობილური ტელეფონების ევოლუციამ დასაბამი მისცა ახალი, მობილური აპლიკაციების წარმოშობასა და განვითარებას, რასაც მოჰყვა თავად მობილური ტელეფონების სწრაფი გაქრობა და მისი სმარტფონებით ჩანაცვლება მოჰყვა. ამას საფუძველი ჩაუყარა დღეისათვის მსოფლიო გიგანტმა – „ეფლმა“ (Apple Inc.)[1]. კომპიუტერების მწარმოებელმა კომპანიამ, რომელიც ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 90-იან წლებში არც თუ ძლიერად იყო ბაზარზე წარმოდგენილი. სტივ ჯობსის[2] ხელმძღვანელობით მისმა გუნდმა შეძლო წარმოუდგენელი შედეგების მიღწევა – დაიწყო ტექნოლოგიების ახალი ერა – სმარტფონების და მობილური აპლიკაციების წარმოების ერა.

სმარტფონებში მობილური აპლიკაციების გამოყენებისათვის აუცილებელი გახდა მობილური ინტერნეტის გამოყენება. სახლისა და ოფისის პირობებში ფიქსირებული ინტერნეტის ე.წ. „ვაიფაი“ (WiFi) სისტემის გამოყენების პარალელურად მობილურმა ოპერატორებმა განავითარეს მობილური ინტერნეტი, რომელიც განვითარებისა და ინტერნეტის სისწრაფის მიხედვით თაობებად – „გენერაციებად“ (Generation (G) დაიყო. ერთმანეთის მიყოლების ბოლო 30 წლის მანძილზე მობილურმა ინტერნეტმა რამდენიმე თაობა გაიარა – 1G, 2G, 3G, 4G და ვუახლოვდებით სრულიად ახალ და, როგორც სპეციალისტები მიუთითებენ, რამდენიმე საფეხურიან ნახტომს ინტერნეტის ისტორიაში – 5G-ს.

მობილური ინტერნეტის პირველი (1G) და მეორე (2G) თაობები დაკავშირებული იყო უსადენო ტელეფონების ფუნქციონირებასთან და მოგვიანებით, მე-20 საუკუნის 90-იან წლებში მობილურ (ფიჭურ) კავშირგაბმულობასთან და ხელს უწყობდა უსადენო მობილური კავშირის ხარისხის შენარჩუნებას.

მას შემდეგ, რაც მობილური ტელეფონების თაობა სმარტფონების თაობამ ჩაანაცვლა, მობილურ ტელეფონებთან ერთად 1G და 2G ინტერნეტიც წარსულს ჩაბარდა. დღის წესრიგში დადგა, ახალი, მე-3 თაობის მობილური ინტერნეტის განვითარების აუცილებლობა, რომელიც უკვე სმარტფონების ერის დასაწყისისთვის აუცილებელი ინტერნეტ მხარდამჭერი იქნებოდა. შესაბამისად, დღეს არსებული მობილური ინტერნეტის თაობებიდან ყველაზე ძველია 3G ტექნოლოგია, რომელიც, უკვე 20 წელზე მეტია, არსებობს სხვა, უფრო თანამედროვე ტიპის ტექნოლოგიების პარალელურად. აქ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ 3G ტექნოლოგია მიუხედავად სიძველისა, დღემდე არსებობს და ფარავს ისეთ არეალებს, სადაც ჯერ უფრო ახალი თაობა განვითარებული არ არის.

3G ტექნოლოგიას 2008 წლიდან დაემატა უფრო ახალი, მე-4 თაობის მობილური ინტერნეტი, რომელიც 4G სახელითაა ცნობილი. ამ თაობამ უფრო სწრაფი გახადა მობილური ინტერნეტის სიჩქარე და მობილური აპლიკაციების გადმოწერის სისწრაფეც. შედარებისათვის,

[1] იხ. www.apple.com (ბოლო ნახვის თარიღი 31.07.2022).

[2] იხ. სტივ ჯობსი, ბიზნესის გენია, ტ. 1, დოლიძე, ნათია (შემდგ.); დეკანოსიძე, ნინო (რედ.), თბ. 2013.

თუ 3G ტექნოლოგიის გამოყენებისას მხოლოდ ტექსტური შეტყობინებებისა და ინტერნეტ ბრაუზერებში შესვლის მეშვეობით ვებ გვერდების დათვალიერება შეიძლებოდა, 4G ტექნოლოგიამ შესაძლებელი გახადა სმარტფონებში ვიდეო ზარების განხორციელება და ინტერნეტიდან ფილმების ჩამოტვირთვა[3]. მოგვიანებით 4G ტექნოლოგია უფრო დაიხვეწა და მას დაემატა უფრო ახალი ტექნოლოგია – LTE (Long Term Evolution).

უნდა აღინიშნოს, რომ, ამ მხრივ, საქართველო საკმაოდ მაღალ პოზიციებს იკავებს მსოფლიოს ქვეყნებს შორის. ექსპერტები აღიარებენ, რომ მობილური ინტერნეტის სიჩქარე ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონიდან გამომდინარე მაღალია და აღმოსავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანასაც უსწრებს ინტერნეტ ინფრასტრუქტურის განვითარების დონით. გარდა ამისა, ინტერნეტის ფასების მხრივაც, საქართველო, როგორც ფიქსირებული, ისე მობილური ინტერნეტის ფასების მხრივ, საკმაოდ შთამბეჭდავად გამოიყურება[4].

მობილურ ინტერნეტთან ერთად ახალი თაობის ინტერნეტის განვითარებამ საფუძველი ჩაუყარა ბიზნესის ახალ მიმართულებას – მობილური აპლიკაციების განვითარებას. დღეს ფაქტობრივად ონლაინ ვაჭრობაზე, ონლაინ გასართობ თამაშებსა და ონლაინ სამორინეებზე ორიენტირებულ ყველა კომპანიას, ასევე კომერციულ ბანკებს, სადაზღვევო კომპანიებს, სახელმწიფო ინსტიტუციებს და ა.შ. მობილური აპლიკაცია აქვთ. აპლიკაციების დიდი ნაწილი უფასოა. მობილური აპლიკაციები გააჩნია სოციალური მედიის წარმომადგენლებს, სოციალურ ქსელებს. გადაუჭარბებლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათ ჩვენი ცხოვრების პრაქტიკულად ყველა სფეროში შემოაღწიეს.

მობილური ინტერნეტის და მობილური აპლიკაციების განვითარება დღის წესრიგში აყენებს ახალი თაობის ტექნოლოგიების განვითარების საჭიროებას, რასაც დღევანდელი მობილური ინტერნეტის სიჩქარე აღარ დააკმაყოფილებს. სწორედ ამიტომ მეცნიერებმა დაიწყეს სრულიად ახალი, თვისობრივად რამდენიმე საფეხურით განვითარებული მობილური ინტერნეტის მე-5 თაობის – 5G განვითარება.

2. 5G ტექნოლოგიების განვითარების პერსპექტივები

5G წარმოადგენს უსადენო კავშირის ტექნოლოგიის მე-5 თაობას, რომელსაც სმარტფონები და სხვა მობილური მოწყობილობები ინტერნეტ კავშირისთვის იყენებენ. მისი წინამორბედი 4G LTE და 3G ქსელების მსგავსად იგი რადიოტალღების საშუალებით ვრცელდება, რომლებიც ადამიანისთვის უსაფრთხო ელექტრომაგნიტურ სპექტრს არ აღემატება.

5G ინტერნეტი, პირველ რიგში, იქნება მობილური ინტერნეტის გაცილებით მაღალი სიჩქარე, დაახლოებით 10-20-ჯერ უფრო სწრაფი, ვიდრე არსებული 4G. მაგალითისთვის 4G LTE Advance ტექნოლოგიით მიღებული რეალური სიჩქარე ატვირთვისთვის 25 მბ/წმ-ია, ხოლო ჩამოტვირთვისთვის 42 მბ/წმ; ტექნიკური კუთხით, 5G ძირითადი უპირატესობებია ქსელის უფრო მაღალი გამტარუნარიანობა, რაც უზრუნველყოფს დროის შუალედში უფრო მეტი მოწყობილობის დაკავშირებას (connected device), რადიოსიხშირული სპექტრის უფრო ოპტიმალურ გამოყენებასა და ბევრად სტაბილურ და უწყვეტ კავშირს ქსელთან.

ზემოთ აღნიშნული ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა, შეიქმნას ტექნოლოგიური ბაზისი მომავლის სერვისებისთვის. ქსელის არქიტექტურის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელი ხდება მომსახურების შეთავაზება როგორც დიდ რეგიონზე (macro cell), ასევე სპეცი-

[3] იხ. https://www.youtube.com/watch?v=abicmiS97jw (ბოლო ნახვის თარიღი 31.07.2022).

[4] მაგალითად, კვლევების მიხედვით, საქართველოს, ფიქსირებული სადენიანი ინტერნეტის ფასის სიიაფის მიხედვით, განხილულ 169 ქვეყანას შორის 21-ე პოზიცია უკავია (თუ ფასს აშშ დოლარში გამოვსახავთ, ხოლო 33-ე პოზიცია, თუ პაკეტის ფასში გავითვალისწინებთ ეროვნული ვალუტის მსყიდველობით უნარს PPP$), ხოლო მობილური ინტერნეტის ფასის სიიაფის მიხედვით, განხილულ 129 ქვეყანას შორის მე-14 პოზიცია (თუ ფასს აშშ დოლარში გამოვსახავთ, ხოლო მე-13 პოზიცია, თუ პაკეტის ფასში გავითვალისწინებთ ეროვნული ვალუტის მსყიდველობით უნარს PPP$) იხ. https://www.gncc.ge/uploads/other/0/897.pdf (ბოლო ნახვის თარიღი 31.07.2022).

ფიური ლოკალური და მცირე ტერიტორიულ მასშტაბზე გათვლილი მომსახურების (micro cell) გაშვება. სწორედ ამ უპირატესობების და თავისებურებების გამო არის აღნიშნული ტექნოლოგია მიჩნეული ინდუსტრიული „რევოლუციის" განვითარების მთავარ ქვაკუთხედად. მობილური ტექნოლოგიების წინა თაობები უზრუნველყოფდა ე.წ. „ადამიანურ კომუნიკაციას" ხმოვანი, სმს და ინტერნეტ სერვისების მეშვეობით. 5G, თავის მხრივ, მიზნად ისახავს „ინდუსტრიული კომუნიკაციის" განვითარებას, რათა ხელი შეუწყოს ეკონომიკის გაციფრულებას და გლობალურ ციფრულ ტრანსფორმაციას. ტრანსპორტირების, მედიის და წარმოების დარგები ამ ტექნოლოგიის წამყვანი მომხმარებლები უნდა გახდნენ.

როგორც ზოგიერთი სპეციალისტი მიუთითებს, 5G არაა მხოლოდ ახალი ტექნოლოგია, ესაა ფილოსოფიური ცვლილება, რევოლუცია ცხოვრების ყველა სფეროში. მარტივად რომ ავხსნათ, მეხუთე თაობის უსადენო ინტერნეტი არის ბევრი სხვადასხვა ტექნოლოგიის ისე გამოყენება, რომ ჯამში მივიღოთ ძალიან მძლავრი ქსელი, რომელიც დიდ და მუდმივად მზარდ მოთხოვნებს დააკმაყოფილებს. 5G გასაღებია IoT-ისთვის[5] (Internet of Things – საგნების ინტერნეტი). მოვლენათა ინტერნეტი – ესაა ყველა და ყველაფერი, რაც ინტერნეტში იქნება ჩართული: ტელევიზორები, სარეცხი მანქანები, ჭკვიანი ტელეფონები და გარდა ამისა, ადამიანებისთვის ფართოდ ხელმისაწვდომი გახდება მძღოლის გარეშე მოსიარულე ჭკვიანი მანქანები; 5G-ს გამოყენებით ბიზნესი ბევრად ეფექტიანი იქნება, ვიდრე დღესაა და ასევე აღმოცენდება თვისებრივად ახალი ბიზნესები[6].

ამიტომ გასაკვირი არაა, რომ აღნიშნული ტექნოლოგიების დანერგვის დომინირებაზე 2019 წლიდან მაღალტექნოლოგიურ ქვეყნებს შორის გააფთრებული დაპირისპირება დაიწყო. აშშ-ის პრეზიდენტმა ტრამპმა, ჩინურ ტექნოლოგიურ გიგანტზე, „ჰუავეიზე", განაცხადა, რომ მათ მიერ შემუშავებული 5G ტექნოლოგიებზე დამყარებული აპარატურა შეიცავს პირადი ინფორმაციისა და სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციების საკუთარ ბაზებში აკუმულირების შესაძლებლობას, რითიც აშშ-ის უსაფრთხოებას უფრო მოწყვლადს გახდის. ამ განცხადებით აშშ შეეცადა დომინირებული მდგომარეობა მოეპოვებინა ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა იაპონია, ინდოეთი, მექსიკა და ზოგიერთი ევროპული ქვეყანა[7]. ასევე, აშშ დამატებით შეღავათებს დაჰპირდა იმ ტექნოლოგიურ კომპანიებს, რომლებიც 5G ინტერნეტზე აწყობილი ტექნოლოგიების დანერგვას შეეცდება.

თავის მხრივ, ჩინეთიც ცდილობს უპირატესობა მოიპოვოს არა მხოლოდ აზიურ ბაზარზე, არამედ, ევროპასა და აშშ-შიც კი. 2019 წელს ჩინეთს 5G ტექნოლოგიის დანერგვით მოწინავე პოზიცია ეკავა. 2020 წლისთვის ქვეყანას კიდევ უფრო მასშტაბური გეგმები ჰქონდა, თუმცა პანდემიამ ეს გეგმები შეაფერხა. ჩინეთის მთავრობის სურვილია ულტრასწრაფმა ინტერნეტ ქსელმა 2022 წელს ქვეყნის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი დაფაროს. 5G ქსელი ჩინეთის 293 საქალაქო ოლქში უნდა ამუშავდეს. ამ დროისათვის ულტრასწრაფი ინტერნეტ ქსელი ჩინეთის 50 ქალაქს ფარავს. ქვეყანაში მოქმედებს 126 ათასი საბაზო სადგური. ჩინეთის სამივე უდიდესი მობილური ოპერატორი: China Unicom, China Telecom და China Mobile მომხმარებელს მეხუთე თაობის მობილურ ინტერნეტს ნოემბრის დასაწყისიდან აწვდის. ჩინეთის მთავრობამ მობილური ოპერატორებისგან მომდევნო წელს 5G-ს ტარიფების შემცირება მოითხოვა.

ჩინეთის ამბიციები უფრო შორსაც მიდის. 5G-ს დანერგვის პარალელურად ჩინეთში მომ-

[5] IoT (Internet of Things) – „ჭკვიანი საგნების" ინტერნეტი – გულისხმობს მოწყობილობებსა და სენსორებს შორის მონაცემების ურთიერთმიმოცვლის სისტემებს. მათი პრაქტიკული გამოყენება შეიძლება შეგვხდეს ისეთ დარგებში, როგორებიცაა უსაფრთხოება, ენერგიის მართვა, სოფლის მეურნეობა, ჭკვიანი ქალაქი, ჭკვიანი სახლი, ჯანმრთელობა, გაზომვები, ტრანსპორტი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების კვლევა. იხ. https://gtu.ge/Journals/mas/Referat/ASU-2019(1_28)/123_130.pdf (ბოლო ნახვის თარიღი 31.07.2022).

[6] იხ. https://forbes.ge/news/4216/5G-da-saqarTvelo (ბოლო ნახვის თარიღი 31.07.2022).

[7] იხ. https://popx.ge/article/4225-ashsh-da-chineti-5g-sperosh i-dominirebistvis-ibrdzvian (ბოლო ნახვის თარიღი 31.07.2022).

დევნო თაობის ქსელის, 6G-ს შექმნას ცდილობენ. ჩინეთის მეცნიერების და ტექნოლოგიის სამინისტროს დავალებით ამ პროექტზე ორი სამეცნიერო ჯგუფი მუშაობს.

თავის მხრივ, 5G ტექნოლოგიების განვითარებას ცდილობს ევროპაც. ევროპისთვის 5G-ს კომერციული გაშვება დიდი გამოწვევაა, რადგან დროული და სწორი მოდელით პროექტის ამუშავება დიდ სტრატეგიულ უპირატესობას მოუტანს ევროპას მსოფლიო ბაზარზე, როგორც ინოვაციის კუთხით, ასევე შემოსავლების ხრივაც. აღნიშნული პროექტი ასევე მნიშვნელოვანია ევროპული ერთიანი ბაზრის ჩამოყალიბებისა და მდგრადობის თვალსაზრისით. ბოლო ათწლეულია ევროკავშირი აქტიურად არის ჩართული ამ მიმართულებით და ეტაპობრივად ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს. ევროკომისიის და ევროპის ICT ინდუსტრიის ერთობლივი ინიციატივით ჯერ კიდევ 2013 წელს შეიქმნა „5G ინფრასტრუქტურის საჯარო და კერძო პარტნიორობის“ ჯგუფი (5GPPP), 1,4 მილიარდი ევროს საჯარო დაფინანსებით, რომლის ძირითადი მიზანი იყო 2020 წლისთვის 5G ევროპაში ხელმისაწვდომი გაეხადა[8]. თუმცა, ამ გეგმის რეალიზებაც კოვიდ პანდემიის გამო დროებით გადაიდო.

5G-PPP მიმდინარე ამოცანაა 5G ინფრასტრუქტურის სტანდარტების განსაზღვრა და ახალი თაობის საკომუნიკაციო ქსელების და სერვისების შექმნა. ასევე, 5G ქსელის რეალიზაციის პროექტის ფარგლებში „ევროპის ელექტრონული კომუნიკაციების კოდექსში“ (European Electronic Communications Code) განისაზღვრება ევროპაში სატელეკომუნიკაციო სექტორის რეგულირების განახლებული წესები და მიზნები, რომელმაც უნდა უპასუხოს თანამედროვე გამოწვევებს. კოდექსის ფარგლებში რეგულირდება 5G ქსელისთვის საჭირო რადიოსიხშირული სპექტრის გამოყოფის წესი, ინვესტირების წახალისების გზები და სასურველი ჩარჩო-პირობების განსაზღვრის წესი.

ამავე პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს გლობალური ფორუმები 5G-სთან დაკავშირებული იდეების, კონცეფციების და გადაწყვეტილებების ჩამოყალიბებისთვის. 5G-PPP-ს მიღწევები მოიცავს:

– სტანდარტების ჩამოყალიბებას და 300-ზე მეტი ტექნიკური სიახლის დანერგვას;

– 100-ზე მეტ სატესტო პოლიგონზე 5G სისტემის ამუშავებას;

– საერთაშორისო მასშტაბით 6 ურთიერთგაგების მემორანდუმის გაფორმებას 5G სტანდარტიზაციისთვის: ამერიკასთან, ჩინეთთან, იაპონიასთან, სამხრეთ კორეასთან, ბრაზილიასა და ინდოეთთან;

– უნიკალური ეკოსისტემის შექმნას, რომელიც აერთიანებს მულტინაციონალურ ინდუსტრიებს, მცირე და საშუალო საწარმოებს, კვლევით ცენტრებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებს/აკადემიას;

– დღეისათვის 5G ინტერნეტის განვითარებას აქტიურად ცდილობს შვეიცარია, გერმანია და დიდი ბრიტანეთი.

ევროპაში 5G ერთ-ერთი პირველი კომერციული ქსელი შვეიცარიაში გაეშვა 2019 წლის აპრილში, „Swisscom-ის“ (ოპერატორი) და „Ericsson-ის“ თანამშრომლობის შედეგად. ქსელი ფარავს ყველა ძირითად დასახლებულ პუნქტს. ამ ეტაპზე 5G-ს სარგებელი აქცენტირებულია სოფლის მეურნეობის ეფექტიანობის გაზრდაში, სატრანსპორტო საშუალებების ავტონომიურ მართვაში, სწრაფ და უხარვეზო ონლაინ ვიდეო სტრიმინგში, ვირტუალური რეალობის პროექტირებაში და „გეიმინგში“ (სათამაშო ბიზნესში).

გერმანიაში 5G ტექნოლოგიების დანერგვის ერთ-ერთი პირველი მაგალითია ჰამბურგის პორტის პროექტი: ჩართული მხარეებია ჰამბურგის პორტის მმართველობა, „დოიჩე ტელეკომი“ და „ნოკია“. 5G ტექნოლოგიის საშუალებით გაშვებული სერვისებია სენსორები გემებზე, ერთიან ქსელთან დაკავშირებული შუქნიშნები და მონაცემთა გადამცემი სათვალეები ინჟინრებისთვის.

პროექტის ფარგლებში ექსპერტებისთვის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს

[8] იხ. https://www.gncc.ge/uploads/other/3/3939.pdf (ბოლო ნახვის თარიღი 31.07.2022).

დაკვირვება, შეუძლია თუ არა კომპლექსურ მობილურ აპლიკაციებს საიმედო და მდგრადი მუშაობა ერთიან ქსელში.

დიდ ბრიტანეთში 5G ესტაფეტას სათავეში ჩაუდგა ორი ოპერატორი – Vodafone და O2. ისინი ახორციელებენ რამდენიმე სატესტო პროექტს, რომლის პარალელურად აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა 5G ქსელის გაფართოებაზე მთელი ქვეყნის მასშტაბით.

Vodafone-ის მიერ უზრუნველყოფილი 5G ქსელი ემსახურება გლაზგოს უნივერსიტეტს, რომელიც გეგმავს ამ ტექნოლოგიის საშუალებით სხვადასხვა კვლევის ჩატარებას ჯანდაცვის, ენერგეტიკისა და მომავლის ქალაქების მოდელირების პროექტებში. O2-ს მიერ 5G სატესტო პროექტები მიმდინარეობს O2 Arena-ზე, სადაც მომხმარებლებს შესაძლებლობა ექნებათ, მონაწილეობა მიიღონ ვირტუალური და აუგმენტური რეალობის, ე.წ. ლაივ სთრიმინგის დემონსტრირებაში[9].

5G ინტერნეტის განვითარებაზე ლიცენზიები გაცემულია ევროპის ქვეყნების დიდ ნაწილში: ფინეთში, შვედეთში, საფრანგეთში, იტალიაში, გერმანიაში, შვეიცარიაში, დიდ ბრიტანეთში, ესპანეთსა და ნორვეგიაში.

5G ტექნოლოგიების დანერგვას, მომხრეებთან ერთად მოწინააღმდეგეებიც გამოუჩნდა. მოწინააღმდეგეთა ძირითადი არგუმენტი ემყარება შიშს, რომ 5G ინტერნეტს აქვს განსაკუთრებით მაღალი სიხშირული გამოსხივება და რომ ეს ტექნოლოგია ჯანმრთელობისთვის საზიანოა. გამოითქვა უამრავი მოსაზრება – შეუძლია თუ არა ამ ტექნოლოგიას დააზიანოს ადამიანი, ორგანიზმში წარმოშვას სხვადასხვა დაავადება და ა.შ. უფრო მეტიც, ზოგიერთმა სკეპტიკოსმა 5G ინტერნეტის დანერგვა კორონავირუსის (Covid 19) პანდემიის წარმოშობის საფუძვლადაც კი ჩათვალა.

ეს ნეგატიური კამპანია იმ დონემდეც კი მივიდა, რომ ზოგიერთ ქვეყანაში 5G მოწინააღმდეგე ადამიანთა ჯგუფებმა გაანადგურეს (მაგ., დიდი ბრიტანეთი, შვეიცარია, საბერძნეთი) და მწყობრიდან გამოიყვანეს შესაბამისი ანტენები და ლოკაციები. საჭირო გახდა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მიერ ოფიციალური განცხადების[10] გაკეთება, რომ 5G ტექნოლოგიის დანერგვა არანაირ კავშირში არ არის Covid 19 გავრცელებასთან და არ არსებობს არანაირი მეცნიერული საფუძველი მათი მიზეზობრივი კავშირისა[11].

რადგან ამ ეტაპისთვის არ არსებობს არც ერთი სამეცნიერო კვლევა, რომელიც დაასაბუთებს 5G ტექნოლოგიის ნეგატიურ გავლენას ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე, უპრიანია მოკლედ შევეხოთ ამ საკითხზე არსებულ მეცნიერების ბოლო კვლევების შედეგებს.

როგორც სამეცნიერო კვლევები ადასტურებენ, წინამორბედების – 3G თუ 4G ქსელების მსგავსად, 5G-ც რადიოტალღების საშუალებით ვრცელდება. რადგან 5G-ს ელექტრომაგნიტური სპექტრი უფრო მაღალია, ეს გარკვეულ კითხვებს აჩენს (4G იყენებს დაბალი სიხშირის რადიოტალღებს, 6 გიგაჰერცის დიაპაზონში, 5G კი – 25-90 გიგაჰერცის დიაპაზონში). აღემატება, თუ არა 5G-ს გავრცელების მიზნისთვის გამოყენებული რადიოტალღების სიხშირე ადამია-

[9] იხ. 5G განვითარების ხელშეწყობის სტრატეგია, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, 2019, https://www.gncc.ge/uploads/other/3/3939.pdf (ბოლო ნახვის თარიღი 31.07.2022).

[10] იხ. https://www.who.int/emergencies/diseases/novel-coronavirus-2019 (ბოლო ნახვის თარიღი 31.07.2022).

[11] რეალური ფაქტები საპირისპიროს მოწმობს: ის ქვეყნები, რომლებშიც 5G ტექნოლოგია უკვე მუშაობს, Covid19-ს უფრო ეფექტიანად გაუმკლავდნენ. მაგალითად, „სამხრეთ კორეაში, 5G ეფექტურად გამოიყენეს, რათა ზუსტად დაედგინათ ინფექციის გავრცელების არეალები და ე.წ. კლასტერები. მსგავს მიდგომას იყენებს ისრაელიც, სწორედ აღნიშნული ტექნოლოგიის მეშვეობით ხდება საკარანტინო ზონების გაკონტროლება, რომ არ მოხდეს მათი თვითნებური დატოვება. ტაივანიც ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც 5G ტექნოლოგია COVID 19-თან ბრძოლაში ეფექტურად გამოიყენა. ჰოპკინსის უნივერსიტეტის მონაცემებზე დაყრდნობით, ნათლად ჩანს, რომ სწორედ ეს ქვეყნები საკმაოდ წარმატებით გაუმკლავდნენ ინფექციის ზრდის ტემპის სტაბილიზაციას და ინფექციის კერების ლოკალიზებას“. იხ. „ვმუშაობთ, რათა 2020 წელს ქვეყანამ 5G ინტერნეტის გამოყენება დაიწყოს – GNCC“; https://publika.ge/vmushaobt-rata-2020-wels-qveyanam-5g-internetis-gamoyeneba-daiwyos-gncc/ (ბოლო ნახვის თარიღი 31.07.2022).

ნისთვის უსაფრთხო ელექტრომაგნიტურ სპექტრს?

5G-ს სიხშირის დიაპაზონი არის 25-90 გიგაჰერცი. ეს არის ე.წ. მიკროტალღების დიაპაზონის დასაწყისი. ასეთი სიხშირის ტალღები ადამიანის ორგანიზმს ზიანს არ მიაყენებს. როგორც სურათიდან ჩანს, ხილული სინათლის დიაპაზონს (რასაც ჩვენ ყოველდღიურად ვხედავთ საკუთარი თვალებით) უფრო დიდი სიხშირე აქვს და ეს ტალღები არანაირ ზიანს არ გვაყენებს. მიკროტალღას შეუძლია თერმული ცვლილებები გამოიწვიოს მატერიაში (მაგალითად, მიკროტალღურ ღუმელში საკვების მომზადება), მაგრამ 5G არც ასეთი სიხშირე და არც ინტენსივობა (ინტენსივობა გაცილებით დაბალია) არ აქვს.

5G სიხშირის ტალღებს მაქსიმუმ 0.5 მმ სიღრმეზე შეუძლიათ კანში შეღწევა. ამის შემდეგ კანი მათ შთანთქავს. თუ ინტენსივობა (ანუ ფართობის ერთეულებზე დაცემული რადიაციის რაოდენობა) ძალზე მაღალია, ამან შეიძლება კანის ტემპერატურის ოდნავი ცვლილება გამოიწვიოს (ელექტრომაგნიტური ენერგია სითბურ ენერგიაში გადავა). მაგრამ მობილურ ტელეფონებს და მათ 5G ტალღებს ამის მსგავსი ინტენსივობა არ გააჩნიათ. ადამიანის კანი არის ბარიერი, რომელიც ორგანიზმსა და შინაგან ორგანოებს ასეთი მიკროტალღების შეღწევისგან იცავს. ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, კანი ადამიანის ორგანოებს იცავს უფრო მაღალი სიხშირის – ხილული სინათლის – შეღწევისგან. ვინაიდან 5G ტალღები ადამიანის ორგანიზმში ვერ შეაღწევენ, მათ არანაირი პროცესის პროვოცირება არ შეუძლიათ.

5G ნამდვილად არის არაიონიზებადი ელექტრომაგნიტური რადიაცია. მაიონიზებადი რადიაცია ნიშნავს, რომ რადიაციას აქვს უნარი, დაძლიოს მიზიდულობის ძალა ელექტრონებსა და ატომის ბირთვს შორის და ამოაგდოს ელექტრონი ატომიდან. ეს თავისთავად იწვევს ატომის ქიმიური თვისებების შეცვლას, რაც მოგვიანებით ბიოლოგიური თვისებების შეცვლის მიზეზი ხდება. ასეთ ელექტრომაგნიტურ რადიაციას მიეკუთვნება რენტგენის სხივები და გამა სხივები, რომლებიც მედიცინაში გამოიყენება ადამიანის შიდა ორგანოების გამოსახულების მისაღებად ან სიმსივნის სამკურნალოდ.

5G ტალღები ვერ აღწევენ ადამიანის ორგანიზმში ისე, რომ რაიმე გავლენა მოახდინონ ჰემოგლობინის მოლეკულების რხევის სიხშირეზე. მართალია, რომ მიკროტალღოვან ღუმელში წყლის ადუღება ხდება მიკროტალღების მიერ წყლის მოლეკულების ბრუნვითი თავისუფლების ხარისხის გაზრდის საშუალებით. მოლეკულები იწყებენ ბრუნვას მაღალი სისწრაფით და მათი თერმული ენერგია მატულობს. მაგრამ 5G-ს არ აქვს არც ასეთი სიხშირე, არც ინტენსივობა და, რაც მთავარია, ადამიანის კანი არ უშვებს მათ ორგანიზმში და მათ შორის, რა თქმა უნდა, სისხლშიც[12].

ანალოგიურ მიდგომას ავითარებს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციაც (WHO). 2020 წლის აპრილში „ჯანმომ“ ოფიციალურ ვებ გვერდზე გამოაქვეყნა განცხადება, რომლის მიხედვითაც: „ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ რადიოსიხშირული ველები და კონკრეტულად 5G ტექნოლოგია ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზეგავლენას არ ახდენს – ამის შესახებ ინფორმაცია WHO-ს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებულ „გაიდლაინებშია“ გამოქვეყნებული, სადაც ვკითხულობთ, რომ ბოლო ათწლეულების განმავლობაში მსოფლიო საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევების მიხედვით, დადგენილია რომ რადიოსიხშირული ველები ადამიანის ჯანმრთელობაზე ზეგავლენას არ ახდენს.“

ასევე, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სახელმძღვანელოში ვკითხულობთ, რომ ჯანმრთელობის დაზიანების საკითხი მობილურ ტექნოლოგიებთან არანაირ კავშირში არ არის.

რაც შეეხება კონკრეტულად 5G ტექნოლოგიას, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ მათ მიერ რადიო სპექტრის შესახებ ჩატარებული კვლევებით, ის სიხშირეები, რომლებიც 5G ტექნოლოგიისთვის გამოიყენება, ჯანმრთელობაზე უარყოფით გავლენებს არ ახ-

[12] იხ. https://www.marketer.ge/5g-2020-radio-waves/ (ბოლო ნახვის თარიღი 31.07.2022).

დენს. შესაბამისად, არ არის მოსალოდნელი, რომ უკაბელო ტექნოლოგიების გამოყენებამ საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე რაიმე სახის უარყოფითი შედეგი იქონიოს.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია ამ საკითხზე დამატებით კვლევების გამოქვეყნებას მომავალშიც გეგმავს[13].

ამ ეტაპისთვის, სამეცნიერო კვლევები ცხადყოფს, რომ 5G ტექნოლოგიები ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საზიანო არ არის. ალბათ, ეს უფრო მეტად ახალი აღმოჩენებისა და გამოგონებების მიმართ ადამიანთა თანდაყოლილ შიშს უფრო უკავშირდება. მაგალითად, ელექტროენერგიის გამოგონების დროს ჟურნალ-გაზეთებში ათეულობით სტატია თუ კარიკატურა იბეჭდებოდა, როგორ კლავს ადამიანებს ელექტროენერგია. აქვე ერთი მაგალითის მოყვანაც შეიძლება. როდესაც აშშ-ში ედისონის კომპანიის მიერ შექმნილი „მუდმივი დენის“ ტექნოლოგიას ნიკოლო ტესლამ „ცვლადი დენი“ დაუპირისპირა[14], ედისონის დაკვეთით, ათობით სტატია და კარიკატურა იბეჭდებოდა, თუ როგორ „კლავდა ცვლადი დენი სპილოს“. ეს ექსპერიმენტი კი ედისონის კომპანიის მიერ სწორედ ტესლას ტექნოლოგიის დისკრედიტაციისა და ბაზარზე კონკურენციული უპირატესობის მიღების მიზნით იყო გამოწვეული.

3. საქართველოს 5G განვითარების ხელშეწყობის სტრატეგია

როგორც ზემოთაც აღინიშნა, საქართველო ინტერნეტ ტექნოლოგიების განვითარების კუთხით აღმოსავლეთ ევროპაში მოწინავე პოზიციებზეა. ამას ხელს უწყობს როგორც ფიქსირებული ინტერნეტის ქსელის განვითარების მაღალი დონე, ასევე მობილური ოპერატორების მხრიდან თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვაზე მუდმივი მზაობა.

ამ მხრივ, განსაკუთრებით საინტერესოა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2019 წელს გამოქვეყნებული სტრატეგია[15], რომელიც მობილური ინტერნეტის უახლოესი ტექნოლოგიის – 5G განვითარების ხელშეწყობას ისახავს მიზნად. აღნიშნული საკონსულტაციო დოკუმენტი მიზნად ისახავს 5G ტექნოლოგიის, მისი დანერგვის პრაქტიკული მაგალითებისა და 5G მომსახურებებისთვის სიხშირეების განაწილების მიმოხილვას ევროპული ქვეყნების მაგალითზე. დოკუმენტის უმთავრესი დანიშნულებაა მარეგულირებელი კომისიის გეგმების, ხედვისა და მიზნების გაცნობა დაინტერესებული მხარეებისთვის. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ კომისია მიესალმება დაინტერესებული მხარეების მხრიდან მაქსიმალურ ჩართულობას, რაც შესაძლებელს გახდის ისეთი სტრატეგიის შემუშავებას, რომელიც უზრუნველყოფს 5G პროექტის ეფექტიან, გამჭვირვალე და დროულ რეალიზაციას.

დოკუმენტში ასახულია 5G-სთვის სიხშირული დიაპაზონების გამოთავისუფლების, კოორდინირებისა და ჰარმონიზაციის გეგმა, 5G სიხშირული დიაპაზონის დროებით სარგებლობაში გადაცემის მოსალოდნელი თანმდევი ვალდებულებების ნუსხა, დაგეგმილი საკანონმდებლო ცვლილებების გეგმა, რომელიც გავლენას მოახდენს 5G-ს განვითარებაზე საქართველოში და საქართველოში 5G-ს სამომავლო გამოყენების მაგალითები. სტრატეგია მიზნად ისახავდა 2020 წლისთვის ოპერატორების მხრიდან მომართვის შემთხვევაში კომისიას ჰქონოდა შესაძლებლობა, უზრუნველეყო 5G-სთვის გამოყოფილი სიხშირული სპექტრის დროებით სარგებლობაში გადაცემა, აგრეთვე 2020 წლისთვის წინასწარ შემუშავებული და დამტკიცებული სტრატეგიის საფუძველზე მინიმუმ ერთ ლოკაციაზე სატესტო რეჟიმში ამ ტექნოლოგიის გაშვება.

---

[13] იხ. https://imedinews.ge/ge/teqnologiebi/136032/jandatsvis-msoplio-organizatsia-5g-teqnologia-janmrtelobaze-uarkopit-gavlenebs-ar-akhdens (ბოლო ნახვის თარიღი 31.07.2022).

[14] იხ. ნიკოლა ტესლა, წიგნების სერიიდან: 50 პერსონა – მათ შექმნეს ისტორია, ტომი 33, გამომც. „პალიტრა“, 2018; თომას ალვა ედისონი. წიგნების სერიიდან: 50 პერსონა – მათ შექმნეს ისტორია, ტომი 27, გამომც. „პალიტრა“, 2018.

[15] იხ. 5G განვითარების ხელშეწყობის სტრატეგია, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, 2019, https://www.gncc.ge/uploads/other/3/3939.pdf (ბოლო ნახვის თარიღი 31.07.2022).

საქართველოში 5G ქსელის დანერგვისა და განვითარების თვალსაზრისით მკაფიო ვადები განსაზღვრული არ არის. აღნიშნულზე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს საქართველოში მოქმედი ოპერატორების სურვილი და 5G ქსელისა და მომსახურებების განვითარების მზაობა, ასევე, ისეთი ღონისძიებების შედეგები, როგორებიც არის WRC-19, ევროპაში მიმდინარე სატესტო პროექტები და მიმდინარე აუქციონები. კომისიამ მიმართა მოქმედ მობილური ქსელის ოპერატორებს 5G-სთან დაკავშირებული მოსაზრებების და გეგმების გაზიარების თხოვნით.

საქართველოში მოქმედი მობილური ოპერატორების ნაწილის მოსაზრებით, ქვეყნის არსებული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ახლო მომავალში LTE ტექნოლოგიაც საკმარისია. ოპერატორები ასევე ასახელებენ რამდენიმე დამაბრკოლებელ ფაქტორს, რომელთა ეფექტური მართვაც ხელს შეუწყობს 5G ქსელის დანერგვას შედარებით მოკლე დროში:

– ახალი თაობის სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მოწყობის სიძვირე - ამ პრობლემის გადაჭრის გზად ოპერატორებს მიაჩნიათ არადისკრიმინაციული დაშვება სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ (და არამარტო), სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებად პასიურ ინფრასტრუქტურაზე. ამასთან დაკავშირებით სტრატეგიულ დოკუმენტში მითითებულია, რომ კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თანახმად, უკვე მომზადებულია საკანონმდებლო ინიციატივა სატელეკომუნიკაციო მიზნებისთვის გამოყენებადი ინფრასტრუქტურის გაზიარებასთან დაკავშირებით, რაც ეფუძნება ევროკავშირის დირექტივას 2014/61/EU;

– ქვეყნის მასშტაბით სამთავრობო უწყებების მიერ სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის/ქსელის მშენებლობის ნებართვების გაცემასთან დაკავშირებული პრობლემები, მათ შორის, არაგონივრული ვადებისა და თანხების განსაზღვრა;

– სატელეკომუნიკაციო რადიოსიხშირეების ლიცენზიების ადეკვატური საფასურის განსაზღვრა.

უნდა აღინიშნოს, რომ 5G საქართველოშიც ძირეულად შეცვლის მობილური ინტერნეტით მომსახურების სტანდარტებს, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საბოლოო მომხმარებლის კმაყოფილების დონეს. მისი დანერგვა ხელს შეუწყობს არაერთი არსებული პრობლემური საკითხის გადაწყვეტას, დაწყებული სტანდარტული მოთხოვნებიდან, როგორიცაა საცალო მომხმარებლებისთვის მონაცემთა გადაცემის სიჩქარისა და გამტარუნარიანობის გაზრდა, დამთავრებული ინდუსტრიული ინტერნეტიზაციის ფართომასშტაბიანი გაშლით.

სხვა ქვეყნების 5G-ს მიერ გამოყენების პრაქტიკისა და სამომავლო გეგმების შეფასებიდან გამომდინარე, შესაძლებელია საქართველოსთვის მნიშვნელოვანი მომსახურების სფეროების და ინდუსტრიების იდენტიფიცირება, რომლებისთვისაც 5G-ს დანერგვას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს, მსოფლიო ბაზრის სტანდარტებისა და მომხმარებელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის და საქართველოს, როგორც რეგიონალური მოთამაშის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის.

5G-ს დანერგვა განაპირობებს ტექნოლოგიურ ევოლუციას და ინოვაციური პროდუქტების დანერგვას. ამიტომ 5G-ს დახასიათებისას და განსაზღვრისას მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება მის „ინდუსტრიულ“ გამოყენებაზე.

5G-სგან მიღებული სარგებელი ინიცირებას გაუკეთებს ახალი მოთხოვნილებების გენერირებას როგორც საცალო მომხმარებლის მხრიდან, ასევე კორპორატიული სექტორისგან – სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებისგან.

სტრატეგიაში მითითებულია, რომ სახელმწიფო სექტორი პოტენციურად 5G-ს ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ბენეფიციარი იქნება. 5G-ს გამოყენება უზრუნველყოფს უამრავი პრობლემური საკითხის გადაჭრას:

– რეალურ დროში დაყოვნებების გარეშე მოვლენების დაფიქსირება ვიდეო კამერების საშუალებით, ინფორმაციის გადაცემა და შესაბამისი რეაგირების განხორციელება;

– საზოგადოებრივი ტრანსპორტის მართვა/დაგეგმარება; ავტოსატრანსპორტო რეგულირების ინფრასტრუქტურის მართვა;

– სამოქალაქო უსაფრთხოების სისტემების დახვეწა/მუშაობა;

– სამაშველო ოპერაციების ეფექტიანი მართვა დრონებისა და სხვა ტექნიკური აღჭურვილობის გამოყენებით;

– მიუდგომელ ადგილებსა და სტიქიური უბედურებების ზონებში მძიმე ტექნიკის დისტანციური მართვა, ენერგორესურსების დისტანციური მართვა;

– ელექტრონული ჯანდაცვის სისტემის დანერგვა და მართვა;

– ჭკვიანი ქალაქის შექმნა

– მაღალ სიჩქარიანი, მცირე დაყოვნებით და მაღალი გამტარუნარიანობით მონაცემთა გადაცემა კრიტიკულია სხვადასხვა ტიპის მანქანების ავტომატიზაციაში. ის ფართოდ გამოიყენება ტრანსპორტირების და ლოგისტიკის სფეროში. საქართველოს შემთხვევაში ეფექტიანი გამოყენება შესაძლებელია პორტებში, სარკინიგზო კვანძებში, ნებისმიერი ტიპის როგორც მანუალური, ასევე ავტომატიზებული მართვის სისტემებში.

– გადატვირთული ავტოსაგზაო მოძრაობისა და დეფიციტური საპარკინგე ადგილების ფონზე მნიშვნელოვანია ისეთი გადაწყვეტილებების დანერგვა, რომლებიც განტვირთავს საავტომობილო მოძრაობას და მძღოლებს მისცემს შესაძლებლობას, ადვილად მოძებნონ პარკირებისთვის განკუთვნილი თავისუფალი ადგილი. 5G-ს საშუალებით შესაძლებელი იქნება ასეთი პროგრამული უზრუნველყოფის შეთავაზება მომხმარებლებისთვის.

საქართველოს გააჩნია მნიშვნელოვანი ინტერნეტ-რესურსი რეგიონში, რაც უკვე ანიჭებს მას მოწინავე პოზიციებს ტექნოლოგიური თვალსაზრისით. გარდა ამისა, საქართველო გახდა მიმზიდველი სხვადასხვა ღონისძიებებისა და მოვლენების ორგანიზებით, როგორიცაა მსოფლიო დონის შემსრულებლების კონცერტები, სპორტული ჩემპიონატების მასპინძლობა, ტურისტულად მომხიბვლელი ადგილები და ინფრასტრუქტურა. ჩამოთვლილის გათვალისწინებით, შესაძლებელია მოწინავე პოზიციების დაჭერა ისეთ სფეროებში, როგორებიცაა „გეიმინგი“, „ქლაუდ მომსახურებები“, აუგმენტური და ვირტუალური რეალობა.

ბიზნეს სექტორისთვის უკვე აქტუალური გახდა მომხმარებლებთან კომუნიკაციისთვის ისეთი ალტერნატიული სერვისების დანერგვა, როგორიცაა ჩატ-ბოტები. 5G-ს გამოყენებით შესაძლებელი იქნება უფრო სრულფასოვანი მომსახურების უზრუნველყოფა, როდესაც ძალიან მცირე დაყოვნების გამო დიალოგი და უკუკავშირი იქნება „ადამიანურ“ სტანდარტებთან მიახლოებული. 5G-ს გამოყენება ასევე ახალ სტანდარტზე აიყვანს სარეკლამო სექტორს. შესაძლებელი იქნება მომხმარებლისთვის უფრო მიზნობრივი („targeted“) ნებისმიერი ტიპის საინფორმაციო-სარეკლამო შეტყობინების გაგზავნა.

სხვადასხვა ქვეყანაში უკვე არსებობს IoT-სა და M2M-ზე დაფუძნებული სერვისების კომერციალიზაციის პრაქტიკა, რაც გაცილებით მაღალ ეფექტურობას მიაღწევს 5G-ს გამოყენებით.

ვფიქრობთ, რომ სტრატეგიაში მითითებული ეს სპექტრი, რეალიზაციის შემთხვევაში, ბევრ უპირატესობას მისცემს საქართველოს და მას რეგიონულ ჰაბად აქცევს. ეს კი საქართველოსთვის დღეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

სამართალი ნეირომეცნიერებათა სამსჭავროზე: მოხდება თუ არა რევოლუცია იურისპრუდენციაში ადამიანის ნების თავისუფლების (free will) გაქრობით?

ლაშა ზურაბიანი
ადვოკატი

I. შესავალი

2011 წლის შემოდგომის სემესტრში პროფესორმა თედო ნინიძემ, რომლის დამსახურებებს ქართული სამართლის განვითარებაში მკითხველისათვის წარდგენა არ ესაჭიროება, პირველი კურსის სტუდენტებს იურისპრუდენციის ერთ მნიშვნელოვან თავისებურებაზე გაგვიზიარა საკუთარი ხედვა. მისი სიტყვების შინაარსი შემდეგი იყო: იურისპრუდენციაში რთულია რაიმე ფუნდამენტურად ახალი ითქვას. ერთ-ერთ ასეთ ფუნდამენტურ ცვლილებად მაგალითის სახით სამართალში ახალი სუბიექტების, იურიდიული პირების გაჩენა, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ. იურიდიული პირების შექმნამ პლანეტის ეკონომიკური ისტორია და სამეწარმეო რისკების გაწევის ფორმები სამუდამოდ შეცვალა.

პროფესორი ნინიძის მოსაზრებას რთულია არ დაეთანხმო. თუმცა, ამ მოსაზრების ლოგიკური გაგრძელებაა ის, რომ როდესაც რაიმე დარგში ფუნდამენტურად ახალი ითქმება, ამას გადატრიალების მოხდენა და მთელი დარგის გადაფასება შეუძლია[1]. ასეთი დარგობრივი რევოლუციები არაპროგნოზირებადია, სხვა შემთხვევაში ის მოულოდნელად რევოლუციის სახით არ დაატყდებოდა თავზე შესაბამისი დარგის სპეციალისტებს[2]. პარადიგმების რადიკალური ცვლილების ეს თავისებურება ზოგჯერ ანეგდოტური ისტორიების საფუძველიც კი ხდება, რისი ნათელი მაგალითიც დაფიქსირდა ფიზიკაში, როდესაც 1878 წელს პროფესორმა ფილიპ ფონ ჯოლიმ საკუთარ ახლადგაცნობილ სტუდენტს, 16 წლის მაქს პლანკს რჩევა მისცა ფიზიკის დარგს არ გაჰყოლოდა, რადგან მასში „ყველაფერი მნიშვნელოვანი ამოხსნილი იყო და მხოლოდ რამდენიმე ხვრელიღა რჩებოდა ამოსავსები“[3]. რამდენიმე ათწლეულში პლანკმა, ნილს ბორთან, ვერნერ ჰაიზენბერგთან, ერვინ შროდინგერთან და სხვებთან ერთად რევოლუცია მოახდინა კვანტური ფიზიკის დარგის განვითარებით, ხოლო კვანტური დისტანციების ერთეულს მის საპატივსაცემოდ პლანკის სიგრძე ეწოდა.

სამართალში მსგავსი გადატრიალებისა და პრინციპების „თავდაყირა დაყენების“ შესაძლებლობა დებატის საგანია[4]. თუმცა, იურისპრუდენციის ძირეულ წარმოდგენებზე „შეტევა“ არაერთი მიმართულებიდან არის დაწყებული. მაგალითად, ბოლო წლებში სულ უფრო აქტუალურია ხელოვნური ინტელექტის, მისი სუბიექტუნარიანობის და რეგულირების პრობლემატიკა, რის განხილვაც უკვე ქართულ სამართლებ-

---

1 *Bird A.*, Thomas Kuhn's "the Structure of Scientific Revolutions", The Stanford Encyclopedia of Philosophy, 2022. https://plato.stanford.edu/archives/spr2022/entries/thomas-kuhn/ (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

2 იქვე.

3 *Lightman A.P.*, The discoveries: great breakthroughs in twentieth-century science, including the original papers. Toronto: Alfred A. Knopf Canada, 2005, p. 8.

4 *Pereboom D., Shaw E., Caruso G.*, Free Will Skepticism in Law and Society, Free Will Skepticism in Law and Society: Challenging Retributive Justice, 2019, p. 18.

რივ რეალობაშიც აქტიურად მიმდინარეობს[5]. წინამდებარე სტატიაც ერთ-ერთ ასეთ „შეტევის“ მიმართულებას განიხილავს, ამჯერად, ნეირომეცნიერებათა მიმართულებიდან.

ნეირომეცნიერების სხვადასხვა დარგებში ადამიანის ტვინთან დაკავშირებული აღმოჩენების და კონკრეტულად ნების თავისუფლების (free will) მიმართულებით არსებული სამეცნიერო რეალობის სამართალთან ინტერაქციის გააზრება წინამდებარე სტატიის ძირითადი ამოცანაა. დღევანდელი სამართლებრივი წესრიგი ადამიანების ნების თავისუფლების პრინციპზე დგას, ამიტომ, მისი ლეგიტიმაციისათვის რაიმე საფრთხის შექმნა იურისპრუდენციის მხრიდან თვითრეფლექსიის მწვავე აუცილებლობას წარმოშობს.

სტატიაში თავდაპირველად ნების თავისუფლების დეფინიციის, ისტორიის, ასევე, მასთან დაკავშირებული ფილოსოფიური ხედვების განხილვა მოხდება. შემდეგ, ნების თავისუფლება ბიოლოგიურ მეცნიერებათა, განსაკუთრებით ნეირომეცნიერებების, პრიზმაში იქნება განხილული. ამის შემდგომ, ნების თავისუფლებასთან დაკავშირებულ სამეცნიერო რეალობის სამართლებრივ სივრცეში გადმოტანის შესაძლებლობა, აუცილებლობა, გამოწვევები და უპირატესობები იქნება განხილული დანაშაულის, გარიგებების და ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტებისთვის. ბოლოს კი, სამართლის რადიკალური რეფორმისთვის არსებული გამოწვევებით დავასრულებთ საუბარს.

II. ნების თავისუფლების დეფინიცია

ბოლო ორნახევრი ათასწლეულის განმავლობაში, ანტიკური ფილოსოფიიდან მე-20 საუკუნის ფილოსოფიურ მიმდინარეობებამდე, ნების თავისუფლების (free will) არაერთი დეფინიცია იქნა წამოყენებული[6]. ამ დეფინიციების სიმრავლიდან გამომდინარე, ერთიან, უნიფიცირებულ განმარტებამდე მისვლა პრაქტიკულად შეუძლებელიც გახლავთ[7].

ყველაზე ფართოდ გავრცელებული დეფინიციის თანახმად, ნების თავისუფლება არის ადამიანის შესაძლებლობა იდენტურ სიტუაცაში, ცნობიერ დონეზე სხვაგვარი გადაწყვეტილება მიეღო და განსხვავებულად მოქცეულიყო[8]. ეს დეკარტისეული კლასიკური განმარტებაა, რომელსაც ნების თავისუფლების ლიბერტარიანულ დეფინიციად იცნობენ[9].

აქვე, უნდა ითქვას, რომ არაერთი ავტორი ნების თავისუფლების გაცილებით „სუსტი“ დეფინიციის მომხრეა[10]. მაგალითად, ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, ნების თავისუფლება იძულებისგან თავისუფალ პირობებში რაციონალური გადაწყვეტილებების მიღების უნარია[11], ხოლო სხვა მოსაზრებით, ნების თავისუფლება ადამიანის მიერ საკუთარი ხასიათის (პერსონის) დამოუკიდებლად და ყველა წინარე მიზეზისგან დამოუკიდებლად ფორმირების შესაძლებლობას ნიშნავს[12].

სტატია მოცემულ „სუსტი“ დეფინიციების გამოყენებას არ მოახდენს და დეკარტისეულ მიდგომას აიღებს ათვლის წერტილად. აღნიშნულის ძირითადი მიზეზი ის გახლავთ, რომ სა-

---

5 აღნიშნულ საკითხზე მაგალითად იხ. *გაბისონია ზ.*, ხელოვნური ინტელექტის ეროვნული სტრატეგია საქართველოსთვის, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 8/2021. http://lawjournal.ge/index.php/8-2021/ (ბოლო ნახვის თარიღი 31.07.2022).

6 *O'Connor, T., Christopher F.*, Free Will, The Stanford Encyclopedia of Philosophy, 2022. https://plato.stanford.edu/archives/sum2022/entries/free will/ (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

7 *Smith K.*, Neuroscience vs philosophy: Taking aim at free will, 2011. https://www.nature.com/articles/477023a#Bib1 (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

8 *Brembs B.*, Towards a scientific concept of free will as a biological trait: spontaneous actions and decision-making in invertebrates, 2010. https://royalsocietypublishing.org/doi/10.1098/rspb.2010.2325 (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022); ასევე მოცემულ საკითხზე იხ. *Searle J.*, Minds, brains and science, 1984.

9 *Koch C.*, Free will, physics, biology, and the brain. Downward causation and the neurobiology of free will, 2009, pp. 31–52.

10 იქვე.

11 *Smith K.*, Neuroscience vs philosophy: Taking aim at free will, 2011. https://www.nature.com/articles/477023a#Bib1 (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

12 აღნიშნულზე დეტალურად იხ. *Kane R.*, The Significance of Free Will,1998.

მართალი ნების თავისუფლებას სწორედ ამ კლასიკურ, ლიბერტარიანულ კონცეფციას ეფუძნება[13]. იურისპრუდენციაში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ინსტიტუციის, აშშ-ს უზენაესი სასამართლოს, განმარტება რომ მოვიშველიოთ: „განვითარებულ სამართლის სისტემებში, უნივერსალური და შეუცვლელი მიდგომაა რწმენა ადამიანების ნების თავისუფლებისა და, შესაბამისად, ნორმალური ინდივიდის უნარისა და ვალდებულებისა არჩევანი გააკეთოს კეთილსა და ბოროტს შორის"[14]. აშშ-ს უზენაესი სასამართლოს მოცემულ წინადადებაში მკითხველი განსაკუთრებით სიტყვა „რწმენას" უნდა დააკვირდეს, რაზეც ქვემოთ დეტალურად გვექნება საუბარი.

III. ნების თავისუფლების მოკლე ისტორია

ნების თავისუფლების მცირედი ისტორიული მიმოხილვის გარეშე მისი ანალიზი არასრული და რთულად აღქმადი იქნებოდა.

ანტიკურ ბერძნულ ფილოსოფიაში ტერმინ ნების თავისუფლებას არ იყენებდნენ, თუმცა, პლატონისა[15] და არისტოტელეს[16] ნაშრომებში ადამიანის მიერ საკუთარი ქცევის კონტროლს გარკვეული ყურადღება ეთმობა[17]. ფილოსოფიის მამების ნაშრომების შემდეგაც, მომდევნო საუკუნეებში, მოცემულ საკითხებზე მსჯელობა აქტიურად გრძელდება სტოიკურ, ნეოპლატონისტურ თუ სხვა მიმდინარეობებში[18]. ტერმინი ნების თავისუფლება (ლათ. liberum arbitrium) უკვე ქრისტიანული თეოლოგიის პირმშოა[19] და მე-4 საუკუნეში ნეტარი ავგუსტინეს „აღსარებანში" აქტიურად გამოიყენება[20].

ნების თავისუფლებას თეოლოგიური საფუძვლები ბიბლიურ ადამის და ევას პირველად ცოდვაში აქვს[21]. იუდეო-ქრისტიანული მსოფლმხედველობა ემყარება ბაზისს, რომ ღმერთმა ადამიანი კეთილსა და ბოროტს შორის არჩევის უნარით, ანუ თავისუფალი ნებით შექმნა[22]. სწორედ ნების თავისუფლება განსაზღვრავს ცოდვის, ხსნის და ღმერთთან ადამიანის ურთიერთობის კომპლექსურ დინამიკას[23].

იუდეო-ქრისტიანულ ტრადიციაში ფორმირებული ნების თავისუფლების კონცეფცია შემდეგ უკვე განმანათლებლობასა და ჰუმანიზმშიც გადაედინა. ადამიანი, ჰუმანისტური გაგებით, უნიკალური და გამორჩეულია[24]. იგი როგორც არსება, რომელიც „აზროვნებს და მაშასადამე არსებობს"[25], დეკარტის ტრადიციის მიმდევრებისთვის, ფუნდამენტურად, თავისუფალი ნების მქონეა, საკუთარ თავში აზრების ფორმირების ერთადერთი მიზეზია და ტრანსცენდირებს ბუნების კანონებზე[26]. საინტერესოა, რომ დასავლური აზროვნების ტრადიციაში ფილოსოფიური სკეპტიციზმის (კარტეზიანული ეჭვის) საფუძვლის ჩამყრელი[27], იზიარებდა ნების თავისუფლების იდეას, როგორც შეუცილებელ მოცემულობას.

---

13 *Kaye A.*, Resurrecting the causal theory of excuses. Nebraska Law Review, Vol. 83, 2005, p. 1116; *Pereboom D., Shaw E., Caruso G.*, Free Will Skepticism in Law and Society, Free Will Skepticism in Law and Society: Challenging Retributive Justice, 2019, p. 10.

14 ციტატა: „It is as universal and persistent in mature systems of law as belief in freedom of the human will and a consequent ability and duty of the normal individual to choose between good and evil" საქმიდან*Staples v. United States*, (92-1441), 511 U.S. 600 (1994).

15 მოცემულ საკითხზე იხ. პლატონის რესპუბლიკა, წიგნი 4.

16 მოცემულ საკითხზე იხ. არისტოტელეს ნიკომაქეს ეთიკა, წიგნი 3.

17 *O'Connor, T., Christopher F.*, Free Will, The Stanford Encyclopedia of Philosophy, 2022. https://plato.stanford.edu/archives/sum2022/entries/freewill/ (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

18 იქვე.

19 აღნიშნულზე იხ. *Schopenhauer A.*, On the Freedom of the Will, 1839, c. 1.

20 *O'Connor, T., Christopher F.*, Free Will, The Stanford Encyclopedia of Philosophy, 2022. https://plato.stanford.edu/archives/sum2022/entries/freewill/ (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

21 იხ. ბიბლია, ძველი აღქმა, დაბადება, თავი 3.

22 *Visala A.*,Theology, Free Will, and the Skeptical Challenge from the Sciences, Theology and Science, 2020.https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/14746700.2020.1786218 (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

23 იქვე.

24 მოცემულ საკითხზე დეტალურად იხ. *Harari Y.N*, Homo Deus, 2015.

25 „ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ" (ლათ. *Cogito, ergo sum*) რენე დეკარტის ცნობილი ფილოსოფიური პრინციპია, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე ციტირებად ფრაზას წარმოადგენს ფილოსოფიის ისტორიაში.

26 *Berman S.*, Human Free Will in Anselm and Descartes, The Saint Anselm Journal, Fall 2004, p. 1.

27 *Rockmore, T.*, On Foundationalism: A Strategy for Metaphysical Realism, 2005, pp. 64–65.

ნების თავისუფლების მოხმრეთა ხმა არც შემდგომ საუკუნეებში შესუსტებულა. მე-20 საუკუნეში, ფრანგმა ეგზისტენციალისტმა ჟან-პოლ სატრმა, რომელსაც არ სწამდა ღმერთის არსებობის[28], წამოაყენა რადიკალური მოსაზრება, რომ ადამიანს თავისუფლება "მისჯილი აქვს"[29]. მისი განმარტებით, ადამიანი საკუთარ თავისუფლებას, გააკეთოს არჩევანი, ვერსად გაექცევა (condemended to be free)[30].

ნების თავისუფლება ერთგვარად უნიკალური კონცეფციაა, რომელმაც ერთდროულად დასავლურ თეოლოგიურ, შემდეგ ჰუმანისტურ თუ საერთოდ თანამედროვე ათეისტურ ეგზისტენციალიზმის ტრადიციაში იპოვა საკუთარი ადგილი. ადამიანების წმინდად ფსიქოლოგიურ მოთხოვნილებასთან (მოთხოვნილება რომ ვიყოთ თავისუფალი) და საკუთარ თავზე დაკვირვებასთან (ცნობიერში არსებობს განცდა, რომ „თავისუფლად" ვფიქრობთ) ერთად, სწორედ სხვადასხვა, თუნდაც, რადიკალურად დაპირისპირებულ მსოფლხედველობებში ადაპტირების გასაოცარი შესაძლებლობა უნდა მივიჩნიოთ იმის მიზეზად, რომ დღესაც ადამიანის ნების თავისუფლების იდეა მყარად არის დამკვიდრებული როგორც სოციალურ რეალობაში, ისე სამართალში.

IV. დებატი ფილოსოფიასა და ფიზიკაში ნების თავისუფლების საკითხზე

ნების თავისუფლება არასოდეს განიხილებოდა ფილოსოფიაში როგორც „მოცემული ჭეშმარიტება". მისი არსებობას ჯერ კიდევ ანტიკურ ფილოსოფიაში მძლავრი მიმდინარეობა - დეტერმინიმზმი დაუპირისპირდა[31].

დეტერმინიზმის თანახმად, სამყაროში ყველაფერს, მათ შორის ადამიანის ქცევას და თავის ტვინში მიმდინარე პროცესებს, გარკვული წინარე მიზეზი აქვს და ადამიანის ნების „გამოთავისუფლება" ამ კაუზალობისგან რეალობის დარღვევას, მის არასწორად გაგებას წარმოადგენს[32]. მარტივად რომ ვთქვათ, დეტერმინიზმი დომინოს ეფექტის არსებობას ემხრობა - ყოველი ქმედება და მოვლენა უწყვეტ ჯაჭვში წინა ქმედებათა თუ მოვლენათა გარდაუვალი შედეგია და ერთი დომინოს ქვის წაქცევა წინა დომინოს ქვის (ქვების) წაქცევით არის განპირობებული. შესაბამისად, დეტერმინიზმის თანახმად, ადამიანის ნებაც თავის ტვინში მიმდინარე ბუნების კანონებიდან გამომდინარე პროცესების გარდაუვალ შედეგს წარმოადგენს.

დემოკრიტეს, სპინოზას და სხვა ფილოსოფოსთა დეტერმინისტულმა ტრადიციამ[33] მნიშვნელოვანი დასაყრდენი შეიძინა მე-16 საუკუნიდან აქტიურად ფორმირებად კლასიკურ გალილეურ-ნიუტონურ ფიზიკაში[34]. კლასიკური ფიზიკა ბუნების კანონებით და მათემატიკური ფორმულრებით პროგნოზირებდა მოვლენებს[35], რამაც 1814 წელს პიერ ლაპლასი ყოვლისმცოდნე ინტელექტის (დემონის) კონცეფციამდე მიიყვანა[36]. ლაპლასის აზრით, თუკი იარსებებდა ინტელექტი ინფორმაციის დამუშავების საკმარისი შესაძლებლობებით, სამყაროს ყველა ნაწილაკის ზუსტი მდებარეობის და მოძრაობის

[28] *UKEssays*, Discussion on the Phrase „Man is Condemned to be Free", 2019. https://www.ukessays.com/essays/philosophy/man-is-condemned-to-be-free-philosophy-essay.php?vref=1 (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

[29] *Baumeister R.*, Free Will in Scientific Psychology, Perspectives on Psychological Science, 2008. https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/26158665/ (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

[30] *UKEssays*, Discussion on the Phrase „Man is Condemned to be Free", 2019. https://www.ukessays.com/essays/philosophy/man-is-condemned-to-be-free-philosophy-essay.php?vref=1 (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

[31] ვრცლად იხ. *Caruso G.D.*, Why Free Will is Not Real: A Reply to Christian List, Preprint, The Philosopher, Vol. 108, No. 1, 2020. https://philpapers.org/archive/CARFWR.pdf (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

[32] იქვე.

[33] *Baumeister R.*, Free Will in Scientific Psychology, Perspectives on Psychological Science, 2008. https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/26158665/ (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

[34] *Lavazza A.*, Free Will and Neuroscience: From Explaining Freedom Away to New Ways of Operationalizing and Measuring It, 2016. https://www.frontiersin.org/articles/10.3389/fnhum.2016.00262/full (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

[35] *Gorelik G.*, A Galilean Answer to the Needham Question, Philosophia Saentiae, 21-1, 2017. https://journals.openedition.org/philosophiascientiae/1244?lang%3Den (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

[36] *Laplace P.C.*, A Philosophical Essay on Probabilities,1951, p. 4.

ტრაექტორიის ცოდნით მის თვალწინ, წარსულის და მომავლის ყველა ფაქტი დეტერმინირებულად და გარდაუვლად გადაიშლებოდა[37]. მსგავსი მოსაზრებები ყოველგვარ ნების თავისუფლებაზე საუბარს ცხადია საფუძველს აცლიდა.

თუმცა, კლასიკურ ფიზიკაზე დაფუძნებულმა დეტერმინიზმმა დიდი დარტყმა მიიღო მე-20 საუკუნეში კვანტური ფიზიკის რევოლუციის შედეგად[38]. კვანტური ფიზიკა ალბათობებზე (ხდომილობებზე) და ელემენტარული ნაწილაკების დუალისტურ (ერთდროულად ტალღოვანი და ნაწილაკური) ბუნებაზეა აგებული[39]. 1927 წელს ვერნერ ჰაიზენბერგის მიერ აღმოჩენილი განუსაზღვრელობის პრინციპი (uncertainty principle) ადგენს, რომ ნაწილაკების მდებარეობის და მოძრაობის ერთდროული გაზომვა არამხოლოდ პრაქტიკულად, არამედ მათემატიკური პრინციპების დონეზეა შეუძლებელი[40]. ჰაიზენბერგის განუსაზღვრელობი პრინციპი კვანტურ სამყაროს არადეტერმინისტულს ხდის.

კვანტური ფიზიკის აღმოჩენებმა დეტერმინიზმის მომხრე ალბერტ აინშტაინს ცნობილი სიტყვები ათქმევინა, რომ „ღმერთი კამათელს არ უნდა თამაშობდეს“[41]. ფრაზაში იგულისხმება, რომ რეალობაში მოვლენები არ შეიძლება ალბათობებით განისაზღვრებოდეს და სავარაუდოდ ფიზიკის კანონები კაცობრიობას ჯერ კიდევ კარგად არ ესმის[42]. აინშტაინის ანალოგიას რომ გავყვეთ, საბოლოო ჯამში, ფიზიკის კანონების დონეზე დეტერმინიზმის შესახებ გაცხარებული დებატი, ერთი მხრივ, დეტერმინისტული დომინოს პრინციპისა და, მეორე მრივ, არადეტერმინისტული კამათლის პრინციპის დაპირისპირებას მოიაზრებს.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე აქტიური განხილვის საგანია კლასიკური ფიზიკით მართულ მაკროსამყაროში კვანტური მიკროსამყაროს ეფექტების გადმოსვლის საკითხის თავისებურებები და ფარგლები[43]. მეცნიერებს არ აქვთ პასუხი კითხვაზე თავის ტვინის ელექტრო-ქიმიური პროცესების ახსნა (ანუ მაკროსამყაროს მოვლენები) რამდენად საჭიროებს კვანტური ფიზიკის (ანუ მიკროსამყაროს) ხდომილობითი მოდელის გამოყენებას[44]. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თანამედროვე მეცნიერებისთვის უცნობია თავისი ტვინი არის სრულად დეტერმინირებული პროცესებით მართული, ის ხდომილობით სისტემას წარმოადგენს, თუ მათი ერთგვარი კომბინაციაა[45].

იმის გამო, რომ ნების თავისუფლების გაქაწყლება ისტორიული ტრადიციით ძირითადად დეტერმინისტული არგუმენტით ხდებოდა, კვანტური ფიზიკის რევოლუციამ ბევრ ავტორს არასწორი წარმოდგენები შეუქმნა ფიზიკის ახლად აღმოჩენილი კანონების როლის შესახებ ნების თავისუფლების შესახებ დებატში. დეტერმინიზმის „სრული დომინაციისგან“ გათავისუფლება არასწორად იქნა აღქმული როგორც ნების თავისუფლების გამარჯვება[46].

სინამდვილეში, ლიბერტარიანული ნების თავისუფლება ვერ იარსებებს, იმისდა მიუხედავად, თავის ტვინში მიმდინარე პროცესები დეტერმინირებული იქნება თუ ხდომილობებზე, შემთხვევითობაზე დაფუძნებული[47]. წინამდებარე სტატია სწორედ ამ პოზიციას ავითარებს.

---

37 იქვე.

38 *Pereboom D., Shaw E., Caruso G.*, Free Will Skepticism in Law and Society, Free Will Skepticism in Law and Society: Challenging Retributive Justice, 2019, p. 3.

39 *Vaidman L.*, Quantum theory and determinism, Quantum Stud.: Math. Found. 1, 5–38, 2014. https://link.springer.com/article/10.1007/s40509-014-0008-4#citeas (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

40 იქვე.

41 *Jauch J. M.*, Determinism in Classical and Quantal Physics, Dialectica, Vol. 27(1), 1973, p. 13.

42 *Dickerson K.*, One of Einstein's most famous quotes is often completely misinterpreted, 2015, https://www.businessinsider.com/ (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

43 აღნიშნულ საკითხზე იხ. *Honderich T.*, How Free Are You?: The Determinism Problem, 2002.

44 იქვე.

45 *Roskies A. L.*, The Neuroscience of Free Will, University of St. Thomas Journal of Law and Public Policy, Vol. 15, Issue 1, Neuroscience and Law, 2021. https://ir.stthomas.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1148&context=ustjlp (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

46 WHY FREE WILL IS PHILOSOPHICALLY AN SCIENTIFICALLY SOUND, 2022, https://mindmatters.ai/2022/07/why-free-will-is-philosophically-and-scientifically-sound/

47 *Caruso G.D.*, Why Free Will is Not Real: A Reply to Christian List, Preprint, The Philosopher, Vol. 108, No. 1, 2020. https://philpapers.org/archive/CARFWR.pdf (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

კერძოდ, იმისათვის, რომ ადამიანის ნება „თავისუფალი“ იყოს და იგი პასუხისმგებელი იყო საკუთარ გადაწყვეტილებებზე, კვანტური ფიზიკის ხდომილობები არ არის საკმარისი[48]. თუკი ადამიანის ტვინი კვანტური ალბათობებით ფუნქცინირებს, ეს კამათლის გაგორებისგან ან მონეტის აგდებისგან არაფრით განსხვავდება[49]. ანუ, თუკი ადამიანის ტვინში კამათლის გაგორების ანალოგიური შემთხვევითი კვანტური მოვლენა წყვეტს იგი ვისზე დაქორწინდება ანდა რომელ პროფესიას აირჩევს, ამას, თავისუფალ ნებასთან არანაირი კავშირი არ აქვს[50]. არსად ამ ფენომენში არ არის „თავისუფლად არჩევის“ მომენტი[51].

თუკი კვანტურ ხდომილობებს მართლაც როლი აქვს ტვინის ფუნქციონირებაში, ეს მხოლოდ წინასწარ არაპროგნოზირებადს ხდის ადამიანის ნებას, თუმცა, მას თავისუფლად არ აქცევს[52]. ალოგიკურია, ვინმემ კაზინოში გაგორებულ კამათელს ნების თავისუფლება მიაწეროს, მაშინ როცა, რეალურად, უბრალოდ მისი პროგნოზირება არის შეუძლებელი და მაგალითად 5-იანის მოსვლის ალბათობა 1/6-ია.

ნების თავისუფლების შესახებ დებატის ამ ეტაპზეც, ადამიანის ორგანიზმში და თავის ტვინში მიმდინარე ელექტრო-ქიმიური პროცესების დეტალური ანალიზის გარეშეც, ლიბერტარიანული ნების თავისუფლების კონფეცია ილუზორულ, ცარიელ მეტაფიზიკურ კონცეფციად იქცევა[53]. არტურ შოპენჰაუერის სიტყვები რომ გავიხსენოთ: “ადამიანს შეუძლია ის გააკეთოს რაც სურს, თუმცა, მას არ შეუძლია სურდეს ის რაც სურს”[54].

V. ბიოლოგიური მეცნიერებები, როგორც ადამიანის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესის ახსნის მეთოდი

ნების თავისუფლების დებატში, ცხადია, ბიოლოგიურ მეცნიერებებს თავისი სიტყვა უნდა ეთქვათ. ამ მიმართულებით, ბიოლოგიის ცოდნის გაღრმავებას, ნების თავისუფლების კონცეფციის კონტექსტში, რბილად რომ ვთქვათ, სკეპტიციზმის გარდა არაფერი მოუტანია.

დარვინის ევოლუციური თეორიის განვითარების შემდეგ ადამიანის ცხოველების ბიოლოგიურ კონტინიუმზე „გამწესებამ“ გარდაუვალი სახე მიიღო[55]. დნმ-ს წაკითხვის თანამედროვე ტექნოლოგიები აჩვენებს, რომ ადამიანებს (Homo Sapiens) და უახლოეს პრიმატ ნათესავებს, შიმპანზეებს (Pan troglodytes), დნმ-ს 95-96% იდენტური გვაქვს[56].

რაკი ადამიანი ორგანული ბუნების ნაწილია, მისი ქცევების და გადაწყვეტილებების ახსნა, ორგანიზმში მიმდინარე სხვადასხვა ბიოლოგიური და ქიმიური პროცესებით, საუკუნეების განმავლობაში მეცნიერების განვითარებასთან ერთად, სულ უფრო დამკვიდრებულ და ზუსტ სახეს იღებს. ამ მიმართულებით, საილუსტრაციოდ ორი მაგალითი შეგვიძლია მოვიყვანოთ.

2000-იანი წლების დასაწყისში მნიშვნელოვანი კვლევის საგანი გახდა კავშირი თავის ტვინ-

48 *Brembs B.*, Towards a scientific concept of free will as a biological trait: spontaneous actions and decision-making in invertebrates, 2010. https://royalsocietypublishing.org/doi/10.1098/rspb.2010.2325 (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022); *Koch C.*, Free will, physics, biology, and the brain. Downward causation and the neurobiology of free will, 2009, pp. 31–52.

49 *Lavazza A.*, Free Will and Neuroscience: From Explaining Freedom Away to New Ways of Operationalizing and Measuring It, 2016. https://www.frontiersin.org/articles/10.3389/fnhum.2016.00262/full (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

50 იქვე.

51 მოცემულ საკითხზე იხ. *Cashmore A.R.*, The Lucretian swerve: the biological basis of human behavior and the criminal justice system, Proceedings of the National Academy of Sciences of the USA, Vol. 107, 2010.

52 იქვე.

53 *Brembs B.*, Towards a scientific concept of free will as a biological trait: spontaneous actions and decision-making in invertebrates, 2010. https://royalsocietypublishing.org/doi/10.1098/rspb.2010.2325 (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

54 *Schopenhauer A.*, On The Freedom Of The Will, 1839, as translated in The Philosophy of American History: The Historical Field Theory, 1945, p. 531.

55 *Vanaik A.*, Three Legacies of Darwin, 2010. https://www.tni.org/en/article/the-three-legacies-of-darwin (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

56 *Suntsova M.V., Buzdin A.A.*, Differences between human and chimpanzee genomes and their implications in gene expression, protein functions and biochemical properties of the two species, BMC Genomics Vol. 21, Issue 535, 2020. https://doi.org/10.1186/s12864-020-06962-8 (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

ში, პრეფრონტალურ კორტექსში განვითარებულ სიმსივნესა და პედოფილურ ქცევას შორის[57]. სპეციალისტების ინტერესის საგანი გახდა 40 წლის მამაკაცი, რომელსაც მოულოდნელად შეუკავებელი ინტერესი გაუჩნდა ბავშვთა პორნოგრაფიის მიმართ და საკუთარი არასრულწლოვანი გერის მიმართ შეუფერებელი ქცევის შემდეგ დაპატიმრებულ იქნა[58]. ძლიერი თავის ტკივილის გამო დაკავებულს თავის ტვინის გამოკვლევა ჩაუტარდა და პრეფრონტალურ კორტექსში სიმსივნის არსებობა იქნა აღმოჩენილი[59]. ქირურგიული ოპერაციის შემდეგ პედოფილური ტენდენციები გაქრა, თუმცა, 1 წლის შემდეგ მამაკაცს პედოფილური არაჯანსაღი, იმპულსები ისევ დაუბრუნდა[60]. როგორც კვლევების შემდეგ აღმოჩნდა, სიმსივნემ ხელახლა გაზრდა დაიწყო და უკვე განმეორებითი წარმატებული ქირურგიული ოპერაციის შემდეგ, პედოფილური მიდრეკილებები პაციენტს აღარ ჰქონდა[61].

მეორე კვლევა ისევ 2000-იანი წლების დასაწყისში ჩატარდა და უკავშირდება უცნაურ დაკვირვებას, რომ პარკინსონით დაავადებული პაციენტების თითქმის 7% აზარტული თამაშებით პათოლოგიურად ხდებოდნენ შეპყრობილი[62]. იმის გამო, რომ ჰორმონ დოპამინის მწარმოებელი ტვინის უჯრედები პარკინსონით დაავადებულ პაციენტებში კვდომას განიცდიან, საჭირო ხდება მაკომპენსირებელი პრეპარატების გამოყენება და ამ გზით ტვინის დაჯილდოვების სისტემის (reward system) გამართული მუშაობა[63]. ამ პრეპარატების (მაგ. პრამიპექსოლი) მცირედით არასწორმა დოზებმაც კი შესაძლებელია აზარტული თამაშების, განუზომლად ჭამის ანდა ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების პათოლოგიები გამოიწვიოს[64].

ამ კვლევებიდან პირველი, დანაშაულის ჩადენისას, ბრალის მიზნებისთვის არის რელევანტური, ხოლო მეორე სამოქალაქო სამართალში ქმედუნარიანობის საკითხისათვის. ორივე ზემოაღნიშნული კვლევა ერთი და იგივე საკითხზე მიანიშნებს. ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ბიოლოგიური პროცესები, იქნება ეს თავის ტვინის სიმსივნე, დოპამინის ცირკულაცია თუ სხვ., უდიდეს გავლენას ახდენს ადამიანის გადაწყვეტილებების და ქცევების ფორმირებაზე.

ამ მიმართულებით, 2022 წლის კვლევაში სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა, ნეიროენდოკრინოლოგმა რობერტ საპოლსკიმ, ათწლეულების განმავლობაში დაგროვებული სამეცნიერო ნაშრომების საფუძველზე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე პროცესების დეტალური ბიოლოგიური ახსნა წარმოადგინა[65]. ნაშრომში საპოლსკი მაგალითის სახით მკვლელობის ჩადენის ფაქტს იყენებს[66]. იგი აანალიზებს მომავალი მკვლელის მიერ გადაწყვეტილებამდე მისვლას[67], რომელზეც, ერთდროულად, იმწამიერი ბიოლოგიური პროცესები, ბოლო რამდენიმე საათში დაწყებული ბიოლოგიური პროცესები, ადამიანის ბოლო წლების ცხოვრებისეული გამოცდილება, ბავშვობის პერიოდი, ჩანასახად ყოფნის პერიოდი, გენეტიკა და წინაპრების ცხოვრების წესიც კი ახდენენ გავლენას[68].

ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე იმწამიერი ბიოლოგიური პროცესებიდან დანაშაულებრივი აქტის ჩადენის გადაწყვეტილებაზე უდიდეს გავლენას ახდენენ მაგალითად თუ რამდე-

---

57 *Burns J.M., Swerdlow R.H.*, Right Orbitofrontal Tumor With Pedophilia Symptom and Constructional Apraxia Sign, Archives of Neurology, 2003. https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/12633158/ (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

58 *Eagleman D.*, The Brain on Trial, 2011. https://www.theatlantic.com/magazine/archive/2011/07/the-brain-on-trial/308520/ (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

59 იქვე.

60 იქვე.

61 იქვე.

62 *Gschwandtner U., Aston J., Renaud S., Fuhr P.*, Pathologic gambling in patients with Parkinson's disease, Clinical Neuroparmacology, Vol. 24, 2001. https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/11391129/ (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022); ასევე, იხ. https://www.psychiatryadvisor.com/ (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

63 *Gschwandtner U., Aston J., Renaud S., Fuhr P.*, Pathologic gambling in patients with Parkinson's disease, Clinical Neuroparmacology, Vol. 24, 2001. https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/11391129/ (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

64 იქვე.

65 აღნიშნულ საკითხზე იხ. *Alces P.A, Sapolsky R.M.*, Nohwere, William & Mary Law Review, Vol. 63, Issue 4, 2022.

66 იხ. იქვე.

67 იხ. იქვე.

68 იხ. იქვე.

ნად კარგად ეძინა სუბიექტს, არის თუ არა იგი მშიერი, შაქრის რა შემცვლობა აქვს მას სისხლში[69]. ბოლო რამდენიმე საათის განმავლობაში მიმდინარე პროცესებიდან, მაგალითად საგულისხმოა ორგანიზმში ტესტოსტერონის, ასევე, სტრესის ჰორმონის (კორტიზოლის) დონე, რაც რისკიანობისა და ემპათიის ტენდენციებს განკარგავს[70].

ბუნებრივია, ადამიანის ცხოვრების ბოლო წლების მოვლენებიც, მაგალითად, სხვადასხვა პათოლოგიები, პოსტ-ტრავმული სტრესული აშლილობა (PTSD) და სხვ., განსაზღვარს ადამიანის გადაწყვეტილებას დანაშაულის ჩადენის მომენტში[71]. ბავშვობის პერიოდი, განსაკუთრებით ფრონტალური კორტექსის განვითარება, შესაძლო ფიზიკური, სექსუალური და ფსიქოლოგიური ძალადობა და სხვა ფაქტორები ასევე მნიშვნელოვანია, რადგან მათ შესაძლოა მთელ შემდგომ ზრდასრულ ცხოვრებაზე წარუშლელი კვალი დატოვონ[72].

ჩანასახის პერიოდში დედის მხრიდან ალკოჰოლის მოხმარება, დედის მიერ ორსულობისას გადატანილი სტრესი და სხვ., ასევე უდიდეს გავლენას ახდენს ტვინის ფორმირებასა და შესაბამისად გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე[73]. მეცნიერთა მიერ დაიდენტიფიცირებულია ე.წ. აგრესიული გენური მუტაციები, რომლებიც ამ გენების მატარებელი ადამიანების ციხეში მოხვედრის ალბათობას ზრდიან[74]. მაგალითად, MAOA გენზე 30-ე ნუკლოეტიდის მუტაცია მამაკაცებში ორჯერ ზრდის ციხეში მოხვედრის ალბათობას[75], ხოლო DAT2 გენზე მუტაციის ორი სხვადასხვა ვერსია, ანალოგიურად, ასევე, 2-ჯერ ზრდის მამაკაცებში ციხეში მოხვედრის შანსს[76]. წინაპრების ცხოვრების წესი (მონადირეები, ფერმერები ან მწყემსები) და ჰაბიტატიც (უდაბნო ან ტროპიკული ტყე) კი მნიშვნელოვნად განაპირობებს ადამიანის გენეტიკურ და კულტურულ იდენტობას და შესაბამისად მისაღებ გადაწყვეტილებებს[77].

ზემოაღნიშნული სამეცნიერო აღმოჩენები სპობენ ტვინისა და სხეულის დუალისტური გაგების ილუზიას[78] და აჩვენებენ, რომ ტვინი სხეულის ნაწილია, ხოლო სხეულის სხვადასხვა ნაწილები, ჰორმონები და სხვ., ინტეგრირებულნი არიან ადამიანის კოგნიტური აქტივობის პროცესში[79].

ცხადია ნების თავისუფლების ილუზოულობა საბოლოოდ ადამიანის თავის ტვინში მიმდინარე პროცესების გამოკვლევის შედეგად უნდა განისაზღვროს[80]. მე-20 საუკუნეში, სამეცნიერო ტექნოლოგიების განვითარებამ, ნეირომეცნიერებს ადამიანის ტვინში „ჩახედვის“ და კოგნიტური პროცესების „წაკითხვის“ მანამდე არნახული შესაძლებლობები მისცა.

VI. კვლევები ნეირომეცნიერებებში

ბოლო 30-40 წლის განმავლობაში ნეირომეცნიერებმა თავის ტვინში მიმდინარე, გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე ემპირიული დაკვირვებები აქტიურად დაიწყეს[81]. ამ მხრივ, ბედის ირონიით, ნეირომეცნიერებაში ნების თავი-

[69] იქვე, გვ. 1104.
[70] იქვე, გვ. 1004.
[71] იქვე, გვ. 1005.
[72] იქვე, გვ. 1008.
[73] იქვე, გვ. 1110.
[74] იქვე, გვ. 1110.
[75] *Guo G., Ou X-M, Roettger M., Shih J.C.*, The VNTR 2 repeat in MAOA and delinquent behavior in adolescence and young adulthood: associations and MAOA promoter activity, 2008. https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC2922855/ (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).
[76] *Guo G., Ou X-M, Roettger M., Shih J.C.*, Contributions of the DAT1 and DRD2 genes to serious and violent delinquency among adolescents and young adults, 2007. https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/17120049/ (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).
[77] *Alces P.A, Sapolsky R.M.*, Nohwere, William & Mary Law Review, Vol. 63, Issue 4, 2022, p. 1110-1111.
[78] *Robinson H.*, Dualism , The Stanford Encyclopedia of Philosophy, 2020, https://plato.stanford.edu/cgi-bin/encyclopedia/archinfo.cgi?entry=dualism (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).
[79] *Shapiro L., Shannon S.*, Embodied Cognition, The Stanford Encyclopedia of Philosophy, 2021. https://plato.stanford.edu/archives/win2021/entries/embodied-cognition/ (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).
[80] *Haggard P.*, Decision Time for Free Will, Neuron, Vol. 69, Issue 3, 2011. https://www.cell.com/neuron/ (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).
[81] *Lavazza A.*, Free Will and Neuroscience: From Explaining Freedom Away to New Ways of Operationalizing and Measuring It, 2016. https://www.frontiersin.org/articles/10.3389/fnhum.2016.00262/full (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

სუფლების საწინააღმდეგო კვლევებს, საფუძველი ჩაუყარა ნების თავისუფლების გულმხურვალე მხარდამჭერმა - ნეიროფსიქოლოგმა ბენჟამინ ლიბეტმა[82].

ლიბეტის გუნდის მიერ 1983 წელს კალიფორნიის უნივერსიტეტში ჩატარებულ კვლევაში, ექსპერიმენტის მონაწილეებს თავისი სურვილით თითი უნდა აემოძრავებინათ და დაესახელებინათ მომენტი, როდესაც მათ ცნობიერებაში თითის ამოძრავების გადაწყვეტილება „გაჩნდა“[83]. ექსპერიმენტში გამოყენებული იყო სპეციალური საათი, რომელსაც სუბიექტები უყურებდნენ და ელექტროენცეფალოგრამი (EEG), რომელიც ლიბეტის გუნდმა თავებზე მოარგო ექსპერიმენტის მონაწილეებს[84].

ლიბეტის გუნდი თავის ტვინში ზომავდა ე.წ. მზაობის პოტენციალს (Readiness Potential). მზაობის პოტენციალი ტვინის გაზომვადი და დაკვირვებადი ელექტრო-აქტივობაა, რომელიც წინ უძღვის სხეულის მოძრაობას[85]. ლიბეტმა საინტერესო ფაქტი აღმოაჩინა, კერძოდ, მზაობის პოტენციალი (Readiness Potential) 0.2 წამით უსწრებდა წინ მომენტს, როდესაც სუბიექტები აცნობიერებდნენ, რომ სურდათ თითის ამოძრავება[86]. თავის მხრივ, უკვე ამ გაცნობიერების მომენტიდან 0.2 წამში ხდებოდა უშუალოდ თითის ამოძრავება სუბიექტის მიერ[87]. ამ კვლევის თანახმად, ერთი შეხედვით, გამოდიოდა, რომ ადამიანის ტვინი ჯერ ცნობიერს მიღმა იღებს გადაწყვეტილებას ამოძრავების შესახებ და მხოლოდ მოგვიანებით ადამიანის ცნობიერს მიეწოდება ინფორმაცია გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც შემდეგ აღსრულდება[88].

2008 წელს გერმანიაში პროფესორ ჯონ დილან ჰაინესის თაოსნობით გამოქვეყნდა უფრო დახვეწილი და ზუსტი ტექნოლოგიის, ფუნქციონალური მაგნიტო-რეზონანსური ტომოგრაფის (fMRI), გამოყენებით ჩატარებული კვლევის შედეგები, რომელმაც ლიბეტის ექსპერიმენტალური დაკვირვებები დაადასტურა[89]. ამ კვლევაში fMRI-ში მოთავსებულ სუბიექტებს არჩევანი უნდა გაეკეთებინათ ეკრანზე გამოსახულ 2 ასოს შორის 2 სხვადასხვა ღილაკზე თითის დაჭერით[90]. ლიბეტის კვლევის მსგავსად სუბიექტებს ეკრანზე ჰქონდათ საათი და უნდა დაეფიქსირებინათ მომენტი, როსდესაც მათ ცნობიერში გაჩნდა რომელიმე ასოს არჩევის გადაწყვეტილება[91]. ეს კვლევაც არანაკლებ სენსაციური გამოდგა, რადგან მზაობის პოტენციალი (readiness potential) ტვინში ზოგჯერ 10 წამით ადრეც კი ფიქსირდებოდა (მაგრამ ძირითადად 4-7 წამით ადრე), ვიდრე სუბიექტის ცნობიერებაში კონკრეტული ღილაკის დაჭერის გადაწყვეტილება გაჩნდებოდა[92]. თავის მხრივ, ღილაკზე თითის დაჭერა ამ გაცნობიერებიდან საშუალოდ 1 წამში ხდებოდა[93].

გარდა ამისა, ჰაინესის გუნდი ტვინის ელექტრო-აქტივობაზე დაყრდნობით აკეთებდა პროგნოზს თუ რომელი ღილაკის დაჭერის გადაწყვეტილება „ავიდოდა“ ექსპერიმენტის სუბიექტების ცნობიერში და საბოლოოდ რომელ ღილაკზე მოხდებოდა თითის დაჭერა[94]. სპეციალისტები არჩევის გაცნობიერებამდე 7 წამით ადრე,

---

82 *Roskies A. L.*, The Neuroscience of Free Will, University of St. Thomas Journal of Law and Public Policy, Vol. 15, Issue 1, Neuroscience and Law, 2021. https://ir.stthomas.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1148&context=ustjlp (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022); *Haggard P.*, Decision Time for Free Will, Neuron, Vol. 69, Issue 3, 2011. https://www.cell.com/neuron/ (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

83 *Libet, B., Gleason, C. A., Wright, E. W., Pearl, D. K.*, Neurophysiology of Consciousness, 1983. https://link.springer.com/chapter/10.1007/978-1-4612-0355-1_15#citeas (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

84 იქვე.

85 *Roskies A. L.*, The Neuroscience of Free Will, University of St. Thomas Journal of Law and Public Policy, Vol. 15, Issue 1, Neuroscience and Law, 2021. https://ir.stthomas.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1148&context=ustjlp (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

86 იქვე.

87 იქვე.

88 იქვე.

89 *Soon C.S. et al.*, Unconscious determinants of free decisions in the human brain, 2008. https://www.researchgate.net/publication/5443390_Unconscious_determinants_of_free_decisions_in_the_human_brain (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

90 იქვე.

91 იქვე.

92 იქვე.

93 *Smith K.*, Neuroscience vs philosophy: Taking aim at free will, 2011. https://www.nature.com/articles/477023a#Bib1 (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

94 იქვე.

60%-იანი სიზუსტით აფიქსირებდნენ თუ რომელ ასოს აირჩევდა პირი და შესაბამისად რომელ ღილაკს დააჭერდა იგი თითს[95].

სპეციალისტებისთვის ექსპერიმენტში ნაჩვენები 60%-იანი სიზუსტე არ იყო საკმარისი და 2011 წელს პროფესორ იცხაკ ფრეიდის გუნდმა, აშშ-დან და ისრაელიდან, გაუმჯობესებული კვლევის შედეგები გამოაქვეყნა[96]. ამ კვლევაში, ეპილეფსიით დაავადებულ პაციენტებს თავის ტვინში ელექტროდები ჰქონდათ იმპლანტირებული, რომლებიც კონკრეტულ ნეირონებთან იყო დაკავშირებული და გაცილებით მეტი სიზუსტით გადმოსცემდნენ ტვინის აქტივობას ვიდრე EEG ან თუნდაც fMRI[97]. პროფესორ ფრეიდის გუნდი პაციენტის მიერ გაცნობიერების მომენტამდე 0.7 წამით ადრე 80% სიზუსტით ადგენდა თუ რომელ ღილაკზე მოხდებოდა სუბიექტის მხრიდან თითის დაჭერა[98].

2013 წლის კვლევაში ნეირომეცნიერებმა კიდევ უფრო წინ წაიწიეს, როდესაც ღილაკზე თითის დაჭერის მექანიკური გადაწყვეტილების ნაცვლად, სუბიექტებს აბსტრაქტული გადაწყვეტილება უნდა მიეღოთ ორი ციფრის ერთმანეთთან ან მიმატების ანდა გამოკლების შესახებ[99]. ამ კვლევაში, მზაობის პოტენციალი (readiness potential) ჯერ კიდევ 4 წამით ადრე ფიქსირდებოდა ტვინის პრეფრონტალურ კორტექსში, ვიდრე ექსპერიმენტის სუბიექტები მოახდენდნენ ამ გადაწყვეტილების გაცნობიერებას[100].

კვლევები აშკარად იმეორებდა ერთი და იგივე დინამიკას მზაობის პოტენციალსა (readiness potential) და გაცნობიერების მომენტს შორის, თუმცა, ნეირომეცნიერებს შორის დღემდე ვერ შედგა კონსენსუსი ზემოაღნიშნული ექსპერიმენტების შედეგების ინტერპრეტაციაზე[101].

VII. ლიბეტის სტილის ექსპერიმენტების ინტერპრეტაცია და ტვინის მუშაობის ნეირომეცნიერული გაგება

ზემოთ ნახსენებ ექსპერიმენტებს, რომლებსაც ნეირომეცნიერები ლიბეტის სტილის ექსპერიმენტებად (Libet Style Experiments) მოიხსენიებენ, არაერთგვაროვანი ინტერპრეტაცია გააჩნიათ[102].

თავად ლიბეტი მზაობის პოტენციალს (Readiness Potential) ტვინის მიერ მიღებულ „გადაწყვეტილებად“ განიხილავდა[103]. ხოლო ალტერნატიული, სტოქასტიკური მოდელის თანახმად კი, მზაობის პოტენციალი არა თვითონ „გადაწყვეტილებას“, არამედ გადაწყვეტილების მი-

---

95 *Soon C.S. et al.*, Unconscious determinants of free decisions in the human brain, 2008. https://www.researchgate.net/publication/5443390_Unconscious_determinants_of_free_decisions_in_the_human_brain (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

96 *Fried I., Mukamel R., Kreiman G.*, Neuron Vol. 69, Issue 3, 2011. https://www.cell.com/neuron/fulltext/S0896-6273(10)01082-2?_returnURL=https%3A%2F%2Flinkinghub.elsevier.com%2Fretrieve%2Fpii%2FS0896627310010822%3Fshowall%3Dtrue (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

97 *Smith K.*, Neuroscience vs philosophy: Taking aim at free will, 2011. https://www.nature.com/articles/477023a#Bib1 (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

98 *Fried I., Mukamel R., Kreiman G.*, Neuron Vol. 69, Issue 3, 2011. https://www.cell.com/neuron/fulltext/S0896-6273(10)01082-2?_returnURL=https%3A%2F%2Flinkinghub.elsevier.com%2Fretrieve%2Fpii%2FS0896627310010822%3Fshowall%3Dtrue (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

99 *Soon C.S., He A.H., Bode S., Haynes J.D.*, Predicting free choices for abstract intentions, Proceedings of the National Academy of Sciences of the USA, Vol. 110, Issue 15, 2013. https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC3625266/ (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

100 იქვე.

101 *Birman at al.*, The point of no return in vetoing self-initiated movements, 2016, https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC4743787/ (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

102 *Lavazza A.*, Free Will and Neuroscience: From Explaining Freedom Away to New Ways of Operationalizing and Measuring It, 2016. https://www.frontiersin.org/articles/10.3389/fnhum.2016.00262/full (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022); *Birman at al.*, The point of no return in vetoing self-initiated movements, 2016, https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC4743787/ (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022); *Roskies A. L.*, The Neuroscience of Free Will, University of St. Thomas Journal of Law and Public Policy, Vol. 15, Issue 1, Neuroscience and Law, 2021. https://ir.stthomas.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1148&context=ustjlp (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

103 *Libet, B., Gleason, C. A., Wright, E. W., Pearl, D. K.*, Neurophysiology of Consciousness, 1983. https://link.springer.com/chapter/10.1007/978-1-4612-0355-1_15#citeas (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

ღების „პროცესს“ ასახავს[104].

სტოქასტიკური მოდელის თანახმად, თავის ტვინში გამუდმებული ნეირონული ხმაურის (neuronal noise) ფონზე, სხვადასხვა გადაწყვეტილებებს შორის აქტიური „შეჯიბრი“ მიმდინარეობს[105]. მზაობის პოტენციალის დაფიქსირება ხელსაწყოების მიერ ამ „შეჯიბრის“ მიმდინარეობას ასახავს, როდესაც გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ არის მიღებული[106]. სტოქასტიკური ინტერპრეტაციით, იმ მომენტისთვის, როდესაც ერთ-ერთი გადაწყვეტილება ნეირონული ხმაურის დონეში „კრიტიკულ ზღურბლს“ ასცდება, ადამიანის ცნობიერი მყისიერად ხდება ინფორმირებული ამ გადაწყვეტილების შესახებ, ხოლო ზოგიერთი ავტორის მოსაზრებით, საერთოდ, ჯერ ადამიანის ცნობიერის ინფორმირება ხდება და გადაწყვეტილების მისაღებ „კრიტიკულ ზღურბლს“ ზემოთ აცდენა მხოლოდ შემდეგ ხდება[107]. სტოქასტიკური მოდელის მიმდევრები ამ მიმართულებით ყურადღებას იმ ფაქტზე ამახვილებენ, რომ მზაობის პოტენციალის ზრდა ზოგჯერ ცნობიერში გადაწყვეტილების ასვლის შემდეგაც გრძელდება[108].

მიუხედავად ლიბეტის ინტერპრეტაციასთან კონფლიქტისა, სტოქასტიკურ მოდელში განსაკუთრებით საგულისხმოა ის, რომ ტვინის უნარი, თუნდაც ცნობიერი დაკვირვების ეტაპზეც კი მიღებულ იქნეს გადაწყვეტილებები, არ დასტურდება მომდინარეობდეს უშუალოდ ადამიანის ცნობიერისგან[109]. ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა ამ მიმართულებით ის არის, რომ ნეირომეცნიერებისთვის დღემდე უცნობია ცნობიერი გონების ფორმირების ზუსტი პროცესი-[110]. რაც ადამიანის თავის ტვინზე დაკვირვებისას ამ ეტაპზე მეცნიერულად ჩანს და რასაც სტოქასტიკური მოდელის მომხრეებიც ადასტურებენ, საუბარი ლიბერტარიანულ ნების თავისუფლებაზე და თავისუფალი არჩევანის გაკეთებაზე აზრს მოკლებულია, რადგან სტოქასტიკურ მოდელში გადაწყვეტილებები მიიღება ნეირონული ხმაურის გარკვეულ „კრიტიკულ დონეს“ ზემოთ აცდენით და ამ პროცესის ცნობიერების მხრიდან „მართვა“ ამ ეტაპზე ექსპერიმენტებით არ დასტურდება[111].

საინტერესოა ის გარემოებაც, რომ სტოქასტიკური მოდელის მიერ აღწერილი ნეირონული ხმაური დეტერმინირებული პროცესია თუ არადეტერმინირებულ ხდომილობით ქაოსს წარმოადგენს, სპეციალისტებისთვის ამჟამად უცნობია[112]. თუმცა, მოცემულს ლიბერტარიანული ნების თავისუფლების გასაქარწყლებლად მნიშვნელობა არც აქვს, რადგან ადამიანის თავის ტვინი დომინოს პრინციპით არის მოწყობილი, კამათლის პრინციპით თუ მათი ერთგვარი კომბინაციით, ნების თავისუფლებას არცერთ შემთხვევაში არ წარმოშობს. სპეციალისტები მოსაზრებით, სავსებით შესაძლებელია თავის ტვინი ორ ეტაპიან „სისტემას“ მოიცავდეს, როდესაც ჯერ ხდომილობითი, კამათლის პრინციპის ტიპის მექანიზმი „აწარმოებს“ კონკურენტ გადაწყვეტილებებს და შემდეგ მეორე ეტაპზე დომინოს პრინციპით, დეტერმინირებულად ხდება

---

104 *Brass M., Furstenberg A., Melec A.R.*, Why neuroscience does not disprove free will, 2019, https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S0149763419300739 (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

105 *Bode S., Murawski C., Soon C.S., Bode P., Stahl J., Smith P.L.*, Demystifying “free will”: the role of contextual information and evidence accumulation for predictive brain activity, Neuroscience and Biobehavioral Review, Vol. 47, 2014, pp. 636–645.

106 აღნიშნულ საკითხზე იხ. *Schurger A. et al.*, An Accumulator Model for Spontaneous Neural Activity Prior to Self-Initiated Movement, Proceedings of the National Academy of Sciences of the USA, Vol. 109, 2012.

107 *Roskies A. L.*, The Neuroscience of Free Will, University of St. Thomas Journal of Law and Public Policy, Vol. 15, Issue 1, Neuroscience and Law, 2021. https://ir.stthomas.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1148&context=ustjlp (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022); ასევე აღნიშნულ საკითხზე იხ. *Schurger A. et al.*, An Accumulator Model for Spontaneous Neural Activity Prior to Self-Initiated Movement, Proceedings of the National Academy of Sciences of the USA, Vol. 109, 2012.

108 *Roskies A. L.*, The Neuroscience of Free Will, University of St. Thomas Journal of Law and Public Policy, Vol. 15, Issue 1, Neuroscience and Law, 2021. https://ir.stthomas.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1148&context=ustjlp (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

109 *Lavazza A.*, Free Will and Neuroscience: From Explaining Freedom Away to New Ways of Operationalizing and Measuring It, 2016. https://www.frontiersin.org/articles/10.3389/fnhum.2016.00262/full (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

110 *Adolphs R.*, The Unsolved Problems of Neuroscience, Trends in Cognitive Neurosciences, Vol. 19, 2015, p. 175.

111 *Roskies A. L.*, The Neuroscience of Free Will, University of St. Thomas Journal of Law and Public Policy, Vol. 15, Issue 1, Neuroscience and Law, 2021. https://ir.stthomas.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1148&context=ustjlp (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

112 იქვე.

ნეირონული სიგნალების ჯაჭვის მიერ გამარჯვებული გადაწყვეტილების „გამოვლენა“ და ადამიანის ქმედების რეალიზაცია[113]. ამგვარ მოდელში არსად ნების თავისუფლების ადგილი არ არის.

როგორც არაერთი ნეირომეცნიერი მიუთითებს, ამ ეტაპზე ექსპერიმენტები არ ადასტურებენ ადამიანის უშუალოდ ცნობიერში გადაწყვეტილების „თავისუფლად“ მიღებას[114]. უფრო მეტიც, სპეციალისტებს სარწმუნოდ მიაჩნიათ, რომ ჩვენი ცნობიერი გონება მხოლოდ მოწყობილია იმგვარად, რომ გადაწყვეტილებების მიღებაზე ცნობიერი კონტროლის ილუზია გვაქვს და ეს ილუზია თავის ტვინის მიერ სპეციალურად შემუშავებული ფსიქოლოგიური კონსტრუქციაა[115].

ადამიანის აღქმის უნარზე დაკვირვებები უკვე ადასტურებს უამრავ ილუზიას, რომელთა შორისაცაა, მაგალითად, ჩაბის ილუზია (რომელიც ფონის სიმუქის მიხედვით იდენტურ ფერს ორ სხვადასხვა ფონზე სხვადასხვა ფერად წარმოაჩენს)[116], პოგენდორფის ილუზია (როდესაც ადამიანი წარმოსახვაში დიაგონალურ ხაზებს არასწორად აერთებს ერთმანეთთან)[117], შეპარდის მაგიდების ილუზია (როდესაც ადამიანს ერთი და იგივე ფართობის 2D ზედაპირი არასწორად გადაჰყავს 3D-ში, რაც ფართობების აღრევას იწვევს)[118] და სხვ. ფილმები და კომპიუტერული თამაშებიც კი, წამში მიყოლებით 24 ან მეტი უძრავი, „გაშეშებული“ სურათის ჩვენებით, მოძრაობის ილუზიას ქმნიან თავის ტვინისათვის[119]. და ბოლოს, მე-15 საუკუნემდე არსებული დამკვიდრებული მცდარი მოსაზრება შეგვიძლია გავიხსენოთ, რომ მზე თითქოსდა დედამიწის გარშემო ბრუნავს. მათემატიკის, გეოგრაფიის და ფიზიკის განვითარების შედეგად კაცობრიობა სულ რამდენიმე ასწლეულია მოცემული ილუზიიდან გამოვიდა. მანამდე კი უშუალოდ ადამიანური გრძნობის ორგანოებით სხვაგვარი დაკვირვება შეუძლებელი იყო.

შესაბამისად, ადამიანის მიერ რაიმე განცდის ქონა (მათ შორის ნების თავისუფლების განცდისა) რეალობასთან მის კავშირს თავისთავად არანაირად არ ადასტურებს.

VIII. ნების თავისუფლების დავიწროების მცდელობა ნეირომეცნიერთა ნაწილის მიერ

ნების თავისუფლების ლიბერტარიანული ცნების თანამედროვე ნეირომეცნიერების დაკვირვებებთან სრული აცდენის გათვალისწინებით, ნეირომეცნიერთა გარკვეულ ნაწილში, არსებობს მცდელობა ადამიანის ბიოლოგიასთან ახლოს მდგომი და ვიწრო შინაარსის ნების თავისუფლების დეფინიცია იქნეს შემუშავებული[120]. მსგავს მიდგომას მეცნიერთა მეორე ნაწილი არ იზიარებს[121].

ვიწრო შინაარსის შემუშავების დეფინიციის მომხრეები, მოცემულ შემთხვევაში, საუბრობენ თვით-კონტროლის, ანუ რაციონალური არჩევანის გაკეთების უნარზე, რომელიც რეალური ბი-

[113] *Brembs B.*, Towards a scientific concept of free will as a biological trait: spontaneous actions and decision-making in invertebrates, 2010. https://royalsocietypublishing.org/doi/10.1098/rspb.2010.2325 (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

[114] *Lavazza A.*, Free Will and Neuroscience: From Explaining Freedom Away to New Ways of Operationalizing and Measuring It, 2016. https://www.frontiersin.org/articles/10.3389/fnhum.2016.00262/full (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022); *Brembs B.*, Towards a scientific concept of free will as a biological trait: spontaneous actions and decision-making in invertebrates, 2010. https://royalsocietypublishing.org/doi/10.1098/rspb.2010.2325 (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

[115] აღნიშნულ საკითხზე იხ. *Wegner D.M.*, The illusion of conscious will, 2002; *Aarts H., Custers R., and Wegner D.M*, On the inference of personal authorship: enhancing experienced agency by priming effect information, Consciousness and Cognition, Vol. 14, 2004, pp. 439–458.

[116] *Wang L.*, Mind-bending Optical illusions. https://visme.co/blog/best-optical-illusions/ (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

[117] იქვე.

[118] იქვე.

[119] *Edrige-Green E.W.*, Persistence of Vision, Nature, 155, 1945, https://www.nature.com/articles/155178a0 (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

[120] *Brembs B.*, Towards a scientific concept of free will as a biological trait: spontaneous actions and decision-making in invertebrates, 2010. https://royalsocietypublishing.org/doi/10.1098/rspb.2010.2325 (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

[121] მოცემულ საკითხზე მაგალითად იხ. *Harris S.*, Free Will, 2012.

ოლოგიური, გაზომვადი ფენომენია[122] და ფართო საზოგადოებისთვის ყველაზე მეტად ნობელიანტი მეცნიერის, დანიელ კანემანის საკულტო ნაშრომიდან Thinking, Fast and Slow არის ცნობილი[123]. რაციონალური არჩევანის გაკეთების უნარში მეცნიერები გულისხმობენ მოკლე-ვადიანი იმპულსების კონტროლის უნარს ანუ ნებისყოფას (willpower), რომელიც ხანგრძლივ-ვადიან პერსპექტივაში სარგებლის მიღებაში ეხმარება ადამიანებს[124]. მაგალითად, სოციალურ ჯგუფში ერთი სუბიექტის მიერ მეორისთვის საკვების წართმევა მოკლე-ვადიან პერსპექტივაში მომგებიანია, თუმცა, ხანგრძლივ-ვადიან პერსპექტივაში წამგებიანი, რადგან „ქურდი" შეიძლება ჯგუფიდან გააძევონ ან საერთოდ მოკლან[125].

მეცნიერთა მოსაზრებით, მსგავსი ხანგრძლივ-ვადიან სარგებელზე გათვლილი კოგნიტური ოპერაციების წარმოება მხოლოდ ძლიერი ნეირონული აპარატის მქონე არსებებს შეიძლება ჩამოუყალიბდეთ და, ევოლუციური თვალსაზრისით, ტვინში მსგავსი მექანიზმისთვის საჭირო არქიტექტურის შექმნა და შენახვა უკიდურესად ხარჯიანია[126]. მაგალითად, სისხლში გლუკოზის დონე პირდაპირ კორელაციაშია ნებისყოფასთან და მას უფრო მაღალი კალორიული ხარჯიც აქვს, ვიდრე იმპულსურ ქცევას[127].

სტატია ემხრობა მოსაზრებას, რომ ნებისყოფა (willpower) უკვე დამკვიდრებულია მეცნიერებაში გასაგები შინაარსით და მისი აღრევის საჭიროება ნების თავისუფლებაში (free will) არ არსებობს, უფრო მეტიც, მსგავსი მცდელობა კონტრპროდუქტიულია. აღნიშნული განსაკუთრებით აშკარაა იმ პირობებში, როდესაც ნეირომეცნიერთა უმრავლესობა ნების თავისუფლებას სწორედ „ვიწრო" გაგებით იყენებს, ხოლო ფართო საზოგადოებისგან, ამ საკითხზე ნიუანსების ცოდნის ნაკლებობის გამო, ეს აღქმულია როგორც ნეირომეცნიერთა ნაწილის მიერ ლიბერტარიანული ნების თავისუფლების მხარდაჭერა. „ცისფერი მთების" სიუჟეტის მსგავსად, ორი სხვადასხვა სახელი მხოლოდ დაბნეულობას იწვევს, ნებისყოფა (willpower) და ნების თავისუფლება (free will) გამიჯნულ ცნებებად უნდა დარჩეს.

IX. ნების თავისუფლების საკითხის სწორად დასმა

ნეირომეცნიერებებში არსებული რეალობის გათვალისწინებით, შემდეგი დასკვნის გაკეთება შეიძლება: 21-ე საუკუნის სოციუმში ნების თავისუფლების საკითხი ფუნდამენტურად არასწორად არის დასმული. მკითხველს ზემოთ უკვე ვთხოვეთ ნების თავისუფლების შესახებ აშშ-ს უზენაეს სასამართლოს მსჯელობაში სიტყვა „რწმენა" დაემახსოვრებინა. რეალურად, დღევადელი მოცემულობით, ნების თავისუფლება არის რწმენის და არა მეცნიერული ფაქტის საკითხი[128].

ჯერ კიდევ ნიცშემ თავის მწვავე კრიტიკაში, ნების თავისუფლების რწმენა ადამიანების „ექსტრავაგანტულ" სიამაყეს დააბრალა და მიუნჰაუზენის მიერ ჭაობიდან საკუთარი ხელით თმით ამოთრევას შეადარა[129]. ნიცშეს ანალოგიის აზრი ისაა, რომ როგორც ადამიანი ვერ აწევს თავს საკუთარ თმაში ხელის ჩავლებით, ასევე, კონცეპტუალურად არასწორია საუბარი ნებაზე, რომელიც ყველაფრისგან თავისუფალია, დამოუკიდებელია და საკუთარი თავის ერთადერთი მიზეზია (Causa Sui)[130].

ბიოლოგიურ მეცნიერებებში არსებული რეალობის გათვალისწინებით, მტკიცების ტვირთი

[122] *Lavazza A.*, Free Will and Neuroscience: From Explaining Freedom Away to New Ways of Operationalizing and Measuring It, 2016. https://www.frontiersin.org/articles/10.3389/fnhum.2016.00262/full (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

[123] ქართულად: „სწრაფად და ნელა ფიქრი".

[124] *Baumeister R.*, Free Will in Scientific Psychology, Perspectives on Psychological Science, 2008. https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/26158665/ (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

[125] იქვე.

[126] *Gailliot M. at al.*, Self-control relies on glucose as a limited energy source: willpower is more than a metaphor, Journal of Personality and Social Psychology, Vol. 92, Issue, 2, 2007. https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/17279852/ (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

[127] იქვე.

[128] *Drygala at al.*, Private Autonomy in Germany and Poland and in the Common European Sales Law, 2012, p. 2.

[129] *Nietzsche F.*, Beyond Good and Evil, 1886, S. 21.

[130] იქვე.

დიდი ხანია გადავიდა მათზე, ვინც ნების თავისუფლების არსებობას ემხრობა[131]. დნმ-ს აღმომჩენის, მე-20 საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი მეცნიერის, ნობელიანტი ფრენსის კრიკის დიქტუმი - „ადამიანის მენტალური აქტივობა მხოლოდ ატომების, მოლეკულების, იონების, ნერვული უჯრედების და გლიური უჯრედების გარდა სხვა არაფრისგან შედგება“[132], მაღალ თამასას აწესებს ამ პოზიციის გაქარწყლების მსურველთათვის.

ნების თავისუფლების არსებობის შესახებ დებატი თავისი დინამიკით მარსზე სიცოცხლის არსებობის შესახებ რამდენიმე საუკუნის წინანდელ მიდგომებს შეგვიძლია შევადაროთ. ფილოსოფოსი იმანულ კანტი და მისი თანამედროვე ასტრონომი იულიამ ჰერშელი, რომელმაც პლანეტა ურანი აღმოაჩინა, მიიჩნევდნენ, რომ მარსზე არამხოლოდ სიცოცხლე არსებობს, არამედ პლანეტა ადამიანის მსგავსი არსებებითაც არის დასახლებული[133]. თუმცა, როგორც მე-20 და 21-ე საუკუნის მარსის მისიებმა არაერთხელ აჩვენა, პლანეტაზე არც გონიერი და არც მარტივი სიცოცხლის ფორმების ნიშანწყალი არ ჩანს[134]. ასტროფიზიკოსი კარლ სეიგანის სიტყვები რომ მოვიშველიოთ: „ნებისმიერი ექსტრაორდინალური ხასიათის განაცხადი ექსტრაორდინალურ მტკიცებულებებს მოითხოვს“.[135] იგივე ითქმის ნების თავისუფლების მომხრეების ექსტრაორდინალურ მტკიცებაზეც ნების თავისუფლების არსებობის შესახებ.

დღევანდელი გადმოსახედიდან, მართლმსაჯულების პროცესი, რომელიც ექსპერტიზის დასკვნებს და სამეცნიერო მიდგომებს (ბალისტიკა, დაქტილოსკოპია და სხვ.) ეფუძნება, თავის ფუნდამენტს რწმენის საკითხზე - ადამიანის ნების თავისუფლებაზე აგებს. არამეცნიერული კონცეფციების ინტეგრცია სამართლის სისტემაში გარკვეულ ეტაპზე სამართლის რევოლუციის პროცესს გარდაუვლად განაპირობებს. შედარებისთვის, რამდენიმე საუკუნის წინ, ჯადოქრობაში ბრალდებული პირებისა[136] და ცხოველების გასამართლება[137] ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ, ხოლო მებრძოლთა დუელს შეეძლო განესაზღვრა ადამიანის ბედი სასამართლო პროცესზე[138].

ასწლეულების შემდეგ, დღევანდელი მიდგომაც ნების თავისუფლების ილუზორული კონცეფციის შესაბამისად ადამიანების პასუხისმგებაში მიცემის შესახებ, ისეთივე ბარბარობოსად შეიძლება იქნეს მიჩნეული, როგორც ზემოთ დასახელებული შუა საუკუნეების მაგალითები.

X. უნდა ვიცხოვროთ თუ არა ნების თავისუფლების ფიქციით

სპეციალისტთა შორის დებატის კიდევ ერთი საგანია, რამდენად უნდა მოხდეს ნების თავისუფლებაზე, როგორც გამოგონილ ფიქციაზე დაყრდნობით სოციუმის ოპერირება.

არსებობს მოსაზრება, რომ ადამიანი ნების თავისუფლების გარეშე „ხორცის მანქანად“ ან „ხორცის კომპიუტერად“ გადაიქცევა[139], ამიტომ, ამ კონცეფციის გარეშე სოციუმის ოპერირება დაუშვებელია, ხოლო ფიქციაზე უარის

[131] *Pereboom D., Shaw E., Caruso G.*, Free Will Skepticism in Law and Society, Free Will Skepticism in Law and Society: Challenging Retributive Justice, 2019, p. 10.

[132] მოცემულ საკითხზე იხ. *Crick F.*, The Astonishing Hypothesis: the Scientific Search for the Soul, 1994.

[133] იხ.https://www.colonialwilliamsburg.org/learn/deep-dives/inhabitants/ (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

[134] იხ. https://www.nasa.gov/audience/forstudents/postsecondary/features/mars_life_feature_1015.html (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

[135] *Kaufman M.*, First Contact: Scientific Breakthroughs in the Hunt for Life Beyond Earth, 2012, p. 124.

[136] *Alces P.A., Sapolsky R.M.*, Nohwere, Abstract, 2022.https://scholarship.law.wm.edu/wmlr/vol63/iss4/2 (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

[137] *Vatomsky S.*, When Societies Put Animals on Trials, 2017. https://daily.jstor.org/when-societies-put-animals-on-trial/ (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

[138] *Smith M.*, Trial By Combat in the Modern World, Barry Law Review, Vol. 27, 2022, https://lawpublications.barry.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1187&context=barrylrev (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

[139] *Daly S.*, Free Will Is No Bargain: How Misunderstanding Human Behavior Negatively Influences Our Criminal Justice System, Nevada Law Journal, Vol. 15, Issue 2, 2015, https://scholars.law.unlv.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1602&context=nlj (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

თქმა გამოუსწორებელ, გამანადგურებელ შედეგებს მოიტანს[140].

საწინააღმდეგო მოსაზრებით, თავისუფალი ნების ილუზიაში ადამიანების მოქცევა და ოპერირება ინტელექტუალური არაკეთილსინდისიერებაა[141].

სპეციალისტთა ნაწილის მხრიდან ნების თავისუფლების ფიქციით ოპერირების მოთხოვნა საინტერესო გამბიტია[142], რომელიც სხვადასხვა ნიუანსების ანალიზს მოითხოვს. სოციუმისთვის ინფორმაციის „გაფილტრული“ ფორმით მიწოდების იდეა ჯერ კიდევ პლატონის რესპუბლიკაში იღებს სათავეს[143]. პლატონისეული მოსაზრების განვრცობით, ნების თავისუფლება, თუნდაც ილუზორული ფორმით, შესაძლებელია სოციალურ ჰარმონიას უზრუნველყოფდეს[144].

2008 წელს მინესოტას უნივერსიტეტში ჩატარებულ კვლევაში[145], სუბიექტების ორ ჯგუფზე ჩაატარეს ექსპერიმენტი, რომელთაგანაც ერთ ჯგუფს დეტერმინიზმის სისწორის შესახებ ამონარიდი წაუკითხეს, ხოლო მეორე ჯგუფს შემთხვევითი ტექსტი[146]. ექსპერიმენტში მოწმდებოდა რამდენად მოიტყუებდნენ სუბიექტები მიღებული ქულების შესახებ ამ ორი სხვადასხვა ინფორმაციის მოსმენის შემდეგ[147]. კვლევის ავტორების თანახმად, მათ ვისაც ექსპერიმენტის წინ დეტერმინიზმის შესახებ ამონარიდი წაუკითხეს, უფრო მეტად მოიტყუეს ქულების შესახებ და შესაძლოა აღნიშნული საკუთარი ნების თავისუფლების ეჭვქვეშ დაყენებით იყოს განპირობებული[148].

თუმცა, საგულისხმოა, რომ მოცემული კვლევის შედეგები არ განმეორებულა და სხვა კვლევებში განსხვავებული შედეგი იქნა მიღებული[149]. პროფესორ მონროს გუნდმა 2016 წელს ამ საკითხზე 4 კვლევა ჩაატარა, რომელთაგანაც არცერთმა 2008 წლის კვლევის შედეგი არ გაიმეორა[150], ხოლო პროფესორ კრონის კვლევაში თავისუფალი ნების რწმენის მქონე ადამიანებში მეტი კეთილსინდისიერება ან მზრუნველობა სტატისტიკურად არ დადასტურდა[151].

ნების თავისუფლების ფიქციის გამოყენების მოწინააღმდეგეები მიუთითებენ, რომ ამგვარი სიცრუის გარეშე საზოგადოება უფრო მიმტევებელი და ემპათიური გახდება, ხოლო ისეთი ნეგატიური ემოციები როგორიცაა შურისძიება, არატოლერანტულობა და სიძულვილი შემცირდება[152]. გარდა იმისა, რომ მეცნიერების საწინააღმდეგო ბიოლოგიური ფიქციებით ოპერირება უკიდურესად სახიფათოა საზოგადოებისათვის

---

140 *Rychlak R.J.*, Tort Law, Free Will, and Personal Responsibility, The Catholic Social Science Review, Vol. 12, 2007, p. 51-67.

141 *Jones M.*, Overcoming the Myth of Free Will in Criminal Law: The True Impact of the Genetic Revolution, Duke Law Journal, Vol. 52, 2003. http://www.jstor.org/stable/1373128 (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

142 გამბიტი (ინგლ. Gambit) არის ფიგურის გაწირვა ჭადრაკში უკეთესი პოზიციის მისაღებად. ამ შემთხვევაში, გამბიტს წარმოადგენს ობიექტური რეალობის „გაწირვა“ სტაბილური სოციუმის მიღების გათვლით. თავის მხრივ, რამდენად ეფექტიანია ასეთი გამბიტი და რამდენად მოიტანს ის სოციალურ სტაბილურობას, ცალკე განხილვის საგანია.

143 პლატონი, რესპუბლიკა, წიგნი 3.

144 *Baumeister R.*, Free Will in Scientific Psychology, Perspectives on Psychological Science, 2008. https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/26158665/ (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

145 *Vohs K. D., Schooler J. W.*, The value of believing in free will: encouraging a belief in determinism increases cheating, Psychological Science, Vol. 19, 2008, p. 49–54.

146 *Smith K.*, Neuroscience vs philosophy: Taking aim at free will, 2011. https://www.nature.com/articles/477023a#Bib1 (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

147 იქვე.

148 იქვე.

149 *Monroe A.E., Brady G.L., Malle B.F.*, This Isn't the Free Will Worth Looking For: General Free Will Beliefs Do Not Influence Moral Judgments, Agent-Specific Choice Ascriptions Do, 2016. https://journals.sagepub.com/doi/10.1177/1948550616667616 (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022); *Crone D.L., Levy N.L.*, Are Free Will Believers Nicer People? (Four Studies Suggest Not), Social Psychological and Personality Science, Vol. 10, Issue 5.https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC6542011/ (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

150 *Monroe A.E., Brady G.L., Malle B.F.*, This Isn't the Free Will Worth Looking For: General Free Will Beliefs Do Not Influence Moral Judgments, Agent-Specific Choice Ascriptions Do, 2016. https://journals.sagepub.com/doi/10.1177/1948550616667616 (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022);

151 *Crone D.L., Levy N.L.*, Are Free Will Believers Nicer People? (Four Studies Suggest Not), Social Psychological and Personality Science, Vol. 10, Issue 5.https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC6542011/ (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

152 *Nadelhoffer T.*, The threat of shrinking agency and free will disillusionism, A Tribute to Benjamin Libet., 2011, pp. 173-188.

ხანგრძლივ-ვადიან პერსპექტივაში[153], სტატიაც სწორედ ამ უკანასკნელ პოზიციას იზიარებს, რომ ნების თავისუფლების გარეშე დასჯის, მიზღვევის და შურისძიების განცდები სოციუმში შემცირდება.

მოცემულს განსაკუთრებით კარგად დავინახავთ, ქვემოთ, სისხლის სამართალში ნების თავისუფლების კონცეფციის გაქრობის შედეგებიდან გამომდინარე.

XI. სამართალი ნების თავისუფლების გარეშე

ნებისმიერი რევოლუცია, მათ შორის სამართალში, გარკვეულ პოზიტიურ შინაარსს და დღის წესრიგს უნდა ატარებდეს ინდივიდებისა და საზოგადოებისთვის. სხვა შემთხვევაში, ვსაუბრობთ რეგრესზე და არა პროგრესზე.

გამართლებულად უნდა მივიჩნიოთ მიდგომა, რომ ნეირომეცნიერებებში მომხდარი „გადატრიალების“ იმპლემენტაცია სამართალში უტილიტარულ[154] საწყისებზე იმპლემენტაციას მოითხოვს[155]. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პასუხი უნდა გაეცეს კითხვას რა სარგებელი და „სიკეთე“ შეიძლება მოიტანოს სამართალმა და კონკრეტულმა სამართლებრივმა რეგულაციებმა ინდივიდებისთვის და სოციუმისთვის ადამიანის ტვინის უკეთ შემეცნების პოზიციიდან. ასევე, უდავოა ისიც, რომ ნეიროეცნიერებათა ძალა მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება[156]. ამიტომ, ამ ფაქტის იგნორირება, მის სამართლებრივ ჩარჩოს გარეთ დატოვება პრინციპულად არასწორი იქნება.

სპეციალისტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ კონკრეტულად ნების თავისუფლების ილუზიის გაქრობის შედეგად სამართალში შეიძლება არც არაფერი შეიცვალოს[157] ან საერთოდ ყველაფერი შეიცვალოს[158]. ზოგიერთი ავტორი ფიქრობს, რომ სამართალში ადამიანის *არჩევანის* ნაცვლად (რომელიც არ არსებობს ან მინიმუმ პრობლემურია თუკი ნების თავისუფლება არ არსებობს) თვისობრივად ახალი მიდგომა შემოდის და კანონის გადაცდომა უფრო *დაავადებად* იქნება განხილული (რადგან ადამიანს არ აქვს უნარი სამართლებრივი წესრიგი დაიცვას და აღნიშნული საჭიროებს „კორექტირებას“ სახელმწიფოს მხრიდან)[159]. თუკი მომავალ ათწლეულებში კაცობრიობა მართლაც ამგვარ ტრაექტორიას დაადგება, განსაკუთრებით ადამიანის ქცევის პროგნოზირების სფეროში ხელოვნური ინტელექტის აქტიური გამოყენებით[160], ფანტასტიკის ჟანრის ნაწარმოებთა სხვადასხვა სიუჟეტები, შესაძლებელია, რეალობადაც იქცეს[161].

---

[153] მაგალითად, არასწორი, დამახინჯებული მეცნიერული მიდგომები ევოლუციის თეორიასთან მიმართებით ნაციზმის ერთ-ერთი იდეოლოგიური საფუძველი გახდა. აღნიშნულ საკითხზე იხ. *Weikart R.*, The Role of Darwinism in Nazi Racial Thought, German Studies Review, Vol. 36/3, 2013. https://www.csustan.edu/sites/default/files/History/Faculty/Weikart/Darwinism-in-Nazi-Racial-Thought.pdf (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

[154] Utilitarian ინგლისურად ნიშნავს გამოყენებადს, სარგებლიანს, ხეირის მომტანს. უტილიტარიზმი ერთ-ერთი ფილოსოფიური მოძღვრებაა, რომელიც მე-19 საუკუნეში განვითარდა. უტილიტარიზმის შესახებ იხ. *Julia D.*, The History of Utilitarianism, The Stanford Encyclopedia of Philosophy, 2014. https://plato.stanford.edu/cgi-bin/encyclopedia/archinfo.cgi?entry=utilitarianism-history (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

[155] *Jones M.*, Overcoming the Myth of Free Will in Criminal Law: The True Impact of the Genetic Revolution, Duke Law Journal, Vol. 52, 2003. http://www.jstor.org/stable/1373128 (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

[156] *Eagleman D.*, The Brain on Trial, 2011. https://www.theatlantic.com/magazine/archive/2011/07/the-brain-on-trial/308520/ (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

[157] აღნიშნულ საკითხზე იხ. *Greene J., Cohen J.*, For the Law, Neuroscience Changes Nothing and Everything, Philosophical Transactions of the Royal Society, Vol. 359, 2004.

[158] იქვე.

[159] *Alces P.A., Sapolsky R.M.*, Nohwere, Abstract, 2022.https://scholarship.law.wm.edu/wmlr/vol63/iss4/2 (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

[160] ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ამის ნიშნები უკვე არსებობს მასობრივი კონტროლის საშუალების და სოციალური საკრედიტო სისტემის (Socia Credit System) გამოყენებით. მოცემულ საკითხზე მაგალითად იხ. *Hong K.*, The complicated truth about China's social credit system, 2019. https://www.wired.co.uk/article/china-social-credit-system-explained (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

[161] მაგალითად მხატვრული ფილმი Minority Report (2002 წელი, რეჟისორი: სტივენ სპილბერგი, მთავარ როლში: ტომ კრუზი) აღწერს სცენარს, სადაც დეტექტივები 21-ე საუკუნის შუა პერიოდში წინასწარ აპატიმრებენ მკვლელებს დანაშაულის მომზადების ეტაპზე.

სამართალი, რომელიც თავისი არსებობის განმავლობაში დიდწილად რეაქციული იყო (მაგ. მოხდა დანაშაული, რაზეც რეაგირება უნდა განხორციელდეს სახელმწიფოს მხრიდან), შესაძლებელია თავისი არსით პროფილაქტიკურ და პროაქტიულ სოციალურ ინსტრუმენტად მოგვევლინოს[162]. რა შედეგები და რეაქციები შეიძლება ჰქონდეს მსგავს ინვაზიურ მეთოდებს ადამიანების ცხოვრებაზე, ღირსებასა და უფლებებზე მომავალი ათწლეულების პოლიტიკური, სოციალური თუ იურიდიული დებატების მწვავე საგანი იქნება.

წინამდებარე სტატია ავითარებს ერთგვარ შუალედურ მოსაზრებას, რომ ნების თავისუფლების კონცეფციის გაქრობით, გარკვეული ცვლილებების საჭიროება ცალსახაა. ამ მხრივ, ნეირომეცნიერი დევიდ იგლმენის სიტყვები შეგვიძლია გამოვიყენოთ ორიენტირად: „სამართლებრივი სისტემა სრული უაზრობაა თუკი ათწლეულის დასაწყისში პირი კონკრეტული ქმედებისთვის ბრალეულია და ათწლეულის ბოლოს უკვე არა“[163]. თუკი ზემოთ ნახსენებ, პედოფილური ტენდენციების მქონე პაციენტს გავიხსენებთ, რთულია ამ არგუმენტის კრიტიკა, რადგან მოცემული სიმსივნით დაავადებული პიროვნება ციხეს მხოლოდ მაღალგანვითარებულმა სამეცნიერო მეთოდებმა გადაარჩინეს, თითქოსდა, საკუთარი არაბრალეულობის დამტკიცების ტვირთი მასზე უნდა ყოფილიყო.

სამართლის „სრული გადატრიალების“ ზედმეტობას კარგად აჩვენებს ის გარემოება, რომ ნების თავისუფლების ილუზიად არსებობა ზოგჯერ ინტუიციურად თითქოსდა ჩადებულიც გახლავთ საკანონმდებლო ბაზაში. მაგალითად, ქართული კანონმდებლობა მეწარმის მხრიდან საკუთარ სარეწს გარეთ (ქუჩაში) დადებულ გარიგებაზე, მომხარებელს უფლებას ანიჭებს უარი თქვას ხელშეკრულებაზე ყოველგვარი საფუძვლის გარეშე[164], ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში ჩადენილი განზრახი მკვლელობა გაცილებით ნაკლებად მკაცრად ისჯება ვიდრე განზრახი მკვლელობა[165] და სხვ.

კიდევ ერთი ნიუანსი, რომელიც ქვემოთ დეტალურად იქნება განხილული, ის არის, რომ სამართლის სხვადასხვა სფეროებს ადამიანის ნების თავისუფლების გაქრობა განსხვავებულად შეეხება. თავისუფალი ნების გაქრობის შედეგების ანალიზი დაყოფილი იქნება 3 მიმართულებით: 1. დანაშაული და სასჯელი ნების თავისუფლების არარსებობის პირობებში; 2. თვით-ბოჭვის (გარიგებების დადება) შესაძლებლობა ნების თავისუფლების არარსებობისას; 3. ზიანის ანაზღაურების და მასზე პასუხისმგებლობის საკითხი ნების თავისუფლების არარსებობის პირობებში.

აღნიშნული დაყოფა სამართლის ყველა სფეროს ბუნებრივია არ მოიცავს, თუმცა, ზემოაღნიშნული 3 საკითხი, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამართლის ხერხემალს წარმოადგენს. მოცემული 3 საკითხის დაფარვის არეალიდან გამომდინარე, სწორედ ამგვარი დაყოფის ფორმატი არის მიღებული ბოლო პერიოდის სამეცნიერო ნაშრომებშიც - ნების თავისუფლების პრობლემატიკის განხილვის კონტექსტში[166].

XII. დანაშაული და სასჯელი ნების თავისუფლების არარსებობისას

სპეციალისტების მოსაზრებით, ნების თავისუფლების გაქრობას ყველაზე დიდი გავლენა სწორედ სისხლის სამართალში ექნება[167]. სტა-

[162] ამ მიმართულებით საყურადღებოა დიდი ტრანსფორმაციაც მედიცინის სფეროშიც, რომელიც რეაქტიული დარგიდან („ვუმკურნალოთ პაციენტს არსებულ დაავადებაზე“) პროექტიულ, პროფილაქტიკურ („არ დაველოდოთ დაავადებას ჯანმრთელობის კონტროლისთვის“) დარგად ყალიბდება. ამ საკითხზე იხ. *Waldman S.A., Terzic A.*, Health Care Evolves From Reactive to Proactive. Clinical Pharmacology and Therapeutics, 2019. https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC6314203/ (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

[163] *Eagleman D.*, The Brain on Trial, 2011. https://www.theatlantic.com/magazine/archive/2011/07/the-brain-on-trial/308520/ (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

[164] მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-13 მუხლი. ამასთან, ამ საკითხზე 2022 წლის ცვლილებებით ამოღებულ იქნა სამოქალაქო კოდექსის 336-ე მუხლი, რომელიც მოცემულ საკითხს არეგულირებდა.

[165] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე და 111-ე მუხლები.

[166] აღნიშნულ საკითხზე იხ. *Alces P.A, Sapolsky R.M.*, Nohwere, William & Mary Law Review, Vol. 63, Issue 4, 2022.

[167] იქვე.

ტიის მიზნებისთვის ტერმინები დანაშაული და სასჯელი შეგვიძლია შედარებით ფართოდ და ავტონომიური შინაარსით გამოვიყენოთ და მასში სახელმწიფოს მიერ დადგენილი აკრძალვები ვიგულისხმოთ, რისთვისაც შესაბამისი სანქცია არის დაწესებული (თუნდაც ადმინისტრაციული სანქციები).

სოციუმი, კანონმდებლობის მიღების საფუძველზე, წყვეტს რომელი ქმედებები არის მოთმენადი და რომელი აკრძალული[168]. ეს უკანასკნელი ქმედებები დანაშაულს წარმოადგენს[169] და მათთვის შესაბამისი სანქცია არის გათვალისწინებული[170]. დანაშაულისა და სასჯელის კონცეფციების შეჯახება ნების თავისუფლების ილუზიასთან, მიუხედავად მათი გადაჯაჭვულობისა, აუცილებლად ცალ-ცალკე უნდა იქნეს განხილული.

1. დანაშაული როგორც სოციალური საშიშროება

ერთი შეხედვით, ნების თავისუფლების გარეშე, შეუძლებელია, ვისაუბროთ ადამიანის მიერ დანაშაულის ჩადენაზე, რადგან პირის ქმედებები ან სრულად დეტერმინირებული მოვლენათა ჯაჭვის ან ტვინში მომხდარი ხდომილობითი (ალბათური) პროცესების ანდა მათი კომბინაციის შედეგი არის.

თუმცა, დანაშაულის როგორც ინსტიტუტის არსებობას, ამ შემთხვევაში, განსხვავებული კუთხიდან უნდა შევხედოთ. ამაში კონკრეტული მაგალითის გამოყენება დაგვეხმარება. თუკი ქალაქის ზოოპარკიდან ვეფხვი გამოიქცევა და ის ქუჩაში დაიწყებს ხეტიალს, ჩვენ ამ ცხოველის ნების თავისუფლებაზე არ ვისაუბრობთ, თუმცა, არცერთი რაციონალური ადამიანი არ იტყვის იმას, რომ თავისუფლად მოხეტიალე მტაცებელი საფრთხეს არ წარმოადგენს[171]. საფრთხე რეალური ფენომენია, რომლის რეალიზებაც საბოლოოდ ცოცხალი არსებების ყოფნა-არყოფნას განსაზღვრავს. ამ შემთხვევაში, ვეფხვის დაჭერა და მისი ადამიანებისგან იზოლირება სოციუმისათვის აუცილებელი, რაციონალური გამოსავალია და ობიექტურ საფრთხეს ამცირებს[172].

იმავე ლოგიკით, იმისდა მიუხედავად ადამიანმა დანაშაული ნების თავისუფლების გარეშე ჩაიდინა თუ არა, აკრძალული ქმედების ჩადენის შემდეგ, ჩნდება შეკითხვა თუ რა საფრთხეს წარმოადგენს იგი თავისი ქმედებებიდან გამომდინარე სოციუმისათვის[173]. უფრო მეტიც, კლასიკური სისხლის სამართლის ცნებებიც, განზრახვაც და გაუფრთხილებლობაც მნიშვნელოვანია ამ ინდივიდისგან მომდინარე საფრთხეების სწორად დიფერენცირებისთვის[174].

თუკი პირს მე-5 სართულიდან აგური შემთხვევით გადმოუვარდა ის „ობიექტურად" ნაკლები საფრთხის შემცველია, ვიდრე პირი, რომელიც სადარბაზოს კართან ელოდებოდა მეზობელს და აგურის თავში ჩარტყმით მსხვერპლი სიცოცხლეს გამოასალმა. ამ ობიექტურ საფრთხეებს შორის სხვაობას კი დამნაშავის რეალური, გაზომვადი ტვინის არქიტექტურა და ტვინის ამ არქიტექტურაში ელექტრონული სიგნალების სახით ცირკულირებადი იდეები, ინსტრუქციები და წარმოდგენები განაპირობებენ (კომპიუტერული ტექნოლოგიების ენა რომ გამოვიყენოთ ანალოგიად - ადამიანის თავის ტვინის Hardware (ჰარდვეარი) და Software (სოფტვეარი)). ერთ შემთხვევაში, ტვინის არქიტექტურამ და ტვინის სიგნალების პატერნმა ადამიანს შეცდომის გათვლის უნარი წაართვა (ქუჩაში დაუდევრად აგურის გადმოგდება), ხოლო, მეორე შემთხვევაში, შესაძლებლობა მისცა დაეგეგმა და განეხორციელებინა სოციუმის მიერ აკრძალული სასტიკი დანაშაული (განზრახი მკვლელობა). ამი-

[168] *Coffey M.*, Note, The Genetic Defense: Excuse or Explanation?, William and Mary Law Review, Vol. 35, 1993, p. 356-357.

[169] იქვე.

[170] *Jones M.*, Overcoming the Myth of Free Will in Criminal Law: The True Impact of the Genetic Revolution, Duke Law Journal, Vol. 52, 2003. http://www.jstor.org/stable/1373128 (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

[171] *Daly S.*, Free Will Is No Bargain: How Misunderstanding Human Behavior Negatively Influences Our Criminal Justice System, Nevada Law Journal, Vol. 15, Issue 2, 2015, https://scholars.law.unlv.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1602&context=nlj (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

[172] იქვე.

[173] იქვე.

[174] იქვე.

ტომ, იმის მიუხედავად, რომ ადამიანის თავის ტვინი თავისუფლად არ ირჩევს მკვლელობას ჩაიდენს თუ არა, მკვლელობის ჩადენის ფაქტი მისი ტვინის მდგომარეობაზე უამრავ რამეს ამბობს[175]. შეგვიძლია უფრო მარტივადაც ვთქვათ, რომ სწორედაც კონკრეტულ მომენტში ტვინის მდგომარეობა განაპირობებს იმას ადამიანი დანაშაულს ჩაიდენს თუ არა.

შესაბამისად, ნების თავისუფლების გაქრობა დანაშაულის ინსტიტუტს ვერ „გააუქმებს"[176] და სოციუმის უშიშროების, უსაფრთხოები პრაქტიკული მოთხოვნილება არსად გაქრება[177].

2. სანქციისა და დასჯის მიზნები

იმის მიუხედავად, რომ პირი დანაშაულს თავისუფალი ნებით არ ჩადის, დასჯას და დასჯის მოლოდინს, შეიძლება შემდეგი მიზნები ჰქონდეს: ა) შეაკავოს ეს პირი ანდა საზოგადოების სხვა წევრები დანაშაულისგან; ბ) მოახდინოს პირის რესოციალიზაცია, რეფორმირება; (გ) გაანეიტრალოს პირი და შეუზღუდოს მას უნარი ჩაიდინოს სხვა დანაშაული; (დ) მოახდინოს სამართლიანობის აღდგენა[178].

ჩამოთვლილთაგან პირველი სამი მიზანი მიმართულია მომავლისკენ და კონკრეტულ რეზულტატზეა ორიენტირებული[179]. ამის საპირისპიროდ, სამართლიანობის აღდგენა ნიშნავს, რომ პირმა „დაიმსახურა" სასჯელი იმის გამო, რომ დაარღვია კანონის მოთხოვნები[180].

სამართლიანობის აღდგენა სასჯელის გამოყენების დომინანტურ ფილოსოფიურ მიდგომას წარმოადგენს[181]. საგულისხმოა, რომ ქართულ სისხლის სამართლის კოდექსშიც სასჯელის მიზნებში სამართლიანობის აღდგენა პირველ ამოცანად არის დასახელებული[182]. ასეთივე იერარქია გვხვდება მაგალითად ამერიკის სამართლის ინსტიტუტის (ALI) მოდელურ სისხლის სამართლის კოდექსში, რომელიც აშშ-ს სისხლის სამართლის სისტემის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტია[183].

ნების თავისუფლების გარეშე დამნაშავის წინააღმდეგ ე.წ. სამართლიანობის აღდგენა აზრს კარგავს, ვინაიდან არ არსებობს საფუძველი - ადამიანის თავისუფალი ნება - რისთვისაც დამნაშავე „იმსახურებს" სასჯელს[184]. როგორც ავტორები მიუთითებენ, ნების თავისუფლების გაქრობა სისხლის სამართალში სწორედ ამ ბრალსა და შერცხვენას დაასრულებს[185]. მეცნიერულ მიდგომებზე დაყრდნობით, სისხლის სამართალი სანქცირების საკითხს უფრო პრაგმატულად, უტილიტარიანულად მიუდგება[186].

ნების თავისუფლების გარეშე, პირის სანქცირების გამართლება შეიძლება იყოს მხოლოდ მომავალში დანაშაულის, საზოგადების რომელიმე წევრის მხრიდან (მათ შორის დამნაშავისგან), ჩადენის პრევენცია, პირის რესოციალიზაცია ანდა უკიდურეს შემთხვევაში, უბრალოდ, მისი საზოგადოებისგან იზოლირება[187]. ბუნებრივია, ნების თავისუფლების გარეშეც, კონკრე-

---

175 იქვე.

176 *Eagleman D.*, The Brain on Trial, 2011. https://www.theatlantic.com/magazine/archive/2011/07/the-brain-on-trial/308520/ (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

177 იქვე.

178 მოცემულ საკითხზე იხ. *Alschuler A.W.*, The Changing Purposes of Criminal Punishment: A Retrospective on the Past Century and Some Thoughts on the Next, University of Chicago Law Review, Vol. 1, 2003.

179 *Daly S.*, Free Will Is No Bargain: How Misunderstanding Human Behavior Negatively Influences Our Criminal Justice System, Nevada Law Journal, Vol. 15, Issue 2, 2015, https://scholars.law.unlv.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1602&context=nlj (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

180 იქვე.

181 მოცემულ საკითხზე იხ. *Alschuler A.W.*, The Changing Purposes of Criminal Punishment: A Retrospective on the Past Century and Some Thoughts on the Next, University of Chicago Law Review, Vol. 1, 2003.

182 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39.1 მუხლი.

183 *Pereboom D., Shaw E., Caruso G.*, Free Will Skepticism in Law and Society, Free Will Skepticism in Law and Society: Challenging Retributive Justice, 2019, p. 12-13.

184 მოცემულ საკითხზე იხ. *Chiesa L.E.*, Punishing Without Free Will, Utah Law Review, 2011; *Jones M.*, Overcoming the Myth of Free Will in Criminal Law: The True Impact of the Genetic Revolution, Duke Law Journal, Vol. 52, 2003. http://www.jstor.org/stable/1373128 (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

185 *Pereboom D., Shaw E., Caruso G.*, Free Will Skepticism in Law and Society, Free Will Skepticism in Law and Society: Challenging Retributive Justice, 2019, p. 16.

186 *Jones M.*, Overcoming the Myth of Free Will in Criminal Law: The True Impact of the Genetic Revolution, Duke Law Journal, Vol. 52, 2003. http://www.jstor.org/stable/1373128 (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

187 იქვე.

ტული სანქცია ან სანქციის შიში შემაკავებელ ფაქტორს წარმოადგენს, როგორც სოციუმისთვის, ისე კონკრეტული დამნაშავისთვის[188].

ამასთან, სანამ რესოციალიზაციის ინსტიტუტის სამეცნიერო სრულყოფა მოხდება, სანქციერების დომინანტური თეორეტიკული გამართლება დამნაშავის იზოლირების და შედეგად საფრთხის განეიტრალების ფუნქცია იქნება. სამწუხარო რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ, რომ სანამ ადამიანის რეაბილიტირებისა და რესოციალიზაციის საიმედო ტექნიკები არ შეიქმნება, სოციუმს ადამიანის მხოლოდ „მხეცივით გამოკეტვა" შეუძლია. ამ რეალობის გაცნობიერება სტიმული უნდა იყოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული ყველა პირისთვის, სამეცნიერო პროგრესი დამნაშავეების რესოციალიზაციის საკითხებზე რაც შეიძლება სწრაფად განხორციელდეს.

მეცნიერულად კიდევ ერთი საკითხია, რა სიმკაცრის სანქცია, რა სახის სანქცია (რეაბილიტაცია, იზოლაცია) და დამნაშავის პასუხისგებაში მიცემის რა ალბათობა როგორი მოცულობით ახდენს კონკრეტული დანაშაულის პრევენციას[189]. მოცემული ასპექტი სამართალში, ფსიქოლოგიასა და სხვა სამეცნიერო დარგებში ღია შეკითხვაა და მომავალი დისკუსიის საგნად დარჩება პროპორციულობის, ეფექტურობის, სიიაფის თუ სხვა პარამეტრების კონტექსტში[190].

3. მომავლის ხედვები

ნეირომეცნიერებათა დარგში არსებული პროგრესის გათვალისწინებით, სპეციალისტები სახეშეცვლილი მართლმასჯულების სისტემის მომავალს ხატავენ, რომელშიც თერაპიულ, სამკურნალო-აღმზრდელობით და არა დამსჯელობით სასამართლოს მიენიჭება ცენტრალური როლი[191]. ეს მკითხველში დოჩანაშვილისეულ კარცერ-ლუქსის ალუზიას შეიძლება აღძრავდეს, თუმცა, ამ საკითხზე დისკუსიისგან თვალის დახუჭვა ყოველწლიურად რთულდება სამეცნიერო პროგრესთან ერთად.

ერთ-ერთ „ეგზოტიკურ" შემოთავაზებას წარმოადგენს სხვადასხვა ასაკის ადამიანებში ფრონტალური კორტექსის სპეციალური მენტალური ვარჯიშების შემოღება[192]. ფრონტალური კორტექსი გახლავთ ტვინის უბანი, რომელიც ხანგრძლივვადიან პერპექტივაზე ორიენტირებულ კოგნიტურ პროცესებს არეგულირებს[193] და ზემოთ უკვე განხილულ იქნა ნებისყოფისა (willpower) და იმპულსების მართვის კონტექსტში. ტვინის მოცემული უბანი მხოლოდ 20-25 წლის ასაკში ასრულებს ფორმირებას და თინეიჯერებში მისი განუვითარებლობა იმპულსურობის მთავარი მიზეზია[194]. ნეირომეცნიერებს სპეციალური ეკრანის გამოყენებით, რომელზეც უეცარი იმპულსების კონტროლის უნარი იზომება, უკვე შეუძლიათ პაციენტები ნების სიძლიერეში და იმპულსების მართვაში ავარჯიშონ, რაც საბოლოო ჯამში ტვინში ამ ფრონტალური უბნის ნეირონულ არქიტექტურას აძლიერებს[195].

შეიძლება ითქვას, რომ პაციენტების თერაპია (ნაცვლად სანქცირებისა) სისხლის სამართლის პოლიტიკის მომავლის მთავარ ალტერნატივად ისახება[196]. ციხეების „დაცარიელების" ტრენდი უკვე წლებია, რაც აქტუალურია სკანდინავიის ქვეყნებში[197].

თუმცა, არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც, რომ „ზედმეტი თერაპია" პატიმრების ღირსების შემლახველი იქნება და ამ მიმართულებით ღრმად შეტოპვა არასწორია, ვინაიდან და-

[188] *Daly S.*, Free Will Is No Bargain: How Misunderstanding Human Behavior Negatively Influences Our Criminal Justice System, Nevada Law Journal, Vol. 15, Issue 2, 2015, https://scholars.law.unlv.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1602&context=nlj (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

[189] იქვე.

[190] იქვე.

[191] *Eagleman D.*, The Brain on Trial, 2011. https://www.theatlantic.com/magazine/archive/2011/07/the-brain-on-trial/308520/ (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

[192] იქვე.

[193] იქვე.

[194] იქვე.

[195] იქვე.

[196] *Pereboom D., Shaw E., Caruso G.*, Free Will Skepticism in Law and Society, Free Will Skepticism in Law and Society: Challenging Retributive Justice, 2019, p. 18.

[197] *James E.*, Why Sweden is Closing its Prisons?, 2013.https://www.theguardian.com/society/2013/dec/01/why-sweden-closing-prisons (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022); BBC, How Norway turns criminals into good neighbours, 2019. https://www.bbc.com/news/stories-48885846 (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

შანაული თავისი არსით გარკვეულწილად მაინც დასჯას და პირის პასუხისმგებლობის გრძნობას მოიაზრებს[198]. ამ მოსაზრების თანახმად, სხვა შემთხვევაში, სამართლის სუბიექტის ნაცვლად მივიღებთ ადამიანს, როგორც სამართლის ობიექტს, რომელიც „გადამუშავებულ" უნდა იქნეს სახელმწიფოს ხელში არსებული სამეცნიერო ინსტრუმენტებით[199].

ბუნებრივია, დისტოპიური მექანიკური ფორთოხლის[200] ანდა 1984-ის[201] ინსპირირებით შექმნილი გადამუშავებითი ტექნიკები პროგრესულად მოაზროვნე იურისტის ან მოქალაქის იდეალურ მომავლის ხედვას არ წარმოადგენს. ამიტომ, ჰუმანური თერაპია ღირსეულ მიზნად უნდა იქნეს მიჩნეული. ხოლო, პოტენციური საფრთხეების ნაწილში იურიდიულმა სფერომ აქტიურად უნდა იმუშაოს, რომ ტოტალიტარული სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი დისტოპიური სცენარები რეალობად არ იქცეს.

შეჯამების სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნების თავისუფლების გაქრობა დანაშაულების (ფართოდ, სახელმწიფო აკრძალვების) ასპექტზე გავლენას ნაკლებად მოახდენს. თუმცა, სასჯელის ელემენტი ნების თავისუფლების არარსებობის პირობებში ან ფუნდამენტურ ცვლილებებს განიცდის ანდა სასჯელი (სანქცია), როგორც კონცეფტი, შესაძლებელია, საერთოდ ჩანაცვლდეს ერთგვარი „თერაპიით". სოციუმის მიზანი, საბოლოოდ, დამნაშავის რესოციალიზაცია, ასევე, დანაშაულის პრევენციის უფრო ჰუმანური და მეცნიერული მიდგომების გამოყენება უნდა იყოს. თეთრი ბაირაღების აღმართვა ციხეების თავზე ნოდარ დუმბაძის რომანის სულისკვეთების დარად, ნამდვილად არის მომავალი, რომლისთვისაც სამართლის სფეროს წარმომადგენლებმა აქტიურად უნდა იმუშაონ.

XIII. თვითბოჭვა ნების თავისუფლების არარსებობის პირობებში

თვითბოჭვა ანუ გარიგებების დადება სამართლის ერთ-ერთი წყაროა, ვინაიდან ის სამართლის სუბიექტებისთვის შესაბამის უფლება-მოვალეობებს წარმოშობს. ამასთან, დღევანდელი მოცემულობით, სამართლის სუბიექტების თვითბოჭვის უნარი ნების თავისუფლებას ეფუძნება[202].

ნების თავისუფლების არსებობის დაშვებიდან გამომდინარე ჩამოყალიბდა კერძო ავტონომიის ფუნდამენტური პრინციპი. კერძო ავტონომია არის მხარეთა უნარი და შესაძლებლობა დაარეგულირონ ურთიერთობა ერთმანეთს შორის[203], რაც, თავის მხრივ, იმასაც ნიშნავს, რომ პირები პასუხს აგებენ თავიანთი ქმედებებისთვის[204].

ნების თავისუფლების არარსებობის პირობებში, ისმის შეკითხვა, იარსებებს თუ არა გარიგებები იმ ფორმით, რა ფორმითაც ისინი ადამიანის ტვინში ნეირომეცნიერებათა ინტერვენციამდე არსებობდნენ. ამ მიმართულებით, ორმხრივი ნების გამოვლენის ანუ ხელშეკრულების ინსტიტუტის სიკვდილის შესახებ ლიტერატურაში ბევრი იწერებოდა[205], თუმცა, პრაქტიკაში აქამდე მსგავსი აპოკალიპტური სცენარით მოვლენები არ განვითარებულა[206]. შესაბამისად, საკითხი დეტალურ ანალიზს მოითხოვს რამდენიმე კუთხიდან.

---

198 *Pereboom D., Shaw E., Caruso G.*, Free Will Skepticism in Law and Society, Free Will Skepticism in Law and Society: Challenging Retributive Justice, 2019, p. 18.

199 იქვე.

200 ენტონი ბერჯესი, მექანიკური ფორთოხალი, 1962.

201 ჯორჯ ორუელი, 1984, 1949.

202 *Drygala at al.*, Private Autonomy in Germany and Poland and in the Common European Sales Law, 2012, pp. 2-3.

203 *ჭანტურია ლ.*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, 2011, გვ. 90.

204 იქვე, გვ. 92.

205 მაგალითად 1974 წელს გრანტ გილმურმა გამოაქვეყნა მონოგრაფია სახელით „ხელშეკრულების სიკვდილი" (Death of the Contract), რომელიც ასეულობით სხვადასხვა ნაშრომში იქნა ციტირებულ. მოცემულ საკითხზე იხ. Murray J. E, Contract Theories and the Rise of Neoformalism, Fordham Law Review, Volume 71, issue 3, 2002, p. 877.

206 საქმეში *Apollo Group, Inc. v. Avnet, Inc.*, 58 F.3d 477, 478 (9th Cir. 1995) აშშ-ს ფედერალურმა სააპელაციო სასამართლომ მოსწრებულად შენიშნა, რომ: „ზოგიერთები ღმერთის მსგავსად ხელშეკრულების სიკვდილს შესახებ გვეუბნებიან. თუმცა, კომპიუტერულ ერაშიც კი, როგორც ვხედავთ ხელშეკრულება ცოცხალია და ის მე-9 საოლქო სააპელაციო სასამართლოშიც ამოვიდა" (ინგლ. *„We are told that Contract, like God, is dead.'In this computer age case, we learn that Contract, at least, is very much alive and well in the Ninth Circuit"*).

1. გარიგება როგორც ღირებულების შექმნის საშუალება

გარიგებებს და განსაკუთრებით ხელშეკრულებებს სოციალური ღირებულების შექმნის უნარი აქვთ[207]. სწორედ ამიტომ, სოციუმი და მის მიერ დადგენილი სამართალი გარიგებებს სავალდებულო ძალას ანიჭებს[208].

ერთგვარად კანონზომიერია პირქუში ჰობსიანური მოსაზრება, რომ თუ გარიგების დარღვევას, სიტყვის გატეხვას ჩვევად ვაქცევდით, საზოგადოებაში გაჩნდებოდა ქაოსი და უნდობლობა, ამიტომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს იმის დაცვა, რაზეც მხარეები შეთანხმდნენ[209]. შედეგად, ბუნებრივად იბადება სამართლის ერთ-ერთ ფუნდამენტური პრინციპი *pacta sunt servanda*[210], რომელიც სწორედ ჰობსიანურ-უტილიტარული მიდგომების კომბინაციით სოციუმში კონკრეტული ინდივიდებისათვის ღირებულების შექმნის და შემდეგ ამ ღირებულების შენარჩუნების საოპერაციო პრინციპს წარმოადგენს. ამის გამო, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნების თავისუფლების არარსებობის პირობებშიც, თვითბოჭვის (გარიგების), როგორც სოციალური ინსტრუმენტის, სარგებლიანობა და ხეირიანობა არ დაიკარგება.

თუმცა, გარიგებების ამ ხეირიანობის ფუნქციის რეალიზაცია და სოციუმში ღირებულების ფორმირება გარიგების არსებობით ავტომატურად არ ხდება[211]. გარიგების დასადებად ნების ფორმირება და შემდეგ ამ გარიგების სასარგებლოდ ნების გამოვლენა არის „გარანტია" იმისა, რომ გარიგებიდან შექმნილი ღირებულება შეესაბამება სამართლის იმ სუბიექტის ინტერესებსა და კეთილდღეობას, რომელიც ნებას გამოვლენას ახდენს[212].

ნება, მეტ-ნაკლებად ეკვივალენტური სიკეთეების გაცვლის გარდა, ასევე, მოიაზრებს მხარეთა შესაძლებლობას კონკრეტული სახისა და შინაარსის გარიგებაში შევიდნენ[213]. პოლიტიკურ-სამართლებრივ სისტემებში, სადაც სამართლის სუბიექტებს არ შეეძლოთ ნება გამოევლინათ ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის ფარგლებში, ღირებულების გენერაციაც პრობლემატური ანდა საერთოდ მახინჯ, შეფარულ ფორმებს იღებდა. საბჭოთა კავშირი აღნიშნულის კარგი ილუსტრაციაა, „ატსტუპნიკების" თუ „ცეხავიკების" ინსტიტუტების სახით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმ საკითხის განხილვა თუ რა ეკონომიკური მოდელით (კაპიტალისტური, შერეული თუ სხვ.) უნდა მოხდეს სოციალური ღირებულების ყველაზე ოპტიმალურად მაქსიმიზაცია, დეტალურად არ იქნება განხილული, რადგან ეს სტატიის მიზნებს სცდება.

საბოლოო ჯამში, ნების თავისუფლების არარსებობის მიუხედავად, თვითბოჭვის ინსტიტუტი აქტუალობას და გამოყენებადობას არ დაკარგავს. თუმცა, თავის მხრივ ეს ინსტიტუტი ნების ფორმირებისა და ნების გამოვლენის ეფექტურ შესაძლებლობაზე არის დამოკიდებული. როგორც ქვემოთ დავინახავთ, სწორედ ეს საკითხები მოექცევიან მომდევნო ათწლეულებში იურიდიული კაზუისტიკის ცენტრში.

2. დახურული თავის ქალა

ადამიანის კოგნიტური პროცესები მიმდინარეობს თავის ქალით შემოფარგლულ, იზოლირებულ ტვინში, რომელიც სხვა სუბიექტებისთვის კაცობრიობის ისტორიის უდიდესი პერიოდის განმავლობაში სრულიად მიუწვდომელი გახლდათ. მიუხედავად სხეულის ენის მეშვეობით მნიშვნელოვანი ინფორმაციის გადმოცემისა, ადამიანები ყოველთვის ვსარგებლობდით განზრახვების, ჩვენი აზრების ანონიმურობის პრივილეგიით[214]. თავის მხრივ, ეს ანონიმურობის ფენომენი საინტერესო დინამიკას აყალიბებს თვითბოჭვის პროცესთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებით.

---

[207] *Alces P.A, Sapolsky R.M.*, Nohwere, William & Mary Law Review, Vol. 63, Issue 4, 2022, p. 1086.

[208] *ჭანტურია ლ.*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, 2011, გვ. 91.

[209] იქვე, გვ. 92.

[210] ქართ. „ხელშეკრულება უნდა შესრულდეს".

[211] *Alces P.A, Sapolsky R.M.*, Nohwere, William & Mary Law Review, Vol. 63, Issue 4, 2022, p. 1087.

[212] *Alces P.A.*, The Moral Conflict of Law and Neuroscience, 2018, p. 215.

[213] ხელკშეკრულების სახისა და შინაარსის თავისუფლება.

[214] მოცემულ საკითხზე იხილეთ *Harari Y.N.*, Homo Deus, 2015.

თვითბოჭვისთვის როგორც სოციუმისთვის რელევანტური და ფასეული მექანიზმისთვის, ორი ცენტრალური ფაქტორი არის მნიშვნელოვანი: ა) სუბიექტის ნების ფორმირების პროცესი და მასზე გარეშე ძალების ზემოქმედება; ბ) შინაგანი ნების აცდენა გამოხატულ ანუ სხვა სუბიექტებთან მისულ ნებასთან. ორივე საკითხი თანამედროვე ნეირომეცნიერების მიღწევათა გათვალისწინებით ყურადღებას საჭიროებს და განხილვას დავიწყებთ ნებისა და მისი გამოვლენის აცდენით, რომელზეც იურისპრუდენციაში საუკუნეებია აქტიური დისკუსია მიმდინარეობს.

3. ნებასა და ნების გამოვლენას შორის აცდენა

ნების გარეგანი გამოვლენის გარეშე გარიგება არ იდება და თვითბოჭვა არ ხდება[215]. თუმცა, გარიგებებით თვითბოჭვის ინსტიტუტის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად ნების და მისი გამოვლენის აცდენის პრობლემატიკაშია.

უნდა მოხდეს თუ არა პირის თვითბოჭვა იმისდა მიუხედავად, რომ გარეგნულად (მაგ. ქაღალდზე) გამოვლენილი ნება სრულად აცდენილია ამ პირის შინაგან ნებას? მოცემულ შემთხვევაში ორი ღირებული სიკეთე არის ერთმანეთთან კონკურენციაში: 1. ნების გამომვლენი პირის ინტერესი - შებოჭილი იყოს მხოლოდ იმ ნებით, რომელიც მას რეალურად გააჩნია და არა სხვა ნებით; 2. ნების მიმღების ინტერესი მისთვის მისულ ნებას დაეყრდნოს და ასეთი ნების მიმართ ნდობა გააჩნდეს.

კერძო სამართლის ერთ-ერთმა უმნიშვნელოვანესმა თეორეტიკოსმა, სავინიმ, განავითარა ნების თეორია, რომელიც უპირატესობას ანიჭებს ნების ჭეშმარიტებასა და ნამდვილობას[216]. ამის საპირისპიროდ, ვინდშაიდმა წამოაყენა პოზიცია, რომლის თანახმადაც როდესაც ინდივიდი ამბობს, რომ მას სურს გარიგება, ივარაუდება, რომ მას ეს ჭეშმარიტად სურს[217].

სამართლიანია შეხედულება, რომ როგორც ნების თეორია, ისე გამოვლენის თეორია ექსტრემალური პოზიციებია და მათ შორის ბალანსის პოვნა ოპტიმალურ გამოსავლად უნდა იქნეს მიჩნეული[218]. თვითბოჭვის არსს ეწინააღმდეგება ნების გამომვლენს ყოველთვის დაეკისროს იმის შესრულება, რაც არ სურდა[219]. ეს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეებს დააშინებდა და უკიდურესად შეანელებდა ტრანზაქციებს. მეორე მხრივ, საჭიროა იმ კონტრაჰენტის ინტერესების დაცვა, რომელიც ეყრდნობა ნების გამოვლენას[220] და მის საფუძველზე მთელ რიგ ქმედებებს ახორციელებს. ორი კონფლიქტური მხარის ინტერესის დაბალანსების საშუალებას წარმოადგენს შერეული მიდგომის გამოყენება - ნების გამოვლენა (გაცხადება) უნდა განიმარტოს იმ გაგებით, რომელიც ექნებოდა გონიერ ადამიანს ანალოგიურ გარემოებებში მოქმედებისას[221]. ასევე, მხარეთა ინტერესების ოპტიმალურად ბალანსირების მიზნით კანონმდებლობაში იქმნება გარიგების შეცდომით დადებისას, თუ სხვა შემთხვევებში, ბათილობის წინაპირობები, შეცილების ვადები და სხვ.

ცხადია, საშუალო გონიერი ადამიანის კატეგორიის და სხვა „გარეგნული“ სამართლებრივი ინსტრუმენტების გამოგონება სამართალში გვიწევდა იმის გამო, რომ ადამიანისთვის თავის ქალის ახდა და ტვინში „ჩახედვა“ სავინისა და ვინდშაიდის ეპოქაში ტექნიკურად შეუძლებელი გახლდათ. თუმცა, ნეირომეცნიერება ამ მიმართულებით გამუდმებით სიახლეებს გვთავაზობს.

2010-იან წლებში კომპანია BrainCo-ს მიერ შექმნილ იქნა თავზე ჩამოსაცმელი მსუბუქი, 100 გრამამდე სიმძიმის ბრასლეტი[222], რომელიც 2019 წლამდე ჩინეთში გამოიყენებოდა სკოლის მოსწავლეებში ფოკუსის ინტენსივობის კონტ-

[215] *ზოიძე ბ.*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, 2002 წელი, გვ. 166.
[216] *კერესელიძე დ.*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 237-238
[217] იქვე, გვ. 238.
[218] *ქოჩაშვილი ქ.*, ნება და ნების გამოვლენა (მეტასამართლებრივი და ცივილისტური გააზრება), სამართლის ჟურნალი #2, 2016, გვ. 25.
[219] იქვე, გვ. 25.
[220] იქვე, გვ. 25.
[221] იქვე. გვ. 26.
[222] კომპანიის ოფიციალური ვებ-გვერდი: https://brainco.tech/technology/ (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

როლისათვის[223]. მასწავლებლებს ბრასლეტიდან მიღებული სიგნალის მეშვეობით შეეძლოთ ეკონტროლებინათ თუ რომელი ბავშვი იყო ფოკუსირებული დავალებაზე და რომელ ბავშვებს ჰქონდათ გაფანტული გონება[224].

2012 წელს კიოტოს ლაბორატორიის ნეირომეცნიერებმა შეძლეს ტვინის სკანირების შედეგად სიზმრის აღდგენა სურათების სახით[225], ხოლო 2020 წელს მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში შექმნეს მოწყობილობა დასახელებით დერმიო (Dermio), რომელიც გარკვეულ შემთხვევებში სიზმრების შეცვლის შესაძლებლობას იძლევა[226].

მოცემული ტექნოლოგიები ჯერ კიდევ განვითარების ნაადრევ სტადიაშია, თუმცა, სტარტაპ Neuralink-ის ტვინი-კომპიუტერის ინტერფეისების (Brain Machine Interfaces)[227], ნანო-ტექნოლოგიების და სხვა რევოლუციური ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად ადამიანის ტვინში ინტერვენციის შესაძლებლობა მხოლოდ გაიზრდება. არ არის გამორიცხული, მივიღოთ მოცემულობა, როდესაც თერმო-სკრინინგის მსგავსად, ადამიანის აზრების წაკითხვა კომპლექსური აპარატებით შესაძლებელი იქნება ექსტერნალურად ან საერთოდ დისტანციურად.

შესაძლოა, არცთუ შორეულ მომავალში, ნებისა და ნების გამოვლენის საკითხების პრობლემატიკა სხვადასხვა საინტერესო კუთხითაც დადგეს: 1. ექნებათ თუ არა მსხვილ კორპორაციებს საკუთარი კლიენტების რეალური ნების დადგენის ვალდებულება გარიგების დადების წინ? (როგორც მაგალითად ბანკებს მნიშვნელოვანი პირობების ცალკე ფურცელზე გამოყოფა ევალებათ), 2. რამდენად დასაშვები იქნება ადამიანების შინაგანი ნების დადგენა მისი ინფორმირების გარეშე, მაგალითად სასამართლო განჩინებით? და სხვ.

ამ და სხვა შეკითხვების ეპოქაში, სავინისეული ნების თეორია შესაძლებელია გაბატონებულ მიდგომადაც მოგვევლინოს ადამიანის აზრების „წაკითხვის“ გაიოლების კვალდაკვალ.

4. ნების ფორმირების პრობლემატიკა

ნეირომეცნიერთა მხრიდან ლაბორატორიებში ჩატარებული დაკვირვებების გათვალისწინებით, სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება (ა.) თუ რა შეიძლება ჩაითვალოს სამართლებრივად ვარგის ნების ფორმირებად და (ბ.) როდის არის ნების ფორმირება ნებაყოფლობითი[228].

იურისპრუდენციაში ყველა ნება „თანასწორი“ არ არის. თვითბოჭვის მიზნებისთვის, ზოგიერთ შემთხვევაში, პირის მიერ ნების გამოვლენა საერთოდ არ ითვლება ნამდვილად და მის ნაცვლად ნება სხვამ უნდა გამოავლინოს (მაგ. საქართველოში 7 წლამდე ბავშვის მიერ გამოვლენილ ნებას იურიდიული ძალა არ აქვს[229]), ზოგიერთ შემთხვევაში ნების გამოვლენას სჭირდება კანონიერი წარმომადგენლის დამატებითი თანხმობა (მაგ. საქართველოში 7-დან 18 წლამდე არასრულწლოვნის ნების გამოვლენისას აუცილებელია კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა[230] გარდა სპეციფიკური გამონაკლისებისა-[231]), ზოგიერთ შემთხვევაში კი აუცილებელია სასამართლოს მიერ დანიშნული პირის თანხმობა (მხარდაჭერის მიმღების თანხმობის გარეშე შესაბამისი გარიგებები ბათილია[232]) და სხვ.

კანონმდებლები მართალია სამართლებრივი ჩარჩოს განსაზღვრისას ნების თავისუფლების არასწორი პრეზუმფციიდან ამოდიოდნენ, თუმცა, ობიექტური ნეირომეცნიერული ხედვის გა-

[223] იხ. https://globalshakers.com/primary-school-in-china-suspends-use-of-brainco-brainwave-tracking-headband/ (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

[224] იქვე.

[225] *Costandi M.*, Scientists read dreams, Nature, 2012.https://www.nature.com/articles/nature.2012.11625 (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

[226] *Horowit A.H., Cunningham T.J., Maes P., Stickgold R.*, Dormio: A targeted dream incubation device, Consciousness and Cognition, Vol. 83, 2020.https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/S1053810020300416?via%3Dihub (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

[227] https://neuralink.com/ (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

[228] *Markovits D., Atiq E.*, Philosophy of Contract Law, The Stanford Encyclopedia of Philosophy, 2021. https://plato.stanford.edu/archives/win2021/entries/contract-law/ (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

[229] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 12.6 მუხლი.

[230] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 63.1 მუხლი.

[231] მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 65-ე მუხლით გათვალისწინებული ემანსიპაციის შემთხვევები და სხვ.

[232] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 58^1.1 მუხლი.

თვალისწინებითაც, სრულიად აშკარაა, რომ დიამეტრულად სხვადასხვა კოგნიტური განვითარების ეტაპზე არსებული პირებისთვის თვითბოჭვის განსხვავებული შესაძლებლობის მინიჭება ესადაგება იმ უტილიტარულ არგუმენტებს (ღირებულების გაზრდა), რომლებზეც ზემოთ გვქონდა საუბარი. მაგალითად არასრულწლოვნებს პრეფრონტალური კორტექსის ჩამოყალიბების პრობლემატიკა უდგათ, რაც თვითბოჭვაზე ლიმიტებს აწესებს. ნების გამოვლენას იურიდიული ძალა არ აქვს არც ცნობიერების დაკარგვის ან დროებითი ფსიქიკური აშლილობის დროს[233]. ანუ, თუნდაც ნების თავისუფლება სამართლებრივი ჩარჩოდან მოვხსნათ, კანონმდებელი ყოველთვის ამოდის გარკვეული რაციონალური ნების წყაროს აუცილებლობიდან, რომელსაც თვითბოჭვის უნარის არსებობა მიეწერება.

პრობლემა სწორედ რაციონალურ ნების წყაროდ ყოფნის ფარგლებსა და შესაძლებლობაშია[234]. რაციონალური ნების წყაროს პრობლემატიკა უკვე ათწლეულებია თვითბოჭვის საკითხთან მიმართებით მწვავედ დგას ლიტერატურაში[235]. ამ სურათში ნეირომეცნიერების შემოსვლის შემდეგ კი, თუკი რაიმე ფაქტი ცალსახა გახდა, ეს გახლავთ ის, რომ ადამიანები ძალიან ხშირად არ იქცევიან რაციონალურად[236]. ბიოლოგიურ რეალობასთან რადიკალურად კონფლიქტური სამართლებრივი სისტემა კი მომავალში მხოლოდ პრობლემების წყარო შეიძლება გახდეს[237].

ამგვარ ბიოლოგიურ რეალობასთან „დაახლოების“ მცდელობას წარმოადგენს მომხმარებელთან დადებული ხელშეკრულებების რეგულირება არაერთ სახელმწიფოში[238]. სახელმწიფო ამ რეგულაციებით ფაქტობრივად აღიარებს, რომ ადამიანები არ კითხულობენ რამდენიმე გვერდიან წვრილშრიფტიან, იურიდიული ენით დაწერილ ხელშეკრულებებს, რის გამოც გარიგებიდან ხეირის მიღების „გარანტის“ როლს ასრულებს არა ნების გამოვლენა, არამედ კანონის იმპერატიული ჩანაწერი.

თამამად უნდა ითქვას, რომ რაციონალური გადაწყვეტილებების მიღების პრობლემატიკის გამო, მომავალ ათწლეულებში, მომხმარებლების დაცვის ინტერესიდან გამომდინარე, საკანონმდებლო ბაზის გაფართოება ფაქტობრივად გარდაუვალია. მოცემულის ძირითადი მიზეზი ალგორითმებსა და ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული, მრავალმილიარდიანი კაპიტალიზაციის მქონე კორპორაციების, სულ უფრო და უფრო დახვეწილი დარწმუნების ტექნოლოგიებია (Persuasive Technologies)[239].

კრიტიკულ წრეებში დიდი ხანია მომწიფდა აზრი, რომ დიდი ტექნოლოგიური კორპორაციებისთვის მომხმარებლები (users) არა კლიენტები, არამედ პროდუქტია[240]. ამ მოსაზრებით, მომხმარებლებს სარეკლამო მიზნებისათვის კომერციულად ღირებული პერსონალური ინფორმაციის წყაროდ ყოფნის ფუნქცია აქვთ[241]. დარწმუნების ტექნოლოგიების[242] ამოცანა კი ის არის, რომ მომხმარებლები ამ კორპორაციების პლატფორმებზე დიდხანს დარჩნენ, მათგან ღი-

---

233 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 58.2 მუხლი.

234 *Cueto-Rua J.C.*, The Future of the Civil Law, Louisiana Law Review, Volume 37, Number 3, Special issue, 1976-1977, p. 677.

235 იქვე, p. 677-678.

236 *Alces P.A.*, The Moral Conflict of Law and Neuroscience, 2018, p. 199

237 იქვე, 201.

238 *Alces P.A, Sapolsky R.M.*, Nohwere, William & Mary Law Review, Vol. 63, Issue 4, 2022, p. 1089.

239 *Likhter P.L.*, Neuromarketing and free will in civil law, RUDN Journal of Law, Vol. 24, N. 3, 2020. https://journals.rudn.ru/law/article/view/24566 (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

240 აშშ-ში, სილიკონის ველზე, რამდენიმე წელია მუსირებს გუგლის ყოფილი თანამშრომლის, ტრისტან ჰარისის სიტყვები „შენ პროდუქტი ხარ“ (You are the Product). მოცემულ საკითხზე იხ. დოკუმენტური ფილმი „სოციალური დილემა“ (The Social Dilemma, Netflix, 2020).

241 *Confessore N.*, Cambridge Analytica and Facebook: The Scandal and the Fallout So Far, 2018, https://www.nytimes.com/2018/04/04/us/politics/cambridge-analytica-scandal-fallout.html (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

242 ასეთი დარწმუნების ტექნიკებია მაგალითად: 1. notification-ების და განსაკუთრებით წითელი ფერის notification-ების გაგზავნა მომხმარებელთან; 2. უწყვეტად სქროლვადი ეკრანი რომელიც ლატარიის იმიტაციას ქმნის და სხვ. აღნიშნულ საკითხზე დეტალურად იხ. Center for Human Technology, Persuasive Technology: How does technology use design to influence my behavior?, 2021, https://www.humanetech.com/youth/persuasive-technology (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

რებული პერსონალური ინფორმაციის შეგროვების მიზნით[243]. არსებობს მომხმარებლების შესახებ შეგროვებული უზარმაზარი ინფორმაციული ბაზების არაეთიკურად გამოყენების შემთხვევებიც. მაგალითად, 2018 წელს საკონსულტაციო კომპანია Cambridge Analytica-ს, ათობით მილიონი ფეისბუქის მომხმარებლის მონაცემების გამოყენების და მანიპულირების შემდეგ, ბრალი დასდეს აშშ-ს 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებსა და ბრექსითის (Brexit) რეფერენდუმში ჩარევაში[244].

ყველაფერი ბოლოს იმ საკითხამდე მიდის, რომ ადამიანის შესახებ დიდი ინფორმაციული ბაზის ქონა, ასევე, თავის ტვინის ნეირონული სტრუქტურების, პატერნებისა და ფუნქციების სიღრმისეულად გაგება, შეიძლება ადამიანის ნების მანიპულირებისთვის იქნეს გამოყენებული[245]. პროფესორი იუვალ ჰარარი ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული იმგვარი სიძლიერის კომპიუტერული ალგორითმების შექმნასაც კი ვარაუდობს, რომლებსაც ადამიანები რჩევას დაეკითხებიან ქორწინებაზე, განათლების მიღებაზე, პროფესიული კარიერის დაგეგმვაზე და სხვ.[246]

ლაპლასის დემონის მსგავსად, აზრობრივი ექსპერიმენტის სახით, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ერთგვარი სამართლის დემონი, რომელიც თავის ტვინის პროცესების უბადლო ცოდნით იმგვარი სიძლიერის დარწმუნებით ახდენს ადამიანების ნების ფორმირებაზე გავლენას, რომ შეიძლება თვითბოჭვის ინსტიტუტს საერთოდ საფრთხე შეექმნას. თუკი ხელოვნურ ინტელექტს ადამიანთან „ერთი ერთზე" ყოფნისას შეეძლება მის 60% შემთხვევაში ნებისმიერი პროდუქტის შეძენაში დარწმუნება, როგორი იქნება თვითბოჭვის ინსტიტუტის მომავალი? რა მოხდება მაშინ თუკი ამ ხელოვნური ინტელექტის ეფექტურობის მაჩვენებელი საერთოდ 99%-ს გადასცდება. მსგავსი ჰიპოთეტური დემონი დარწმუნების ხელოვნების სფეროში მომუშავე პირების წმინდა გრაალს წარმოადგენს და მისი შექმნის კომერციული ღირებულება განუზომელია. ის პრაქტიკულად კაცობრიობის ისტორიაში ყველა დროის ყველაზე ღირებული პროდუქტი იქნება.

თუკი პროფესორ ჰარარის ვარაუდი გამართლდება და ადამიანის ტვინი მართლაც მხოლოდ დეტერმინისტული კომპლექსური ბიოლოგიური ალგორითმების ერთობლიობაა[247], მსგავსი ჰიპოთეტური ტექნოლოგიური დემონის „გამოძახება" მხოლოდ ნეირომეცნიერების, უზარმაზარი კომპიუტერული სიმძლავრეების და ხელოვნური ინტელექტის ჭვკიანური სინთეზის შესაძლებლობაზე იქნება დამოკიდებული. ალბათ იშვიათია მსგავსი ირონია, როდესაც ზუსტმა მეცნიერებებმა, რომლებიც რელიგიურ დოგმებს გამოექცნენ, შესაძლებელია უფრო ძლიერი დემონიც კი შექმნან, ვიდრე ბიბლიურ დაბადებაში ადამის და ევას საცდურად მოვლენილი გველი იყო.

მოცემული ჰიპოთეტური მაგალითების განხილვის მიზანი მარტივია - გარკვეულ ეტაპზე ერთი კონტრაჰენტის მხრიდან მეორე სუბიექტის მიმართ ღია თუ შეფარული დარწმუნების საშუალებები შეიძლება იმდენად ძლიერი და ეფექტური აღმოჩნდეს, რომ მხარეთა ბალანსი გამოუსწორებლად დაირღვეს. კანონმდებლებს მსოფლიოს მასშტაბით მოუწევთ გასაგები ზღვარი გაავლონ დარწმუნების დასაშვებ და დაუშვებელ მეთოდებს შორის.

სამართალმა მეცნიერებთან მჭიდრო თანამშრომლობით უნდა უზრუნველყოს, რომ ბიოლოგიური და კომპიუტერული მეცნიერებები რინგის მოპირდაპირე კუთხეში არ აღმოჩნდნენ. დიდი ტექნოლოგიური კომპანიების ალგორითმების რეგულირების მიმართულებით,

[243] Center for Human Technology, Persuasive Technology: How does technology use design to influence my behavior?, 2021, https://www.humanetech.com/youth/persuasive-technology (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

[244] *Confessore N.*, Cambridge Analytica and Facebook: The Scandal and the Fallout So Far, 2018, https://www.nytimes.com/2018/04/04/us/politics/cambridge-analytica-scandal-fallout.html (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

[245] *Alces P.A.*, The Moral Conflict of Law and Neuroscience, 2018, p. 199

[246] *Guevara C.F.*, Yuval Noah Harari, the globalist historian who anticipates the dictatorship of the machines, 2022. https://diariodevallarta.com/en/noah-yuval-harari-el-personaje-de-diseno-que-anticipa-la-dictadura-de-las-maquinas-yuval-noah-harari/ (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

[247] იხ. *Harari Y.N*, Homo Deus, 2015.

საინტერესო მიდგომის გამოყენებას გვთავაზობს დღესდღეობით კომპიუტერულ მეცნიერებათა ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული წარმომადგენელი სტივენ ვოლფრამი, რომელიც დარწმუნების ტექნოლოგების საფრთხეზე იქნა 2019 წელს გამოკითხული აშშ-ს სენატში[248].

ვოლფრამის მოხსენების თანახმად, თანამედროვე კომპლექსურ ალგორითმებთან დაკავშირებული ეგზისტენციური საფრთხე მოდის იმ რეალობიდან, რომ კომპუტაციური ანუ გამოთვლითი პროცესი შეუმცირებადია (computational irreducibity)[249]. მარტივად რომ ვთქვათ, მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული ალგორითმი იწერება სპეციალისტის მიერ, უშუალოდ ამ ალგორითმის ამუშავების და „მუშაობაში ბოლომდე გაყვანის გარეშე" 100%-იანი სიზუსტით შეუძლებელია ალგორითმის მიერ მისაღები შედეგის პროგნოზირება[250]. ანუ ალგორითმის სიზუსტის 100% პროგნოზირება შეუძლებელია ხდება თუკი ეს კომპუტაციის პროცესი შემცირდება (აქედან მოდის შეუმცირებადობა). მარტივი მაგალითი რომ მოვიყვანოთ, ორი სამნიშნა რიცხვის (მაგ. 347 და 239) ერთმანეთზე გადამრავლებას აქვს კონკრეტული წესი (ალგორითმი), რომლის ბოლომდე გაყვანის გარეშე შეუძლებელია შედეგის მიღება. სანამ ადამიანი ამ ორ რიცხვს ერთმანეთზე მართლაც არ გადაამრავლებს და კომპუტაციას არ შეასრულებს, იგი ვერ იქნება შედეგში დარწმუნებული[251].

ამ რეალობის გამო, ვოლფრამის აზრით, ალგორითმების გამჭვირვალობის სტანდარტის მოთხოვნა დიდად ეფექტური ვერ იქნება სოციუმისთვის, რადგან, პარალელური კომპუტაციის ჩატარების გარეშე, შეუძლებელი იქნება იმის გააზრება თუ რა შედეგეზე გადიან და როგორ ეს ალგორითმები[252]. ამის საპირისპიროდ, მისი განმარტებით, აუცილებელია კომპუტაციური კონტრაქტების გაფორმება ხელოვნური ინტელექტის ალგორითმთან, რომელიც ძირითად ღირებულებებს, შეზღუდვებს და თამაშის წესებს დაადგენს[253]. ვოლფრამი ფაქტობრივად კომპიუტერული კონსტიტუციების დაწერას გვთავაზობს, რომლებიც გამუდმებით გაფართოვდება და დაიხვეწება.

ვოლფრამის მეორე იდეა ის არის, რომ ხელოვნური ინტელექტის მონაცემების მოპოვების მიმართულება (პლატფორმის ბიზნესი) გაყოფილი იყოს ადამიანებისთვის კონტენტის ჩვენების (გამომცემლობითი ბიზნესი) მიმართულებისგან[254]. პლატფორმისა და გამომცემლის ბიზნესი არსებითად კონფლიქტშია ერთმანეთთან[255], ამიტომ, გამომცემლის ბიზნესს სხვა სერვის-პროვაიდერები უნდა ახორციელებდნენ[256]. პარალელი რომ მოვიყვანოთ, ეს ბანკებისათვის არაპროფილურ სექტორში მონაწილეობის მსგავსია. ის თუ რამდენად გაიზიარებს ასეთ მიდგომას აშშ-ს ხელისუფლება ან დანარჩენი მსოფლიო, მომავალ წლებში გახდება ცნობილი.

საკითხი რომ შევაჯამოთ, თვითბოჭვა და მისგან გენერირებული გარიგებები ნების თავისუფლების არარსებობის პირობებში არ დაკარგავს აქტუალობას. თუმცა, ტრადიციულ სამართლებრივ საკითხებთან ერთად (ნება და მის გამოვლენის აცდენა), სამართალმა პასუხი უნდა გასცეს კომპიუტერული ტექნოლოგიებიდან მომდინარე ახალ გამოწვევებსაც, რომლებიც ნების ფორმირების საკითხებს საფრთხის ქვეშ აყენებენ.

XIV. ზიანის ანაზღაურება ნების თავისუფლების არარსებობის პირობებში

ზიანის ანაზღაურების კონცეფცია არისტოტელიანურ გათანაბრებით სამართლიანობის

[248] *Wolfram S.*, Testifying at the Senate about A.I.-Selected Content on the Internet, Writings, 2019, https://writings.stephenwolfram.com/2019/06/testifying-at-the-senate-about-a-i-selected-content-on-the-internet/ (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).
[249] იქვე.
[250] იქვე.
[251] იქვე.
[252] იქვე.
[253] იქვე.
[254] იქვე.
[255] იქვე.
[256] იქვე.

პრინციპზე[257] არის დაფუძნებული[258]. კერძოდ, ზიანის ანაზღარების კონტექსტში, გათანაბრებითი სამართლიანობის დროს, არსებობს საწყისი მდგომარეობა, რომელიც დარღვეულია და ის აღდგენილ უნდა იქნეს ზიანის ანაზღაურების მექანიზმის გამოყენებით[259].

ანტიკური ფილოსოფიის მოცემული გათანაბრებითი სამართლიანობის იდეა პირდაპირ არის ინკორპორირებული ზიანის ანაზღაურების სამართალში. ზიანის მიმყენებელმა უნდა აღადგინოს დაზარალებული იმ მდგომარეობაში, რომელშიც იგი იქნებოდა ზიანის მიყენების ფაქტი რომ არ მომხდარიყო[260].

ნების თავისუფლების გაქრობის პირობებში, იმის გათვალისწინებით, რომ ზიანის ანაზღაურების პრინციპს რამდენიმე ათასწლოვანი ტრადიცია აქვს, რამდენიმე შეკითხვას უნდა გაეცეს პასუხი: 1. შესაძლებელია თუ არა პირების პასუხისგება ზიანისთვის, რომელიც მათ თავისუფალ ნებაში არ შედის; 2. თუ პასუხისგება მაინც დასაშვებია, სად უნდა გადიოდეს პასუხისმგებლობის საზღვრები ნების თავისუფლების არარსებობის პირობებში; 3. ვინ არის პასუხისმგებელი სუბიექტი, იმ პირობებში, როდესაც არ არსებობს სუბიექტის თავისუფალი ნება.

1. ზიანის ანაზღაურება როგორც სოციალური კონტრაქტის ნაწილი

კვლავაც არისტოტელეს ეკუთვნის ფრაზა: „ადამიანი სოციალური ცხოველია“[261]. სოციუმი თავის წევრებს თანაცხოვრების წესებს უდგენს. ხოლო, ბოლო რამდენიმე ათასწლეულია ეს წესები გამუდმებით იცვლება, ვითარდება და იხვეწება.

ზიანის ანაზღაურების საკითხი სოციალური თანაარსებობის ანუ სოციალური კონტრაქტის ერთ-ერთ ქვაკუთხედად შეგვიძლია განვიხილოთ[262]. გარიგებების აღუსრულებლობის ან დანაშაულის ვერ აღკვეთის პირობებში, სოციალური ქაოსისა და საშიშროების საფრთხეებზე ზევით უკვე ვიმსჯელეთ. ანალოგიურად, იმის მიუხედავად ნების თავისუფლება იარსებებს თუ არა, ზიანის ანაზღაურების მექანიზმის გარეშე ისეთივე სოციალური ქაოსი დაისადგურებს, როგორც pacta sunt servanda-ს იგნორირების ან დამნაშავეების მიმართ ღონისძიებების გაუტარებლობის პირობებში.

ნების თავისუფლების არარსებობის პირობებშიც კი, სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეები ზიანის ანაზღაურების ოფციას „გაჰყვებოდნენ“, როდესაც სხვა პირების დაზიანება მათ მდგომარეობას გაამჯობესებდა. ძნელი წარმოსადგენი არ არის რამდენი ხანი დასჭირდებოდა ამის შემდეგ სოციუმის კოლაფსს, რომელი ზიანის ანაზღაურების გარკვეულ სამართლებრივ ჩარჩოს არ შეიცავს.

ამიტომ, ფაქტობრივად გადაჭრით შეიძლება იმის თქმა, რომ ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტს ნების თავისუფლების არარსებობა ვერ მოსპობს.

2. ზიანის ანაზღაურების ფარგლები

უტილიტარული არგუმენტი, რომელიც ზემოთ უკვე არაერთხელ ვახსენეთ, რელევანტურია ზიანის ანაზღაურების იმპერატივის ნაწილშიც. თუკი ზიანის ანაზღაურების ნორმების კონკრეტული ფარგლები სოციუმს საბოლოო ჯამში სარგებელს არ აძლევს, ასეთი ფარგლები

[257] არისტოტელეს მიხედვით, არსებობს განაწილებითი (distributive) და გათანაბრებითი (corrective) სამართლიანობა. განაწილებითი სამართლიანობის დროს გარკვეული „სიკეთე“ ნაწილდება პირებს შორის გარკვეული კრიტერიუმის საფუძველზე (მაგ. გენერალი იღებს x რაოდენობას, ჯარისკაცი y რაოდენობას, ასევე, განაწილებითი სამართლიანობის სახეა თუკი ყველა ადამიანმა უნდა მიიღოს გარკვეული z მინიმალური რაოდენობა). ამის საპირისპიროდ, გათანაბრებითი სამართლიანობის დროს პირმა თავისი კუთვნილი უნდა მიიღოს (მაგ. მიიღოს ხელშეკრულებით კუთვნილი გასამრჯელო და სხვ.). მოცემულ საკითხზე ვრცლად იხ. *Weinrib E.J.*, Corrective Justice in a Nutshell, Vol. 52, 2002.

[258] *Weinrib E.J.*, Corrective Justice in a Nutshell, The University of Toronto Law Journal, Vol. 52, 2002, p. 349; *Alces P.A.*, The Moral Conflict of Law and Neuroscience, 2018, p. 138.

[259] *Weinrib E.J.*, Corrective Justice in a Nutshell, The University of Toronto Law Journal, Vol. 52, 2002, p. 349.

[260] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408.1 მუხლი.

[261] არისტოტელე, პოლიტიკა, წიგნი 1.

[262] *Gregory K.C.*, A Social Contract Conception of the Tort Law of Accidents, Philosophy and the Law of Torts, 2001. https://ssrn.com/abstract=3441490 (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

ლოგიკურია დაექვემდებაროს კორექტირებას[263].

ამ ფარგლების განსაზღვრის ერთ-ერთი სიბრტყე შეიძლება იყოს ზიანის მიმყენებლის მენტალური მდგომარეობა. ზიანის მიმყენებლის პერსპექტივიდან არსებობს ორი შესაძლო მენტალური მდგომარეობა 1. განზრახვა და 2. არაგანზრახვა. იმ შემთხვევებში, როდესაც პირი განზრახ არ აყენებს ზიანს, მას სოციუმისგან პასუხი მაინც მოეთხოვება თუ იგი გაუფრთხილებლად ანუ საშუალო ადამიანისთვის აუცილებელი ქცევის წესების დარღვევით მოქმედებდა (მაგ. აგურის გადაგდება ფანჯრიდან ქუჩაში და შედეგად გამვლელის ჯანმრთელობის დაზიანება).

ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული „თამაშის წესები" აქაც არ სრულდება და ზოგიერთ შემთხვევაში სოციუმს არ აინტერესებს სოციალური ზრუნვის სტანდარტი დაცული იყო თუ არა. ასეთ დროს, ზიანისთვის პასუხისგება ხდება გამკაცრებულად. მაგალითისთვის, საქართველოში ავტომობილი მომეტებული რისკის წყაროდ მიიჩნევა და მისი მეშვეობით დამდგარი ზიანი უნდა ანაზღაურდეს სოციალური ზრუნვის სტანდარტის მიუხედავად[264], ხოლო საავიაციო ტრანსპორტიდან გამომდინარე ზიანი უნდა ანაზღაურდეს თუნდაც დაუძლეველი ძალის (მაგ. ქარიშხლის) არსებობისას[265]. ერთ-ერთი გავრცელებული მოსაზრებით, ზიანის ანაზღაურების დროს სამართლიანობა მოითხოვს პირებმა, რომლებიც კონკრეტულ რისკიან აქტივობას ეწევიან (მაგ. საავიაციო ტრანსპორტის ოპერირება), ამ აქტივობის უპირატესობებთან და ბენეფიტებთან ერთად უარყოფითი შედეგებიც თავის თავზე აიღონ[266].

პასუხისგების სხვადასხვა სტანდარტებიდან, თუ რა სოციალური ღირებულება აქვს განზრახი ზიანის მიყენების პრევენციას, შედარებით ცალსახა საკითხია. განზრახი ზიანის შედეგების კორექტირების გარეშე უკვე არაერთხელ ნახსენები სოციალური ქაოსის შექმნის რისკი არსებობს, იმისდა მიუხედავად რომ თავად „განზრახვა" პირის ნების თავისუფლებიდან არ მომდინარეობს. ცხადია, ნეირომეცნიერთა მხრიდან ტვინზე დაკვირვებების გათვალისწინებით ეტაპობრივად უნდა დაზუსტდეს ტვინის კონკრეტულად რომელი მდგომარეობები შეიძლება იქნეს მოცული ტერმინ „განზრახვაში". ამ საზღვრების ზუსტად დადგენა, მომდევნო ათწლეულების საინტერესო სამეცნიერო და სამართლებრივი განვითარების საკითხი იქნება, თუმცა, თავისთავად ის საკითხი, რომ განზრახი ზიანის ანაზღაურება ანაზღაურებულ უნდა იქნეს ფაქტობრივად უდავოა.

სიტუაცია უფრო კომპლექსურია სოციუმის მიერ საშუალო ადამიანის გულისხმიერების სტანდარტის (ანუ გაუფრთხილებლობის აკრძალვის) და გამკაცრებული პასუხისმგებლობის შემოღებისას. ნებისმიერ სოციუმს რომელსაც წარმატების პრეტენზია აქვს, რისკების ეფექტური მართვა უნდა შეეძლოს. ამიტომ, რისკის აღება და მართვა სოციუმის პროგრესის აუცილებელი კომპონენტია[267]. ზედმეტად შემზღუდველი საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც „არ დაინდობს" რისკის გამწევ პირებს (რომლებიც გარკვეული აქტივობის სწრაფად და ეფექტურად განხორციელებას გეგმავენ), მოცემულ პროგრესს აყოვნებს. მეორე მხრივ, თუკი ამ აქტივობას ადამიანების დაღუპვა, ჯანმრთელობის ან ქონების დაზიანება შეუძლია გამოიწვიოს, სოციუმს ლეგიტიმური ინტერესი აქვს აღკვეთოს მსგავსი ქცევები, თუნდაც, ეს სოციუმის პროგრესს გარკვეული გაგებით აფერხებდეს.

ბევრისათვის ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის შეყვანა რისკებისა და უტილიტარული „ხეირის" კალკულაციაში სრულიად მიუღებელია. კრიტიკის საფუძველი ხშირად ის არის, რომ მსგავსი მიდგომა ცნობილ კანტიანუ-

[263] იქვე.

[264] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999.1 და 999.3 მუხლები.

[265] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999.3 მუხლი.

[266] *Gregory K.C.*, A Social Contract Conception of the Tort Law of Accidents, Philosophy and the Law of Torts, 2001. https://ssrn.com/abstract=3441490 (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

[267] *Price A.M., Peterson L.P.*, Scientific progress, risk, and development: Explaining attitudes toward science cross-nationally, 2015. https://www.researchgate.net/publication/284206943_Scientific_progress_risk_and_development_Explaining_attitudes_toward_science_cross-nationally (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

რი პრინციპს - რომ ადამიანი არის მიზანი და არა საშუალება - არღვევს [268]. თუმცა, რეალობა სხვაგვარია და ამგვარი კალკულაცია სოციუმის მხრიდან შეფარულად მაინც გაკეთდება თუნდაც ეს ხმამაღლა არ მოხდეს. აღნიშნული კარგად წარმოაჩინა კოვიდ-19-ის პანდემიამ, როდესაც ვირუსმა საზოგადოება ბევრი ეთიკური არჩევანის წინაშე დააყენა (მაგ. იზოლაციის წესების აუცილებლობა, რესტორნებისა და კაფეების მუშაობის შეზღუდვა და სხვ.). ერთადერთი, რაც სოციუმმა და მისმა წევრებმა შეიძლება აირჩიონ არის ის თუ რა ადგილი ექნება კონკრეტულ სიკეთეს სხვა სიკეთეთა შორის იერარქიაში და ერთი კონკრეტული სიკეთე რა წინაპირობების არსებობის შემთხვევაში გაიწირება სხვა სიკეთის ან სიკეთეთა სასარგებლოდ.

ზიანის ანაზღაურების სამართალი პასუხისგების ზღვარს სხვადასხვა კონტექსტში განსხვავებულად ადგენს[269]. მაგალითად, ქართული კანონმდებლობით, დროებით უგონო ან სულიერი მოშლილობის მდგომარეობაში მყოფი პირი პასუხს არ აგებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთ მდგომარეობაში მან საკუთარი ბრალით ჩაიყენა თავი[270]. სოციალური კონტრაქტი ფაქტობრივად რაციონალურ გონებაზე დარჩენილ პირებს აძლევს სტიმულს აიცილონ ზიანი - სხვა შემთხვევაში, მათზე რჩება ზიანის დადგომის „ტვირთი". ამის საპირისპიროდ, ისევ ქართული კანონმდებლობით, შენობა-ნაგებობიდან მომდინარე ზიანის დროს, სოციუმს არ აინტერესებს გონიერი საშუალო პირის სტანდარტიც კი და პირს პასუხისმგებლობას აკისრებს გამოჩენილი ყურადღების ხარისხის მიუხედავად[271]. ხოლო თუკი ნაგებობა გადამცემი ხაზია, მისი მფლობელი პასუხს აგებს საერთოდ დაუძლეველი ძალის დროს დამდგარ ზიანზეც[272] (მაგ. ქარიშხლის მიერ გადამცემი ხაზის წაქცევისას).

პასუხისმგებლობის ზღვრის გავლებისას სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინება ბუნებრივია. თუმცა, ამ დიფერენცირების კრიტერიუმებზე სოციუმში ყოველთვის მწვავე დებატი იარსებებს. მაგალითად ასეთი დებატის საგანი იყო, როდესაც კოვიდ-19 პანდემიის პირობებში, აშშ-ში ვაქცინის მწარმოებელ კომპანიებს, გადაუდებელი გამოყენების ავტორიზაციის (Emergency Use Authorization) პერიოდში, „იმუნიტეტი" მიანიჭეს ვაქცინებით მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით[273]. ანუ სახელმწიფომ ვაქცინაცია უფრო მნიშვნელოვნად ჩათვალა, ვიდრე ადამიანთა გარკვეული ნაწილის სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნა. სამეცნიერო აღმოჩენების, სოციალური რისკების და ამ რისკების აღქმადობის გათვალისწინებით, კანონმდებელი ზიანის მიმყენებლის პასუხისგების ზღვარს სხვადასხვა ნიშნულზე მომავალშიც გაავლებს.

სოციუმის მიერ პასუხისმგებლობის ზღვრის სწორად გავლება ზიანის ანაზღაურების კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელობას იძენს იმის გამოც, რომ ზიანი ნაზღაურდება სრულად, მიუხედავად პასუხისმგებლობის ხარისხისა. თუკი დამნაშავეს აქვს შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოებები, ეს საბოლოოდ სახელმწიფოს მხრიდან პროპორციულ რეაქციას განაპირობებს, ზიანის მიმყენებელი კი მსგავსი „ფუფუნებით" არ სარგებლობს. გამარჯვებულს ყველაფერი მიაქვს (winner takes all) მიდგომა ზიანის ანაზღაურების ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია[274]. შესაძლებელია სოციუმმა ისიც კი გადაწყვიტოს, რომ ზღვარის გავლების სირ-

[268] *Hill T.E.*, Humanity as an End in Itself, Ethics, Vol. 91, 1980. http://www.jstor.org/stable/2380373 (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

[269] მაგალითად, უკვე ნახსენებ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლში გათვალისწინებული დიფერენცირებული მიდგომა.

[270] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 996 მუხლი.

[271] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1000.1 და 1001.3 მუხლები.

[272] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1001.3 მუხლი.

[273] მოცემულ საკითხზე იხ. COVID-19: Understanding Liability Immunity Under the PREP Act. https://www.marsh.com/us/services/casualty/insights/covid-19-liability-immunity-under-prep-act.html (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

[274] მაგალითად, აშშ-ს დელიქტური სამართლის ერთ-ერთ წამყვან პრეცედენტულ საქმეში *Palsgraf v. Long Island Railroad Co.*, 248 N.Y. 339, 162 N.E. 99 (1928) მოქალაქეს სხეული დაუზიანდა რკინიგზის სადგურზე ბოძის დაცემის შედეგად. თავის მხრივ, ბოძის წაქცევა ყუთში ჩადებულმა ფეიერვერკის აფეთქებამ გამოიწვია, რომელიც მგზავრს დაუვარდა. ფეიერვერკის დავარდნის მიზეზი კი რკინიგზის თანამშრომლების არასწორი ქცევა იყო, რომლებმაც სცადეს უკვე დაძრულ მატარებელში გამოკიდებული

თულე გარკვეულ შემთხვევებში იმდენად დიდია, რომ უმჯობესია, „ბრალეულობის“ ხარისხის გათვალისწინებით, სრული ანაზღაურების პრინციპის კორექტირებაც კი განხორციელდეს.

3. ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი სუბიექტი

ნების თავისუფლების არარსებობის პირობებში, საინტერესო ხდება ის საკითხიც თუ კონკრეტულად რომელმა სუბიექტებმა უნდა აგონ პასუხი ზიანისათვის საკუთარი ქონებით[275]. ჩნდება შემდეგი შეკითხვა - ვინ აგებს პასუხს, რომ სუბიექტი არ იქნა სათანადოდ მომზადებული ამ სოციალური კონტრაქტისთვის, მას ვერ გამოუმუშავეს განზრახ ზიანის მიყენების თავიდან არიდების წესი ანდა რისკების სწორად ბალანსირებისა და საშუალო ადამიანის გულისხმიერებით მოქცევის წესი.

გამკაცრებული პასუხისმგებლობის სტანდარტისას, გასაგებია, რომ გარკვეული აქტივობით (მაგ. თვითმფრინავების ბიზნესით) დაკავება უკვე წარმოადგენს პასუხისმგებლობის საფუძველს, შესაბამისად ამ საკითხზე კანონში ანაზღაურების შესახებ ჩანაწერი უკვე არის სოციუმის წევრის პასუხისმგებლობის წინაპირობა და ამგვარი ზიაინის მიმყენებელი „ბედს უნდა შეეგუოს“. თუმცა, პასუხისმგებლობის სუბიექტთა წრე განსაკუთრებით განზრახი და გაუფრთხილებელი ზიანის მიყენების დროს არის რელევანტური.

სამართლის სუბიექტები სოციუმის ცხოვრებაში ინტეგრირებული უნდა იყვნენ[276], ხოლო მათ ინტეგრაციაზე და სოციუმის წესების სწავლებაზე პასუხისმგებლობა არაერთ სუბიექტს - მშობლებს, სახელმწიფოს, სკოლას და სხვებს ეკისრებათ. ამ მხრივ, ქართულ ზიანის ანაზღაურების სამართალში, გვხვდება რეგულაცია, რომელიც 10 წლამდე ბავშვის მშობლებს ანდა მის მეთვალყურეობაზე ვალდებულ პირს აკისრებს ბავშვის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას[277]. ასევე გვხვდება რეგულაცია, რომელიც ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას დამატებით აკისრებს იმ პირებსაც, ვინც ზიანის მიმყენებელი დაიყოლია ან მისი ხელშემწყობი იყო, ასევე ისიც, ვინც შეგნებულად ისარგებლა სხვისთვის მიყენებული ზიანით[278].

ეს რეგულაციები პასუხს არ სცემენ შეკითხვას, როგორი უნდა იყოს სოციუმის თამაშის წესები, როდესაც პირი განზრახი ან გაუფრთხილებელი ფორმით ზიანის მიმყენებელ სუბიექტად უნებურად ჩამოაყალიბა მშობლების უყურადღებობამ ანდა მაგალითად ცუდმა სასკოლო გარემომ? მსგავსი შეკითხვები იურისპრუდენციაში მე-20 საუკუნის დასაწყისშიც უკვე აღარ წარმოადგენდა მხოლოდ კაზუისტიკურ სავარჯიშოს. 1924 წელს, აშშ-ს ერთ-ერთ საუკუნის პროცესად მიჩნეულ სისხლის სამართლის საქმეში, ნათან ლეოპოლდი და რიჩარდ ლოები საყოველთაოდ ცნობილმა ადვოკატმა, კლარენს დაროუმ, სიკვდილით დასჯას გადაარჩინა ბრალდებულების უზრუნველ, მდიდრულ და უპასუხისმგებლო ცხოვრების წესზე აპელირებით[279].

ფაქტია, რომ არსებობს ერთგვარი გამოუვალი დილემა, როდესაც, ერთი მხრივ, პირს არ აქვს ნების თავისუფლება და, მეორე მხრივ, საზოგადოება მას სთხოვს სოციალური კონტრაქტის წესების დაცვას, თუმცა, ზიანზე პასუხისმგებლობას არ იღებს თუკი ამ წესებს ინდივიდს ვერ ასწავლის. საინტერესოა ის ფაქტი, რომ მოცემული დილემა განხილულია აკაკი წერეთლის „გამზრდელსა“[280] და პროსპერ მერიმეს „მატეო

მგზავრის აყვანა, რა დროსაც ამ მგზავრს ფეიერვერკი დაუვარდა. დავა შეეხებოდა იმას თუ სად გადის რკინიგზის კომპანიის პასუხისმგებლობის ზღვარი. დავა პირველი ინსტანციით მოიგო მოსარჩელემ, თუმცა, Long Island Railroad Co.-მ სააპელაციო ინსტანციაში გაიმარჯვა და არანაირი პასუხისმგებლობა არ დაეკისრა.

275 *Alces P.A.*, The Moral Conflict of Law and Neuroscience, 2018, p. 103.

276 Restatement (third) of Torts: Liability for Physical and Emotianl Harm, §11 cmt.e, 2010.

277 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 994.1 მუხლი.

278 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 998.2 მუხლი.

279 საბოლოოდ ამ პირებს უსასტიკესი მკვლელობის ჩადენის გამო მოსალოდნელი სიკვდილით დასჯის ნაცვლად უვადო პატიმრობა მიესაჯათ. აღნიშნულზე იხ. Leopold And Loeb Trial: 1924. https://www.encyclopedia.com/law/law-magazines/leopold-and-loeb-trial-1924 (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

280 აკაკი წერეთლის გამზრდელში, ჰაჯი-უსუბი საკუთარი გაზრდილი საფარ-ბეგის მიერ ჩადენილ საზარელ, ამორალურ ქმედებაზე თავად იღებს პასუხისმგებლობას და თავს იკლავს.

ფალკონეში"[281]. ამ ნაწარმოებებში ისინი ორ სრულიად საწინააღმდეგო, ექსტრემალურ ვერსიებს წარმოგვიდგენენ პასუხისმგებელ პირთა წრის შესახებ.

კონკრეტულად რა უნდა გააკეთოს სოციუმმა: ზიანზე პასუხისმგებლობა თავადაც გაიზიაროს, პასუხისმგებლობა აღზრდაში მონაწილე ყველა სუბიექტს დააკისროს თუ ინდივიდის პირად პასუხისმგებლობას არ გასცდეს? ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემის პრობლემა, გარდა წმინდა ფილოსოფიურისა, ამ ეტაპზე, პრაქტიკული თვალსაზრისითაც დგას. ნეირომეცნიერებს ჯერჯერობით არ შეუძლიათ გაზომონ ადამიანის ტვინზე კონკრეტული პირების და მათგან მიღებული ინფორმაციის ანდა ცხოვრებისეული გაკვეთილების ზეგავლენა, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ უცნობია ტვინის ფუნქციონირებაში ხდომილობითი (ალბათური) ეფექტების როლი. ცხადია, მესამე პირების პასუხისმგებლობაზე საუბარი რთულდება თუკი ზიანის მიმყენებელი პირის თავის ტვინში ზიანის მიყენების გადაწყვეტილება ან გაუფრთხილებელი ქცევა ხდომილობითმა (ალბათურმა) კვანტურმა პროცესებმა წარმოშვა.

მომდევნო ათწლეულებში, ტვინში მიმდინარე პროცესების გაზომვის სირთულის პრაქტიკული კითხვების მოხსნასთან ერთად, სოციუმს ეს საკითხი სამართლის სამართლებრივი ღირებულებათა დონეზე ექნება გადასაწყვეტი. შესაძლებელია, მომდევნო ათწლეულებში მოვისმინოთ კიდეც სპეციალისტების არგუმენტი, რომ აღზრდაზე პასუხისმგებელ პირს ერთგვარ „დისციპლინას", ჰაჯი-უსუბისეულ გულისხმიერებას და ყურადღებიანობას მივაჩვევთ, თუკი ის ბავშვის არასწორი აღზრდის შედეგებზე სრულად ან ნაწილობრივ პასუხისმგებელი იქნება მისი სრულწლოვანების შემდეგაც კი. შესაძლებელია სოციუმი შეჯერდეს იმაზე, რომ აღზრდაზე პასუხისმგებელი პირის „ბრალეულობა" არსებობდეს მხოლოდ ნაწილობრივად ანდა მხოლოდ განზრახი ქმედების და არა გაუფრთხილებლობის დროს.

მსგავს კომპლექსურ საკითხებზე პასუხების ძიების დაწყება უახლოეს პერიოდში ნაკლებად სავარაუდოა, სანამ ნეირომეცნიერები იურისპრუდენციას კვლავ ტვინის შესახებ კონკრეტული აღმოჩენების წინაშე არ დააყენებენ. თავის მხრივ, მხოლოდ ნების თავისუფლების გაქრობა ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტს გაუქმების საფრთხის წინაშე ვერ დააყენებს. სოციუმმა ამ მიზეზით მხოლოდ თამაშის წესების გარკვეული ცვლილებები შეიძლება მოახდინოს.

XV. ნეირომეცნიერებათა სხვა საინტერესო გამოწვევები

ნეირომეცნიერების დარგები სამართლის ერთდროულად წარმოუდგენლად ძლიერი მოკავშირეები და მეტოქეები არიან. ერთი მხრივ, ნეირომეცნიერებები იურიტებს უფრო ზუსტი, ბიოლოგიურად ინფორმირებული რეგულაციების, სამართლებრივი თეორიების და პრაქტიკის განვითარებაში გვეხმარება. მეორე მხრივ, ნეირომეცნიერებამ ნებისმიერ მომენტში შეიძლება „თავდაყირა დააყენოს" საუკუნეების განმავლობაში შექმნილი სამართლებრივი სტატუს-ქვო[282].

ამ მიმართულებით ორი საკითხის გამოყოფას მოვახდენთ: 1. ტვინის იმპლანტები, რომლებსაც, პოტენციურად, შეეძლებათ ზემოქმედება მოახდინონ ადამიანის მიერ გადაწყვეტილებების მიღებაზე; 2. მოსამართლეების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე საჭმელის მიღების გავლენის შესახებ საინტერესო კვლევა ისრაელში.

1. ტვინის იმპლანტები

ნეირომეცნიერები აქტიურად მუშაობენ ტვინის იმპლანტების დახვეწაზე, რომლებიც ტვინის სტიმულაციის მეშვეობით გამოიყენება პარ-

[281] პროსპერ მერიმეს მათეო ფალკონეში, კორსიკელი მატეო ფალკონე თავის 10 წლის შვილს ფორტუნატოს კლავს იმის გამო, რომ ბავშვი სახლში დამალულ დამნაშავეს ჯარისკაცებთან გასცემს.

[282] *Pereboom D., Shaw E., Caruso G.*, Free Will Skepticism in Law and Society, Free Will Skepticism in Law and Society: Challenging Retributive Justice, 2019, p. 18.

კინსონის დაავადების, ეპილეფსიის და სხვა დაავადებების მკურნალობის დროს[283].

თეორიულად, ტვინის იმპლანტების მეშვეობით შესაძლებელი იქნება ადამიანური იმპულსების კონტროლი და სხვადასხვა მავნე დამოკიდებულებების მკურნალობა[284]. იმის გამო, რომ, მაგალითად, ნარკოდამოკიდებულება მილიონობით ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს აზიანებს და იწვევს სამედიცინო ხარჯების მილიარდობით დოლარით ზრდას სახელმწიფო ბიუჯეტებისთვის, მსგავსი ტექნოლოგიების განვითარება დიდ სამეცნიერო პრიორიტეტს წარმოადგენს[285].

თუმცა, დაავადებების მკურნალობის მიმართულებით წარმატების მიღწევის შემდეგ, სპეციალისტების მოსაზრებით, შესაძლებელია მსგავსი იმპლანტები დანაშაულისა თუ სხვა სოციალური პრობლემების (თვითმკვლელობა და სხვ.) წინააღმდეგ საბრძოლველადაც იქნა მიმართული[286].

შეკითხვა, ტექნიკურად შეგვიძლია თუ არა დანაშაული პრაქტიკულად გავაქროთ, სავარაუდოდ მხოლოდ შემდგომი ათწლეულების და ასწლეულების სამეცნიერო აღმოჩენების და ტექნოლოგიური ინსტრუმენტების საკითხი იქნება. მთავარი შეკითხვა კი იქნება რამდენად დაუშვებს სოციუმი დანაშაულის აღკვეთისათვის ადამიანების ტვინებში საყოველთაო „იმპლანტაციას“. მოცემული ცხარე დებატის გადაწყვეტისთვის შესაბამისი არგუმენტებით მომზადება ის მინიმუმია, რაც სამართლის სფეროს წარმომადგენლებმა თავის თავზე უნდა აიღონ.

2. შიმშილის გრძნობის გავლენა მოსამართლეთა გადაწყვეტილებაზე

2011 წელს ისრაელში ჩატარდა გახმაურებული კვლევა, რომელშიც მოსამართლეთა მიერ შეწყალების გადაწყვეტილებების მიღებაზე შიმშილის განცდისა და სადილის მიღების ზეგავლენა შეისწავლეს[287]. მოცემული კვლევის შედეგები, შეიძლება ითქვას, შოკისმომგვრელი იყო.

მოცემული კვლევის თანახმად, დილით არსებული შეწყალების 65%-იანი მაჩვენებელი სადილის წინა პერიოდში ფაქტობრივად ნულზე ჩამოდიოდა[288]. საინტერესოა ისიც, რომ სადილის შემდეგ შეწყალების მაჩვენებელი მცირე პერიოდით ისევ დაახლოებით 65%-ს უბრუნდება და შემდეგ კვლავ ვარდნას იწყებს[289]. კვლევა საინტერესოა იმ მიმართულებითაც, რომ მოსამართლეების მიერ დილით სესიის დაწყებისას პირველი შეწყალების საქმე და სადილის შესვენებიდან დაბრუნების მომენტში პირველი შეწყალების საქმე ყველაზე ხელსაყრელი აღმოჩნდა პატიმრისთვის, დაახლოებით 65%-70%-იანი წარმატების შანსით[290].

მსგავსი კვლევები სამართლის სფეროში მნიშვნელოვან ყურადღებას საჭიროებენ. გადაწყვეტილების მიმღებ დაწესებულებებში ადამიანების რეალური კოგნიტური უნარების და შესაძლებლობების შესაბამისად უნდა დაგეგმონ დღიური მუშაობის პროცესი, რათა საფრთხე არ შეუქმნან იმ უფლებების რეალიზაციას, რისთვისაც ეს დაწესებულებები საერთოდ არსებობს. ეს შეიძლება შეეხოს: ა) კომისიას, რომელიც ერთმანეთის მიყოლებით არაერთი პირის ნებართვის საკითხს წყვეტს, ბ) მომკვლევ ორგანოს რომელიც დღის განმავლობაში ზედიზედ ათეულობით პირის დაჯარიმებას იხილავს, გ) მოსამართლეს, რომელიც ათეულობით პატარა საქმეს (მაგ. აღკვეთის ღონისძიების საკითხს) ერთმანეთზე გადაბმით წარმართავს თუ სხვ.

XVI. სად არის რევოლუცია?

სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ნების თავისუფლების მიმართულებით მიუხედავად ნეირომეცნიერებებში სერიოზული გარღვევებისა, სამართალი სწრაფად არ შეიცვლება[291]. აღნიშნულს რამდენიმე მიზეზი აქვს.

---

283 *Alces P.A, Sapolsky R.M.*, Nohwere, William & Mary Law Review, Vol. 63, Issue 4, 2022, p. 1115.
284 იქვე, 1115.
285 იქვე, 1115.
286 იქვე, 1115-1116.
287 *Danziger J.L., Avnaim-Pesso L.*, Extraneous factors in judicial decisions, 2011. https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/21482790/ (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).
288 იქვე.
289 იქვე.
290 იქვე.
291 *Alces P.A, Sapolsky R.M.*, Nohwere, William & Mary Law Review, Vol. 63, Issue 4, 2022, p.1113.

საზოგადოებაში, მათ შორის, იურიდიულ სფეროში, ნების თავისუფლებისა და მისგან მომდინარე მორალური პასუხისმგებლობის გაქარწყლებას საკმაო პერიოდი დასჭირდება[292].

მნიშვნელოვანი დაბრკოლება არის სტატუს-ქვოს სიმარტივე და, მეორე მხრივ, ცვლილებების კომპლექსურობა. ნების თავისუფლების ფიქცია საშუალებას აძლევს იურისტებს ადამიანთა ქცევის საფუძვლები არ იკვლიონ[293], ასე ვთქვათ, პანდორას ყუთს თავი არ ახადონ. შესაბამისად, ნების თავისუფლების ფიქცია სამართლის იოლი ადმინისტრირების საშუალებას იძლევა[294].

ასევე, იოლ ადმინისტრირებას პირდაპირ უკავშირდება მართლმსაჯულების პროცესის ხარჯიანობა. სახელმწიფოს მხრიდან მართლმსაჯულების სერვისის გაწევა სახელფასო თუ სხვა სახის დანახარჯებთან არის დაკავშირებული. კომპლექსური პროცესების ინტეგრირება, რაც ნების თავისუფლების გაქრობას გარდაუვლად ახლავს თან, ხარჯების გაზრდის აუცილებლობის პრობლემატიკასთან მიდის. ჯერ კიდევ 1970 წელს აშშ-ს ფედერალური სააპელაციო სასამართლო პირდაპირ აღიარებდა, რომ ნარკოდამოკიდებულების დანაშაულებთან დაკავშირებით უგუნური პოლიტიკა არსებობს იმის გამო, რომ სახელმწიფოს ამ პირების მკურნალობის ხარჯები არ აქვს[295]. მოქალაქის დაპატიმრება, გასამართლება და გარკვეული წლებით ციხეში იზოლირება შესაძლებელია არჩეულ იქნეს უბრალოდ იმის გამო, რომ ალტერნატივის სახით არსებული მკურნალობისა და თერაპიის მეთოდი (კარგად მოწყობილ დაწესებულებაში და სხვადასხვა ექსპერტის ჩართულობით) გაცილებით ძვირი დაჯდეს. მაღალი ხარისხის სერვისი ხარჯებთან არის დაკავშირებული და შესაბამისად, სამართლის სისტემის რეფორმის წარმატება არანაკლებ არის დამოკიდებული სოციუმის კეთილდღეობასა და რესურსებზე, რომელშიც ეს რეფორმა ხორციელდება.

კიდევ ერთ გამოწვევად შეგვიძლია მივიჩნიოთ ეფექტური განათლების სისტემა[296]. 21-ე საუკუნეში შექმნილი სამეცნიერო რეალობა იურისტებისათვის მინიმალურ, საბაზისო ცოდნას მაინც მოითხოვს სხვადასხვა დარგებში, რომლებიც ადამიანის ქცევას თუ სხვა კომპლექსურ ფსიქოლოგიურ საკითხებს შეეხება. ნეირომეცნიერებათა მიღწევების მიტანა სტუდენტებამდე, პრაქტიკოსებამდე, მოსამართლეებამდე, ასევე აუცილებელი კომპონენტი გახლავთ საჭირო ცვლილებების დასაჩქარებლად და სწორი იმპლემენტაციისთვის.

XVII. შეჯამება

როგორც ნეირომეცნიერებათა დოქტორი სემ ჰარისი ამბიციურად პროგნოზირებს - ნების თავისუფლების გაქრობა ადამიანთა შორის სიძულვილს გააქრობს[297]. სამართლის ძირეულ კონცეფციებს კი აღნიშნულის შედეგად გაქრობა ნამდვილად არ ემუქრებათ. პირიქით, მაღალია ალბათობა, რომ ნების თავისუფლების გარეშე სამართალი, სწორი აქცენტების დასმით, კიდევ უფრო კარგად მოახერხებს სოციალური სიკეთეების მაქსიმიზაციას.

როგორც ნებისმიერი პარადიგმული ცვლილების შემთხვევაში, ნების თავისუფლების გაქრობიდან და ადამიანის ტვინის საიდუმლოებათა ამოხსნიდან გამომდინარე, თავისთავად ჩნდება გარკვეული რისკები[298]. ამ მხრივ, მთავარი გამოწვევა კანტიანური პრინციპის - ადამიანის როგორც მიზნად შენარჩუნების და არა საშუალებად ქცევის - საკითხია.

---

292 იქვე, 1113.

293 *Jones M.*, Overcoming the Myth of Free Will in Criminal Law: The True Impact of the Genetic Revolution, Duke Law Journal, Vol. 52, 2003. http://www.jstor.org/stable/1373128 (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

294 იქვე.

295 *United States v. Carter,* 436 F.2d 200, 210 (D.C. Cir. 1970) (Bazelon, C.J., concurring). ციტატა: *„It is to me intolerable that persons ... should be further burdened by the moral stigma of guilt, not because they are blameworthy, but merely because we cannot afford to treat them as if they are not“*.

296 *Cueto-Rua J.C.*, The Future of the Civil Law, Louisiana Law Review, Volume 37, Number 3, Special issue, 1976-1977, p. 678.

297 მოცემულ საკითხზე იხილეთ *Harris S.*, Free Will, 2012.

298 *Bird A.*, Thomas Kuhn's "the Structure of Scientific Revolutions", The Stanford Encyclopedia of Philosophy, 2022. https://plato.stanford.edu/archives/spr2022/entries/thomas-kuhn/ (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

სამართლის ძირითადი კონცეფციები თავისი არსებობის გასამართლებად ახალ სამეცნიერო რეალობაში უტილიტარიანულ ფასეულობებს უნდა დაეყრდნოს: ა) დანაშაულის შემთხვევაში სოციალური საფრთხის განეიტრალებას, ბ) გარიგებების შემთხვევაში სოციუმის წევრებისათვის ღირებულების გენერაციას; გ) ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში სოციალური კონტრაქტის დაცვის აუცილებლობას. უტილიტარიანული ხედვა ზემოთხსენებულ კანტიანურ პრინციპთან არასოდეს გახლდათ ჰარმონიულ ურთიერთობაში. მინიმუმი ამ ფაქტის ღიად დეკლარირებაა. ამის შემდეგ კი, აუცილებელია იმგვარი საკანონმდებლო ჩარჩოს ჩამოყალიბებაზე ზრუნვა, რომ ნეირომეცნიერებებში მიმდინარე რევოლუციურმა ცვლილებებმა ადამიანი სამართლის სუბიექტიდან სამართლის ობიექტად გადაქცევამდე არ მიიყვანოს.

ნეირომეცნიერებებიდან მომდინარე ცვლილებებთან დაკავშირებული რისკების გათვალისწინებით, აუცილებლად იარსებებს მოსაზრება საერთოდ ამ ცვლილებების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. თუმცა, სამართალი ვერ გაჩერდება იმ ადგილზე სადაც ამჟამად არის. ნების თავისუფლების გარეშე ადამიანების დასჯა დანაშაულისთვის, გარკვეული პერიოდის შემდეგ სავარაუდოდ ისეთივე ბარბაროსობად ჩაითვლება, როგორც შუა საუკუნეებში ჯადოქრების გასამართლება. ხელოვნური ინტელექტის სფეროში არსებული ტექნოლოგიური გადატრიალებები სათანადო რეგულაციების შემოღების გარეშე გარკვეულ ეტაპზე გარიგებების დადების უნარიანობას საფრთხის წინაშე დააყენებს. ხოლო სოციუმი ზიანის ანაზღაურების თამაშის წესებს ისე უდგენს სამართლის სუბიექტებს, რომ სანაცვლოდ არანაირი ანგარიშვალდებულება ამ სუბიექტების მიმართ თავად არ აქვს.

სამართლისთვის ზემოაღნიშნული მოცემულობა მნიშვნელოვანი გამოწვევაა. თუმცა, ეს თავისთავად შემაშფოთებელი არ არის და პირიქით პროგრესის რეალურ შესაძლებლობას იძლევა[299]. შედარებისათვის, მათემატიკის დარგში მე-20 საუკუნის დასაწყისში შექმნილი კრიზისი შეგვიძლია მოვიყვანოთ. იმ პერიოდის ერთ-ერთმა წამყვანმა მათემატიკოსმა დევიდ ჰილბერტმა მათემატიკის ფუნდამენტის შექმნისთვის პროგრამა შეიმუშავა[300], რომლის მიზანიც იყო მათემატიკის, როგორც დარგის (1) სისრულის, (2) თანმიმდევრულობის და (3) გადაწყვეტადობის[301] ჩვენება[302]. 1931 წელს ჯერ მათემატიკის სისრულის ამბიცია დაემხო, როდესაც კურტ გოდელის არასისრულის პირველმა თეორემამ დაამტკიცა, რომ მათემატიკაში ყოველთვის იარსებებს განცხადებები, რომლების დამტკიცებაც შეუძლებელია[303]. შემდეგ, ისევ გოდელის არასისრულის მეორე თეორემამ დაამტკიცა, რომ მათემატიკას საკუთარი თანმიმდევრულობის ანუ შიდა წინააღმდეგობების არქონის ჩვენება არ შეუძლია[304]. ბოლოს კი, 1936 წელს ალან ტურინგმა მათემატიკის გადაწყვეტადობასაც დაუსვა წერტილი[305]. საინტერესო ის გახლავთ, რომ იმავე ნაშრომში[306] იგი ტურინგის მანქანის (თანამედროვე კომპიუტერების თეორიული მოდელი) კონცეფციამდე მივიდა, მალევე დაიწყო კომპიუტერების შექმნა და შემდეგ ამ უახლესი ტექნოლოგიით მოკავშირეებს მე-2 მსოფლიო ომის დროს ნაცისტური რეჟიმის კოდების გატეხვაშიც დაეხმარა[307].

---

299 *Bird A.*, Thomas Kuhn's "the Structure of Scientific Revolutions", The Stanford Encyclopedia of Philosophy, 2022. https://plato.stanford.edu/archives/spr2022/entries/thomas-kuhn/ (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

300 *Kripke S.A.*, The Collapse of the Hilbert Program: A Variation on the Gödelian Theme, 2007, https://arxiv.org/ftp/arxiv/papers/2102/2102.08346.pdf (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

301 ინგლისურად, Completeness, Consistency and Decidability)

302 იქვე.

303 *Panu R.*, Gödel's Incompleteness Theorems", *The Stanford Encyclopedia of Philosophy, 2022.* https://plato.stanford.edu/cgi-bin/encyclopedia/archinfo.cgi?entry=goedel-incompleteness (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

304 იქვე.

305 ალან ტურინგის მიერ ნაჩვენებ იქნა, რომ არსებობს გარკვეული მათემატიკური პრობლემები, რომელთა გადაწყვეტა ანუ მათ მიმართ კონკრეტული ალგორითმის გამოყენება შეუძლებელია. მოცემულ საკითხზე იხ. *Erickson J.*, Undecidability, 2016.

306 *Turing A.M.*, On Computable Numbers, with application to Entscheidungsproblem, 1936. https://www.cs.virginia.edu/~robins/Turing_Paper_1936.pdf (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

307 *Watson I.*, How Alan Turing Invented the Computer Age, 2012. https://blogs.scientificamerican.com/guest-blog/how-alan-turing-invented-the-computer-age/ (ბოლო ნახვის თარიღი: 31.07.2022).

ამ მაგალითის მსგავსად, ნეირომეცნიერებათა მიერ ბოლო ათწლეულებში შექმნილ გამოწვევებს სამართალი ღიად უნდა შეხვდეს, ადაპტირდეს და კაცობრიობის უკეთესი მომავლის შექმნაში საკუთარი როლი შეასრულოს. გამორჩეული რომაელი იურისტის ულპიანეს სიტყვები „იცხოვრე ღირსეულად, არ დააზარალო სხვები და მიაგე ყველას თავისი“[308] სამართლის დარგის სპეციალისტებისთვის აქტუალობას 21-ე საუკუნეშიც, ნების თავისუფლებისგან დაცლილ, სამართლებრივ სივრცეშიც არ დაკარგავს. სამართლის სფეროს წარმომადგენლებმაც ღირსეულად უნდა გადავწყვიტოთ გამოწვევები, უგუნური საკანონმდებლო ბაზის ფორმირებით ან შენარჩუნებით არ დავაზარალოთ სამართლის სუბიექტები და სოციუმის ყველა მონაწილეს თავისი საკადრისი მივაგოთ.

[308] ლათ. honeste vivere, alterum non laedere, suum cuique tribuere.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მეხუთე სექცია

შპს „ტურექსი“ საქართველოს წინააღმდეგ*
(TUREX LTD against Georgia)

საჩივარი N 22398/10

განჩინება

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (მეორე სექცია), 2019 წლის 26 თებერვალს, კომიტეტის სხდომაზე, შემდეგი შემადგენლობით:

განა იუდკივსკა, *თავმჯდომარე,*
სიოფრა ო'ლირი,
ლადო ჭანტურია, *მოსამართლეები,*
და მილან ბლაშკო, *სექციის მდივნის მოადგილე,*

2010 წლის 10 აპრილს წარმოდგენილი ზემოაღნიშნული საჩივრის, მოპასუხე მთავრობის მოსაზრებებისა და მომჩივნის მიერ საპასუხოდ წარმოდგენილი მოსაზრებების გათვალისწინებით,

მსჯელობის შედეგად, მიიღო ეს განჩინება:

ფაქტები

1. მომჩივანი საწარმო, შპს „ტურექსი“, არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. მას სასამართლოს წინაშე წარმოადგენდა ბატონი ბ. ქაჩანი, რომელიც საქმიანობს სტამბოლში.

2. საქართველოს მთავრობას („მთავრობა“) წარმოადგენდა ბატონი ბ. ძამაშვილი, წარმომადგენელი იუსტიციის სამინისტროდან.

---

* თარგმანი მომზადებულია *ია უჯმაჯურიძის* მიერ და წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მონაცემთა ბაზაში (HUDOC) გამოქვეყნებულის რედაქტირებულ ვერსიას.

ა. საქმის გარემოებები

3. მხარეების მიერ წარმოდგენილი საქმესთან დაკავშირებული ფაქტები მოკლედ შეიძლება ამგვარად ჩამოყალიბდეს:

1. წინათქმა

4. 1998 წლის 4 აგვისტოს თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტმა გამოსცა დადგენილება („დადგენილება"), რომლითაც მომჩივან საწარმოს შესაძლებლობა ეძლეოდა, გაეფორმებინა იჯარის ხელშეკრულება თბილისის მერიის მიწის მართვის დეპარტამენტთან მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით, რომლის ფართობი იყო 8,704 კვმ („მიწის ნაკვეთი"). 1998 წლის 25 სექტემბერს გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება, რომლითაც მომჩივან კომპანიას ამ მიწის ნაკვეთით სარგებლობის უფლება მიეცა ორმოცდაცხრამეტი წლის ვადით, მასზე ბიზნეს და კომერციული ცენტრის აშენების ვალდებულების პირობით. იჯარის ხელშეკრულებით მიწის ნაკვეთის სხვა მიზნით გამოყენება პირდაპირ იკრძალებოდა. არ ჩანს, რომ მომჩივანმა საწარმომ მასზე ააშენა ბიზნეს და კომერციული ცენტრი ან, რომ გამოიყენა მიწის ნაკვეთი რაიმე სხვა მიზნით.

5. 1999 წლის 12 ივლისს, ვინმე ბატონმა შ.ზ.-მ მომჩივანი საწარმოს სახელით მოახდინა მიწის ნაკვეთის პრივატიზება ყალბ დოკუმენტებზე დაყრდნობით და საკუთრების უფლება დაირეგისტრირა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში („საჯარო რეესტრი"). მან მოგვიანებით ის მიჰყიდა მესამე პირს. პრივატიზების პროცესთან დაკავშირებული რაიმე დოკუმენტი სასამართლოში წარმოდგენილი არ ყოფილა.

6. დაუდგენელ თარიღს მომჩივანი კომპანიის დამფუძნებელმა და ერთადერთმა პარტნიორმა შეიტყო სავარაუდოდ გაყალბებული პრივატიზებისა და მიწის ნაკვეთის გაყიდვის შესახებ და სარჩელი აღძრა შ.ზ.-ს მიმართ, მესამე პირი - სადავო ქონების შემძენი. იგი ამტკიცებდა, რომ დოკუმენტები, რომელთა მეშვეობითაც შ.ზ.-ს უფლება ეძლეოდა, ემოქმედა საწარმოს სახელით, გაყალბებული იყო, რამდენადაც ის არ იყო სათანადო პირის მიერ ხელმოწერილი და მოითხოვა იმ დოკუმენტების, ისევე, როგორც მოპასუხე მხარეებს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, ხოლო მიწის ნაკვეთის მის „მართლზომიერ მფლობელობაში" დაბრუნება.

7. 2001 წლის 26 ივნისს რაიონულმა სასამართლომ მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება და მომჩივანი საწარმოს დამფუძნებლის მიერ წარდგენილი ფაქტები დამტკიცებულად ჩათვალა (იხ. მე-6 პარაგრაფი ზემოთ), იმ საფუძვლით, რომ მოპასუხე არ გამოცხადდა სასამართლოში მიუხედავად იმისა, რომ მიწვეული იყო სასამართლო სხდომაზე კანონით დადგენილი წესით. სასამართლოს გადაწყვეტილებით ბათილად იქნა ცნობილი დოკუმენტები, რომლითაც შ.ზ.-ს უფლებამოსილება ენიჭებოდა საწარმოს სახელით მონაწილეობა მიეღო პრივატიზებაში და გაეყიდა ქონება, შედეგად მიწის ნაკვეთი „უნდა დაბრუნებოდა მართლომიერ მფლობელს ... და საჯარო რეესტრის ჩანაწერებში განხორციელებულიყო შესაბამისი ცვლილება". სასამართლოს არ შეუფასებია შ.ზ.-ს მიერ საჯარო რეესტრში ქონების რეგისტრაციის საკითხი (იხ. მე-5 პარაგრაფი ზემოთ). გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში კანონით დადგენილი გასაჩივრების ერთთვიანი ვადის გასვლის გამო.

8. 2001 წლის 15 ოქტომბერს საჯარო რეესტრმა მომჩივანი საწარმო დაარეგისტრირა, როგორც მიწის ნაკვეთის „მესაკუთრე". რეგისტრაციის საფუძვლად მითითებულ იქნა 2001 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება (იხ. მე-7 პარაგრაფი ზემოთ).

2. მომჩივანი კომპანიის საკუთრების უფლების ნამდვილობასთან დაკავშირებული წარმოება

9. 2006 წლის 6 ივლისს თბილისის მერიამ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, მომჩივანი საწარმოს უფლების შესახებ საჯარო რეესტრში განხორციელებული ჩანაწერის ბათილად

ცნობის შესახებ („პირველი სამართალწარმოება“). მიუთითებდა, რომ მომჩივანი კომპანია შეცდომით იქნა რეგისტრირებული, როგორც მესაკუთრე, რადგან 2001 წლის 26 ივნისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მხოლოდ ის გადაწყდა, რომ მიწის ნაკვეთი მომჩივან საწარმოს უნდა დაბრუნებოდა „მფლობელობაში“ და არა საკუთრებაში. რომ მხოლოდ „მფლობელობა“ შეიძლებოდა წარმოშობილიყო 1998 წლის 25 სექტემბრის იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე (იხ. მე-4 პარაგრაფი ზემოთ). ამასთანავე, იჯარის ხელშეკრულება პირობადადებული იყო და არ ითვალისწინებდა პრივატიზების შესაძლებლობას. ნებისმიერ შემთხვევაში, პრივატიზება განხორციელდა გაყალბებული ტრანზაქციების გზით, როგორც დადასტურდა 2001 წლის 26 ივნისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით. შესაბამისად მომჩივან საწარმოს არ შეიძლებოდა ესარგებლა ამით, სამოქალაქო უფლების ბოროტად გამოყენების აკრძალვისა და სამოქალაქო კოდექსის 54-ე და 115-ე მუხლების საფუძველზე ხელშეკრულებების ბათილად ცნობის გამო (იხ. მე-19 პარაგრაფი ქვემოთ). ნამდვილი საკუთრების უფლების არარსებობის პირობებში შეცდომით განხორციელებული სარეგისტრაციო ჩანაწერი არ შეიძლებოდა გამხდარიყო ამგვარი უფლების წარმოშობის საფუძველი.

10. სამართალწარმოების პარალელურად, 2007 წლის 7 მარტს ქალაქ თბილისის მთავრობამ ჩაატარა მოკვლევა მისი წინამორბედის მიერ 1998 წლის 4 აგვისტოს გამოცემული დადგენილების კანონიერებასთან დაკავშირებით (იხ. მე-4 პარაგრაფი ზემოთ).

11. 2007 წლის 19 ნოემბერს, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის საფუძველზე (ზაკ) (იხ. მე-19 პარაგრაფი ქვემოთ), ქალაქ თბილისის მთავრობამ 1998 წლის 1 აგვისტოს დადგენილება არარად გამოაცხადა *ab initio (გამოცემის მომენტიდან),* იმ დასაბუთებით, რომ ის გამოცემული იყო არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ. კერძოდ, იმ დროს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ქალაქ თბილისის მთავრობამ მიუთითა, რომ ქალაქის მერი იყო ერთადერთი უფლებამოსილი პირი, რომელსაც შეეძლო მიეღო კანონიერი გადაწყვეტილება სადავო მიწის განკარგვასთან დაკავშირებით. გადაწყვეტილების მიხედვით, მომჩივანი საწარმო გამეორებით იქნა მიწვეული 2007 წლის 21 ივნისის ზეპირ განხილვაზე საჯარო რეესტრში, მაგრამ არ გამოცხადდა.

12. 2007 წლის 29 ნოემბერს პირველი ინსტანციის სასამართლომ არ დააკმაყოფილა თბილისის მერიის საჩივარი პირველ სამართალწარმოებასთან დაკავშირებით (იხ. მე-9 პარაგრაფი ზემოთ). მან აღნიშნა, რომ მიწის ნაკვეთის პრივატიზებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება ბათილად არ ყოფილა ცნობილი სასამართლოს მიერ, რადგან ეს არ წარმოადგენდა მოსარჩელის მოთხოვნას, რომელიც ითხოვდა რამდენიმე დოკუმენტის ბათილად ცნობას, რაც დაკავშირებული იყო პრივატიზებასთან და მიწის ნაკვეთის გაყიდვასთან (იხ. მე-6-7 პარაგრაფებო ზემოთ). შესაბამისად, საჯარო რეესტრმა მართებულად დაარეგისტრირა მიწის ნაკვეთზე მომჩივანი კომპანიის საკუთრების და არა მფლობელობის უფლება. ამასთანავე, რადგან მიწის ნაკვეთი თავდაპირველად პრივატიზებული იყო არაუფლებამოსილი პირის მიერ, რომელიც მომჩივნის სახელით მოქმედებდა, არ გაუსაჩივრებია რა, პრივატიზების ნამდვილობა, რასაც შემდეგში მომჩივანი კომპანია დაეთანხმა, სასამართლოს მოსაზრებით, უფლება მის სასარგებლოდ იქნა გამოყენებული, არჩევნიდან გამომდინარე, რაც გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსის 111-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (იხ. მე-20 მუხლი ქვემოთ).

13. 2008 წლის 10 იანვარს მომჩივანმა საწარმომ სარჩელი აღძრა პირველი ინსტანციის სასამართლოში, მოითხოვა რა, ქალაქ თბილისის მთავრობის 2007 წლის 19 ნოემბრის (იხ. მე-11 პარაგრაფი ზემოთ) გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და რესტიტუცია შესაბამის ქონებრივ უფლებასთან მიმართებით („მეორე სამართალწარმოება“). ამტკიცებდა, რომ მას გააჩნდა ნამდვილი საკუთრების უფლება და ხანდაზმულობის გამო, ისევე როგორც თავისი *bona fide* ინტერესების ძალით, მიწის ნაკვეთზე ქონებრივი უფლების არარად გამოცხადება დაუშვებელი იყო.

14. 2008 წლის 30 იანვარს, ქალაქ თბილისის მთავრობის გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით (იხ. მე-11 პარაგრაფი ზემოთ), საჯარო რეესტრმა გააუქმა მიწის ნაკვეთზე მომჩივანი საწარმოს უფლების შესახებ სარეგისტრაციო ჩანაწერი.

15. 2008 წლის 10 სექტემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა ქვემდგომი სასამართლოს 2007 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილება (იხ. მე-12 პარაგრაფი ზემოთ) და შეწყვიტა პირველი სამართალწარმოება. მან დაასაბუთა, რომ ქონების სადავო პრივატიზება გამომდინარეობდა იჯარის ხელშეკრულებიდან, რომელიც არარად გამოცხადებულ, 1998 წლის 4 აგვისტოს დადგენილებას ეფუძნებოდა შესაბამისად, სადავო დადგენილების *ab initio* არარად გამოცხადებით (იხ. მე-11 პარაგრაფი ზემოთ), საბოლოოდ, აღარ არსებობდა დავის საგანი. საქმის მასალიდან არ ჩანს, რომ მხარეებმა გაასაჩივრეს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება.

16. 2008 წლის 27 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ მეორე სამართალწარმოებაში მომჩივანი საწარმოს საწინააღმდეგოდ გადაწყვიტა დავა. მისი დასაბუთებით, დადგენილება, რომელიც თავდაპირველ საიჯარო ურთიერთობას ადგენდა, რასაც შემდგომში პრივატიზება დაეფუძნა, გამოცემული იყო არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ. კერძოდ, მიწის ფონდის განკარგვა და შესაბამისად, მომჩივანი საწარმოსთვის სადავო მიწის ნაკვეთის გამოყოფა წარმოადგენდა არა თბილისის მუნიციპალიტეტის, არამედ თბილისის მერის უფლებამოსილებას. სასამართლოს მსჯელობის მიხედვით, ამგვარ ვითარებებში საჯარო სააგენტო არა მხოლოდ უფლებამოსილი, არამედ ვალდებული იყო, გაეუქმებინა ქონებაზე შეცდომით რეგისტრირებული უფლება. მან შესაბამისად დაასკვნა, რომ დადგენილების ბათილად ცნობა განხორციელდა ზაკ-ის მე-60 მუხლის თანახმად (იხ. მე-19 პარაგრაფი ქვემოთ). აღნიშულ დებულებაზე დაყრდნობით სასამართლომ ასევე დაასაბუთა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს აქტთან დაკავშირებთ რაიმე ხანდაზმულობა არ მოქმედებდა, რადგან, გადაწყვეტილება არარა იყო *ab initio* და მისი ბათილობა კანონით იყო გათვალისწინებული. მომჩივანი საწარმოს მოთხოვნა რესტიტუციასთან დაკავშირებით, შესაბამისად, არ დაკმაყოფილდა.

17. 2009 წლის 22 აპრილს სააპელაციო სასამართლომ უცვლელი დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება.

18. მეორე სამართალწარმოება დასრულდა უზენაესი სამართლოს 2009 წლის 19 ოქტომბრის განჩინებით, დაუშვებლად გამოაცხადა რა, მომჩივანი საწარმოს საჩივარი სამართლის ნორმების დარღვევის საკითხებზე.

ბ. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა

19. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (ზაკ) (1999) შესაბამისი ნორმები, შესაბამის დროს მოქმედი რედაქციით, ამგვარი იყო:

მუხლი 60: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის [*ab initio*] არარად გამოცხადება

„1. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არარად უნდა გამოცხადდეს, [*ab initio*] თუ:

(ა) შეუძლებელია აქტის გამომცემი ორგანოს დადგენა;

(ბ) აქტი გამოცემულ იქნა არაუფლებამოსილი ორგანოს ან პირის მიერ;

(გ) მისი აღსრულება შეუძლებელია ფაქტობრივი მიზეზის გამო;

(დ) მისი აღსრულება გამოიწვევს სისხლის სამართლის დანაშაულს ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას.

2. არარა აქტების მიმართ არ ვრცელდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გასაჩივრებისათვის ამ კოდექსით დადგენილი ვადები. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის

გამომცემი ორგანო ვალდებულია საკუთარი ინიციატივით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნით არარად აღიაროს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.“

20. სამოქალაქო კოდექსის (1997) 155-169-ე მუხლები, იმ დროისათვის მოქმედი რედაქციით მიუთითებდა უძრავი ქონების „ფლობაზე“ საკუთრების უფლების გარეშე, მაშინ, როდესაც 170-173-ე მუხლები მიუთითებდნენ ქონების „საკუთრებაზე“. ამასთანავე, სამოქალაქო კოდექსის შესაბამისის ნორმები ამგვარია:

მუხლი 54: მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგებანი

„ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს.“

მუხლი 111 § 1 (გარიგების დადება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე)

„თუ პირი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე სხვისი სახელით დებს ხელშეკრულებას, ამ ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია წარმოდგენილი პირის თანხმობაზე“.

მუხლი 115: უფლების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა

„სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას.“

მუხლი 167: უძრავ ნივთებზე საკუთრების შეძენა ხანდაზმულობით

„თუ პირი საჯარო რეესტრში შეტანილია მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრედ ისე, რომ არ შეუძენია საკუთრების უფლება მათზე, იგი მოიპოვებს ამ საკუთრების უფლებას, თუკი რეგისტრაცია არსებობდა თხუთმეტი წლის განმავლობაში და ამ ხნის მანძილზე პირი ფლობდა მათ, როგორც საკუთარს.“

მუხლი 183: უძრავ ნივთებზე საკუთრების შეძენის საფუძვლები

„1. უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია სანოტარო წესით დამოწმებული საბუთი და შემძენის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. ...

2. საბუთში ზუსტად უნდა აღინიშნოს უძრავი ნივთის შეძენის საფუძველი. თუ ერთ-ერთი მხარე მონაწილეობს წარმომადგენლის მეშვეობით, მაშინ საბუთში ზუსტად უნდა აღინიშნოს ამის შესახებ.“

21. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად (1997), (დისპოზიციურობის პრინციპი), რაც ადმინისტრაციულ პროცესში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის (1999) მე-3 მუხლისა და უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის თანახმად გამოიყენება, ეროვნული სასამართლოები შეზღუდულნი არიან დისპოზიციურობის პრინციპით, რომლის მიხედვით, სასამართლო შეზღუდულია მხარეთა მოთხოვნების ფარგლებით. როგორც უზენაესმა სასამართლომ დააზუსტა: „სასამართლოს უფლება არა აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა“ (იხ. საქმე Nბს-651-626-(კ-13), ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა, 29 აპრილი 2014).

22. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო არის სამართლებრივი ორგანო, რომელიც საჯარო კანონმდებლობის საფუძველზე მოქმედებს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში. მის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას წარმოადგენს საკუთრების და სხვა დაკავშირებული უფლებების რეგის-

ტრაცია უძრავ ქონებაზე, მათი აღიარებისა და დადასტურების მიზნით (იხ. *დადიანი და მაჩაბელი საქართველოს წინააღმდეგ* (*Dadiani and Machabeli v. Georgia)*, N 8252/08, § 15, 12 ივნისი 2012).

საჩივრის არსი

23. მომჩივანმა საწარმომ საჩივარში აღნიშნა, რომ მას გააჩნდა ნამდვილი საკუთრების უფლება მიწის ნაკვეთზე და ამ უფლების კომპენსაციის გარეშე გაუქმებით დარღვეულ იქნა 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლით დაცული მისი უფლება.

კანონმდებლობა

24. მომჩივანმა საწარმომ განმარტა, რომ მას მიწის ნაკვეთზე საკუთრების ნამდვილი უფლება გააჩნდა და, რომ მისი *ab initio* და კომპენსაციის გარეშე გაუქმება (არარად გამოცხადება), ხელისუფლების ორგანოების მიერ დაშვებული სავარაუდო შეცდომის გამო, წარმოადგენდა კონვენციის 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევას, რაც ამგვარია:

> „ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას საკუთრება ვინმეს კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში.
>
> ამასთან, წინარე დებულებანი ვერ ხელყოფს სახელმწიფოს უფლებას, გამოიყენოს ისეთი კანონი, რომელსაც ის აუცილებლად მიიჩნევს საერთო ინტერესების შესაბამისად საკუთრებით სარგებლობის კონტროლისათვის, ან გადასახადებისა თუ სხვა მოსაკრებლის ანდა ჯარიმების გადახდის უზრუნველსაყოფად“.

25. მთავრობამ განმარტა, რომ საჩივარი მიუღებლად უნდა გამოცხადებულიყო, რადგან *ratione materiae* შეუსაბამო იყო [საჩივრის საფუძვლად] მითითებულ დებულებებთან, იმის გამო, რომ მომჩივან საწარმოს არ გააჩნდა ნამდვილი საკუთრების უფლება მიწის ნაკვეთზე. მომჩივან საწარმოს არ ამოუწურავს გასაჩივრების შიდა საშუალებები, რადგან არასოდეს მოუთხოვია კომპენსაცია მისი ქონებრივი ინტერესისთვის მიყენებული ზიანისთვის. მთავრობამ ასევე განმარტა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, 1998 წლის 4 აგვისტოს დადგენილების ბათილად ცნობა იყო კანონიერი გადაწყვეტილება, ატარებდა მწირი საჯარო რესურსების არასათანადო განაწილების პრევენციის ლეგიტიმურ მიზანს და იყო ამ მიზნის პროპორციული.

26. მომჩივანი საწარმო ამტკიცებდა, რომ მას გააჩნდა ნამდვილი საკუთრების უფლება მიწის ნაკვეთზე, სასამართლოს 2001 წლის 26 ივნისის განჩინების საფუძველზე, ასევე, იმას, რომ საჯარო რეესტრმა ჩანაწერი მის საფუძველზე განახორციელა. შესაბამისად, მისი საკუთრების უფლების შეზღუდვა დადგენილების რეტროაქტიურად ბათილად ცნობის გზით, რომელიც მიწის ნაკვეთის მისთვის მიკუთვნებას შეეხებოდა და შედეგად, ყველა თანმდევი სამართლებრივი აქტის, მათ შორის, ქონების პრივატიზების შესახებ, ბათილად ცნობა, იყო უკანონო. რაც შეეხება, ქვეყნის შიგნით სამართლებრივი დაკმაყოფილების გზებს კომპენსაციასთან მიმართებით, ისინი ირელევანტური იყო, რადგან მათი გამოყენება არ დაიშვებოდა ხელისუფლების ორგანოთა ქმედებებსა და უმოქმედობასთან მიმართებით.

27. სასამართლო იმეორებს, რომ 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლი იცავს „მფლობელობას“, რაც შეიძლება წარმოადგენდეს როგორც „არსებულ ქონებას“, ისე აქტივებს, რაც მოიცავს მოთხოვნებს, რომელთაგან გამომდინარე, მომჩივანს შეუძლია იდავოს, რომ, სულ მცირე, აქვს „ლეგიტიმური მოლოდინი“, რომ შეეძლება, ეფექტიანად ისარგებლოს ქონებრივი უფლებით. თუმცა, ის არ არის ქონე-

ბის შეძენის უფლების გარანტი (იხ. *შპს „ჯ. ა. ფაი (ოქსფორდი)“ და შპს „ჯ. ა. ფაი (ოქსფორდი) ლენდი“ გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (J.A. Pye (Oxford) Ltd and J.A. Pye (Oxford) Land Ltd v. the United Kingdom)* [დიდი პალატა], N 44302/02, § 61, ECHR 2007-III და *კოპეცკი სლოვაკეთის წინააღმდეგ (Kopecký v. Slovakia)* [დიდი პალატა], N 44912/98, § 35, ECHR 2004-IX). როდესაც მოთხოვნის უფლების საგანი საკუთრების ინტერესს უკავშირდება, პირი, ვისაც ის გააჩნია, შეიძლება მიჩნეულ იქნეს ისეთად, ვისაც აქვს „ლეგიტიმური მოლოდინი“, რომ ეროვნულ კანონმდებლობაში იარსებობს საკმარისი საფუძვლები ამ ინტერესის განსახორციელებლად (იხ. *ინკორპორაცია „ენ-ჰოიზერ-ბუში“ პორტუგალიის წინააღმდეგ* (*Anheuser-Busch Inc. v. Portugal)* [დიდი პალატა], N 73049/01, § 65, ECHR 2007-I). არ შეიძლება ითქვას, რომ რაიმე ლეგიტიმური მოლოდინი შეიძლება გაჩნდეს, როდესაც, სადავოა ეროვნული კანონმდებლობის მართებული განმარტება და გამოყენება და აქედან გამომდინარე, მომჩივნის განმარტებები არ არის გაზიარებული ეროვნული სასამართლოების მიერ (იხ. ზემოთ დასახელებული *კოპეცკი,* § 50). როდესაც სადავოა მომჩივნის ქონებრივი ინტერესის საკითხი, რასთან დაკავშირებითაც უფლებამოსილია, მოითხოვოს მისი დაცვა 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლიდან გამომდინარე, [ევროპულ] სასამართლოს მოეთხოვება დაადგინოს მომჩივნის სამართლებრივი პოზიციის არსებობა (იხ. *ბეიელერი იტალიის წინააღმდეგ (Beyeler v. Italy)* [დიდი პალატა], N 3202/96, § 99, ECHR 2000-I).

28. სასამართლო საბოლოოდ აცხადებს, რომ მას შემდეგ, რაც კონვენციის 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლი საქართველოსთან მიმართებით შევიდა ძალაში, 2002 წლის 7 ივნისი, მის დროში გავრცელებასთან მიმართებით, ამ საქმიდან გამომდინარე, რაიმე დათქმა გაკეთებული არ ყოფილა. კერძოდ, 1998 წლის 4 აგვისტოს დადგენილების და ამის შედეგად, საჯარო რეესტრში რეგისტრირებული საკუთრების უფლების ბათილად ცნობას აღნიშნული თარიღის შემდეგ ჰქონდა ადგილი.

29. მომჩივანი საწარმო 2001 წლის 26 ივნისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების საფუძველზე მოითხოვდა მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებას და შესაბამისი ჩანაწერის განხორციელებას საჯარო რეესრტში (იხ. მე-7-8 პარაგრაფები ზემოთ). თუმცა, სასამართლო მიიჩნევს, რომ ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება მიუთითებდა მიწის ნაკვეთზე მომჩივანი საწარმოს არა „საკუთრების“, არამედ მხოლოდ „მფლობელობის“ უფლებაზე (იხ. მე-7-8 პარაგრაფები ზემოთ), რაც ეროვნული კანონმდებლობით ცხადად განსაზღვრული სამართლებრივი კატეგორიაა მიწის ნაკვეთის გამოყენებასთან დაკავშირებით საკუთრების უფლების გარეშე (იხ. მე-20 პარაგრაფი ზემოთ). შესაბამისად, 2001 წლის 26 ივნისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება მომჩივან კომპანიას არ მიაკუთვნებდა საკუთრების უფლებას მიწის ნაკვეთზე, რაც, როგორც ჩანს, ამ, უკანასკნელის მიერ არც ყოფილა მოთხოვნილი (იხ. მე-6 პარაგრაფი ზემოთ).

30. იმის მიუხედავად, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ, მეორე სამართალწარმოების შედეგად, მომჩივან კომპანიასთან მიმართებით მიიღო გადაწყვეტილება (იხ. მე-12 პარაგრაფი ზემოთ), ის არასოდეს შესულა კანონიერ ძალაში, რადგან ის სამართალწარმოება საბოლოოდ შეწყდა განჩინების მიღების შედეგად, რომელიც, როგორც ჩანს, მომჩივან საწარმოს არ გაუსაჩივრებია (იხ. მე-15 პარაგრაფი ზემოთ). შესაბამისად, მომჩივანი საწარმოს რაიმე სხვა უფლება ქონებაზე, გარდა მფლობელობისა, არასოდეს დადასტურებულა სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით.

31. რაც შეეხება საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების რეგისტრაციას, მიწის ნაკვეთზე მომჩივანი საწარმოს საკუთრების უფლება ნამდვილად იყო რეგისტრირებული 2001 წლის 15 ოქტომბრიდან 2008 წლის 30 იანვრამდე (იხ. მე-8 და მე-14 პარაგრაფები ზემოთ). იმ ჩანაწერის ნამდვილობა შეცილებული არ ყოფილა 2006 წლის 6 ივლისამდე (იხ. მე-9 პარაგრაფი ზემოთ). სასამართლო აღნიშნავს, რომ სასამართლოს მიერ მომჩივანი საწარმოს საკუთრების უფლების აღიარების არარსებობის პირობებში (იხ. 29-ე პარაგრაფი ზემოთ), მხოლოდ ამგვარი რეგისტრაციის შედეგად არ შეიძლებოდა წარმოშობილიყო ნამდვილი საკუთრების უფლება. რადგან ეროვნული კანონმდე-

ბლობა, იმ რედაქციით, როგორც ის მოქმედებდა შესაბამის დროს, ითვალისწინებდა ქონების შეძენის შესაძლებლობას საჯარო რეესტრში განხორციელებული ჩანაწერის საფუძველზე, ნამდვილი საკუთრების უფლების გარეშე, თუკი, სულ მცირე, თხუთმეტი წლის განმავლობაში ამგვარი რეგისტრაციის თარიღიდან პირი წარმოადგენდა რეალურ მფლობელს (იხ. მე-20 პარაგრაფი ზემოთ). ამათგან, სულ მცირე, ერთი პირობა შესრულებული არ ყოფილა.

32. შედარებისთვის, საკუთრების უფლების შეუცილებელი რეგისტრაცია საჯარო რეესტრში არსებობდა 2001 წლის 15 ოქტომბრიდან 2006 წლის 6 ივლისამდე (იხ. 31-ე პარაგრაფი ზემოთ), რაც მომჩივან საწარმოს შესაძლებლობას აძლევდა, თეორიულად მაინც, განეკარგა ქონება, როგორც საკუთარი, დროის შესაბამის მონაკვეთში. თუმცა, თუნდაც დავუშვათ, რომ იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივან საწარმოს 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლის მიზნიდან გამომდინარე, გააჩნდა სათანადოდ დასაბუთებული ქონებრივი ინტერესი, საჩივარი მაინც დაუშვებელია, როგორც აშკარად დაუსაბუთებელი.

33. კერძოდ, 1998 წლის 4 აგვისტოს დადგენილების ბათილად ცნობა და შედეგად, ყველა სხვა სამართლებრივი დოკუმენტის ბათილობა, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ ჩანაწერი (იხ. მე-11 და მე-15 პარაგრაფები ზემოთ), ეფუძნებოდა ზაკ-ის მე-60 მუხლს, რომლის მიზანი იყო ხელისუფლების ორგანოთა მიერ დაშვებული შეცდომების გამოსწორება, არაუფლებამოსილი პირის მიერ მიღებული გადაწყვეტილების *ab initio* არარად გამოცხადებით (იხ. მე-19 პარაგრაფი ზემოთ). ეროვნული სასამართლოების პრაქტიკის მიხედვით, სადავო დებულება არა მხოლოდ უფლებამოსილებას ანიჭებდა, არამედ, ავალდებულებდა ადმინისტრაციულ ორგანოს, გამოესწორებინა შეცდომები და ბათილად ეცნო შეცდომით მიკუთვნებული საკუთრების უფლება ქონებაზე (იხ. მე-13 და მე-16-18 პარაგრაფები ზემოთ). მიუხედავად იმისა, რომ ამგვარ ბათილობაზე არ მოქმედებდა ხანდაზმულობის ვადა, ის არ იყო უნივერსალური და უკავშირდებოდა მხოლოდ ოთხი სახის გარემოების არსებობას (იხ. მე-19 პარაგრაფი ზემოთ). შესაბამისი პროცესი ითვალისწინებდა დაინტერესებული მხარის დასწრებასა და მონაწილეობას, თუმცა, როგორც საქმის მასალიდან იკვეთება, მომჩივანი არ დასწრებია მოსმენას შესაბამის სააგენტოში (იხ. მე-11 პარაგრაფი ზემოთ და განასხვავე საქმისგან *რისოვსკი უკრაინის წინააღმდეგ (Rysovskyy v. Ukraine)*, N 29979/04, § 73, 20 ოქტომბერი 2011). სასამართლო არ ასკვნის, რომ კანონი, რომლის საფუძველზეც მომჩივნის უფლება ბათილად იქნა ცნობილი, არ აკმაყოფილებდა კანონიერების მოთხოვნას, რაც გამომდინარეობს კონვენციის 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლიდან.

34. ამასთანავე, 1998 წლის 4 აგვისტოს დადგენილების ბათილად ცნობა, რომლის შედეგადაც მომჩივანი საწარმოს საკუთრების უფლება გაუქმდა, განხორციელდა იმისთვის, რომ გამოსწორებულიყო ხელისუფლების ორგანოთა შეცდომა, ეს იყო მიზანი, რასაც კანონი პირდაპირ ითვალისწინებდა (იხ. მე-19 პარაგრაფი ზემოთ). სასამართლოსთვის მისაღებია მთავრობის არგუმენტი, რომ სადავო გადაწყვეტილება ეფუძნებოდა მწირი საჯარო რესურსების არასათანადო განაწილების პრევენციის „საჯარო ინტერესს“ (იხ. მრავალ სხვა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას შორის, *ვუკუშიჩი ხორვატიის წინააღმდეგ* (*Vukušić v. Croatia)*, N 69735/11, § 64, 31 მაისი 2016).

35. რაც შეეხება სადავო ჩარევის პროპორციულობას, სასამართლო იმეორებს, რომ სამართლიანი ბალანსი უნდა დადგინდეს საზოგადოების საერთო ინტერესისა და პირის ძირითადი უფლების დაცვის მოთხოვნებს შორის, ამგვარი სამართლიანი ბალანსის ძიება განუყოფელია მთელი კონვენციისთვის. აუცილებელი ბალანსი არ დამყარდება, თუ დაინტერესებულ პირს დაეკისრება ინდივიდუალური და გადაჭარბებული ტვირთი (იხ. სხვა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს შორის, *ბილანი ნაგი უნგრეთის წინააღმდეგ* (*Béláné Nagy v. Hungary)* [დიდი პალატა], N 53080/13, § 115, 13 დეკემბერი 2016). სასამართლო გაიხსენებს, რომ სახელმწიფო სარგებლობს შეფასების ფართო თავისუფლებით გამოსაყენებელ საშუალებებთან დაკავშირებით და იმასთან მიმართებით, თუ საერთო ინტერესების გათვალისწინებით, რამდენად გამართლებულია ის მიზანი, რაც მიღწეულ უნდა იქნეს (იხ. *სს „ბოსფორუს ჰავა იოლარი თურიზმ ვე თიჯარეთი“ ირლანდიის წინააღმდეგ*

(Bosphorus Hava Yolları Turizm ve Ticaret Anonim Şirketi v. Ireland) [დიდი პალატა], N 45036/98, § 149, ECHR 2005-VI, და *გ. ი. ე. მ. ს. რ. ლ. და სხვები იტალიის წინააღმდეგ (G.I.E.M. S.R.L. and Others v. Italy)*, N 1828/06, § 293, 28 ივნისი 2018).

36. ამ საქმეში პროპორციულობის შეფასებისას, სასამართლო ხაზს უსვამს, რომ განსახილველი საჩივრის გამო საქმის დავის საგანი არის მომჩივანი საწარმოს საკუთრების უფლების გაუქმება საჯარო რეესტრში (იხ. 23-24-ე პარაგრაფები ზემოთ). ამ მოცემულობასთან ერთად სასამართლო იმეორებს, რომ არ არსებობს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება, რომლითაც მომჩივან საწარმოს ეჭვგარეშე მიეკუთვნებოდა საკუთრების უფლება (იხ. 29-30-ე პარაგრაფები ზემოთ). ამასთანავე, რადგან ის ქონება უფრო ადრე იქნა პრივატიზებული, პრივატიზება განხორციელდა არა მომჩივანი საწარმოს, არამედ მესამე პირის მონაწილეობით და ის იყო გაყალბებული ტრანზაქციების სერიის შედეგი, რაც საბოლოოდ ბათილად გამოცხადდა ქვეყნის სასამართლოს მიერ (იხ. მე-5-7 პარაგრაფები ზემოთ). შესაბამისად, საკუთრების უფლების მხოლოდ რეგისტრაციის გზით არ შეიძლებოდა წარმოშობილიყო მომჩივანი საწარმოს საკუთრებითი ინტერესი, რომლის საფუძველზეც ქვეყნის სასამართლოებს ეს მიწის ნაკვეთი *in natura* უნდა დაებრუნებინა, როგორც ამას მომჩივანი საწარმო ითხოვდა შიდა დონეზე.

37. რაც შეეხება სავარაუდო ფინანსურ ზიანს, რაც მომჩივან საწარმოს უნდა განეცადა იმის გათვალისწინებით, რომ მიწის ნაკვეთი მის სახელზე იყო რეგისტრირებული რამდენიმე წლის განმავლობაში, არ იკვეთება, რომ მას ოდესმე დაკავებული ჰქონდა ან იყენებდა მიწის ნაკვეთს შესაბამისი დროის განმავლობაში, ან თუნდაც საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების რეგისტრაციამდე (იხ. მე-4-8 პარაგრაფები ზემოთ). მეტიც, შიდა კანონმდებლობის საფუძველზე მიმდინარე სამართალწარმოებისას მომჩივან საწარმოს არცერთ ეტაპზე განუცხადებია, რომ განიცადა ფინანსური ზიანი და, არც კომპენსაცია მოუთხოვია მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, თუკი რაიმე ასეთს ჰქონდა ადგილი (განასხვავე საქმისგან *კრივენკი უკრაინის წინააღმდეგ (Kryvenkyy v. Ukraine)* [N *43768/07*, ECHR 2017], §§ 19 და 35). იგი მხოლოდ მოითხოვდა საკუთრების უფლების აღდგენას და მიწის ნაკვეთის *in natura* დაბრუნებას. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ ქვეყნის სასამართლოებმა, რომლებმაც საქმე განიხილეს, შემოფარგლულები იყვნენ მოსარჩელის მიერ წარდგენილი არგუმენტებით და არ შეეძლოთ, მიეკუთვნებინათ რაიმე კომპენსაცია მომჩივანი საწარმოს შესაბამისი მოთხოვნის არარსებობის გამო (იხ. 21-ე პარაგრაფი ზემოთ). მეტიც, ქვეყნის სასამართლოების წინაშე მოთხოვნის წარუდგენლობის გამო, მომჩივანმა საწარმომ ვერ შეძლო იმის დადასტურება, რომ შეილახა მისი ქონებრივი ინტერესები, შეუძლებელია იმ ტვირთის შეფასება, რაც შეიძლებოდა მას დაკისრებოდა.

38. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ თუნდაც მომჩივან საწარმოს საკმარისი საფუძველი ჰქონოდა საკუთრების უფლების განსახორციელებლად, ეროვნული კანონმდებლობიდან გამომდინარე, როგორც ჩანს, ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება, მომჩივნის მიერ მოთხოვნილი მიწის ნაკვეთის დაბრუნებაზე უარის შესახებ, ამ საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, არ ყოფილა ლეგიტიმური მიზნის არაპროპორციული, რასაც ქვეყნის ხელისუფლება ახორციელებდა. იმასთან დაკავშირებით, ნამდვილად გააჩნდა, თუ არა მომჩივან საწარმოს მესაკუთრის ინტერესი, სასამართლო ყურადღებას მიაქცევს 1998 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილების არარად გამოცხადებას და მის შედეგად მიღებული ყველა სამართლებრივი დოკუმენტის ბათილობას, მათ შორის, საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების რეგისტრაციისას. ნებისმიერ შემთხვევაში, სასამართლო აღნიშნავს, რომ საჩივარი 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლიდან გამომდინარე, არის აშკარად დაუსაბუთებელი და ის მიუღებლად უნდა გამოცხადდეს კონვენციის 35-ე მუხლის მე-3(a) და მე-4 პუნქტების საფუძველზე. შესაბამისად, არ არსებობს მთავრობის მეორე შესაგებლის განხილვის საჭიროება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო, ერთხმად,

აცხადებს საჩივარს მიუღებლად.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და წერილობით გავრცელდა 2019 წლის 21 მარტს.

მილან ბლაშკო მდივნის მოადგილე	განა იუდკივსკა თავმჯდომარე

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მეხუთე სექცია

აკაკი ფეიქრიშვილი და გივი ბასილაძე საქართველოს წინააღმდეგ*
(Akaki PEIKRISHVILI and Givi BASILADZE against Georgia)

საჩივარი N 53191/10

განჩინება

2019 წლის 5 თებერვლის სხდომაზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (მეორე სექცია) პალატამ, შემდეგი შემადგენლობით:

ანგელიკა ნიუსბერგერი, *თავმჯდომარე,*
იონკო გროზევი,
ანდრე პოტოცკი,
მარტინშ მითსი,
გაბრიელე კუცკო-შტადლმაიერი,
ლატიფ ჰუსეინოვი,
ლადო ჭანტურია, *მოსამართლეები,*
და კლაუდია ვესტერდიკი, *სექციის მდივანი,*

2010 წლის 3 სექტემბერს წარმოდგენილი ზემოაღნიშნული საჩივრის, მოპასუხე მთავრობის მოსაზრებებისა და მომჩივნების მიერ საპასუხოდ წარმოდგენილი მოსაზრებების გათვალისწინებით,

მსჯელობის შედეგად, მიიღო ეს განჩინება:

ფაქტები

1. მომჩივნები: ბატონი აკაკი ფეიქრიშვილი („პირველი მომჩივანი“) და ბატონი გივი ბასილაძე („მეორე მომჩივანი“) საქართველოს მოქალაქეები არიან, რომლებიც დაიბადნენ 1953 და 1951 წელს, შესაბამისად. და ცხოვრობენ თბილისში. მათ სასამართლოს წინაშე წარმოადგენდა ბატონი ი. ყანდაშვილი, ადვოკატი, რომელიც საქმიანობს თბილისში.

---

* თარგმანი მომზადებულია ია უჯმაჯურიძის მიერ და წარმოადგენს აადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მონაცემთა ბაზაში (HUDOC) გამოქვეყნებულის რედაქტირებულ ვერსიას.

2. საქართველოს მთავრობას წარმოადგენდა ბატონი ბ. ძამაშვილი, წარმომადგენელი იუსტიციის სამინისტროდან.

3. მომჩივნები კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტისა და 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლის საფუძველზე ჩიოდნენ, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ არ აღასრულა მათ სასარგებლოდ მიღებული, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განჩინება.

ა. საქმის გარემოებები

4. მხარეების მიერ წარმოდგენილი საქმესთან დაკავშირებული ფაქტები მოკლედ შეიძლება ამგვარად ჩამოყალიბდეს:

5. 2003 წლის 23 სექტემბერს პირველმა მომჩივანმა სარჩელი აღძრა კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოში მეორე მომჩივნისა და სხვა მოპასუხეების: კრწანისი-მთაწმინდის რაიონის გამგეობის, თბილისის მიწის მართვის დეპარტამენტის და კერძო პირების: ი.ფ.-სა და დ.ს.-ს მიმართ. მომჩივნები წარმოადგენდნენ ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „ბეთლემი 91“-ის წევრებს, რომელსაც მიღებული ჰქონდა საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ნებართვა ბეთლემის ქ. NN 2, 5 და 7-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე,

6. 2003 წლის 23 სექტემბრის სარჩელით პირველმა მომჩივანმა მოითხოვა მოპასუხეებთან მიმართებით გამოცემული სხვადასხვა შეთანხმების ბათილად ცნობა; თბილისის მიწის მართვის დეპარტამენტის მიმართ მოთხოვნილი იყო საკუთრების უფლების გაუქმება ბეთლემის ქ. N 7-ში („ნაკვეთი N 7“) მდებარე მიწის ნაკვეთზე , რომელიც გადაცემული ჰქონდა მეორე მომჩივანსა და დ.ს.-ს და იმ ნაკვეთზე, ისევე. როგორც ბეთლემის ქ. N 5-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე („ნაკვეთი N 5“) ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა „ბეთლემი 91“-ის საკუთრების უფლების დარეგისტრირება.

7. პირველმა მომჩივანმა 2003 წლის 16 დეკემბერს, პირველი ინსტანციის სასამართლოს წინაშე საქმის არსებითი განხილვის დაწყებამდე, მოითხოვა კრწანისი-მთაწმინდის გამგეობის და თბილისის მიწის მართვის დეპარტამენტის ამოღება მოპასუხეთა სიიდან, ამ მოთხოვნის საფუძვლის მიუთითებლად. ამასთანავე, ყველა სხვა მხარემ მოითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა და მხარეთა შორის მორიგების დამტკიცება.

8. 2003 წლის 16 დეკემბერს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272(დ)-ე და 273-ე მუხლებზე დაყრდნობით (იხ. 26-ე პარაგრაფი ქვემოთ), კრწანისი-მთაწმინდის რაიონულმა სასამართლომ შეწყვიტა საქმისწარმოება, საქმის არსებითი განხილვის გარეშე, მხარეთა მორიგების დამტკიცების გამო („2003 წლის 16 დეკემბრის განჩინება“). მორიგების აქტის მიხედვით:

> „1) მომჩივანი აკაკი ფეიქრიშვილი უარს ამბობს სარჩელზე, მორიგების აქტში ჩამოყალიბებული პირობების გათვალისწინებით;
>
> 2) ბეთლემის ქ. 5-სა და 7-ში მდებარე მიწის ნაკვეთები დარეგისტრირდება, როგორც აკაკი ფეიქრიშვილის და გივი ბასილაძის ქონება;
>
> 3) აკაკი ფეიქრიშვილი დარეგისტრირდება ბეთლემის ქ. 7-ში მდებარე სახლის მესაკუთრედ, რომელსაც იმ დროისათვის ფლობდა დ.ს.;
>
> 4) აკაკი ფეიქრიშვილი დ.ს-სთვის შეიძენს ... ორ ... სახლს ...
>
> ხელმომწერებს მორიგების აქტი წაკითხული აქვთ, ეთანხმებიან მას და ადასტურებენ მის სისწორეს...“

9. 2007 წლის 10 აპრილს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გაცემულ იქნა სააღსრულებო ფურცელი, რომელშიც მეორე მომჩივანი მითითებული იყო, როგორც კრედიტორი, დ.ს. კი - მოვალე. მასში მითითებული იყო, რომ 2003 წლის 16 დეკემბრის განჩინება კანონიერ ძალაში შევიდა 2006 წლის 2 ოქტომბერს. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ 2003 წლის 16 დეკემბრის განჩინება აღსრულდა ნაკვეთი N7-ის და მასზე განთავსებულ სახლთან მიმართებით.

10. 2007 წლის 11 დეკემბერს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ („საჯარო რეესტრი") დაუკავშირებელ საქმისწარმოების შედეგად, დაარეგისტრირა სავარაუდოდ სხვა მიწის ნაკვეთი, რომელიც მდებარეობდა ბეთლემის ქ. N11-ში, ფართობით 208 კვმ. („ნაკვეთი N11") როგორც მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის ქონება. 2008 წლის 3 აპრილს ნაკვეთი N11 შეიძინა კერძო პირმა, მ.კ.-მ, პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე, პრივატიზების გზით.

11. 2008 წლის 17 აპრილს საჯარო რეესტრმა მეორე მომჩივანს აცნობა, რომ ნაკვეთ N 5-ზე, რომლის ფართობი შეადგენდა 308 კვმ-ს, განლაგებული იყო საცხოვრებელი სახლები. ასევე ეცნობა, რომ საჯარო რეესტრში რაიმე უფლება სადავო მიწის ნაკვეთზე აღრიცხული არ ყოფილა.

12. 2008 წლის 6 მაისს მეორე მომჩივანმა მიმართა საჯარო რეესტრს ნაკვეთი N 5-ზე უფლების რეგისტრაციის მოთხოვნით, 2003 წლის 16 დეკემბრის განჩინების საფუძველზე.

13. 2008 წლის 14 მაისს საჯარო რეესტრმა გამოითხოვა დამატებითი დოკუმენტები, მათ შორის, 2003 წლის 15 დეკემბრის განჩინების შესწორებული ვარიანტი, რომელშიც მითითებული იქნებოდა ბეთლემის ქ. 5 და 7-ში მდებარე მიწის ნაკვეთების ფართობები და სადავო მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმა.

14. 2008 წლის 16 მაისს მომჩივნებმა საჯარო რეესტრს მიაწოდეს მოთხოვნილი დოკუმენტაცია, განჩინების შესწორებული ვარიანტის გამოკლებით.

15. 2008 წლის 5 ივნისს საჯარო რეესტრი გამოეხმაურა რა, მეორე მომჩივნის მიმართვას, მიუთითა, რომ ნაკვეთი N5 პირველად აღრიცხულ იქნა 1941 წელს; სარეგისტრაციო ჩანაწერებში მასზე უფლება რეგისტრირებული არ ყოფილა.

16. 2008 წლის 16 ივნისს საჯარო რეესტრმა უარი უთხრა მომჩივნებს ნაკვეთი N5-ზე უფლების რეგისტრაციაზე, ამ უკანასკნელების მიერ მოთხოვნილი დოკუმენტების წარუდგენლობის გამო და შეწყვიტა სარეგისტრაციო წარმოება.

17. საჯარო რეესტრმა 2008 წლის 17 ივნისის წერილში მეორე მომჩივნის მიმართვის პასუხად, მიუთითა, რომ სადავო მიწის ნაკვეთის საზღვრები, როგორც ასახული იყო მის მიერ წარდგენილ საკადასტრო გეგმაზე, ფარავდა ნაკვეთ N11-ს (იხ. მე-10 პარაგრაფი ზემოთ).

18. 2008 წლის 27 აგვისტოს და 2008 წლის 1 დეკემბერს მომჩივნებმა სარჩელი აღძრეს: საქართველოს პრეზიდენტის, თბილისის მერიის, საჯარო რეესტრის და კერძო პირის მ.კ.-ს წინააღმდეგ (იხ. მე-10 პარაგრაფი ზემოთ), მესამე პირი - თბილისის არქიტექტურის სამსახური. მათ მოითხოვეს სარეგისტრაციო პროცესის შეწყვეტის შესახებ 2008 წლის 16 ივნისის გადაწყვეტილებისა და 2007 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილების, რომლითაც ნაკვეთი N11 დარეგისტრირდა ქალაქის მერიის საკუთრებაში, გაუქმება და ნაკვეთი N 5-ზე მათი საკუთრების უფლების რეგისტრაცია. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ნაკვეთი N11 შეცდომით იქნა რეგისტრირებული, როგორც N11 და, რომ ის ფაქტობრივად იყო ნაკვეთი N5, რომელთან დაკავშირებითაც მათ გააჩნდათ კანონიერი მოთხოვნის უფლება. ისინი ასევე სადავოდ ხდიდნენ ქალაქის მერიის უფლებამოსილებას, მიწის ნაკვეთი დაერეგისტრირებინა, როგორც თავისი ქონება. შესაბამისად, ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმებული ქალაქის მერიასა და მ.კ.-ს შორის, მათი მოსაზრებით, ბათილი იყო. ისინი განმარტავდნენ, რომ მათი საკუთრების უფლების სამართლებრივი საფუძველი იყო 2003 წლის 16 დეკემბრის განჩინებით დამტკიცებული მორიგების აქტი და მისი აღუსრულებლობა იმ საბაბით, რომ შესწორება უნდა ყოფილიყო შეტანილი მომჩივნების სასარგებლოდ მიღებულ განჩინებაში, არღვევდა გადაწ-

ყვეტილების საბოლოობის პრინციპს, რაც წარმოადგენდა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევას.

19. 2009 წლის 18 ივნისს პირველი ინსტანციის წინაშე სასამართლო სხდომაზე ერთ-ერთმა მოპასუხემ სადავო გახადა საკითხი, გააჩნდათ თუ არა მოსარჩელეებს ნამდვილი უფლება ნაკვეთი N5-ზე, რა გარემოებაც 2003 წლის 16 დეკემბერს დამტკიცებული მორიგების წინაპირობა გახდა. მომჩივნების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მან მომჩივნებისგან იცოდა სასამართლოს სხვა გადაწყვეტილების არსებობის შესახებ, მაგრამ დასძინა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, საკითხის დაყენება, გააჩნდათ თუ არა მომჩივნებს უფლება მორიგების დამტკიცებამდე, ირელევანტური იყო, რადგან, 2003 წლის 16 დეკემბრის განჩინება და სააღსრულებო ფურცელი საკმარისი იყო მომჩივნების უფლების დასადასტურებლად ნაკვეთ N 5-ზე.

20. 2009 წლის 19 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლომ მომჩივნების სარჩელი არ დააკმაყოფილა. აღნიშნა, რომ კანონის თანახმად, თბილისში არსებული ყველა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, გარდა იმისა, რაც კერძო საკუთრებად იყო რეგისტრირებული, წარმოადგენდა სახელმწიფოს საკუთრებას. შესაბამისად, საჯარო რეესტრმა მართებულად დაარეგისტრირა მიწის ნაკვეთი, როგორც თბილისის მერიის საკუთრება. შესაბამისად, შემდგომში იმ ქონების კერძო პირისთვის მიყიდვა განხორციელდა კანონის შესაბამისად. რაც შეეხება მომჩივნების არგუმენტს, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განჩინების აღუსრულებლობის შესახებ, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ საჯარო რეესტრის მოთხოვნა, მომჩივნებს წარედგინათ სასამართლოს განჩინების შესწორებული ვარიანტი, იყო კანონმდებლობის შესაბამისი, რადგან განჩინებაში არ იყო მითითებული ნაკვეთი N5-ის ზუსტი ზომა. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ მომჩივნებმა სარეგისტრაციო სამსახურს ვერ წარუდგინეს სადავო მიწის ნაკვეთზე მათი საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი. მიუხედავად იმისა, რომ მომჩივნებმა წარადგინეს 2003 წლის 16 დეკემბრის განჩინება და მის საფუძველზე გამოწერილი სააღსრულებო ფურცელი, ის დოკუმენტები არ მიუთითებდნენ არც იმაზე, თუ ვის ქონებას წარმოადგენდა მიწის ნაკვეთი და არც მის ზუსტ ზომებს. მეტიც, მირიგების აქტი, რაც იმ განჩინებას დაედო საფუძვლად, გაფორმებულ იყო კერძო პირებს შორის და დავის ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობის გარეშე წარმართვა ნათლად მიუთითებდა იმაზე, რომ ერთი კერძო მხარე, სახელდობრ, დ.ს., მოიპოვებდა მიწის ნაკვეთზე ქონებრივ უფლებებს, მას კი ეს არ გააჩნდა.

21. 2009 წლის 14 ივლისს მომჩივნებმა გადაწყვეტილებაზე წარადგინეს სააპელაციო საჩივარი. ისინი არ დაეთანხმნენ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ფაქტების სამართლებრივ შეფასებას და გაიმეორეს თავიანთი არგუმენტები (იხ. მე-18 პარაგრაფი ზემოთ). მათ კერძოდ აღნიშნეს, რომ განჩინების შესწორებული ვერსიის მოთხოვნა იმ მიზნით, რომ აღესრულებინათ 2003 წლის 16 დეკემბრის განჩინება, წარმოადგენდა შესასრულებლად სავალდებულო ძალის მქონე სასამართლო განჩინების აღსრულებაზე უარის თქმას, კანონმდებლობის დარღვევით.

22. 2009 წლის 15 დეკემბერს სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვის პროცესში, საჯარო რეესტრის წარმომადგენლმა აღნიშნა, რომ ნაკვეთი N7-ისგან განსხვავებით, ნაკვეთი N5 არასოდეს ყოფილა დარეგისტრირებული კერძო საკუთრებაში და მოითხოვა, რომ სააპელაციო სასამართლოს უცვლელი დაეტოვებინა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება.

23. 2009 წლის 15 დეკემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლომ დასაბუთებული განჩინებით უცვლელი დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. დაადგინა, რომ ნაკვეთი N11 წარმოადგენდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საკუთრებას, გადაფარვა ორ მიწის ნაკვეთზე არ ყოფილა დადგენილი და საჯარო რეესტრის მოთხოვნა, მომჩივნებს წარედგინათ დამატებითი დოკუმენტაცია 2003 წლის 16 დეკემბრის განჩინების აღსრულების მიზნით, კანონიერი იყო. რაც შეეხება მომჩივნების არგუმენტს იმასთან დაკავშირებით, რომ უარის თქმით ნაკვეთი N5-ზე დარეგისტრირებულიყო მათი საკუთრების უფლება, წარმოადგენდა მათ სასარგებლოდ მიღებული სასამართლოს განჩინების აღსრულებაზე უარის თქმას, სასამართლოს გადაწყ-

ვეტილებების და განჩინებების საბოლოობის პრინციპისა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევით, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა შემდეგი:

„სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ აპელანტები სააპელაციო საჩივარს, აგრეთვე სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების ფაქტობრივ გარემოებად მიუთითებენ ქალაქ თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 16 დეკემბრის განჩინებას ... და მიიჩნევენ, რომ მოსარჩელეთათვის მათი საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე უარის თქმა წარმოადგენს, ... კანონიერ ძალაში შესული განჩინებას აღსრულებაზე უარის თქმას.

სააპელაციო სასამართლო მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ქალაქ თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 16 დეკემბრის განჩინების ... და სააღსრულებო ფურცლის მიხედვით, ამ საქმეში მხარეებს წარმოადგენდნენ: მოსარჩელე – აკაკი ფეიქრიშვილი, მოპასუხეებს[:] გივი ბასილაძე [და] დ. ს., ამავე განჩინების აღწერილობით ნაწილში აღინიშნა, რომ მოპასუხეთა რიგებიდან ამოირიცხნენ ქალაქ თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონის გამგეობა და მიწის მართვის დეპარტამენტი. ამრიგად, მითითებული განჩინებით, საქმეზე შეწყდა წარმოება, დამტკიცდა მხარეთა ... შორის (მოსარჩელე _ ფიზიკური პირი აკაკი ფეიქრიშვილი, მოპასუხეები ფიზიკური პირები გივი ბასილაძე [და] დ.ს.) მორიგება. ... სააღსრულებო ფურცლის მიხედვით საქმეზე კრედიტორად დასახელებული იქნა ფიზიკური პირი – მოპასუხე გივი ბასილაძე, ხოლო მოვალედ დასახელებული იქნა ფიზიკური პირი – მოპასუხე დ. ს.. ამასთანავე, სააღსრულებო ფურცელში დასახელებული არ არის, მაგრამ კრედიტორია აგრეთვე მოსარჩელე აკაკი ფეიქრიშვილი.

სააპელაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება და აპელანტების მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი რაიმე მტკიცება, ... რომ, ქალაქ თბილისში ბეთლემის ქუჩა N5-ში მდებარე უძრავი ნივთი (მიწის ნაკვეთი), რომელიც მხარეთა (ფიზიკური პირები – მოსარჩელე აკაკი ფეიქრიშვილი, მოპასუხეები: გივი ბასილაძე [და] დ. ს.) შორის მორიგების შედეგად უნდა აღრიცხულიყო ფიზიკური პირების აკაკი ფეიქრიშვილისა და გივი ბასილაძის სახელზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით საკუთრების უფლებით ეკუთვნოდა აკაკი ფეიქრიშვილს ან/და გივი ბასილაძეს .... საგულისხმოა, რომ [...] 2003 წლის 16 დეკემბრის განჩინების გამოტანის მომენტისათვის, საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე (მიწის ნაკვეთი) მდებარე ქალაქ თბილისში, ბეთლემის ქუჩა #5-ში, [...] [საჯარო რეესტრში] არ იყო აღრიცხული.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ვინაიდან ქალაქ თბილისში ბეთლემის ქუჩა N 5-ში მდებარე უძრავი ნივთი (მიწის ნაკვეთი) კანონმდებლობით დადგენილი წესით არ წარმოადგენდა ფიზიკური პირების: მოსარჩელე აკაკი ფეიქრიშვილის (კრედიტორი) ან/და მოპასუხე გივი ბასილაძის (კრედიტორი) ან/და მოპასუხე დ. ს.-ს (მოვალე) საკუთრებას, ამდენად, ვერც ეს უკანასკნელნი განკარგავდნენ იმას, რაც მათი საკუთრებას არ წარმოადგენდა სასამართლოს მიერ დამტკიცებული მორიგების შემთხვევაშიც კი, რადგან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განჩინება, არ ათავისუფლებს მხარეებს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესების შესრულებისგან. ამდენად, ის უძრავი ქონება (მიწის ნაკვეთი), რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით მოვალეს არ ეკუთვნის საკუთრების უფლებით, ამ უძრავ ნივთზე მხარეთა (კრედიტორი და მოვალე) შეთანხმებისა და მორიგების არსებობის მიუხედავად კრედიტორების სახელზე საკუთრების უფლებით ვერ აღირიცხება.

სააპელაციო პალატა უსაფუძვლობის გამო ვერ გაიზიარებს მოსარჩელეთა მოსაზრებას აღნიშნულზე და თვლის, რომ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განჩინების საფუძველზე კრედიტორთა მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს და შესაბამისად, აღსრულება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ ქონების მიმართ, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით საკუთრების უფლებით ეკუთვნის მოვალეს ...

სააპელაციო სასამართლო ... მიიჩნევს, რომ [კრედიტორების] მოთხოვნა 2003 წლის 16 დეკემბრის განჩინების საფუძველზე, ... უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთის) საკუთრების უფლებით რეგის-

ტრაციის შესახებ ... მოკლებულია ფაქტობრივ და სამართლებრივ საფუძვლებს. პალატის მოსაზრებით სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების არსებობა თავის მხრივ არ გამორიცხავს მოქმედი კანონმდებლობის იმ ნორმათა უგულებელყოფას, რომელებიც აწესრიგებენ უძრავ ნივთებთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს."

24. 2001 წლის 21 აპრილის განჩინებით უზენაესმა სასამართლომ დაუშვებლად ცნო მომჩივნების საკასაციო საჩივარი სამართლის ნორმების დარღვევის საკითხებზე.

ბ. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა

25. სამოქალაქო კოდექსი (1997), იმ დროისათვის მოქმედი რედაქციით, ითვალისწინებდა შემდეგს:

> **მუხლი 54: მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგებები**
> „ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს."
>
> **მუხლი 115: უფლების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა**
> „სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას."
>
> **მუხლი 170 § 1 (ცნება [საკუთრების უფლების შინაარსი])**
> „მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას."
>
> **მუხლი 183: უძრავ ნივთებზე საკუთრების შეძენის საფუძვლები**
> „1. უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია სანოტარო წესით დამოწმებული საბუთი და შემძენის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. ...
> 2. საბუთში ზუსტად უნდა აღინიშნოს უძრავი ნივთის შეძენის საფუძველი. თუ ერთ-ერთი მხარე მონაწილეობს წარმომადგენლის მეშვეობით, მაშინ საბუთში ზუსტად უნდა აღინიშნოს ამის შესახებ.

26. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (1997) 272(დ)-ე და 273-ე მუხლების იმ დროისთვის მოქმედი რედაქციის მიხედვით, ქვეყნის სასამართლო უფლებამოსილი იყო, მიეღო განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ მისი არსებითი განხილვის გარეშე, თუ მხარეები მორიგდებოდნენ. ის პროცედურა, როგორც იმ დროისათვის მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებდა, სასამართლოს არ ანიჭებდა დისკრეციას, განეხილა მორიგების სამართლებრივი საფუძვლები ან მხარეების ვალდებულებას, წარედგინათ ინფორმაცია დავის საგნის სამართლებრივ სტატუსთან მიმართებით. ეს უკანასკნელი ვალდებულება კოდექსს დაემატა 2016 წლის 17 ივნისის ცვლილების შედეგად[1].

[1] უნდა იგულისხმებოდეს 2016 წლის 3 ივნისის კანონი N5159-რს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ *(მთარგმნელის შენიშვნა).*

საჩივრის მთხოვნები

27. მომჩივნები კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტისა და 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლის საფუძველზე ჩიოდნენ, რომ ქვეყნის ხელისუფლების ორგანოებმა უარი თქვეს მათ სასარგებლოდ მიღებულ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განჩინების აღსრულებაზე.

კანონმდებლობა

28. მომჩივნები ჩიოდნენ, რომ ქვეყნის ხელისუფლების ორგანოთა მიერ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული, 2003 წლის 16 დეკემბრის განჩინების, რომლითაც დამტკიცდა მორიგების აქტი მხარეებს შორის, აღუსრულებლობა წარმოადგენდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტითა და 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლით დაცულ მათი უფლებების დარღვევას. კონვენციის ამ მუხლების შესაბამისი ნაწილები ამგვარია:

მუხლი 6 § 1

„სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ... ყველას აქვს ... მისი საქმის სამართლიანი ... განხილვის უფლება ... სასამართლოს მიერ."

1-ლი ოქმის 1-ლი მუხლი

„ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას საკუთრება ვინმეს კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში."

29. მთავრობამ განმარტა, რომ საკითხი სათანადოდ იქნა განხილული იმ სამართალწარმოების პირობებში, რაც მომჩივნებმა აღძრეს. კერძოდ, ქვეყნის სასამართლოებმა დაასაბუთეს, რომ ქონებრივი უფლებების გადაცემის შესახებ მხარეთა მორიგების სასამართლოს მიერ დამტკიცების შესახებ განჩინება, თუნდაც საბოლოო, არ შეიძლებოდა ყოფილიყო მოთხოვნის უფლების წარმომქმნელი ამ ქონებაზე, თუკი მანამდე არ არსებობდა ნამდვილი ქონებრივი უფლება. შესაბამისად, განჩინება იყო დამოკიდებული მომჩივანთა უფლებაზე, რომლის არარსებობის პირობაში, განჩინება აღსრულებადი არ იყო.

30. მომჩივნებმა გაიმეორეს თავიანთი თავდაპირველი არგუმენტები, კერძოდ, ის, რომ ქვეყნის ხელისუფლების ორგანოების მიერ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული, მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ 2003 წლის 16 დეკემბრის განჩინების აღუსრულებლობა წარმოადგენდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტითა და 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლით დაცულ მათი უფლებების დარღვევას.

31. სასამართლო იმეორებს, რომ სამართლიანი სასამართლო მოსმენის უფლება, რაც გარანტირებულია კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით, უნდა განიმარტოს კონვენციის პრეამბულის გათვალისწინებით, რომლის შესაბამისი ნაწილით გამოცხადებულია, რომ: კანონის უზენაესობა ხელშემკვრელი სახელმწიფოების საერთო მემკვიდრეობის ნაწილს წარმოადგენს. კანონის უზენაესობის ერთ-ერთ ფუძემდებლურ ასპექტს წარმოადგენს სამართლებრივი სიცხადე, რომლის მოთხოვნას, სხვასთან ერთად, წარმოადგენს ის, რომ თუკი სასამართლოები საბოლოოდ გადაწყვეტენ საკითხს, მათი გადაწყვეტილებები არ უნდა დადგეს კითხვის ნიშნის ქვეშ (იხ. *ბრუმარესკუ რუმინეთის წინააღმდეგ* (*Brumărescu v. Romania)* [დიდი პალატა], N 28342/95, § 61, ECHR 1999-VII და

ჰაძიგიორგიევი ბულგარეთის წინააღმდეგ (Hadzhigeorgievi v. Bulgaria), N 41064/05, § 66, 16 ივლისი 2013).

32. სამართლებრივი სიცხადე გულისხმობს *res judicata*-ს პრინციპის პატივისცემას (იხ. ზემოთ დასახელებული *ბრუმარესკუ* (*Brumărescu)*, § 62), რაც წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილებების საბოლოობის პრინციპს. ეს პრინციპი განამტკიცებს იმას, რომ არცერთი მხარეა უფლებამოსილი, მოითხოვოს საბოლოო და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გადასინჯვა იმ მიზნით, რომ მიაღწიოს საქმის ხელახალ განხილვას და თავიდან გადაწყვეტას. ზემდგომი სასამართლოების უფლებამოსილება, განიხილონ საქმეები, იმგვარად უნდა განხორციელდეს, რომ გამოასწოროს მართლმსაჯულების შეცდომები და უსწორობები, მაგრამ არა იმიტომ, რომ ხელახალი განხილვა ჩატარდეს. გადასინჯვა არ უნდა წარმოადგენდეს მოთხოვნის შენიღბვას და მხოლოდ საკითხზე ორი შეხედულების შესაძლო არსებობა არ შეიძლება წარმოადგენდეს ხელახალი განხილვის საფუძველს. ამ პრინციპიდან გადახვევა გამართლებულად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია არსებითი გარემოებებისა და მათი ერთობლივი ხასიათის გათვალისწინებით (იხ. *რიაბიხი რუსეთის წინააღმდეგ (Ryabykh v. Russia)*, N 52854/99, § 52, ECHR 2003-IX; ზემოთ დასახელებული *ჰაძიგიორგიევი* (*Hadzhigeorgievi)*, § 66 და *ტრაპეზნიკოვი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (Trapeznikov and Others v. Russia)*, NN 5623/09 და 3 სხვა, § 23, 5 აპრილი 2016).

33. რაც შეეხება ამ საქმის გარემოებებს, სასამართლო აღნიშნავს, რომ ჩვეულებრივ ვითარებაში მომჩივნის დავალდებულება, წარადგინოს განჩინების შესწორებული ვერსია მის სასარგებლოდ მიღებულ საბოლოო გადაწყვეტილებასთან ერთად, მით უფრო, იმგვარ ინფორმაციასთან მიმართებით, როგორიცაა, მაგალითად, მიწის ნაკვეთის ზომები, რაც ხელისუფლების შესაბამისი ორგანოს განკარგულებაშია, არასათანადოდ შეაფერხებს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ან განჩინების აღსრულებას (იხ. *დადიანი და მაჩაბელი საქართველოს წინააღმდეგ* (*Dadiani and Machabeli v. Georgia)*, N 8252/08, §§ 47-50, 12 ივნისი 2012, იქვე არსებული მითითებებით). თუმცა, მოცემული საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, ქვეყნის სასამართლოებმა მიიჩნიეს, რომ 2003 წლის 16 დეკემბრის განჩინება იყო *a priori* აღუსრულებადი ნაკვეთი N5-თან მიმართებით. შესაბამისად, სასამართლო იმსჯელებს საკითხზე ამ მიმართულებით.

34. რამდენადაც მომჩივნების მიერ ქვეყნის შიგნით წამოწყებული სამართალწარმოება მათ სასარგებლოდ მიღებული 2003 წლის 16 დეკემბრის განჩინების აღსრულების შესახებ, შეეხებოდა სხვადასხვა საკითხებს, მათ შორის, ნაკვეთის ზუსტ საზღვრებს და ფაქტს, ფარავდა, თუ არა ის ნაკვეთი N11-ს, სასამართლოს წინაშე არ დგას მათი განხილვის საჭიროება. კონკრეტულად, მთავარი, რაც იმ სამართალწარმოებისას წარმოიშვა, იყო საკითხი, იყო თუ არა საბოლოო განჩინება ნაკვეთი N5-თან მიმართებით, სრულად აღსასრულებელი. ამასთან დაკავშირებით და საკითხთან მიმართებით ჩამოყალიბებული პრეცედენტული პრაქტიკის გათვალისწინებით (იხ. 31-32-ე პარაგრაფები ზემოთ), სასამართლო შეაფასებს მომჩივნების მიერ წამოწყებული სამართალწარმოება იმ მიზნით, რომ უზრუნველეყოთ მათ სასარგებლოდ მიღებული 2003 წლის 16 დეკემბრის განჩინების აღსრულება (იხ. მე-18-24-ე პარაგრაფები ზემოთ) ფაქტიურად იწვევდა თუ არა საბოლოო და კანონიერ ძალაში შესული განჩინების გადასინჯვას და ამგვარი გადასინჯვა იყო, თუ არა გამოწვეული არსებითი და უდავო გარემოებებით.

35. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო აღნიშნავს, რომ ქვეყნის სასამართლოებმა მომჩივნის არგუმენტის ფარგლებში უშუალოდ განიხილეს კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტთან შესაბამისობის საკითხი 2003 წლის 14 დეკემბრის განჩინების აღუსრულებლობასთან დაკავშირებით ნაკვეთი N5-თან მიმართებით (იხ. მე-20 და 23-24-ე პარაგრაფები ზემოთ). მათ დაასაბუთეს, რომ 2003 წლის 16 დეკემბრის განჩინებით მხოლოდ დამტკიცდა კერძო პირებს შორის გაფორმებული მორიგების აქტი, რომლებიც ივარაუდებოდა, რომ ფლობდნენ ნამდვილ უფლებებს ქონებაზე, რომლის ერთმანეთს შორის განაწილებაზეც შეთანხმდნენ (იხ. 23-ე პარაგრაფი ზემოთ). ნაკვეთი N5-ზე ამგვარი უფლების არარსებობის ვითარებაში კერძო პირები არ შეიძლებოდა შეთანხმე-

ბულიყვნენ ქონების ერთმანეთს შორის განაწილებაზე და მომჩივნებს არ უნდა ჰქონოდათ მოლოდინი, რომ აღსრულდებოდა განჩინება, იმ ქონებასთან მიმართებით, რაც არ წარმოადგენდა მოვალის საკუთრებას, ვინც ასეთად იყო მითითებული სააღსრულებო ფურცელში (იხ. Ibid).

36. სასამართლო იზიარებს ქვეყნის სასამართლოების დასაბუთებას. კერძოდ, რომ 2003 წლის 16 დეკემბრის განჩინება არ ყოფილა მიღებული კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განხილვის შედეგად (იხ. მე-8 და 26 პარაგრაფები ზემოთ და განსხვავებისთვის, მაგალითად, საქმე *ვარდანიანი და ნანუშიანი სომხეთის წინააღმდეგ* (*Vardanyan and Nanushyan v. Armenia)*, N 8001/07, § 68, 27 ოქტომბერი 2016). რეალურად, ის იყო განჩინება, რომლითაც შეწყდა საქმის წარმოება კერძო პირებს შორის არსებულ დავაში მხარეთა შორის მიღწეული მორიგების დამტკიცების გამო (იხ. მე-7-8 პარაგრაფები ზემოთ) იმ მხარეებმა: მომჩივანმა და კონკრეტულმა დ.ს.-მ სასამართლოს წინაშე ერთმანეთს შორის ექსკლუზიურად მიაღწიეს შეთანხმებას, რომელიც, სხვებს შორის, შეეხებოდა ქონებრივი უფლების მიკუთვნებას ორ მიწის ნაკვეთზე, რომლებსაც შეეხებოდა სადავო განჩინება (იხ. მე-8 პარაგრაფი ზემოთ). ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც იმ დროისათვის მოქმედებდა, არ ითვალისწინებდა მართლმსაჯულების ორგანოს მიერ ამგვარი შეთანხმებებით გათვალისწინებული პირობის სამართლებრივი საფუძვლის არსებობის შემოწმებას (იხ. 26-ე პარაგრაფი ზემოთ) და როგორც ჩანს, მხარეთა პასუხისმგებლობას წარმოადგენდა იმის უზრუნველყოფა, რომ ამგვარ შეთანხმებას გააჩნდა სამართლებრივი საფუძველი. ამასთან, მორიგების დამოკიდებულება სადავო ქონებაზე მხარეთა უფლების არსებობაზე, როგორც ჩანს, გამოიხატებოდა მორიგების იმ პირობაში, რომლის თანახმადაც, მომჩივნებს და დ.ს-ს სადავო ქონება უნდა გადაენაწილებინათ (იხ. მე-8 პარაგრაფი ზემოთ). ეს დადგენილია საქმის მასალებით, რომლებითაც დასტურდება, რომ 2003 წლის 16 დეკემბრის განჩინების აღსრულება ნაკვეთი N 7-თან მიმართებით არ წარმოშობდა რაიმე პრობლემას, სავარაუდოდ, ამ ქონებაზე ნამდვილი უფლების არსებობის გამო, რაც სადავო განჩინების მიღებამდეც არსებობდა (იხ. მე-6, მე-9 და 22-ე პარაგრაფები ზემოთ). რომელიმე მხარის მიერ მორიგების დამტკიცებამდე ამგვარი უფლების არსებობის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი არ ყოფილა წარმოდგენილი ნაკვეთი N5-თან მიმართებით (იხ. მე-11, მე-15, მე-19 და 22-ე პარაგრაფები ზემოთ).

37. შესაბამისად, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განჩინების გადასინჯვის მიზნით, მომჩივნების მიერ წამოწყებული სამართალწარმოების შედეგად ნაკვეთი N 5-თან მიმართებით გამოვლინდა, რომ მომჩივნებს შორის მორიგება წარმოადგენდა იმ განჩინების მიღების ერთადერთ საფუძველს არარსებულ საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით, ეროვნული კანონმდებლობის დარღვევით (იხ. 23-ე პარაგრაფი ზემოთ). ეროვნული კანონმდებლობის საკუთრების უფლების შეძენასთან დაკავშირებული ნორმების მხედველობაში მიღებით, კანონის დარღვევით გაფორმებული შეთანხმებების ბათილად ცნობა, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების აკრძალვა (იხ, 25-ე პარაგრაფი ზემოთ), და ქვეყნის სასამართლოების დასაბუთება მომჩივანთა პრეტენზიებთან მიმართებით (იხ. 35-ე პარაგრაფი ზემოთ), სასამართლო, ამ საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, მიიჩნევს, რომ 2003 წლის 16 დეკემბრის განჩინების გადასინჯვა და საბოლოოდ, მისი აღუსრულებლობა, დაკავშირებული იყო არსებითი ხასიათის, ერთობლივ გარემოებებთან (შეადარე და განასხვავე ზემოთ დასახელებული *ჰაძიგიორგიევი (Hadzhigeorgievi),* §§ 68-70).

38. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არაფერი მიუთითებს მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევაზე. შესაბამისად, მომჩივნების საჩივარი აშკარად დაუსაბუთებელია და მიუღებლად უნდა გამოცხადდეს კონვენციის 35-ე მუხლის მე-3(a) და მე-4 პუნქტების თანახმად.

39. ამასთან, აღნიშნულ გარემოებებში, მომჩივნებს არ შეუძლიათ იდავონ, რომ გააჩნიათ „საკუთრება“ კონვენციის 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლიდან გამომდინარე ნაკვეთი N 5-თან მიმართებით. არ დასტურდება, რომ მომჩივნებს ოდესმე გააჩნდათ ნამდვილი ქონებრივი უფლება სადავო ქონებაზე. მომჩივნებსაც და დ.ს.-საც, მორიგების მიღწევამდე, კარგად უნდა სცოდნოდათ, რომ არ-

ცერთ მათგანს არ გააჩნდა ნამდვილი უფლება მიწის ნაკვეთზე, რაც მათ შესაძლებლობას მიანიჭებდა, პირველ რიგში მას დაყრდნობოდნენ. შესაბამისად, მათი საჩივარი 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლის საფუძველზე, არის კონვენციასთან *rationae materiae* შეუსაბამო და უარი უნდა ითქვას მასზე, კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო ერთხმად,

აცხადებს საჩივარს მიუღებლად.

შესრულებულია ინგლისურად და წერილობით ცნობილი გახდა 2019 წლის 28 თებერვალს.

კლაუდია ვესტერდიკი მდივანი	ანგელიკა ნიუსბერგერი თავმჯდომარე